საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ქ. მუშკუდიანი

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში (1880—1914 წწ.)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1982

63.3 (2 Г)
~~321 . 914 . 1~~ (47 922) (09)+6) (47 . 922)
М 961

წიგნში გაშუქებულია კაპიტალისტურ ხანაში დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის ისტორია. უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით და პირველწყაროებზე დაყრდნობით განხილულია: ტყეების ექსპლუატაცია, რომელთაც სავაჭრო-სამრეწველო დანიშნულება ჰქონდათ, მნიშვნელოვან სამრეწველო საწარმოთა ჩასახვა-განვითარების პროცესი, მათი ეკონომიკური მაჩვენებლები, გასაღების ბაზარი. ნაჩვენებია ხე-ტყის მრეწველობის განვითარების დონე, ხასიათი, მნიშვნელობა, მუშათა მდგომარეობა და რეოლუციურ ბრძოლებში მათი მონაწილეობა.

რედაქტორი პროფ. ბ. მ ა რ გ ი ა ნ ი

Кетеван Давидовна Мушкудиани

ЛЕСООБРАБАТЫВАЮЩАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ И ПРОМЫШЛЕННЫЙ ПРОЛЕТАРИАТ В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(1880 — 1914 гг.)

(на грузинском языке)

10804
М 607 (06) — 82 218—82 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

შესავალი

XIX საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო. „შვიდობიანობის დამყარებამ, რუსეთის მეშვეობით მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში ჩართვამ, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა და ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა საქართველოს მრეწველობისა და, საერთოდ, ეკონომიკის განვითარება. მისი საგრძნობი წინსვლა XIX ს. 30-იანი წლებიდან დაიწყო და განსაკუთრებით რეფორმისშემდგომ ხანაში დაჩქარდა.

საქართველო, რომელიც რუსეთის განაპირა ეროვნულ მხარეს წარმოადგენდა, ღრმა სოციალ-ეკონომიკურ ცვლილებებს განიცდიდა. „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,— ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[1].

რეფორმისშემდგომ ხანაში საქართველო მტკიცედ დადგა განვითარების ახალ. კაპიტალისტურ გზაზე. დაწინაურდა მრეწველობა და ვაჭრობა, რასაც ხელი შეუწყო რკინიგზების მშენებლობამ და საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, გლეხობის კლასობრივი დაშლის გაძლიერების შედეგად, თავისუფალი მუშახელის რიცხვის ზრდამ. უპირველეს ყოვლისა მრეწველობის ის დარგები განვითარდა, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებასთან იყო დაკავშირებული.

საქართველოს მრეწველობაში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება და მასთან ერთად ძირითადი კაპიტალისტური კლასების— ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის — ჩამოყალიბება რთულ და თავისებურ პირობებში მიმდინარეობდა. ამ პროცესის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ჩვენში კაპიტალისტური ურთიერთო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გამოც. 4, 1948, გვ. 704.

ბის განვითარების ისტორიის შემუშავება. რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობის მთლიანი სურათის სრულყოფილად და ნათლად გაშუქებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების შესწავლას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს კაპიტალისტური ხანის საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების, ამ დარგში მუშათა კონტინგენტის ჩამოყალიბების, მუშათა მდგომარეობის, შრომის პირობებისა და რევოლუციურ ბრძოლებში მათი მონაწილეობის შესწავლა.

მრეწველობის ამ დარგისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა — დაწყებული ოჯახური მრეწველობიდან, დამთავრებული ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობით. დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში მანქანურმა წარმოებამ მხოლოდ სახერხი ქარხნები მოიცვა და კადრის მუშათა კონტინგენტიც აქ შეიქმნა. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებზე, ნაჩვენებია მათი ხასიათი და მნიშვნელობა, აგრეთვე ქარხნების მთლიანი ქსელის თანთათანობითი გაფართოება.

მართალია, რევოლუციამდელი საქართველოს ხე-ტყის ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული, ქვეყნის მზარდ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, საერთოდ არათანაბრად ვითარდებოდა და ხშირად არარაციონალური იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობდა რა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეულ როლს ასრულებდა, მასში დასაქმებული მუშახელის მნიშვნელოვან რაოდენობას აერთიანებდა.

XIX საუკუნის მთელ მანძილზე საქართველოს ტყეებში საექსპორტოდ იჭრებოდა ხის ძვირფასი ჯიშები, როგორიც იყო: ბზა, კაკალი, მუხა, წაბლი, ურთხმელი, იფანი და სხვა. ეს ძვირფასი ძერქანი დაუმუშავებელი (ნედლეულის) სახით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სამხრეთ რუსეთში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, მრავალფეროვანი ტყის სიუხვე ოდითგანვე მოსახლეობას ხელს უწყობდა ხისაგან დამზადებული მრავალგვარი ნაკეთობანი თავის ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ გამოეყენებინა. ხის მასალა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგანთა მხატვრულ, ნაგებობათა არქიტექტურულ, დეკორაციულ გაფორმებაში. ხის დამუშავების ოსტატობასა და მაღალ კულტურაზე მეტყველებენ ჟამთა სიავისაგან გადარჩენილი მრავალფე-

როვანი ნიმუშები, რომლებიც ჩვენმა არქეოლოგებმა, ეთნოგრაფებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი წლებიდანვე დასავლეთ საქართველოს ტყეებმა ახალი ადმინისტრაციის ყურადღება მიიპყრო. ჯერ კიდევ 1805 წელს აქაური ტყეების ფართო ექსპლუატაციის საფუძველზე მთავარსარდალი ციციანოვი გემთსაშენი მასალის დამზადებას ითვალისწინებდა[2]. 1805—1810 წწ. მეფე სოლომონი და სამეგრელოს მთავარი დადიანი რუსეთის ხელისუფლებას გემთსაშენი ხე-ტყის დამზადებაში დახმარებას აღუთქვამდნენ[3]. XIX ს. 20-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლება მორების დასაცურებლად გამოსადეგი მდინარეების, პირველ რიგში მდ. რიონის ვარგისიანობას იკვლევდა[4]. მაშინდელ პირობებში, ხე-ტყის გადაზიდვისა და ზღვით გატანის სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ტყეების მოჭრა-დამუშავებას და გატანას ათასი ჯურის ვაჭარ-შემსყიდველი და მრეწველი ეტანებოდა[5]. 40-იან წლებში სამეგრელოდან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საკასრე ტკეჩები[6].

კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენელნი მთელი XIX ს. მანძილზე ადგენდნენ და განიხილავდნენ სხვადასხვა პროექტებს. ისინი მიზნად ისახავდნენ ხე-ტყის მრეწველობის ფართოდ გაშლას, საამისოდ საჭირო გზების გამართვას, მორების დასაცურებელი მდინარეების კალაპოტის გაწმენდას, რუსეთში და საზღვარგარეთ საექსპორტო მასალის გადასატვირთად საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების მოწყობას. XIX ს. 80-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობას ენერგიულად დაეწაფნენ როგორც ცალკეული პირები, ასევე გაერთიანებული ძალებით მოქმედი კაპიტალისტები და სააქციო საზოგადოებები, რომელთა საქმიანობა ნაშრომში დეტალურადაა გაშუქებული.

ნაშრომში გათვალისწინებულია საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. მართალია, მოცემული ხანის საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება და აქ

---

[2] Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией, т. 2, с. 347, 384.

[3] Акты, т. 4, с. 217.

[4] Акты, т. 5, с. 985.

[5] ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ა/კ ეკონომიკური განვით. XIX—XX სს., ტ. I, გვ. 150.

[6] Ю. Гагемейстер. Закавказские очерки, 1845, с. 2.

შუშათა კონტინგენტის ჩამოყალიბება სპეციალურად არცერთ ნაშრომში არაა რამდენადმე საფუძვლიანად გაშუქებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ გარკვეული სამსახური გაგვიწია საკვლევი ხანის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის თემატიკით არსებულმა გამოკვლევებმა, სადაც არაერთი სპორადული ცნობა და მონაცემია მოტანილი სამრეწველო დაწესებულებებისა და მუშათა ყოფა-ცხოვრების, აგრეთვე ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი მონაწილეობის დასახასიათებლად. ასეთ ნაშრომებად წარმოგვიდგება: ნ. ბერძენიშვილის, ვ. ბაქრაძის, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, პ. გუგუშვილის, შ. ჩხეტიას, შ. ცაგარეიშვილის, პ. რატიანის, მ. დუმბაძის, ი. ხუციშვილის, ვ. ძიძარიას , ა. ბენდიანიშვილის, გ. მარგიანის, ე. ხოშტარიას, ნ. ჩახვაშვილის, დ. გოგოლაძის, ნ. ტყეშელაშვილის, მ. სამსონაძის, ნ. როდონაიას და სხვათა გამოკვლევები.

პ. გუგუშვილის მონოგრაფიულ გამოკვლევებში ვრცლადაა გაშუქებული საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს. ავტორი მოკლედ ეხება ხის დამმუშავებელ შინამრეწველობას, აგრეთვე ნავთობის საექსპორტო კასრების წარმოებას ბათუმში. მას ზოგიერთი საყურადღებო ცნობა აქვს მოტანილი მოცემულ დარგში ჩაბმული მუშახელის შრომისა და მდგომარეობის გასათვალისწინებლად.

ხე-ტყის წარმოების ხასიათისა და მასშტაბის დასადგენად ხელშესახებ მასალას და ზოგიერთ ანგარიშგასაწევ განმაზოგადებელ დასკვნას შეიცავენ გ. ბაქრაძის, ე. ხოშტარიას, გ. მარგიანის ნაშრომები.

მუშაობის დროს გამოვიყენეთ ისეთი განმაზოგადებელი ხასიათის ლიტერატურა, როგორიცაა: ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია“ (ტ. I, თბ., 1954, ტ. 2, 1955); ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემული „საქართველოს ისტორია“ (ტ. I, თბ,. 1958, ტ. 2, 1962): „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“ (ტ. 5, 1970, ტ. 6, 1972); „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“ (თბ., 1957).

1901 წლიდან 1914 წლამდე საქართველოს ხე-ტყის მდგომარეობაზე ზოგიერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში გამოცემული სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ხე-ტყის მეურნეობისა და მრეწველობის მდგო-

მარეობას, მისი განვითარების მომავალ სამუშაო გეგმებსა და მიზნებს ეძღვნება[7]. მიუხედავად იმისა, რომ მათში მომავალ გეგმებზეა ლაპარაკი, ამავე დროს წარსულის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ეს ნაშრომები ზოგიერთ საინტერესო მონაცემს იძლევიან რევოლუციამდელი საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის შესახებაც. უნდა აღინიშნოს, რომ უკლებლივ ყველა ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ადრინდელი მრწველობის შესწავლის საქმე ძალზე გართულებულია, რადგან მათ შესახებ გაბნეული მცირე სტატიები და შენიშვნები მეტად მწირ და არასრულ ცნობებს შეიცავენ.

წინამდებარე ნაშრომი მეტწილად საარქივო და სხვა წყაროების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზეა შესრულებული.

გამოქვეყნებული წყაროებიდან აღსანიშნავია პეტერბურგში, თბილისსა და ქუთაისში სხვადასხვა დროს გამოცემული საუწყებო „მოხსენებები", „ანგარიშები", „მიმოხილვები", საწარმოთა აღწერები და სტატისტიკური კრებულები.

რევოლუციამდელი სამრეწველო სტატისტიკის არასრულფასოვნება, მასში დაშვებული შეცდომები და უზუსტობანი მთელი სიცხადით არის გამოაშკარავებული ვ. ი. ლენინის ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", სადაც მითითებულია, რომ მისი გამოყენების დროს აუცილებელია დიდი სიფრთხილე და კრიტიკული მიდგომა. ეს განსაკუთრებით ითქმის საქართველოს სამრეწველო საწარმოთა შესახებ არსებული სტატისტიკური გამოცემებისა და წყაროების მიმართ, რადგან ამ განაპირა მხარეში სტატისტიკის საქმე უფრო მოუწესრიგებელი იყო, ვიდრე შიდა რუსეთში[8]. ამის გათვალისწინებით ჩვენ ვცადეთ სტატისტიკური ცნობების კრიტიკული განხილვა და ურთიერთშეჯერება.

როგორც დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ეკონომიკური ისტორიის აღსადგენად მკვლევარი იძულებულია და

---

[7] Промышленность ССР Грузии в 1921 г. Тб., 1922; А. А. Долгушин, Леса Закавказья и их эксплуатация, Тб., 1924; Н. С. Заклинский, Леса Абхазии, Л—М., 1931.

[8] სტატისტიკური ცნობების არასრულყოფილი ხასიათის შესახებ მიუთითებდა ფ. მახარაძე. იგი წერდა: „ამიერკავკასიაში ცნობების შეგროვება მრეწველობის შესახებ უმრავლეს შემთხვევაში პოლიციაზე კიდია. თქვენ წარმოიდგინეთ რა შედეგი ექნება ასეთ გარემოებას... როცა პოლიცია თხოულობს მათგან ცნობებს, ისინი (ფაბრიკანტები და მექარხნეები) მარტო გადასახადზე ფიქრობენ. ამიტომ, ცხადია, თუ რად ამცირებენ ისინი წარმოების ოდენობას" (გაზ. „კვალი", 1898, № 4).

ვალდებულიც საჭირო ცნობები ყველგან ეძიოს და ყოველგვარი წყაროები გამოიყენოს. ამ დებულების სრული ჭეშმარიტება მუშაობის დასაწყისშივე ვიგრძენით, რადგან ხე-ტყის მრეწველობის ამსახველი საარქივო და სხვა მასალები წყაროებში მეტად გაბნეულად და ძუნწადაა წარმოდგენილი.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე ზოგიერთ ცნობასა და მონაცემს შეიცავს გუბერნატორების მოხსენებები და გუბერნიების მიმოხილვები. ამ წყაროებში შედარებით სისტემატური მონაცემები 1890-იანი წლებიდან გვხვდება, ადრინდელი ცნობები კი მეტად ზოგადი და ნაკლულია. მიმოხილვებს ერთვის სტატისტიკური უწყისები, სადაც მოცემულია სახერხი ქარხნების ეკონომიკური მაჩვენებლები—მუშების რიცხვი და წარმოებული პროდუქციის ოდენობა. ცხრილებში ზოგჯერ წვრილი კაპიტალისტური კოოპერაცია და მანუფაქტურული წარმოებაც არის შესული. უამრავი ხარვეზის მიუხედავად, მათი გამოყენება შეიძლება სხვა წყაროებთან შეჯერების გზით. „უწყისებში" აღრიცხულია დასავლეთ საქართველოში მოქმედი მხოლოდ მანქანურად მოწყობილი სახერხები, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მონაცემებში ხელის სახერხებიცაა შესული. ამ მონაცემებს გზადაგზა ვამოწმებდით ცალკეულ საწარმოზე არსებული საარქივო დოკუმენტურ წყაროებში მოცემული ცნობების გათვალისწინებით, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა შესახებ არსებული სხვა წყაროებისა და სტატისტიკური კრებულების მონაცემების მოშველიებით. ასეთებად მიგვაჩნია: ხარკოვის საფაბრიკო ინსპექტორის ა. გნედიჩის მიერ შედგენილი „კავკასიის ფაბრიკულ-ქარხნული, სამთამადნო და კუსტარული მრეწველობის მიმოხილვა" (1900 წ.), ს. გულიშამბაროვის „ამიერკავკასიის ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვა" (1894 წ.), ა. პოგოჟევის რედაქციით 1905 წელს გამოცემული „რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებიისა და სახელოსნო საწარმოთა სამისამართო წიგნი", სადაც შესულია 1902 წელს დასავლეთ საქართველოში მოქმედი სახერხი ქარხნები, დაარსების დროისა და მუშების რაოდენობის აღნიშვნით; 1908 — 1909 წლების მონაცემებს შეიცავს, ვ. ი. ვარზარის რედაქციით 1912 წელს გამოსული „რუსეთის იმპერიის ფაბრიკა-ქარხნების სია".

ჩამოთვლილი ნაშრომები და კრებულები წყაროს დანიშნულებას ასრულებენ.

აღნიშნულის მიუხედავად, ნაშრომის შესასრულებლად აუცილებელი გახდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა არქივე-

ბის ფონდებში დაცული პირველადი წყაროების გამოვლენა და ფართოდ გამოყენება.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული ფონდებიდან საგანგებოდ შეეისწავლეთ და დავამუშავეთ № 4, 5, 12, 13, 16, 17 ფონდები, სადაც თავმოყრილია საკვლევი სამრეწველო დარგის განვითარების ამსახველი მასალები, დაწყებული 1802 წლიდან 1917 წლამდე. ეს მასალები ხელშესახებ დოკუმენტებს შეიცავენ და ახალ შუქს ჰფენენ საკვლევი პერიოდის ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის ისტორიას.

ვისარგებლეთ აგრეთვე საქართველოს ისტორიული არქივის № 254 ფონდში დაცული სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა გენერალური აღწერის, კერძოდ 1886—1887 წწ. მასალებით. გავეცანით იმ ფონდებსაც, რომლებიც მრეწველობის შესახებ სპორადულ მონაცემებს შეიცავენ. უურადღება შევაჩერეთ იმ ფონდებზე, სადაც შესულია საქართველოს ტყეების აღწერები და მათი ექსპლუატაციის ამსახველი დოკუმენტები. ასეთებია №№ 238, 239, 240, 241, 243, 244 ფონდები, სადაც ტყეებზე მსჯელობის ეროს ზოგჯერ ასახულია ხე-ტყის მრეწველობის მდგომარეობა და სახერხი ქარხნების ეკონომიკური მონაცემები. ამ მხრივ აღსანიშნავია კავკასიის მიწათმოქმედებისა და მიწათმოწყობის მთავარმმართველის ფონდი № 243, სადაც დაცულია დოკუმენტები 1890—1892 წწ. ტყეების ექსპლუატაციის გაფართოების შესახებ. აქ ტყეების სამრეწველო ათვისების მომავალი პროექტების წამოყენების დროს შიგადაშიგ საუბარია არსებულ მდგომარეობაზე, რაც საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სახერხი ქარხნების დაარსების მონაცემები, მათი ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობები და ა. შ. ასეთივე შინაარსის მასალას გავეცანით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცულ №№ 18, 183 ფონდებში.

XX ს. დასაწყისიდან სამრეწველო საწარმოთა შესახებ ფრიად ხელშესახებ მასალას იძლევა უკრაინის სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის ხარკოვის საფაბრიკო ოკრუგის ინსპექტორის ფონდი № 834 (ამჟამად კიევშია დაცული), სადაც შესულია 1900—1917 წწ. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნების ეკონომიკური მაჩვენებლები. ფონდი ასახავს როგორც მრეწველობის დონეს, ასევე სამუშაო პირობებს და მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს. აღნიშნულ ფონდს ავსებს საქართველოს ისტორიული არქივის საფაბრიკო ინსპექტორის № 275, 276 ფონდები, რომლებიც აღმოსავ-

ლეთ საქართველოს ეხება, მაგრამ აქვე ბოლოში დართულ მასალებში მოიპოვება ცნობები დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი საწარმოოს შესახებაც.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში დაცული სამრეწველო განვითარების ამსახველი ფონდების (№№ 20, 22, 23, 32, 40) გარდა, მუშაობა მოგვიხდა აგრეთვე სატყეო დეპარტამენტის № 387 ფონდზე, რომელიც ძალზე დიდი მოცულობის მრავალრიცხოვან (67000 ერთეული) საქმეებს შეიცავს. სხვა საქმეთა შორის აქ მეტად საყურადღებო აღმოჩნდა ბზიფის ხეობის ტყეების ექსპლუატაციის შესახებ მეტყევე კასაშკინის მოხსენება (1903 წ.) ავტორი ტყეების ექსპლუატაციის მომავალ გეგმებზე მსჯელობისას ექსკურსებსა და შედარებებს მიმართავს, აღწერს უკვე არსებულ სამრწველო საწარმოებს, ძირითადად კოდორის ხეობაში მოქმედ მაქსიმოვის სახერხ ქარხანას და მის შესახებ რიგ საყურადღებო ცნობას იძლევა.

საინტერესო მასალაა წარმოდგენილი კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცულ ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში, სადაც ხე-ტყის წარმოების გასაშლელად ნავარაუდევი საექსპლუატაციო ტყეების შესახებ მრავალი სტატისტიკური გამოცემა და ხელნაწერია შემონახული. აქ დაცული წერილებიდან, რომლებიც ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის, ჩანს რომ იგი არც ხე-ტყის მრეწველობას ტოვებდა უყურადღებოდ და მისი მომავლით დიდად იყო დაინტერესებული: ნ. ნიკოლაძე საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში ადგილობრივი ძალებით ხე-ტყის მსხვილი მასშტაბის საწარმოთა დაარსების საქმეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ი. ოქრომჭედლიშვილის (სერებრიაკოვის) საწარმოს შესახებ საყურადღებო მასალებია დაცული გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში. ცნობილი პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის ი. ოქრომჭედლიშვილის პირად არქივში შემონახული მიმოწერა, კერძო ჩანაწერები, საჩივრები საინტერესო ცნობებს შეიცავენ საჭილაოში არსებული ქარხნის შესახებ. ეს წყაროები ასე თუ ისე გაბმულ მონაცემებს შეიცავენ აღნიშნული ქარხნის მუშაობის შესახებ მისი დაარსებიდან 1907 წლამდე.

ასეთია ზოგადად საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული წყაროები. მთელი მასალის შესწავლისა და განხილვისას ვხელმძღვანე-

ლობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ზოგადი და კონკრეტული დებულებებით, პირველ რიგში ვ. ი. ლენინის ნაშრომით— „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. შევეცადეთ საქართველოში ხე-ტყის მრეწველობის განვითარებისა და ამ სფეროში მუშათა კონტინგენტის ჩამოყალიბების მაგალითზე გვეჩვენებინა სამრეწველო კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება.

თ ა ვ ი I

დასავლეთ საქართველოს ტყეების ექსპლუატაცია

ამიერკავკასიის ტყეების ფართობს ოფიციალური დაწესებულებების წარმომადგენლები და დაინტერესებული კერძო პირები განსხვავებულად ანგარიშობდნენ და მათი მონაცემები ერთმანეთს დიდად სცილდებოდა. რეფორმის შემდგომ ხანაში ტყის ფართობის შესახებ ყველაზე საყურადღებო ცნობები ი. მედვედევს აქვს მოცემული, მაგრამ თვითონვე შენიშნავს, რომ ეს მონაცემები სიზუსტისაგან შორს არის და მიახლოებითი მნიშვნელობისაა[1]. სახაზინო ტყის ფართობი შედარებით სწორად აღირიცხებოდა, მაშინ როცა კერძო პირთა კუთვნილი ტყეების ფართობი და მდგომარეობა მეტწილად შეუსწავლელი რჩებოდა. 1893 წ. სტატისტიკოსები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ არავითარი მონაცემები არ გააჩნდათ კერძო პირთა კუთვნილი ტყის ფართობის სიდიდის განსაზღვრისათვის[2]. თითქმის იგივე მდგომარეობა რჩებოდა რევოლუციამდე.[3]

საქართველოს ტყეების ფართობის შესახებ შედარებით სანდო წყაროებს ეყრდნობა 1918 წლის მონაცემები (იხ. ცხრ. 1).

ამიერკავკასიის ტყეების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებაზე მიუთითებდა ცნობილი დენდროლოგი ი. მედვედევი, რომელიც აქ

---

[1] Свод материалов по изучению экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. III, Тифл., 1888, с. 270. აქ არ არის შესული სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის ტყეები, რომლებიც 80-იანი წლების ბოლომდე სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდა.

[2] Кавказский календарь на 1898 год, с. 99.

[3] „საქართველოს ტყეების სტატისტიკური მონაცემები ძალიან ღარიბია. ის მწირი მონაცემები, რაც კი არსებობს, გროვდებოდა მეტყევეებისა და პოლიციის მეშვეობით, რომელთაც საამისოდ საჭირო საშუალებანი არ გააჩნდათ. ამიტომ მათი მონაცემები მიახლოებითია და ისიც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს.“ Промышленность ССР Грузии в 1921 году, Тб., 1922.

ცხრილი I

სახაზინო და კერძო მფლობელობის ტყის ფართობი[4]

გუბერნია, მაზრა, ოლქი, ოკრუგი	მთლიანი ფართობი	სახაზინო ტყე		კერძო მფლობ. ტყე		მთლიანი ტყის ფართობი	ტყიანობა
		საკუთრივ ტყის ფართობი		საკუთრივ ტყის ფართობი			
დ ე ს ე ტ ი ნ ა							
ქუთაისის გუბ.							
ზუგდიდის მაზრა	244404	21049		27037		48086	20,0
ქუთაისის	316919	56514		27051		83565	21,3
სენაკის	194696	6064		43598		49662	25,5
ოზურგეთის	187804	53219		14716		67935	36,0
ლეჩხუმის	446009	72310		95712		168022	37,6
რაჭის	257961	41044		16546		57890	22,4
შორაპნის „	272832	19563		43174		62737	23.0
ს ულ	1920616	220063		267834		537897	28,0
თბილისის გუბ.	3739775	451973		544785		996758	26,6
სოხუმის ოკრუგი	755501	242787		22762		265549	35,1
ბათუმის ოლქი	638439	248350		11529		259879	40,6
შთელს ამიერკავკასიაში სულ	19975180	2270244		1140939		3411174	17,1

360 ჯიშის მერქნის სახეობას ითვლიდა, საიდანაც 150-ზე მეტს სამრეწველო დანიშნულება ჰქონდა[5]. ამ მხრივ განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო გამოირჩეოდა, რომელსაც მცენარეთა მრავალფეროვნებით კავკასიაში მხოლოდ ლენქორანის მაზრა თუ შეედრებოდა.

ი. მედვედევის მონაცემების მიხედვით ტყეების მდგომარეობის მხრივ ქუთაისის გუბერნია ყველაზე უკეთ ჩანდა. ამიერკავკასიის

[4] А. А. Долгушин. Леса Закавказья и их эксплуатация, Тифлис, 1924, с. 226.

[5] Я. С. Медведев. Деревья и кустарники Кавказа, Тб., 1909; П. З. Виноградов-Никитин. Ценные древесные породы лесов Кавказа, Л., 1929, с. 2.

ხუთი გუბერნიიდან (თბილისის, ქუთაისის, ბაქოს, ერევნის, ელიზავეტოპოლის) სახაზინო ტყეების გაუჩეხავი, მთლიანი მასივების ყველაზე მეტი-68%—ქუთაისის გუბერნიაზე მოდიოდა. საშუალოდ გაჩეხილი—31% შეადგენდა. მთლიანად ან მეტწილად გაჩეხილი ტყეები ამ მონაცემების მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში არ აღირიცხებოდა[6].

მართალია, დასავლეთ საქართველო მცენარეული საფარის სიუხვით გამოირჩეოდა, მაგრამ რეფორმის შემდგომ პერიოდში ადვილად მისადგომი საექსპლუატაციო ტყის ფართობი ფაქტიურად ძალზე შემცირებული იყო და დროთა ვითარებაში უფრო სწრაფად მცირდებოდა.

ჩვენ ძირთადად შევეხებით სამრეწველო დანიშნულების ტყის მასივების ექსპლუატაციას, რომელიც ადგილობრივი ხის დამმუშავებელი მრეწველობისათვის ნედლეულის წყაროს წარმოადგენდა, ამასთან იმ მნიშვნელოვან ტყეებს, სადაც მსხვილი მასშტაბის წარმოების გაშლა ივარაუდებოდა, მაგრამ ვერ განხორციელდა.

XIX ს. დასაწყისიდან საქართველოში ტყით სარგებლობის გარკვეული წესები აღარ არსებობდა. ამის მიზეზი ძველი—ვახტანგისეული და ახალი—რუსული კანონების აღრევაში მდგომარეობდა. გარდა ამისა საომარი მოქმედებისას ჯარები ტყეებს ათასგვარი საჭიროებისათვის ჩეხავდნენ, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყით თავისუფლად სარგებლობდა.

ქვეყნის წინსვლა-განვითარებასთან დაკავშირებით ხის მასალაზე მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ ტყით სარგებლობის საკითხი დღის წესრიგში დააყენა. ცხადია, ვახტანგის სამართალი (რომლის 169-ე მუხლით წყალი, ტყე და ბალახი არავის ეკრძალება და ხელმწიფეს ეკუთვნის) უკვე საკმაოდ მოძველებული იყო და ახალ ვითარებას არ შეეფერებოდა. 1859 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით იგი რუსეთის იმპერიის საერთო კანონებით შეიცვალა, რომელთა მიხედვით ტყე მემამულეთა ხელუხლებელ საკუთრებად გამოცხადდა. კანონით მხოლოდ საქართველოს ადგილობრივი თავისებურებებით გამოწვეული რამდენიმე დამატება იყო დაშვებული, რაც შემდეგში მდგომარეობდა: „В губерниях и уездах Закавказского края образовавшихся в пределах Грузии, доказательством на право вьезда как в казенные, так и в частные леса, может быть признано и прошедшее

[6] Я. С. Медведев, Очерки Закавказских лесов, Тб., с. 22.

пользование сим правом в течение общей земской давности"[7]. ამ უფლებით სარგებლობა მანამდე შეიძლებოდა, ვიდრე ტყის გარკვეული უბნების გამოყოფის შესახებ დაწერილებითი წესები გამოქვეყნდებოდა. სწორედ ეს დამატებანი იყო ხშირად გაჭგებრობის მიზეზი, რის გამოც ტყეების ხელყოფა ხდებოდა, განსაკუთრებით კი სამხედრო უწყების მბრივ". ამას მოწმობს შტაბს-კაპიტან ყორლანოვის საჩივარი, იგი მოითხოვდა სამხედრო მობელეთა მიერ მანგლისთან მდებარე, მისი კუთვნილი ტყის გაკაფვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას. ყორლანოვის საჩივარი, რომელიც წლების განმავლობაში იხილებოდა, საბოლოოდ 1875 წ. მის სასარგებლოდ გადაიჭრა. საქმის განხილვისას კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრების უმრავლესობა თავგამოდებით იცავდა აერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, რომელსაც მეფის რუსეთი მტკიცე დარაჯად ედგა. საინტერესოა საბჭოს უმცირესობის ერთ-ერთი წევრის, სმიტენის, გამოსვლა. იგი კარგად გვიჩვენებს თუ რა ქაოსი სუფევდა საქართველოს ტყეებით სარგებლობაში. სმიტენმა განაცხადა: „აქ ჩვენს ხელისუფლებას ასეთი წესი დახვდა: სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, ჯარები, ბოიჯარადრენი, მრეწველნი, სოფლის მცხოვრებნი და ბოლოს ყველა ფენის წარმომადგენელნი ტყეში შესვლისა და ხე-ტყის თავისუფალი მოჭრის უფლებით სარგებლობდნენ, სადაც და ვის მიწაზეც არ უნდა ყოფილიყო. მართალია, საქართველოში ჩვენი ხელისუფლების დაფუძვიდრების დროიდან მიწის მფლობელები თანდათან თვლიან ტყეებს თავის აერძო საკუთრებად მაგრამ არ შეიძლება ვანტკიცოთ, რომ ასეთი საკუთრება ბივიჩნიოთ სრულ უსაზღვრო საკუთრებად„[8]. თუ 60-იან წლებამდე საქართველოში ტყეებზე საკუთრების უფლება აერძო მფლობელობის საბოლოო დამკვიდრებამდე არ იყო მისული, რეფორმის შედეგად მემამულეებს კუთვნილი ტყეები სრულ, განუყოფელ მფლობელობაში დაუმტკიცდათ.

საგლეხო რეფორმის 1864 წ. 13 ოქტომბრის დებულების თანახმად „მემამულე ვალდებული არ იყო გლეხისათვის სამშენებლო ხე-ტყის მასალა მიეცა" (§ 30). იქ კი, სადაც გლეხები კანონის გამოქვეყნებამდე უფასო საწვავით სარგებლობდნენ, მისი გამოქვეყნების შემდეგაც, ცხრა წლის განმავლობაში, მიიღებენ შეშას, „ვალექნიკს", როკსა და სხვ., მაგრამ განსაკუთრებული საფასურის ან გადა-

---

[7] სსცია, ფონდი 13, ანაწერი 23, საქმე 228, ფურც. 8.

[8] იქვე, მათმიერ ტყით თვითნებური სარგებლობის გამო დავა ისე გახშირებულა რომ 1846 წ. კავკასიის კორპუსის უფროსის ბრძანებით ამგვარი საქმეების განსახილველად განსაკუთრებული კომისია შექმნილა.

[9] სსცია, ფ. 13, ან. 23, საქ. 228, ფურც. 9, 10.

სახადის გადახდით (§ 32)"[10]. აქედან ჩანს გლეხობის მძიმე მდგომარეობა რეფორმის შემდეგ ტყით სარგებლობის მხრივ. როგორც ცნობილია, რეფორმის დებულებანი ბატონყმობის გაუქმების შესახებ დასავლეთ საქართველოში შედარებით მოგვიანებით გატარდა. ქუთაისის გუბერნიაში 1865 წ. 13 ოქტომბერს დამტკიცდა, სამეგრელოში — 1866 წ. 1 დეკემბერს, აფხაზეთში — 1870 წ. 8 ნოემბერს, სვანეთში — 1871 წლის 8 ოქტომბერს[11].

დადგენილი კანონის თანახმად, სახაზინო უწყებამ ტყეების გარკვეული ნაწილში დატოვა გლეხობისათვის ხის მასალის უფასოდ გაცემა და საერთოდ ტყით სარგებლობა. დროთა მსვლელობაში ამგვარი ტყეების ფართობი ხაზინამ თანდათან შეამცირა და ტყით სარგებლობა სხვადასხვა არაპირდაპირი გადასახადებით იბეგრებოდა: შეიზღუდა მოჭრის დრო, რაოდენობა, დაწესდა გადასახადი თითო ხის ძირზე, 10%-იანი გადასახადი ტყის დანაგვიანებისათვის და ა. შ. 70-იანი წლებისათვის ტყით ყოველგვარი სარგებლობა დაიბეგრა. «Путем всех этих ограничений казенное управление привело постепенно крестьянское сервитутное пользование в казенных лесах к наивозможному минимуму»[12].

გლეხობის მხრივ განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას ხვდებოდა 10%-იანი გადასახადის აკრეფა. 1878 წლიდან, მეფისნაცვლის ბრძანების თანახმად, ტყიდან მერქნის გატანის დროს, ჭრის ადგილის გასაწმენდად, ახდევინებდნენ ხე-ტყის სატაქსაციო ღირებულების 10%-ს[13]. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი უარს აცხადებდნენ მის გადახდაზე. მაგალითად, სვანეთის გლეხობამ საერთოდ არ გაიღო აღნიშნული გადასახადი, ზემო აჭარის მოსახლეობამ პროტესტი განაცხადა და მათ დასამშვიდებლად 1895 წ. დროებითი საგანგებო ღონისძიება შემუშავდა[14]. სატყეო უწყების მიმდინარე სხდომებზე წლების განმავლობაში დღის წესრიგში იდგა 10%-იანი გადასახადის აკრეფის პრობლემა[15].

---

[10] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970, გვ. 289.

[11] იქვე, გვ. 293.

[12] СМЭБГКЗ, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38.

[13] სსცია, ფ. 243, აღ. 4, საქ. 435, ფურც. 4.

[14] იქვე, საქ. 320, ფურ. 2.

[15] Кавказский кал. на 1915 год, с. 9. ეს გადასახადი გზების მშენებლობისთვის იყო გამიზნული. მაგ., ამ გზით დაგროვილმა თანხამ 1914 წ. 200 000 მან. შეადგინა.

როგორც ხაზინა, ასევე მემამულენი ცდილობდნენ ტყიდან მიღებული შემოსავლის გაზრდას. გლეხობა ფაქტიურად ტყის გარეშე დარჩა, რაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აგდებდა მათ მეურნეობას, რომლისთვისაც ტყე პირველი სასიცოცხლო წყარო იყო. გლეხობას გარკვეული საფასურის გარეშე არ შეეძლო არც სახაზინო და არც მემამულის ტყით სარგებლობა. ხე-ტყე კი, რომელიც უფრო მეტი რაოდენობით ხდებოდა ვაჭრობისა და მრეწველობის საგნად, დროთა ვითარებაში თანდათან ძვირდებოდა. „გლეხს არა თუ სახლისა და სხვა ნაგებობისათვის, არამედ არაიშვიათად, თვით გუთნისა და კავის ხის ნაწილების შოვნაც უძნელდებოდა“[16]. ცხადია, ასეთ პირობებში მცირდებოდა ხის სამეურნეო და საოჯახო ნივთების შინამრეწველური დამზადება, რომელიც საქართველოს გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამატებით საქმიანობასა და ერთ-ერთ საარსებო საშუალებას შეადგენდა.

მართალია, სახაზინო ტყის მრეწველ-მოიჯარეთა ხელში გადასვლის დროს გლეხობა ტყის მოხმარების მხრივ იზღუდებოდა, მაგრამ არა ისე უკიდურესად, როგორც მემამულეთა მიერ ტყეების იჯარით გაცემისას. სახაზინო უწყება მოიჯარადრეს რაღაც გარკვეული პირობებით ზღუდავდა. მემამულენი კი უმრავლეს შემთხვევაში მას სრული მოქმედების უფლებას აძლევდნენ. ამის შედეგად ტყის მოხმარების მხრივ გლეხობის მარტივი მოთხოვნებიც კი უგულებელყოფილი იყო. ბატონისაგან შეწუხებული გლეხი ხაზინის ხელში ყოფნას ამჯობინებდა. ამის მაგალითია სოფელ ბრილის გლეხთა საჩივარი, სადაც მათ განაცხადეს, რომ „ტყე და ზოგიერთი სახნავი მიწები საეკლესიო და სახელმწიფოა და ჩვენს მებატონეს ამისას არას მივცემთო“[17]. ასეთივე მდგომარეობა იყო მთელს საქართველოში.

რეფორმისშემდგომ ხანაში მემამულეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს გლეხების ექსპლუატაცია და შევიწროება.

XIX ს. 70-იანი წლებიდან რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით ხე-ტყის მასალაზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ამის შესაბამისად გაფართოვდა ტყეების ექსპლუატაცია. იგი, უპირველეს ყოვლისა, დაბლობ, ხელმისაწვდომ ადგილებზე მდე-

---

[16] 1905—1907 წ.წ. რევოლუცია საქართველოში, სტატიების კრებ. თბ., 1955, გვ. 47.

[17] გაზ. „ივერია“, № 50, 1888, გვ. 2.

ბარე კერძო მფლობელობის ტყეებს შეეხო. ვალებში ჩავარდნილი მემამულენი მრეწველებს ტყეს გასაჩეხად იაფ ფასად აძლევდნენ. მართალია, იჯარით სახაზინო ტყეებიც გაიცემოდა, მაგრამ უფრო იშვიათად და მეტწილად წვრილ მრეწველებზე. სახაზინო უწყება მრეწველებს გარკვეული პირობებით ზღუდავდა და მათ შორის შეთანხმება ნაკლებად ხდებოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 70-იანი წლების ბოლოს სახაზინო ტყის გაყიდვამაც იმატა. ამის შესახებ რაჭის მეტყევე თავის მოხსენებაში 1879 წ. წერდა, რომ „ხე-ტყის მასალის გაყიდვა ადრინდელთან შედარებით გაიზარდა, რადგან მასზე მრეწველები ახლა მეტ მოთხოვნებს აყენებენ, ვიდრე ადრე“[18].

სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ ხაზინის კუთვნილი ტყეები კიდევ უფრო გააფართოვა. მის ხელში გადადიოდა საეკლესიო-სამონასტრო და ადრე კერძო მფლობელობაში მყოფი ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი. 1873 წელს სატყეო სამმართველომ იმერეთის საეკლესიო მამულებიდან ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრებში დაახლ. 70000 დეს. ტყე მიიღო, რაც 41 სატყეო უბანს შეადგენდა[19].

1871—1881 წ წ. მიღებულ ტყეებზე ხაზინას, მცირე გამონაკლისის გარდა, არც აღწერა და არც გეგმები მოეპოვებოდა. მათი ფართობი მხოლოდ დაახლოებით განისაზღვრებოდა. 1872 წ. იანვარში სატყეო დეპარტამენტმა კავკასიის ტყის ფართობის შესახებ სტატისტიკური ცნობები მოითხოვა. იგი იტყობინებოდა: „რუსეთის ტყეების სიმდიდრესთან ერთად კავკასიის ტყეებმა მათ მიერ დაკავებული ფართობის სივრცით ფრიად სერიოზული ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა იქონიონ და მათ შესახებ ცნობების მოწოდება რუსეთის ტყეების საერთო სტატისტიკისათვის ძვირფასი მასალა იქნება“[20]. მაგრამ ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ სამი სატყეო უბნის (აჯამეთის, ვარციხისა და კვახჭირის) გეგმა არსებობდა.

70-იანი წლების ბოლოს, როცა ხაზინის ხელში საკმაო რაოდენობის ტყის ფართობი აღმოჩნდა, დაიწყეს სატყეოების ორგანიზაცია. ისინი თავისი მნიშვნელობის (მდებარეობა, ხარისხი, გასაღება და სხვ.) მიხედვით ცალკეულ ჯგუფებად დაიყო, შეიქმნა

---

[18] ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 725, ფურც. 149.
[19] სსცია, ფ. 241, ან. 2, საქ. 186, ფურც. 11.
[20] სსცია, ფ. 241, აღწ. 2, საქ. 106, ფურც. 13.

ტყის მომწყობი პარტიები. მათ ევალებოდათ არა მარტო გეგმების შედგენა, არამედ ტყეების შემოწმებაც, მოჭრის ადგილებისა და გასაღების ფასების გარკვევა. მეთვალყურეობის გასაძლიერებლად გაიზარდა მეტყევეთა რიცხვი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ ნაკვეთებს, საიდანაც ახლომახლო სოფლის მცხოვრებნი ტყეებით „უფასოდ" სარგებლობდნენ. ტყის მოჭრა-დამზადებაზე კონტროლი დაწესდა[21].

სახაზინო უწყება ამ პერიოდში ტყეების დაცვის ხაზს ატარებდა, მათ აღწერა-გამოკვლევამდე, საზღვრების დადგენამდე ტყის ფართო მასშტაბით საექსპლუატაციოდ გაცემას ზღუდავდა. იგი იმ ტყეების დაცვით იფარგლებოდა, საიადანაც სახაზინო გლეხები სარგებლობდნენ. ამ მხრივ ხაზინა ტექნიკურის ნაცვლად თითქმის პოლიციურ როლს ასრულებდა.. იგი კრძალავდა არასწორ ჭრას, სახაზინო ტყის უბნების თვითნებურად მიტაცებას, თვალყურს ადევნებდა ხე-ტყის გაცემის პროცესს. ხაზინის შემოსავალი ტყეებიდან იმდენად მცირე იყო, რომ იგი ღაცვისა და მმართველობისათვის საჭირო ხარჯებს ვერ ფარავდა[22]. ამავე დროს მემამულეთა ტყეები სწრაფად იჩეხებოდა. აქ მზადდებოდა სამშენებლო მასალა, ყავარი, მუხის განძელები, პარკეტი, საკასრე მასალა, ბზა, კაკლის მორები, ძელები, კუნძები და სხვა[23].

დაბლობი ტყეებიდან მნიშვნელოვანი იყო ქუთაისის მაზრაში, სადგ. რიონთან მდებარე აჯამეთისა და ვარციხის მუხნარი. სახაზინო ტყეების გარდა აქ 10000 დესეტინამდე კერძო მფლობელობის ტყე იყო. მათ შესახებ საარქივო წყაროში აღნიშნულია, რომ „ეს კერძო ტყეები აკმაყოფილებენ არა მარტო გუბერნიის შიდა ბაზრებს, არამედ ზოგიერთ გარეშე ბაზარსაც"[24]. მემამულენი მრეწველ-მოიჯარადრეებს ტყეს მეტწილად მთლიანად გასაჩეხად აძლევდნენ, ზოგიერთები კი ამ საქმეს თვით აწარმოებდნენ. მაგალითად, 1871 წლიდან აჯამეთის ტყის (დაახლ. 2500 დეს.) ექსპლუატაციას ეწეოდა მისი მფლობელი ა. ს. ანანოვი. იგი ფოთი—თბილისის სარკინიგზო მაგისტრალს მუხის განძელებს, ფიცრებსა და მორებს აწვდიდა. დანარჩენ სამშენებლო მასალას კერძო პირებზე

---

[21] სსცია, ფ. 13, ან. 23, საქ. 299, 363.

[22] К. К. на 1893 год, с. 98.

[23] ქუთ.სცია, ფ. 18, საქ. 1445, ფურც. 64.

[24] სსცია, ფონდი 243, ანაწ. 4, საქ. 2, ფურც. 19.

ყიდდა. ტყეში გაყვანილი 11 ვერსის სიგრძის რკინიგზით მთელი მასალა დაუბრკოლებლად გადმოჰქონდათ მთავარ ბაქანზე[25].

XIX ს. 80-იანი წლებიდან დიდი რაოდენობით დგებოდა მეშამულეთა გასაყიდი ტყეების სრული აღწერილობანი და გეგმები. მათ შესახებ ცნობები პრესაში ქვეყნდებოდა. საქართველოს ზღვის სანაპირო ტყეებით დაინტერესებული პირი, ვინმე ა. ა. მატენინსკი 1883 წ. პეტერბურგიდან თხოვნით მიმართავდა ნიკო ნიკოლაძეს — დაწვრილებით ეცნობებინა მისთვის ბესარაბია-თავრიზის ბანკის მიერ გასაყიდად გამოცხადებული ტყეების შესახებ: 1. აფხაზეთში — თავ. გრ. შერვაშიძის ტყე — 300 დეს. მდე 2. სოხუმთან ახლოს — გენერალ კრავჩენკოს ტყე — 500 დეს. 3. ბიჭვინთის ახლოს — მ. ფურმანის ტყე — 1500 დეს. 4. ფოთის ახლოს თავად გურიელისა და სხვათა ტყეები — 510000 დეს-მდე[26]. ამ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათასი ჯერის ვაჭარ-შემსყიდველი და მრეწველი იძენდა ტყეებს. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იჯარით გაიცემოდა. მაგ., 1885 წ. ქუთაისის გუბ. ახალსენაკის მაზრაში აზნაურებმა გეგელიებმა სატყეო უბანი „კვიბია"—2400 დეს. რაოდენობით იჯარით მისცეს სამ სომეხ ვაჭარს, მეზობელი ტყეების ექსპლუატაციას შაბუროვი ეწეოდა[27]. ხშირად მეპატრონე ტყის ფართობს ანაწილებდა და სხვადასხვა პირს იჯარით აძლევდა. ჩანს, ამ შემთხვევაში წვრილი მრეწველები მოქმედებდნენ.

სოხუმის ოკრუგში 1880 წლიდან, როცა ზღვისპირა ზონაში ზოგიერთი პრივილეგირებული პირისათვის მიწისა და ტყის ფართობის გამოყოფის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა, მოკლე დროში რამდენიმე კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო დაარსდა. მათ შემდეგი სააქციო საზოგადოებები განაგებდა: 1. ბელგიის — „ვალტერი და კომპანია" 1881 წლიდან, 2. საფრანგეთის — „ტყეების ექსპლუატაციის საფრანგეთის გაერთიანება" 1883 წლიდან, 3. საფრანგეთის — „ბარონი დე კოსტექსი", 1883 წლიდან, 4. საფრანგეთის სინდიკატი — „ბერნარი, გოტიე და პერიკე", 1886 წლიდან. ყველა ამ ფირმის ძირითადი კაპიტალი დაახლოებით 12 მილიონ ფრანკს შეადგენდა[28]. ისინი

---

[25] ЦГИА СССР, Фонд, 20, оп. 5, д. 706, л. 7; Г. К. Бакрадзе, Возникновение и разв. капит. пром. в Грузии в XIX в Тб., 1958, с. 224.

[26] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 40/819.

[27] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის, არქივი, დოკ. № 47/48.,

[28] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 125, ფურც. 103; ფ. 12, ან. 1, საქ. 851, ფურც. 191; ЦГИА СССР, ф. 20, оп. 4, д.3918, л.3.

ყველაზე უფრო მოხერხებულად მდებარე, ზღვისპირა ტყეების (სოხუმიდან — ოჩამჩირემდე) ექსპლუატაციას აწარმოებდნენ. აქ, მარსელში და სხვაგან გასაგზავნად, მზადდებოდა ფოთლოვანი ხე-ტყის მასალა: მუხისა და იფნის ძელები, პარკეტი, საკასრე ტკეჩები და სხვა. სამრეწველო ფირმებმა ინტენსიურად გაჩეხეს გარშემო მდებარე ტყეები და ამით საქმიანობა დაამთავრეს. მათ შორის ყველაზე ბოლოს, 1893 წელს, „ბერნარი, გოტიე და პერიკეს“ საწარმო დაიხურა[29].

გავეცნოთ არსებულ ცნობებს ერთ-ერთი მათგანის შესახებ და ნათელი გახდება, თუ რა ხასიათს ატარებდა სხვა დანარჩენი მსგავსი სამრეწველო საწარმოები.

1884 წელს სატყეო დეპარტამენტმა ცნობები მოითხოვა სოხუმის ოკრუგში არსებული ბელგიის ხე-ტყის სამრეწველო საქციო საზოგადოების მოქმედების შესახებ. ყურადღებას იქცევდა აღნიშნული ფირმის სახელწოდებასა და წესდებაში დაშვებული შეუსაბამობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ საზოგადოება შეიქმნა მხოლოდ გენზა-ეწერის ტყის საექსპლუატაციოდ, მაშინ როცა დანარჩენი დოკუმენტაციიდან ჩანდა, რომ მის მიზანს საერთოდ კავკასიის ტყეების ექსპლუატაცია შეადგენდა. ადგილზე საწარმოს მოქმედების შესახებ ცნობები სატყეო რევიზორმა ა. ბერნაცკიმ შეკრიბა[30]. გენზე-ეწერის ტყე ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგის ოქუმის უბანში, მდინარეების ენგურისა და ოქუმის შესართავებს შორის, ზღვის ნაპირზე მდებარეობდა. შერვაშიძეების ბატონობის დროს ეს ტყე მათ სანადირო ადგილს წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ყოფილი მთავრის ოჯახის წევრებზე ნადელების განაწილებისას, იგი მიხეილ საფარ-ბეის ძე შერვაშიძის უფროს შვილს გიორგი შერვაშიძეს ერგო (დაახლ. 6000 დესეტინა საერთო ფართობით). ტყე არაჩვეულებრივად დიდტანიან მუხის ხეებს შეიცავდა, სადაც შერეული იყო სხვა ფოთლოვანი ჯიშები: წიფელა, რცხილა, ნეკერჩხალი, იფანი, მცირე რაოდენობით წითელი ხე და სხვ.

1880 წ. 2 ივლისს გ. შერვაშიძემ კუთვნილი ტყიანი მიწა, გარდა 100 დესეტინისა, ოდესის I გილდიის ვაჭარს ი. ი. ვალტერს მიჰყიდა, ამ უკანასკნელმა (გ. ი. ვალტერსა და ფ. ფ. ვან-დერ—ტალენთან ერთად) იმავე წელს ანტვერპენში დააარსა „კავკასიის

---

[29] ЦГИА СССР, ф. 573, оп. I, д. 995, л. 21.

[30] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 16, ფურც. 1.

ტყეების ანონიმური საზოგადოება". 1882 წ. გ. შერვაშიძემ საზოგადოების რწმუნებულს გ. ს. გურევიჩს მიჰყიდა დარჩენილი 100 დესეტინაც და გენზა-ეწერის მამული მთლიანად მათ ხელში გადავიდა. იგი 690000 მანეთად გაიყიდა, მაგრამ სინამდვილეში მყიდველებმა ამ ღირებულების მხოლოდ ნახევარი გადაიხადეს. ამავე დროს ტყის ექსპლუატაციის დასაწყისშივე აღმოჩნდა, რომ გარეგნულად მშვენიერი მუხის ტყეები ფაქტიურად ფუყე და უხარისხო იყო. აქედან ჩანს ამ ყიდვა-გაყიდვის რაობა და ისიც, რომ ეს წამოწყება თავიდანვე განწირული იყო ჩასაფუშად.

1884 წ. ქარხანაში მნიშვნელოვანი რაოდენობით ყოფილა როგორც დამზადებული ხე-ტყე, ასევე გადამუშავებული მასალის მარაგი[31]. მიუხედავად ამისა, საწარმოს მდგომარეობა ამ დროს საკმაოდ შერყეული იყო. უზარმაზარ დანახარჯთან შედარებით, შემოსავლის სიმცირის შედეგად, საზოგადოება დიდ ზარალს განიცდიდა. ამის შესახებ ბერნაცკი აღნიშნავდა: „Експлоатация Гензе-ецерского леса ведется небрежно, бестолково и вяло, вследствие чего общество, при громадных расходах, несет значительные убытки„[32].

ბელგიის სამრეწველო საწარმომ მომდევნო წელს არსებობა შეწყვიტა. მსგავსი ბედი ეწიათ ჩვენს ზემოთ დასახელებულ სხვა სამრეწველო საწარმოებსაც. შემდგომში ამგვარი წარუმატებლობის გამეორების თავიდან ასაცილებლად ხე-ტყის მრეწველობის განვითარებით დაინტერესებული პირები ცდილობდნენ გაეკვეთათ და აეხსნათ 80-იან წლებში უცხოელ კაპიტალისტთა სამრეწველო საქმიანობის მარცხის მიზეზები.

1888 წელს გაზ. „Новое обозрение„-ში მეტყევე ა. ვერმიშევმა გამოაქვეყნა წერილი სათაურით „Лесопромишленность на Черноморском побережье., სადაც ავტორი აღნიშნულ საწარმოთა მარცხს იმით ხსნიდა, რომ უცხოელმა კაპიტალისტებმა არასრულყოფილი ცოდნით და ადგილობრივი პირობების შეუსწავლელად მოკიდეს საქმეს ხელი.[33] მათი საქმიანობის დამაბრკოლებელი სხვა მიზეზებიც მრავალი

[31] ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 1053, ფურც. 7.

[32] სსცია, ფ. 243, ან. № 4 საქ. 16, ფურც. 6.

[33] «Новое обозрение», 1882, 7, № 1540. მდ. გუდაკის მიდამოებში ზღვისპირა მუხის ტყეების ექსპლუატაციას 1860—1864 წწ. ეწეოდა ყირიმის „რკინიგზის მთავარი საზოგადოება", თავისი აგენტის გრაფ როზმორდუკის მეშვეობით. აქ დაპზადებული რკინიგზისათვის საჭირო მუხის განძელების დიდი ნაწილი ქ. მარსელში იგზავნებოდა. Бороздин. Закавк. воспоминания, 1885, с. 165; სსცია, ფ. 13, ან. 23, საქ. 133, ფურც. 2; Газ: «Кавказ», 1866, № 27.

იყო, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: დაბანდებული კაპიტალის სიმცირე, დავა ტყეებზე და გზებზე, სამუშაო პუნქტებს შორის მიმოსვლის ხშირი შეწყვეტა, საბაჟოს ფორმალობანი, ხე-ტყის ცუდი დამუშავება, მდინარეთა შესართავებში მეღმიე ღელვა, ქარის დროს გემების შეჩერებით გამოწვეული ზარალი, ტყის გაყიდვის პროცესში თვალთმაქცი შუამავლების ჩარევა, ტყის არასწორი ტაქსაცია, ადმინისტრაციის უწესრიგობა, ბოროტმოქმედება და სხვა. ცხადია, დასახელებული მიზეზებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი იყო ის გარემოება, რომ უცხოელი კაპიტალისტები ადგილობრივი პირობების თავისებურებებს გულგრილობდნენ და სამრეწველო საქმიანობას მისი შესწავლის გარეშე ეწეოდნენ.

XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში სახაზინო ტყის ყველაზე მეტი ფართობი (33%) ლეჩხუმის მაზრაზე მოდიოდა; შემდეგ მოსდევდა ოზურგეთის მაზრა (23%), სენაკისა და ზუგდიდის მაზრები (2%), სადაც მემამულეთა ტყეები გაცილებით ჭარბობდა. მფლობელობის მიხედვით სახაზინო ტყე სამი სახისა იყო: საკუთრივ სახაზინო—(200000 დეს.), კერძო პირებთან საერთო მფლობელობისა — (64000 დეს.) და სადავო ტყეები (14000 დეს.)[34]. ამას ემატებოდა ბათუმისა და სოხუმის ოკრუგის ვრცელი ტყეები, რომლებიც მცირე გამონაკლისის გარდა უკვე მთლიანად სახაზინო უწყებაში შედიოდა. ამგვარად, სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო დასავლეთ საქართველოს ტყეების მნიშვნელოვან ნაწილს ფლობდა. საჭირო ხდებოდა მათი შესწავლა-გამოკვლევა. უმრავლესობის შესახებ არავითარი სამეურნეო გეგმა არ არსებობდა. მხოლოდ მცირე ნაწილი იყო აღწერილი, რომელთაგან ზოგი ძალიან მოძველებული იყო. მაგ., ასეთი იყო გურიის სატყეო უბნების ცალკეული აღწერილობანი[35].

აღწერა-დაგეგმვას მოითხოვდა ბათუმისა და ართვინის ოკრუგის ტყეები, რომლებიც მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში შევიდნენ. ართვინის ტყეები უგზოობის გამო ეკონომიკურ მნიშვნელობას კარგავდა. რაც შეეხებოდა ბათუმის მიდამოებს, აქ ე. წ. „სულთნის“ ტყეები იქცევდა ყურადღებას. იგი ზღვისპირა ზოლში მდებარეობდა და დიდ საბაზრო ღირებულებას შეადგენდა, თუმცა ურთხმელისა და წაბლის ჯიშების დიდი ნაწილი უკვე გაჩეხილი იყო. 1890 წელს მისი ფართობი 1700 დესეტინას არ აღე-

---

[34] Кавказский календарь на 1893 г. с. 96.

[35] იქვე, გვ. 38.

მატებოდა. აქაური წაბლის ხეებით დაამზადეს მაღალხარისხოვანი განძელები ბათუმის ხაზის რკინიგზისათვის, გარდა ამისა ეს ტყეები 1877—78 წწ. ომის შედეგად განადგურდა, დანგრეული სახლების განახლება- მშენებლობის დროს, ბათუმისათვის ნახშირის დასამზადებლად და ა. შ. სოხუმის მიდამოების ზღვისპირა ტყეების დიდი ნაწილი გაიჩეხა, სადაც ყველაზე ძვირფასი ბზის ტყეები იყო.

ქუთაისის გუბერნიაში მემამულეთა კუთვნილი ტყეების საერთო სივრცე სახაზინოზე მეტი იყო. ტყეების შესწავლა, აღწერა-დაგეგმვის საქმე აქ კიდევ უფრო ქაოსურ მდგომარეობაში იყო. გარდა ამისა, მემამულეთა უმრავლესობას კუთვნილი ტყეების შესახებ რაიმე დამამტკიცებელი იურიდიული საბუთიც კი არ გააჩნდა. ამის გამო ტყის მფლობელობაზე დავა ხშირი იყო. გაუმიჯნაობა და საზღვრებზე დავა მემამულეებს შორის, ასევე მათსა და ხაზინას შორის, ტყეებზე ცუდად მოქმედებდა.

1886 წ. გაზ. „ივერია“ წერდა: „ტყე მთლად მებატონეებს აკუთვნეს, კერძო ტყეები გამიჯნული არ არიან, ერთი და იგივე ტყე რამდენიმე სახლობას და პირს ეკუთვნის“, საიდანაც თითოეული მეტი სარგებლობის მიღებას ცდილობდა[36].

1894 წ., როცა გურიაში ზემო სურების ტყე ხაზინასა და აზნაურებს შორის სადაო გახდა, „ქვემო სურებლების ტყე არ დაიდო სადაოდ, მაგრამ ატეხილმა დავამ დააფრთხო ესენიც, ხაზინა არ წამოგვედაოსო, და ერთიან გადაკაფეს ეს პატარა ქონება, რის გამოც მალე მთელი ეს სოფელი იძულებული იქნება მოტიტვლებულ ხრიოკ მთებსღა შესცქეროდეს“[37]. ტყეების თაობაზე დავისას ათი დიდი ნაწილი განადგურდა. „Неразмежеванность земель и спорность владении—главная беда Кавказского края“—წერდა ბ. მროზოვსკი.[38]

შედარებით მცირენი იყვნენ ისეთი მსხვილი მიწის მფლობელები, რომლებიც თავის კუთვნილ ტყეს ერთპიროვნულად, განუყოფლად ფლობდნენ.

ითვლებოდა, რომ ასე თუ ისე სწორი ექსპლუატაცია შემდეგ პირთა კუთვნილ ტყეებში წარმოებდა: რაჭის მაზრაში — წულუ-

---

[36] „ივერია“, 1886, № 102—103.

[37] „ივერია“, 1894, № 106.

[38] Б. П. Мрозовский. Краткий очерк лесной промышленности и торговли лесом в России и в важнейших иностранных государствах, 1900, СПБ, с. 124.

კიძის, იაშვილის და გრაფ როზმორდუკის ტყეებში; ცხენისწყლის ხეობაში — გარდაფხაძისა და დადიანის მამულებში. ამ უკანასკნელის კუთვნილ ტყეებში — მდ. ტეხურაზე და ს. ჭალადიდის მიდამოებში; მდ. აბაშაზე — გეგელიებისა და მდ. რიონის პირას დადიანისა და მხეიძის მამულებში. ოჩამჩირის ახლოს შერვაშიძის, ჩხოტუასა და სხვა მემამულეთა ტყეებში. გუდაუთის მიდამოებში საზღვარგარეთ გასაგზავნად ბზა და კაკლის კუნძები იჭრებოდა[39]. ეს ტყეები გრძელვადიანი იჯარით იყო გაცემული.

1890 წლიდან რაჭაში სოფ. სადმელის მიდამოებში წიწვოვანი ტყის ექსპლუატაციას მარგანეცის მრეწველი პ. მოსეშვილი ეწეოდა. მას გრძელვადიანი იჯარით აღებული ჰქონდა გრაფ როზმორდუკის, თავად იაშვილის და სხვათა ტყეები, საიდანაც ხე-ტყეს მდ. რიონით ქუთაისში აცურებდა გაზ. „ივერია“ თანაგრძნობით გამოეხმაურა ქართველი მრეწველის საქმიანობას, რასაც „სანუგეშო მაგალითად“ თვლიდა. მით უმეტეს, იმ დროს დიდი სირთულეების გამო, მთის ტყეების საექსპლუატაციოდ კაპიტალის დაბანდება ძალზე გაბედულ საქმედ ითვლებოდა. გაზეთი იმასაც აღნიშნავდა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში რაჭის ტყეების ექსპლუატაციის მიზნით აქ ბევრი უცხოელი კაპიტალისტი ჩამოვიდა, მაგრამ გზების გაყვანის სიძნელეებმა მათ თავიანთ განზრახვაზე ხელი ააღებინა. პ. მოსეშვილმა შეძლო მდ. რიცეულის გასწვრივ 8 ვერსის მანძილზე საურმე გზის გაყვანა, რისთვისაც 1 691 კუბ. მეტრი კლდე გაუტეხია. მდ. რიონის ჭორომებისაგან გასაწმენდად 5000 მან. დახარჯულა. სადმელიდან მექვენამდე, 43 ვერსის მანძილზე, მორებს ცალობით აცურებდნენ, შემდეგ ექვსი ხე ერთ ტივად იკვრებოდა და მდინარით ქუთაისამდე ჩამოდიოდა. თითოეული მორის მოჭრა-დამზადება და რიონით ქუთაისში ჩამოტანა მრეწველს შვიდ მანეთამდე უღირდა, მაშინ როცა ასეთივე მორი აქ 20—40 მან. ფასობდა[40].

მიმდინარე სამუშაოთა მრავალფეროვნებისა და სირთულის გამო აქ დიდი რაოდენობის მუშახელი იყო დასაქმებული, რის შესახებაც გაზეთი გვამცნობს: „დღესაც, როცა გზის მუშაობა თითქმის გათავებულია და ხის ზიდვაც რიონამდის დაწყებული არ არის, ორასამდის კაცი მუშაობს ტყეში — რაჭის, ლეჩხუმის და სვანეთის მახლობელ სოფლებიდან ჩამოსულნი“[41].

---

[39] Кавк. кал. на 1893 год, с. 99.

[40] გაზ. „ივერია“, № 130, 1890 წ.

[41] გაზ. „ივერია“, № 132, 1890.

ქ. ბათუმის ნავთობის საექსპორტო საწარმოთა დიდმა მოთხოვნილებამ წიწვოვანი ჯიშის მასალაზე განსაკუთრებით დააჩქარა მთიანი ზოლის წიწვოვანი ტყეების ექსპლუატაცია. ამ მხრივ წარმოების მასშტაბის სიდიდით ილია ოქრომჭედლიშვილის (სერებრიაკოვის) სამრეწველო საქმიანობა გამოირჩეოდა[42].

1888 წელს ქ. ბათუმში ყოფნისას ი. ოქრომჭედლიშვილის ყურადღება მიიპყრო იმან, რომ აქ ნავთობის საექსპორტო ქარხნებისათვის ხე-ტყის მასალის დიდი ნაწილი ავსტრიიდან და ხერსონესიდან შემოჰქონდათ მაშინ, როცა ქუთაისის გუბერნიაში საუკეთესო, მათ შორის წიწვიანი ტყეების მნიშვნელოვანი მარაგი იყო. რადგან მას ხე-ტყის მრეწველობის დარგში გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, გადაწყვიტა აქ შესდგომოდა ხე-ტყის სამრეწველო საქმეს[43]. ამ მიზნით იგი გაეცნო ბათუმთან ახლომდებარე ტყეებს, რომელთა შესახებ მოგვიანებით წერდა: „ამ ტყეების ხარისხი პრაქტიკულად გამოცდილია ბათუმსა და სხვა ადგილებში და მიღებულია ბრწყინვალე შედეგი". ამავე დროს მან მხედველობაში მიიღო ხელისუფლების ცდები ადგილობრივი მრეწველობის გამოსაცოცხლებლად, რის შესახებაც აღნიშნავდა: „ბოლო ხანებ-

---

[42] ი ლ ი ა ლ ა ზ ა რ ე ს ძ ე ო ქ რ ო მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი პედაგოგი, მეცნიერი საზოგადო მოღვაწე, დაიბადა 1838 წ. 24. IV, ქ. სიღნაღში.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 25 წლის განმავლობაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტში ქართული ენის კათედრაზე პროფესორ მასწავლებლად. ქართველ მოწინავე საზოგადოებასთან ერთად დაუღალავად ზრუნავდა მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ. ი. ჭავჭავაძესთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ქართულ პრესაში პერიოდულად აქვეყნებდა ისტორიული ხასიათის წერილებს. ზრუნავდა ქართული წიგნების გამოცემის, სკოლების დაარსების, თეატრის აღორძინების საქმისათვის. ეკონომიკურად ეხმარებოდა რუსეთისა და საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლების ქართველ სტუდენტობას. 1884 წ. მისი სახსრებით დაიბეჭდა ძველი ქართული კლასიკური მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნი „ვისრამიანი" და სხვა. 1889 წ. მუდმივ საცხოვრებლად ოჯახით საქართველოში გადმოვიდა, სადაც ხელი მოჰკიდა ხე-ტყის მრეწველობის საქმეს. სატყეო საქმეში იგი სერებრიაკოვის გვარით იყო ცნობილი. გარდაიცვალა 1898 წ. 3. I. ქ. თბილისში. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში (შ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1976 წ.).

[43] მას ცოლად ჰყავდა მოსკოველი სოდაგრის ქალიშვილი, რამაც შესაძლებლობა მისცა უშუალოდ გასცნობოდა სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობას. გაზ. „კვალი", 1898, № 3.

ში განსაკუთრებული დაჯერებითა და თანამიმდევრობით ისმის უმაღლესი ხელისუფლების მოწოდება, რომ კერძო მრეწველთა შრომა და ენერგია წარმოების ახალი წყაროებისაკენ მიიზიდონ. შეძლებისამებრ საჭიროა ამ მოწოდების გამოხმაურება და ამ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება"[44].

ი. ოქრომჭედლიშვილმა არჩევანი სამეგრელოს ტყეებზე შეაჩერა. 1890 წლის დასაწყისში, როცა პირველად გავრცელდა ხმები მოსალოდნელ ბაჟზე, რომელიც საზღვარგარეთიდან შემოტანილ ხე-ტყეზე უნდა დაეწესებინათ, იგი დიდი მონდომებითა და ენერგიით შეუდგა საქმეს. ამავე წლის იანვარში ლეჩხუმის მაზრაში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში ნ. დადიანისაგან მან იჯარით აიღო 200000 დეს. ტყე, მოიწვია სპეციალისტი ინჟინერი, შეადგინა მდინარის კალაპოტის გაწმენდის ხარჯთაღრიცხვა, სახერხი ქარხნისათვის გამოიწერა მანქანები და ჩაატარა სხვა მოსამზადებელი სამუშაოები[45].

ქარხანა, რომელიც საჭილაოში მდებარეობდა, გათვალისწინებული იყო მილიონ კუბურ ფუტზე მეტი ხე-ტყის გადასამუშავებლად[46].

განსაკუთრებულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული მდინარის კალაპოტის წმენდა და ტყეში გზების გაყვანა. მორების დასაცურებლად ცხენისწყალი, საკმაოდ ჩქარი მდინარე, 70 ვერსის მანძილზე უზარმაზარი ლოდებისა და ჭორომებისაგან უნდა გაწმენდილიყო. მდინარის წმენდა სამი ზამთრის განმავლობაში (როცა წყალი ძალიან იკლებდა) მიმდინარეობდა. გზების გაყვანა ხელუხლებელ ტყეებში მხოლოდ ზაფხულში ხდებოდა, როცა მთების ღრმა ხეობები თოვლისაგან თავისუფლდებოდა. ამ სამუშაოების პარალელურად ტყეთა ცალკეულ უბნებში მზადდებოდა მორები. მდინარეზე მორებს ცალობით აცურებდნენ. მათ შესაჩერებლად ქარხნის ახლოს მდინარეზე ხიმინჯებიანი ზღუდე იყო აგებული. ხიმინჯები ერთმანეთისაგან 4—5 არშინის დაცილებით, სამ მწკრივად იყო განლაგებული. დაცურების დროს, დაცილებული მანძილი საგანგებოდ შეკრული მორებით იხურებოდა. სხვა დროს იგი გახსნილი იყო, რაც მდინარეზე მოძრაობას თუნდაც პატარა ნავებით,

---

[44] გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურული მუზ. ი. ოქრომჭედლიშვილის არქივი, დოკ. № 1978, გვ. I.

[45] საქ. სოციალ-ეკონომიური განვით. ისტორიიდან. თბ., 1973, გვ. 183.

[46] Кавказское сельское хозяйство, 1894, № 5, с. 82

ხელს არ უშლიდა. დაცურებული მორები ნაპირზე 200—400 ცალობით იტვირთებოდა. მდინარეში ერთდროულად ჩაყრილი მორების რაოდენობა 8—9 ათასამდე და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა.

1895 წ. პეტერბურგში, სატყეო დეპარტამენტის დირექტორისადმი გაგზავნილ წერილში ი. ოქრომჭედლიშვილი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ხე-ტყის დიდი რაოდენობით დამზადება ხდებოდა არა ტივების მეშვეობით, არამედ ცალობით, რაც მთის მდინარის სიჩქარით იყო გაპირობებული. იგი წერდა: „მე ვაწარმოებ სამშენებლო ხე-ტყის დაცურებას ცალობით, რაც მთის ტყეების ექსპლუატაციის ყველაზე ორიგინალურ ნაწილს წარმოადგენს.... რამდენადაც მე ვიცი მორების ცალობით მასიური დაცურება აქამდე არსად არ ხდებოდა. საქმის ამ მხარეს მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ სატყეო უწყებისათვისაც იმიტომ, რომ მთის მდინარეების სისწრაფის გამო, კავკასიის სხვა რაიონებში ტყეების ექსლუატაციის დროს, აუცილებელი გახდება ჩემს მიერ დანერგილი მეთოდის გამოყენება“[47].

წარმოების დასაწყისში წარმოქმნილ მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, 1891 წლის 18 სექტემბერს დადიანთან დადებული ხელშეკრულება განახლებულ იქნა. მრეწველის მფლობელობაში დამატებით გადავიდა საძოვარი და სათიბი ადგილები, რაც გამწევი ძალის — პირუტყვის შესანახად იყო საჭირო. ამავე წლის ოქტომბერში მან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წერილი მიიღო, სადაც იგი ბათუმის მრეწველობისათვის ხე-ტყის მასალის მიწოდების გაზრდის საჭიროების შესახებ იტყობინებოდა. ი. ოქრომჭედლიშვილს იგი ცნობდა ავტორიტეტულ პიროვნებად, რომელსაც დანარჩენ ხე-ტყის მრეწველებზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამის შესახებ იგი სწერდა: „გთხოვთ, პირადი მონაწილეობითა და ტყეების სხვა მფლობელებზე გავლენის გზით ეცადოთ გააკეთოთ, რაც კი შესაძლებელია, ამჟამად აქაური მხარისათვის ყოველმხრივ ასე მნიშვნელოვანი მრეწველობის განვითარებისათვის“[48].

სამი წლის განმავლობაში განუწყვეტელი მუშაობის შედეგად, 1893 წლის ზაფხულში სახერხმა ქარხანამ მიიღო 600000 კუბ. ფუ-

---

[47] ლიტერატურული მუზეუმი , დოკ. № 1986. ი. ოქრომჭედლიშვილმა პეტერბურგის სატყეო დეპარტამენტს, რომელიც კავკასიის ნაძვისა და ფიჭვის ტექნიკური ხარისხით იყო დაინტერესებული, 1893—1895, წწ. ადგილობრივი ხეების ნიმუშები გამოსაკვლევად გაუგზავნა.

[48] ლიტ. მუზეუმი, დოკ. № 1984.

ტი ხე-ტყე. ეს უკვე მდინარის „დამორჩილებასა“ და ფართო სამუშაოების გაშლის დასაწყისს მოასწავებდა. ამ საწარმოს შესახებ აღნიშნავდნენ: „Ето попытка увенчавшаяся, наконец успехом, должна быть признана первой, предпринятой в таких больших размерах и с такими затруднениями, созданными нашей капризной природой“[49].

ქარხანაში სამუშაოდ დიდძალი მუშახელი მოდიოდა არა მარტო ახლო მდებარე სოფლებიდან, არამედ ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებიდანაც. მაგალითად, 1904 წ. ქარხანაში მომუშავე 100 მუშის გარდა, ქარხნის გარეთა სამუშაოებზე 400 კაცი იყო დასაქმებული.[50]

1898 წლიდან ქარხანას, ბათუმის ნავთის მრეწველ რიხნერთან ერთად განაგებდა ი. ოქრომჭედლიშვილის ვაჟიშვილი გიორგი.

1910 წელს ეს საწარმო იტალიის სამრეწველო ფირმის წარმომადგენელმა გრაფმა სბროიავაკიმ შეიძინა. 1909 წელს მან ნ. დადიანისაგან სვანეთში, 36 წლის სარგებლობის ვადით აიღო 39262 დეს. ტყის ფართობი. იგი მხოლოდ წიწვოვანი ჯიშების ექსპლუატაციას ეწეოდა და მემამულეს წლიურად 15000მან. უხდიდა[51].

მორების დიდი რაოდენობით დასაცურებლად მდინარე ცხენისწყლისა და მისი შენაკადების უკეთ გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რის შესახებაც ამ საქმის სპეციალისტები წერენ: „Из искусственных сооружений дореволюционного периода самым ценным являются шлюзы в верховьях наиболее богатых лесом притоков Цхенис-Цкали с правой стороны Хеледури и Деваша.

Первый шлюз находится при разветвлении Хеледури на два истока.., Русло речки запружено дамбой, длиною 23 сажени, шириною 7 сажень и высотою 11-13 аршин. Дамба построена из бревен толщиною 6-10 вершоков, плотно срубленных, с многими поперечными связами. Таких бревен длиною до 10 аршин, потрачено на ето сооружение около 1200 штук. Всё пространство между стен заполнено землёю. Для выпуска воды имеются два шлюза размерами в вертикальном сечении: большой нижний— 3 арш. 8 вершков на 3 арш. 3 в. и малый—3 арш. 8 в. на 2 арш. Кроме того имеется верхний шлюз (лоток) с сечением 4×2 арш.

---

[49] К С Х, 1894, № 5, с. 83.

[50] ლიტერატურული მუზეუმი, დოკ. № 1980.

[51] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 2109, л. 4.

Для предохранения от размыва берегов реки падающей из шлюзов струей воды—вниз от шлюзов по течению реки на 20 сажень построен деревянный настил (пол) из пластин, площадью в 400 кв. сажень. принимающий на себя силу удара воды.

По примерному подсчету дамба запруживает до 8000 куб. сажень воды (80000 куб. метр). Время опаражнивания водоема—20—25 минут"[52]. ზაუხულის პირველ ნახევარში რაბი დღე-ღამეში სამჯერ იხსნებოდა, მოგვიანებით ორჯერ, წყლის დაკლებისას — ერთხელ. ხელედურის ზემო დინებაში რაბის გახსნის დროს წყლის დონის სიმაღლე ერთ არშინს აღწევდა. ამგვარივე მოწყობილობა იყო აგებული მდ. დევაშის მარცხენა შენაკადზე. ეს ნაგებობანი მათი აღშენების დროს (1919-1920 წწ.) საკმაოდ კარგად ყოფილა შემონახული.

მთავარი მდინარისა და მისი შენაკადების საშუალებით წელიწადში 150—200 ათასი მორის დაცურება შეიძლებოდა. ცალკეული შენაკადებიდან ცხენისწყალში ერთდროულად დაცურებული 10—20 ათასამდე მორი იყრიდა თავს და გზას აგრძელებდა. სათავიდან საჭილაომდე მორები 80 ვერსის სიგრძეზე მოცურავდა. 1910 წ. აქ კარგად მოწყობილი სახერხი ქარხანა ააგეს. აქ მომუშავე სვანები მხოლოდ ზედა დინებაში, დაახლ. სოფ. ცაგერამდე მოყვებოდნენ დაცურებულ მორებს, შემდეგ სამუშაოს სხვა არტელებს გადასცემდნენ, რომელთა მომუშავენი უფრო ქვედა სოფლების მცხოვრებნი იყვნენ. მდინარის ხშირი დაგუბების გამო მორები ქარხნამდე ჩამოსვლას ზოგჯერ 2—3 თვეს აგვიანებდა. მათი დანაკარგი 5—10% უდრიდა[53]. ცალობით მასიური დაცურება, როგორც ვხედავთ, ძალიან რთული და შრომატევადი სამუშაო იყო და ასეულობით მუშახელს საჭიროებდა. მართალია საწარმო იმ დროისათვის კარგად ვამართული იყო, მაგრამ გათვალისწინებული სამუშაოები მაინც სრულად ვერ გაიშალა. ყველაზე მეტი რაოდენობა — 100000 მორი 1912 წელს დააცურეს[54]. მასალის დიდი ნაწილი სვანეთის ტყეებში ლპებოდა. საწარმო საბრუნავი კაპიტალის სიმცირეს განიცდიდა. ამას დაერთო საომარი მოქმედების დაწყება და მრავალი სხვა მიზეზებით გამოწვეული სირთულეები. პირველი

---

[52] А. А. Долгушин. Леса Закавказья и их эксплуатация. Тиф. 1924. с. 69.

[53] იქვე, გვ. 70.

[54] ქუთაისის სცია, ფ. 183, საქ. 53, გვ. 13.

მსოფლიო ომის პერიოდში სბროიავაკის ქარხნების პროდუქციის გასაღება რკინიგზისა და სამხედრო უწყების მომარაგებით იფარგლებოდა[55].

XIX ს. 90-იანი წლებიდან ხე-ტყის მასალაზე მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა სახაზინო ტყეების ექსპლუატაციის საკითხი[56]. 1894 წ. მარტში შექმნილმა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ მიიღო ღონისძიებები ტყეების უკეთ შესწავლის, მოწყობის და გამოყენების შესახებ. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იმიტომაც დაისვა, რომ მემამულეთა კუთვნილი ტყეების მტაცებლურმა გაკაფვამ ტყის საერთო მარაგი საგრძნობლად შეამცირა.

1898 წ. სატყეო დეპარტამენტის სამოხელეო აპარატი მნიშვნელოვნად გაფართოვდა[57]. ტყიდან შემოსავლის გაზრდას და, რაც მთავარია, მის სწორ გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1893 წ. გამოვიდა „კავკასიის სახაზინო ტყეების მოწყობის ინსტრუქცია". გაფართოვდა ტყის მომწყობი ჯგუფების მუშაობა. უპირველესად იმ ტყეებს აღწერდნენ, რომლებიც ხის ძვირფას ჯიშებს შეიცავდა. 1899 წ. დაიჩქარეს ტყეების გამიჯვნის პროცესი. 1900 წლიდან მოქმედებდა კავკასიის მეტყევეთა კორპუსი[58].

90-იანი წლების დასაწყისში სახაზინო უწყებაში უკვე საქართველოს ტყეების მნიშვნელოვანი ფართობი შედიოდა. შავიზღვისპირა ტყეები, რომელთაც წყალუხვი მდინარეები კვეთდა, თავისი. მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობით მომავალში ექსპორტის გაფართოების შესაძლებლობას ქმნიდა. ამავე დროს ტყის მრეწველობას აჩქარებდა ქვეყნის შიგნით ხის მასალაზე სულ უფრო მზარდი მოთხოვნილება, რაც გზების, რკინიგზების, ქალაქების, ნავსადგურების, სამრეწველო საწარმოთა და ა. შ. ზრდა-განვითარებით იყო გამოწვეული. ამჯერად, უახლოეს ამოცანას შეადგენ-

---

[55] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 2 109, л. 6.

[56] 90-იანი წლების ბოლოს რუსეთის ხელისუფლება შეეცადა დას. საქართველოს ტყეებში, გემთმშენებლობისა და საომარი იარაღის წარმოებისათვის, დაემზადებინა ძვირფასი ჯიშის (კაკალი, მუხა, რცხილა და სხვა) ხის მასალა. მემამულეთა ტყეებში ეს ჯიშები უკვე გაკაფული იყო, სახაზინო ტყეებში კი მათი დამზადება ვერ მოხერხდა. 1913—1914 წწ., რუსეთში თვითმფრინავების მშენებლობის განვითარებასთან დაკავშირებით, შეეცდნენ აქ დაემზადებინათ კაკლის, იფნისა და წითელი ხის მასალა, ქუთ. სცია, ფ 18, საქ. 1971, გვ. 19; იქვე, ფ. 183, საქ. 57. ფურც 1

[57] Лесная промышленность дореволюционной России, М., 1957, с. 10.

[58] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 225, 241, 248.

და ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოთა დაკმაყოფილება ხე-ტყის მასალით, რომელსაც ისინი ძირითადად უცხოეთიდან და ნაწილობრივ რუსეთიდან იღებდნენ. ის ფაქტი, რომ გუბერნიის ფარგლებში ყოველწლიურად მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საზღვარგარეთის ხის მასალა შემოდიოდა, ხელისუფლებას იქეთკენ უბიძგებდა, რომ განევითარებინა ადგილობრივი ხე-ტყის მრეწველობა. სწორედ ამ მიზნით 1891 წ. 11 ივნისს დააწესეს საბაჟო ტარიფი, რითაც რუსეთის იმპერიაში შემოტანილი ფუთი ფიცარი იბეგრებოდა 6 კაპიკით (ოქროთი)[59]. ამ გარემოებამ ბათუმის მრეწველნი დიდად შეაშფოთა. მათი დაჟინებული მოთხოვნით ამ კანონის გატარება ბათუმში დროებით — 1893 წლის მარტამდე შეჩერდა[60]. მრეწველებს მიაჩნდათ, რომ დაწესებული ბაჟის გამო ხის ყუთების გაძვირება ბათუმიდან მსოფლიოს ბაზარზე გასული ნავთობის გასაღებას დააბრკოლებდა[61]. ისინი საბაჟო ტარიფის შემოღების გადადებას იმ დრომდე ითხოვდნენ, ვიდრე ადგილობრივი და რუსეთის მრეწველობა არ შეძლებდა ხის მასალით მათი ქარხნების უზრუნველყოფას. ამავე დროს კავკასიის ტყის მრეწველნი ფინანსთა სამინისტროში მოითხოვდნენ კავკასიაში შემოტანილი საზღვარგარეთის ხე-ტყეზე ყოველგვარი შეღავათების მოსპობას, რადგან მიაჩნდათ, რომ აქ საკმაო რაოდენობით იყო არა მარტო ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ საზღვარგარეთ საექსპორტო ხე-ტყის მასალაც[62].

ასეთ პირობებში ადგილობრივი მრეწველობის გამოსაცოცხლებლად ქუთაისის გუბერნატორი შეეცადა ზოგიერთი ღონისძიება გაეტარებინა. დასახული ღონისძიებანი პრაქტიკულად იმით შემოიფარგლა, რომ მან 1891 წ. კერძო ტყის მრეწველებს საგანგებო ბარათები დაუგზავნა, რითაც მათ ატყობინებდა ხე-ტყის მასალით ბათუმის დროული მომარაგების საჭიროების შესახებ[63].

ამავე დროს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში შავიზღვისპირა ტყეების (მდ. ბზიფის, ენგურის, კოდორის ხეობები) საექსპლუატაციოდ შედგა რამდენიმე პროექტი. მათ მიზანს შეადგენდა ისეთ მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაცია, რომელთა მიერ დამზადებული პროდუქცია კონკურენციას გაუწევდა

---

[59] სსცია, ფ. 12, ან. 8, საქ. 530, ფურც. 8.

[60] იქვე, ფ. 12, ან. 1 საქ. 1060, ფურც. 15, 16.

[61] იქვე, ფონდი 12, ან. 1, საქ. 1060, ფურც. 16.

[62] газ. «Кавказ», 1893, № 207., с. 3.

[63] სსცია, ფონდი 2, ან 1, საქ. 1060, ფურც. 17.

და ბათუმის ბაზრიდან განდევნიდა საზღვარგარეთის ხე-ტყეს, შემდეგ კი შავი და ხმელთაშუა ზღვებით წარმატებით გავიდოდა საექსპორტოდ. ეს უნდა მომხდარიყო ძირითადად ხე-ტყის დამზადებისა და გადაზიდვის ხარჯების მინიმუმამდე შემცირებით, რადგან სწორედ ეს ხარჯები აძვირებდა დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მასალას. ამ საკითხებზე 1892 წელს სატყეო საქმის სპეციალისტებმა ო. ვ. მარკგრაფმა და კ. დ. დუნაევსკიმ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში განსახილველად წარადგინეს მოხსენება: — „ზოგიერთი მონაცემები კერძო თაოსნობის გზით სახაზინო მთის ტყეების ექსპლუატაციის საკითხზე“[64]. მათ მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით 1890 წელს ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზში მდებარე სახელმწიფოები წლიურად 115 მილ. მანეთის ხე-ტყეს მოიხმარდნენ. თანაც ეს ციფრი შემცირებულად მიაჩნდათ, რადგან ამ დაანგარიშებაში ჩრდ. აფრიკის ზოგიერთი ნავსადგური არ შესულა. ხის მასალის იმპორტს ყველა სახელმწიფო საჭიროებდა, გარდა ავსტრიისა და თურქეთისა, რომელთაც იგი უფრო მეტი გაჰქონდათ, ვიდრე შემოჰქონდათ. ექსპორტიორ სახელმწიფოთა შორის ავსტრია პირველობდა, მაგრამ იგი აღნიშნული ქვეყნების მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებდა და მოთხოვნა რჩებოდა 90 მილ. ხე-ტყის მასალაზე. წესით იგი რუსეთის იმპერიის შავიზღვისპირა ნავსადგურებს უნდა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ირკვეოდა, რომ ოდესით მხოლოდ სამ მილიონამდე მანეთის ხე-ტყე გადიოდა, კავკასიის ნავსადგურებიდან კი 650000 მანეთისა. აქედან მეტი წილი ბზისა და კაკლის დაუმუშავებელი მერქანი იყო, დანარჩენი დახერხილი მასალა — მხოლოდ 88 000 მან. ღირებულებისა რჩებოდა.

ზემოთ აღნიშნული 90000 მან. მასალას ასაღებდა ჩრდ. რუსეთი, შვეცია, ფინეთი, კანადა და აშშ. მოხსენების ავტორები სწორედ ამ უკანასკნელთა მიერ შემოტანილი მასალის ადგილობრივით შეცვლას ვარაუდობდნენ. შავი ზღვისძირა ხე-ტყეს თავისი გეოგრაფიული და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით მსოფლიოს ბაზარზე შესაფერისი ადგილი უნდა მოეპოვებინა.

მარკგრაფისა და დუნაევსკის მთელი დაანგარიშება იქეთ იყო მიმართული, რომ ადგილობრივად დამზადებული და ნავსადგურში მიტანილი მზა მასალის ღირებულება კუბურ მეტრზე 14 მან.

---

[64] სსცია, ფ. 243, აღ. 4, საქ. 125, ფურც. 124—159. მოხსენებაში დაანგარიშებული ციფრობრივი მონაცემებით სატყეო საქმის სხვა სპეციალისტები შემდგომ წლებშიდაც ხშირად ხელმძღვანელობდნენ.

50 კაპ. მეტი არ უნდა ყოფილიყო. მაშინ იგი ავსტრიიდან შემოზიდულ მასალას კონკურენციას გაუწევდა არა მარტო ბათუმში, სადაც კუბ. მეტრი 17 მან. 70 კაპ. იყიდებოდა, არამედ უცხოეთის ბაზრებზეც, რადგან ავსტრიის საკუთარ ნავსადგურებში იგივე. რაოდენობის მასალა 15 მან. 32 კაპ. ფასობდა.

მომხსენებლებს შავიზღვისპირა ტყეების ექსპლუატაციის ძირითად დამაბრკოლებელ მიზეზად უგზოობა მიაჩნდათ. წარმოების ფართოდ გასაშლელად ისინი რკინიგზის გაყვანას მოითხოვდნენ, რაც დიდ ფულად სახსრებს საჭიროებდა. ამისათვის ისინი ვარაუდობდნენ უცხოური მსხვილი კაპიტალის დაშვებას და ამის საფუძველზე 36 წლის ხანგრძლივობით ტყეების ექსპლუატაციის წარმოებას. შედარებით უფრო რეალური გზები დასახეს სატყეო საქმის გამოცდილმა სპეციალისტებმა: ვუჩინომ, გამრეკელოვმა, ვერმიშევმა და ფონ-დერვიზმა, რომელთაც ექსპლუატაციის ხანგრძლივობის ვადა 15 წლამდე შეამცირეს და რკინიგზის ნაცვლად სამდინარო გზების გამოყენებას მისცეს უპირატესობა. ამასთან დაკავშირებით, შემცირდებოდა წინასწარ საჭირო კაპიტალის რაოდენობაც. ვუჩინოს აზრით სასურველი იყო ექსპლუატაცია თვით სახაზინო უწყებას ეწარმოებინა. წარუმატებლობის შემთხვევაში იგი ხაზინას, თავისი ინტერესების გათვალისწინებით, კერძო პირისათვის გადაეცა.

სვანეთის სახაზინო ტყის ესპლუატაციის პროექტის ავტორი, მეტყევე ვერმიშევი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ სახაზინო ტყეებს კონკურენციას უწევდა მემამულეთა ტყეები, საიდანაც მასალა ძალიან იაფად იყიდებოდა. მაგ. ი. ოქრომჭედლიშვილს ადგილზე ერთი კუბ. ფუტი მერქანი ერთ კაპიკზე ნაკლები უჯდებოდა[65]; მაშინ როცა სვანეთის სახაზინო ტყიდან ერთი კუბ. ფუტი— 5,4 კაპიკად იყიდებოდა[66].

გაცილებით მობილურად მოქმედებდა კერძო ტყის მრეწველი. ამის შესახებ მეტყევენი ხაზგასმით მიუთითებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ამგვარ ტყის მრეწველს, რომელსაც წლიურად 5000 მორი გააჩნია, აქვს სახერხი ქარხანა და დასახლებულ პუნქტებში სარეალიზაციო ხე-ტყის მასალის საწყობი. იგი თვალყურს ადევნებს მასალის დახარისხების მხრივ ბაზრის მოთხოვნებს და „ერთი სიტყვით მოქნილად მოქმედებს, რაც თანამედროვე სამრეწველო ცხოვრების მოთხოვნილებითაა გამოწვეული და ფრიად მნიშვნე-

[65] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 125, ფურც. 182.

[66] სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 851, ფურც. 191.

ლოვანია". ისინი სახაზინო უწყებას მოუწოდებდნენ გამოსულიყო ტყის დაცვის პერიოდიდან და ტყის რეწვის ფაზაში შესულიყო, დაეარსებინა სახერხი ქარხნები, სავაჭრო საწყობები და ა. შ.[67].

ამგვარად, მომზადდა ნიადაგი დასავლეთ საქართველოს სახაზინო ტყეების საექსპლუატაციოდ, შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოთა შესაქმნელად.

1896 წ. 29 ნოემბერს იმპერატორმა დაამტკიცა მინისტრთა კომიტეტის დებულება, რომლითაც მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შავი ზღვის გუბერნიის და სოხუმის ოკრუგის სახაზინო ტყეების საექსპლუატაციოდ გაცემის უფლება ეძლეოდა. დებულება მხოლოდ ოთხ სატყეოს შეეხო. ესენი იყო მდინარეების მზიმთის, ბზიფის, კოდორისა და ენგურის ხეობაში მდებარე სოჩის, გუდაუთის, ოჩამჩირისა და სვანეთის ტყეები.

ექსპლუატაციის ძირითადი პირობები შემდეგში მდგომარეობდა:

1. აღნიშნული ტყეები საჯარო ვაჭრობით უნდა გაყიდულიყო, წარუმატებლობის შემთხვევაში, სამეურნეო წესით.
2. წლიურად საშუალოდ უნდა მოეჭრათ ბზიფის ხეობაში 90000 ხე, კოდორისა — 60000 ხე, მზიმთისა და ენგურის ხეობაში— არა უმეტეს აქ მიღებული შერჩევითი სამეურნეო წესისა.
3. ერთი ტყის მასივის ყიდვა მხოლოდ ერთ პირს შეეძლო.
4. ექსპლუატაციის ხანგრძლივობა 15 წლით განისაზღვრებოდა.
5. ხე-ტყეზე ადგილობრივი მოსახლეობის აუცილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ასევე სახაზინო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, ხაზინა ტყით სარგებლობის უფლებას იტოვებდა.
6. დადგენილი ხე-ტყის სარეალიზაციო ფასები შეიძლებოდა გაედიდებინათ ხელშეკრულების დადებიდან 5 წლის შემდეგ, ან მოცემული ტყის მასივზე რკინიგზის გაყვანის შემთხვევაში.
7. ხელშეკრულების მოქმედების მთელ მანძილზე მრეწველს თავისუფალი სახაზინო მიწა უსასყიდლოდ ეძლეოდა ქარხნების, ნავსაყუდელის, საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო ნაგებობების და საერთოდ ტყის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით გამოწვეული მოთხოვნილებებისათვის.
8. მრეწველს სახაზინო ტყის ფართობიდან უფასოდ ეძლეოდა ტექნიკური ნიხრით დადგენილი რაოდენობის ხე-ტყის მასალა, ასევე მშენებლობისათვის საჭირო ქვიშა, ქვა, თიხა და სხვა.

---

[67] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 125, ფურც. 176—196.

9. უცხოეთის ქვეშევრდომთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში წინასწარ უნდა ეცნობებინათ სათანადო უწყებისათვის და კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველისათვის[68].

1901 წ. 28 იანვრის დადგენილებით ზემოთ აღნიშნული დებულების მოქმედება მთელი შავი ზღვის სანაპიროზე გავრცელდა შემდეგი დამატებით: 1. მრეწველი ვალდებული იყო საკრელი ფართობი ხე-ტყის ნარჩენებისაგან გაენთავისუფლებინა, 2. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველთან შეთანხმებით უნდა გამოეცა მდინარეებზე ხე-ტყის დაცურების სავალდებულო წესები. 3. შეედგინათ ბზიფის სახაზინო ტყის გაყიდვის პირობების პროექტი[69].

ზემოთ აღნიშნული შეღავათების მიუხედავად, ხე-ტყის მრეწველები, რომლებიც მემამულეთა ტყეებს სასურველი პირობებითა და იაფ ფასებში ყიდულობდნენ, სახაზინო უწყების ტყეების ექსპლუატაციას ნაკლებად ეტანებოდნენ, რადგან აქ წამოყენებული პირობები მათ მოქმედებას გარკვეულ ჩარჩოებში აყენებდა.

1897 წ. 24 მაისს სახაზინო უწყების მიერ ზემოთ აღნიშნული ტყის მასივების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დროს გამოცხადდნენ ყიდვის მსურველნი: ვაჭარი ჟოლკვერი, ხე-ტყის მრეწველი ფიშერი, ბარონი ლეჟენი და ხე-ტყის მრეწველ ბელენკინის რწმუნებული ლიპმანი. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ გამოქვეყნებული პირობებით წარმოებისათვის ხელის მოკიდება არ სურდათ საექსპლუატაციო პირობების სირთულისა და შესრულების შეუძლებლობის გამო, რაც შემდეგში მდგომარეობდა: 1. — ფოთლოვანი ჯიშების დამზადების არახელსაყრელობა გასაღების სიძნელის გამო (მდინარეზე მათი დაცურება არ შეიძლებოდა და მათზე საბაზრო მოთხოვნა შედარებით ნაკლები იყო).

2. მოსაკრელი ხეების წინასწარ დაანგარიშება და აღნიშვნა საქმეს გაართულებს და სამრეწველო საქმის წინსვლას შეანელებს.

3. მდინარეების ბზიფისა და კოდორის დაცურებისათვის ვარგისიანობის დაუდგენლობა, რის გამოც აღნიშნული პირები ეპვობენ საჭირო რაოდენობით მორების დაცურების შესაძლებლობაში[70].

---

[68] Б. П. Мрозовский, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

[69] სსცია, ფ. 12, ანაწ. 6, საქ. 851, ფურ. 197.

[70] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 199, ფურც. 77.

გარდა უკანასკნელი სავსებით მართებული პუნქტისა, ჩანს, რომ მათ სურდათ ტყის ყოველგვარი დაცვა-გაფრთხილების გარეშე იაფ ფასებში მხოლოდ წიწვოვანი ტყეების ექსპლუატაცია. სახაზინო ტყის ყიდვის მსურველები ცოტანი გამოჩდნენ.

შევეხოთ სახაზინო ტყეების იმ ძირითად მასივებს (კოდორის, ენგურისა და ბზიფის ხეობა), სადაც აღნიშნული დებულების საფუძველზე უნდა გაშლილიყო ან გაიშალა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მოქმედება.

მდ. კ ო დ ო რ ი ს ხეობის სახაზინო ტყე. მდ. კოდორის ხეობის ტყის მასივები სრულიად შეუსწავლელი იყო. სახაზინო ტყეების აღწერა-გამოკვლევა აქ არ ჩაუტარებიათ. ხის ჯიშებით იგი მდინარე ბზიფის ხეობის ტყეებს ემსგავსებოდა. ფოთლოვანიდან ხარობდა: წიფელა, წაბლი, თხმელა, მუხა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, რცხილა და სხვ. წიწვოვანიდან — ძირითადად სოჭი და აღმოსავლეთის ნაძვი. ძვირფასი ჯიშებიდან: — ბზა, ურთხმელი და კაკალი. მსხვილი სატყეო მრეწველობის დანიშნულებისა იყო სოჭი, წიფელა, წაბლი და ბზა[71].

ფართო ექსპლუატაციის დაწყებას ტყის სიუხვის გარდა ხელს უწობდა მდ. კოდორის სამდინარო გზის არსებობა, რომელიც მორების ცალობით დასაცურებლად თითქმის მთელ სიგრძეზე გამოიყენებოდა. მდინარის კალაპოტის გაწმენდის შემდეგ კი ქვედა დინებაში ტივების დაცურებაც შეიძლებოდა. ბზიფის რაიონთან შედარებით ტყეების მიდგომის შესაძლებლობის მხრივ, ტყის მასივის ტოპოგრაფიული პირობებიც უკეთესი იყო. ზომიერი კლიმატითა და ზღვასთან სიახლოვით ერთიანი, განუყოფელი მწიფე ტყეები მსხვილი სატყეო-სამრეწველო საწარმოს დაარსების პირობებს ქმნიდა.

XIX საუკუნის 90-იან წლებამდე აქ მოიჯარადრე მრეწველები ხე-ტყეს კუსტარული წესით ამზადებდნენ. მდ. კოდორის ზემო დინებაში მცხოვრები სვანები, რომლებიც მიწის სიმცირის გამო ხე-ტყის ჭრას მისდევდნენ, ტყის საუკეთესო მჭრელები იყვნენ. მოჭრილი მასალა მათ კამეჩებით, ან მორების დასაშვები ციცაბო გზებით მდინარის ნაპირზე გამოჰქონდათ. მცირე გამონაკლისის გარდა ისინი დაცურებას არ მისდევდნენ. ამ სამუშაოს ლეჩხუმიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან მოსული მუშახელი ეწეოდა. ისინი სეზონურად დიდ ჯგუფებად მოდიოდნენ აქ სამუშაოდ.

---

[71] Н. С. З а к л и н с к и й, Леса Абхазии, Л. — М. с. 129.

1886—1893 წწ. კოდორის უბანში, ზღვასთან ახლოს თავად შერვაშიძის ტყეების ექსპლუატაციას ფრანგული სინდიკატი „ბერნარი, გოტიე და პერიკე“ ეწეოდა. ფირმა საექსპორტოდ ფოთლოვანი ჯიშის, ძირითადად მუხის საპარკეტე მასალას ამზადებდა[72].

1895—96 წლებში კოდორის სახაზინო ტყის ფართე მასშტაბით ექსპლუატაციას ბათუმელი ვაჭარი და ხე-ტყის მრეწველი ე. ჟოლკვერი ითვალისწინებდა. იგი კერძო ტყეებიდან ფოთლოვანი ჯიშების ექსპლუატაციას ეწეოდა, ამასთან ბათუმში ძირითადად ხე-ტყის ექსპორტთან დაკავშირებულ მსხვილ ფინანსურ ოპერაციებს აწარმოებდა[73].

1895 წ. ზაფხულში ჟოლკვერმა სატყეო დეპარტამენტის დავალებით მდ. კოდორზე წიწვოვანი მორების საცდელი დაცურება წარმატებით ჩაატარა[74].

1896 წ. ჟოლკვერის ინიციატივით დაარსდა სააქციო გაერთიანება „ამიერკავკასიის ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება“[75], მისი ძირითადი კაპიტალი, 0,5 მილ. მანეთი, 5000 აქციად იყოფოდა. ჟოლკვერის სამრეწველო საწარმო მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობდა. წესდების პროექტი საზოგადოებაში უცხოელი კაპიტალისტების შესვლის შესაძლებლობას უშვებდა. მაგრამ, ამჯერად ხელისუფლება ამიერკავკასიის, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროსა და განსაკუთრებით სოხუმის ოკრუგის ტერიტორიაზე (სადაც სახაზინო ტყეების მეტი წილი მდებარეობდა) სატყეო მრეწველობის სფეროში უცხოური კაპიტალის შეჭრის წინააღმდეგი

---

[72] ЦГИА СССР, ф. 573. оп. I, д. 1995, л. 5.

[73] ЦГИА СССР, ф. 20. оп. 4, д. 3918, л. 5. კოდორის ხეობაში ჟოლკვერის საქმიანობაზე წებელდის ტყის მფლობელები (წებელდის მიწები მათ 1886—1887 წწ. იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ უწყალობა) დიდ იმედებს ამყარებდნენ. ისინი ხე-ტყის სამრეწველო საწარმოს დაარსების შესახებ მთავრობის წინაშე შუამდგომლობდნენ.

[74] газ. «Кавказ», 1895. № 231, с. 3. ხაზინამ საცდელი დაცურება უფრო ადრეც, 1890—1891 წწ. ჩაატარა, რითაც დაადგინეს 9 არშინი სიგრძის მორების დაცურების შესაძლებლობა. 1892 წელს მდინარის გარკვეულ მონაკვეთზე საკასრე ტკეჩებს ნავებით აცურებდნენ (კერძოდ, 17—19 ვერსის სიგრძეზე—ბოგათის ხიდიდან ნაას ტყის უბნამდე.). ამგვარად დაცურებული 1000 ცალი საკასრე ტკეჩის გადაზიდვის ღირებულება 17—18 მან. უდრიდა. სსცია, ფ. 243. ან. 4, საქ. 125. ფურც. 161.

[75] ЦГИА СССР, ф. 20, оп. 4, д. 3918, л. 33.

იყო[76]. იგი შეეცადა, რომ აქ რუსული კაპიტალი დაეფუძნებინა და მომავალი სამრეწველო საქმე მკვიდრ ნიადაგზე დაემყარებინა.

ჟოლკევერის წამოწყებულ სამრეწველო საქმიანობას წარმატება არ მოჰყვა და მალე კოდორის ხეობის სახაზინო ტყეების ექსპლუატაციას ხელი მოჰკიდა როსტოველმა ვაჭარმა მაქსიმოვმა.

1896 წ. დებულების თანახმად, 1898 წ. მაქსიმოვმა კოდორის ხეობაში 15 წლის ვადით შეიძინა 1200000 ცალი ხე[77]. საექსპლუატაციო ფართობი დალის, ბრამის, საკენისა და ჩხალთის სატყეო უბანს მოიცავდა[78]. ხელშეკრულების მიხედვით მხოლოდ წიწვოვანი ხეები უნდა მოჭრილიყო. ხაზინამ მაქსიმოვს ხე-ტყის დამზადების საკმაოდ შეღავათიანი პირობები შეუქმნა[79]. 1903 წ. მას კიდევ ორი მნიშვნელოვანი შეღავათი მიეცა: 1. ხაზინისათვის ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე შეეძლო ტყეში დაეტოვებინა მსხვილტანიანი ხის ქვედა ნაწილი, რომელსაც გადაბერების გამო ტექნიკური ღირსება დაეკარგა. 2. მოჭრილ და ტყეში დატოვებულ ყველა წუნდებულ მასალაზე მისი ღირებულების ნახევარი უნდა გადაეხადა და არა სრული ფასი, როგორც ეს დასაწყისში ხელშეკრულებით ივარაუდებოდა[80].

1898 წელს კოდორის ხეობის სახაზინო ტყეში სამუშაოები გაიშალა. 1899 წელს უკვე 50.000 მორი დამზადდა[81]. სოფ. აძვიბჟასთან ააგეს სახერხი ქარხანა. დახერხილი მასალის გადასაზიდად ქარხნიდან ცხურგილის ყურემდე გაიყვანეს რკინიგზა. როგორც ქარხნის მახლობლად, ასევე სატყეოს შიგნით რამდენიმე რუსული დასახლება შეიქმნა[82]. სამუშაოდ სხვადასხვა ეროვნების დიდძალი მუშახელი მოვიდა. წარმოების პროცესში ბევრი სიძნელე წარმოიშვა, რაც ძირითადად ხე-ტყის დაცურებასა და მის შემდგომ ტრანსპორტირებასთან იყო დაკავშირებული.

დაცურების პროცესში მდინარე მორებით იხერგებოდა. ეს ხშირად მდინარის ადიდებას და სოფლების (დრანდას, ესტონკას, ვლადიმიროვკას და ანასტასიევსკოეს) დატბორვას იწვევდა. ამ მდგომარეობით მოსახლეობა იმდენად შეწუხებული იყო, რომ

---

76 სსცია, ფ. 12, ან. 8, საქ. 325, ფურც. 10.

77 სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 851, ფურც. 191; გაზ. „ივერია", 1904, № 242, გვ. 2.

78 Н. С. Заклинский, Леса Абхазии, Л—М, 1931, с. 87.

79 სსცია, ფ. 12, ან. საქ. 851, ფურც. 191.

80 ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1797, Ч. I, с. 56.

81 სსცია, ფ. 12, ან. 2, საქ. 818, ფურც. 2.

82 სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ, 815, ფურც. 202.

სახელმწიფო ქონებათა სამმართველო მათთვის მიწების მიცემას სხვა ადგილზე აპირებდა. კალაპოტიდან მდინარის გადმოსვლის აღსაკვეთად საწარმო ხაზინის ხარჯზე ჯებირების გაკეთებას მოითხოვდა[83].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რაც საწარმოს განვითარებას ხელს უშლიდა, იმაში მდგომარეობდა, რომ სახაზინო ტყეში დამზადებულ მასალას, მისი გამოზიდვის დროს, კერძო მიწის მფლობელები თავისი მამულის ფარგლებში არც მიწაზე და არც მდინარეზე არ ატარებდნენ[84]. ეს საკითხი განსაკუთრებით გამწვავდა, რადგან მდინარის ორივე სანაპიროს მნიშვნელოვანი ნაწილი კერძო პირებს ეკუთვნოდათ. ამით სახაზინო ტყეები მდინარისაგან მოწყვეტილი რჩებოდა.

მორების დაცურების საკითხი დროულად მოგვარდა. 1900 წ. მდ. კოდორი სანაოსნო მდინარედ გამოცხადდა[85]. გაცილებით რთული იყო კერძო მამულებზე გამავალი სანმელეთო გზებით სარგებლობის მოგვარება. ჩანს, ამის გამო დავა ხშირად ხდებოდა. მაგ., 1903 წ. მიწის მფლობელი ა. სარაჯიშვილი მაქსიმოვის საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს თავის მამულზე გამავალ გზაზე უნებართვოდ სიარულს უკრძალავდა, ნებართვისათვის კი წელიწადში 300 მან. ითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის მიწაზე საწარმოს ხარჯით გაყვანილი გზის გადაკეტვით იმუქრებოდა. იგი მოითხოვდა აგრეთვე მდინარეებზე კოდორზე და საკენზე აგებული ხიდების დაშლას და აქ გამოყენებული ხის მასალის ღირებულების დაბრუნებას[86]. მსგავსი დაბრკოლებები ხშირად იჩენდა თავს. ასეთი მდგომარეობა საქმეს უკიდურესად ართულებდა. მაქსიმოვის ფირმა იძულებული იყო დამზადება ეწარმოებინა მთის მდინარეთა სათავეებში, საიდანაც მორების დაცურება გაცილებით ძვირი ჯდებოდა.

მორები ცალობით ნაამდე აღწევდა, შემდეგ კი ტივებად იკვრებოდა[87]. 1901 წ. დამზადებული მასალის 40—60% ტივებით

---

83 ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 259ª, ფურც. 38, 43.

84 სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 199, ფურც. 85.

85 სსცია, ფ. 12, ან. 7, საქ. 476, ფ. 19, 27. იქვე, საქ. 738. ფ. 1, 1880—1900 წწ. დას. საქართველოს ყველა მთავარი მდინარე სანაოსნოდ გამოცხადდა, რის საფუძველზედაც ხე-ტყის მრეწველს უფლება მიეცა მდინარე და მისი ვიწრო სანაპირო ზოლი მორების დაცურებისას საჭიროების მიხედვით გამოეყენებინა.

86 ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, л. 130.

87 სსცია, ფ. 243, ან 4., საქ. 199, ფურც. 78.

მოდიოდა[88]. 1902 წელს ქარხნამდე მიტანილი თითო საშუალო სიდიდის მორის ღირებულება 7 მან. 73 კაპ. უდრიდა[89]. დაცურება განსაკუთრებით ძვირი ჯდებოდა, რაც თითო მორზე 3 მან. 50 კაპიკამდე აღწევდა[90]. ცალობით დაცურებული მორებით მდინარე ხშირად გუბდებოდა. ასეთ შემთხვევაში ხერგილს დინამიტით აფეთქებდნენ. მორების დიდი ნაწილი (40—45%) იმტვრეოდა, იკარგებოდა, ზოგჯერ ზღვაში იფანტებოდა და ა. შ[91]. ხის მერქანი წყალში ხანგრძლივად ყოფნის გამო მაღალ ტექნიკურ თვისებებს კარგავდა. ყველა ეს ხარჯები წარმოებას მძიმე ტვირთად აწვებოდა და მის მოქმედებას თანდათან ზღუდავდა.

ვ. მაქსიმოვის საწარმომ 6 წლის განმავლობაში დაახლ. 1,5 მილ. მან. დახარჯა და 200000-ზე მეტი მორი გადაამუშავა[92].

სახაზინო უწყების ხელშეწყობით მაქსიმოვის საწარმოს პროდუქციამ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქების ხე-ტყით ვაჭრობაში ერთხანს მონოპოლია მოიპოვა. მთავრობა შეეცადა ხელი შეეწყო ამ სამრეწველო საწარმოს არსებობისათვის, რათა მის მაგალითზე ადგილობრივი სახაზინო ტყეების ექსპლუატაციას მტკიცე საფუძველი ჩაყროდა, მიუხედავად ამისა, საწარმოს მოქმედება შეფერხდა. ზარალმა მნიშვნელოვანი თანხა შეადგინა და მას მძიმე ტვირთად დააწვა. დამზადებული მასალის თვითღირებულების მეტისმეტმა სიდიდემ მისი სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად აამაღლა.

ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთი სატყეო რევიზორი წერდა: „ვ. მაქსიმოვის საწარმოს ხელმძღვანელები ისეთ რთულ საქმეს, როგორიცაა მთების უგზო და დაუსახლებელი ტყეების ექსპლუატაცია, ისე შეუდგნენ, რომ არ შეუსწავლიათ ამ მხარის დამახა-

---

[88] ქუთაისის სცია, ფ. 18, საქ. 2598, ფ. 43. მდ. ყოდორის ქვემო დინების მისი შენაკადების ჩხალთისა და ბრამბის კალაპოტის გასაწმენდად 1898—1900 წწ. 110 590 მან. დაიხარჯა.

[89] ЦГИА СССР, —ф. 387, оп. 28, д. 1794, л. 37.

[90] იქვე, 1902 წ. მდინარის წმენდის ყოველწლიური დანახარჯი თითო დაცურებულ მორზე 44 კაპ. უდრიდა.

[91] ЦГИА ССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, л. 122.

[92] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 15, д. 62823, л. 23.

ამ პერიოდში ტყის ეტსპლუატაციაზე დაიხარჯა:

სახაზინო გადასახადი — 324 620 მან.

დამზადება — 626 117.

მდინარეების გაწმენდა — 194 219.

დაცურება — 567 973.

სიათებელი პირობები, ტყის მდგომარეობა, დაცურების პირობები, ბაზარი და ა. შ. ამასთან საქმის ორგანიზაცია მიანდეს არა კომპეტენტურ პიროვნებას, რომელსაც არავითარი სპეციალური განათლება არ ჰქონდა და საქმეს უხეიროდ წარმართავდა"[93].

1903 წ. მეტყევე კასაშკინი მიუთითებდა რა საწარმოს სავალალო მდგომარეობაზე, აღნიშნავდა, რომ წარმოებას პრიმიტიულად წარმართავდნენ, „ტყის დასაშვებების მოწყობას იჯარით აძლევენ და საქმეს არმცოდნენი ეწევიან, ცუდად მოქმედებს ნაწარმის გამსაღებელი აგენტურა. ხარისხის გასაუმჯობესებლად აქამდე არაფერი გაკეთებულა. სხვადასხვა ნაწარმის დასამზადებლად არავითარი მომიჯნავე დარგი არ დაარსებულა"[94].

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ჩატარებული სამუშაოების სიდიდის (მდინარის კალაპოტის გაწმენდა, ზოგიერთი განტოტებების ჩახერგვა, წყლის გადასაგდები დამბებისა და მორების დასაშვებების მოწყობა და სხვა.) მიუხედავად საწარმომ ვერ გააგრძელა მუშაობა და 1905 წლის ბოლოს მოქმედება შეწყვიტა. ტყეების კერძო მფლობელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო. გარდა ამისა, მათ ვერ გაითვალისწინეს მთის ტყეების ექსპლუატაციის განსაკუთრებული პირობები, რის გამოც არ არსებობდა საქმის გეგმაზომიერი ორგანიზაცია. თავისი არსებობის პერიოდში მაქსიმოვის საწარმომ ტყეების დიდი ნაწილი გაჩეხა. გაუმჯობესების მიზეზით სხვების კუთვნილი ტყეებიც მრავლად მოიჭრა, რის გამოც მაქსიმოვების მიმართ მთავრობას დიდი სარჩელი წარედგინა[95]. ნ. ნიკოლაძის პირადი არქივის ერთ-ერთი დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ზემოხსენებულმა ფირმამ მტაცებლური ხერხით თითქმის სრულიად გაჩეხა ხელმისაწვდომი საექსპლუატაციო ფართობი[96].

მდ. ენგურის ხეობის სახაზინო ტყე. სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა ქუთაისის გუბერნიის, ლეჩხუმის მაზრის, სვანეთის სატყეოში შემავალი ჩუბეხევის ტყეები, რომელიც მდ. ენგურის ხეობაში მდებარეობდა. სახელმწიფოს განკარგულებაში იგი 1857 წ. სვანეთის მთავრის კ. დადეშქელიანის სიკვდილით დასჯის შემდეგ გადავიდა[97]. სატყეო 1887 წ. სახელმწიფო ქონებათა სამმართვე-

---

[93] ქუთ. სცია. ფ. 18, საქ. 2598, ფურც. 57.

[94] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, ч. II, л. 35, 36.

[95] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 545, ფურც. 34.

[96] რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/835, ფურც. 81.

[97] იქვე, ფურც. 84.

ლოს გადაეცა[98]. იგი რევიზორმა ვუჩინომ აღწერა, რომლის მიხედვით საერთო ტყის ფართობი 115000 დეს: შეადგენდა, საკუთრივ ტყეს 70000 დეს. ეკავა. წიწვოვანი ჯიშების მარაგი 15 მილ. მორს შეადგენდა[99].

1888 წ. სახ. ქონებათა სამმართველოში ტყის ყიდვის თაობაზე რამდენიმე თხოვნა შემოვიდა. მათ შორის თავად დ. თუმანიშვილისა და პრინც ოლდენბურგისა. სახაზინო უწყებამ უპირატესობა ოლდენბურგს მიანიჭა, რომელსაც 12 წლის ვადით ეძლეოდა ჩუბეხევის ტყეები საექსპლუატაციოდ. ამ საქმეს წარმატება არ ჰქონია და იგი უშედეგოდ დამთავრდა[100].

1896 წ. სვანეთის სატყეოს საჯარო ვაჭრობით გაყიდვა გამოცხადდა. აქ ხე-ტყის მრეწველობის ფართოდ გაშლას იმის გამო ვარაუდობდნენ, რომ წიწვოვანი ტყით მდიდარი ერცელი, მთლიანი მასივი ხაზინას ეკუთვნოდა და არავისთან სადაო არ იყო. მდ. ენგური მორების დასაცურებლად უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. მკვიდრი მოსახლეობა ხე-ტყის დამზადება-დაცურებაში გამოცდილ მუშახელს წარმოადგენდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სამუშაოდ არა მარტო ქუთაისის გუბერნიაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც მიდიოდა. ჩუბეხევის სატყეოს ფარგლებში 196 კომლი ცხოვრობდა, რომელთაგან უმრავლესობა აღნიშნული საქმის კარგი ოსტატი იყო. მეტივეობას მისდევდნენ სოფ. პორაშის, ხუდონის, ჯვარის, ფახულანის, ლიას და ჭალის მცხოვრებნი. ისინი თავისი სოფლებიდან აცურებდნენ ხე-ტყეს რუხამდე და ანაკლიამდე[101]. ტყეს უმთავრესად მდინარის ახლოს ჭრიდნენ. მორები თრევით გამოჰქონდათ და ციცაბო ადგილიდან მდინარეში უშვებდნენ. ენგურის განტოტების ადგილზე მორები ჩერდებოდა (ს. ჯვართან, ჭალასთან). ს. ჯვარში მცხოვრები მეტივენი მორებს აგროვებდნენ და ტივებად კრავდნენ. 8—10 მორისაგან შეკრულ ტივს სოფ. რუხამდე და ანაკლიამდე აცურებდნენ. ანაკლიიდან ფოთამდე—30 ვერსზე კამეჩებით მიათრევდნენ. ხე-ტყე ზუგდიდში, ფოთში, ანაკლიაში და ენგურისპირა სოფლებში იყიდებოდა. ენგურის ხეობისა და ზუგდიდის მოსახლეობა ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩუბეხევის ტყეებით მარაგდებოდა[102].

---

98 ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 1445, ფურც. 57.

99 ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/5 ფურც. 17.

100 ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 1445. ფურც. 11.

101 ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/4, ‹‹ვ. 4.

102 იქვე.

1900 წ. სვანეთის სატყეო ი. ა. ვერმიშევმა საჯარო ვაჭრობით შეიძინა. მას 15 წლის განმავლობაში 450000 მორი უნდა დაემზადებინა. იგი კუბურ ფუტში ხაზინას 5,4 კაპ. უხდიდა[103].

მომავლისათვის მდ. ენგურზე წლიურად 30—40 ათასი მორის დაცურებას ვარაუდობდნენ, ამჯერად კი მხოლოდ 6 ათასი მორი ცურდებოდა[104]. სახაზინო უწყებისა და ვერმიშევის მიერ წინასწარ ჩატარებული ცდის მიხედვით, აქ დამზადებული საშუალო სიდიდის მორის ღირებულება ანაკლიამდე გზის ხარჯის ჩათვლით 8 მან. 82 კაპ. შეადგენდა. ფოთის ფასების მიხედვით იგი შეიძლებოდა 15 მან. 60 კაპ. გაყიდულიყო[105].

ვერმიშევმა უსახსრობის გამო წლების განმავლობაში ვერ გაშალა სამუშაოები და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ვერ შეასრულა. ამ საქმეს წარმატება არც მას შემდეგ მოჰყვა, რაც მისივე ინიციატივით 1902 წ. „კავკასია—შავი ზღვის ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება“ შეიქმნა. მისი ძირითადი კაპიტალი 750 ათასი მან. 3 ათას აქციად იყოფოდა. საზოგადოების არსებობის ვადა განუსაზღვრელი იყო. ფირმის საქმიანობას პეტერბურგში არსებული სამმართველო წარმართავდა[106].

ჩუბეხევის ტყეების საექსპლუატაციოდ მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოს შექმნა ვერ მოხერხდა.

1909 წ. ვერმიშევის უძრავ-მოძრავი ქონება ხაზინისა და კერძო პირების ვალის დასაფარად საჯარო ვაჭრობით გაიყიდა და მიუხედავად ამისა, 1916 წ. ხაზინის ვალი 932315 მან. ისევ გადასახდელი დარჩა[107].

---

103 სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 851, ფურც. 191. ნ. ნიკოლაძის არქივი. დოკ. № 47/4, ფურც. 40, გაყიდული ხე-ტყის საერთო ღირებულება დაახლოებით 875790 მან. განისაზღვრებოდა. 1900 წ. ენგურის კალაპოტის გაწმენდაზე 3500 მან. დაიხარჯა.

104 ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/4, ფურც. 3, დოკ. 47/5, ფურც. 2.

105 ი ქ ვ ე, ფურც. 17—18.

106 სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 946, ფურც. 6.

107 სსცია, ფ. 243, ან. 4 საქ. 545, ფურც. 12, 27. 1906—1907 წწ. ჩუბეხევიდან წლიურად 17 ათასი მან. მასალა იყიდებოდა. წვრილი მრეწველები მორებს ფოთში ეზიდებოდნენ. „12 არშიხის სიგრძის მორი 7—9 მან. უჯდებოდათ. დახერხვისა და ფოთში გაყიდვის მერე სულ ცოტა 16—18 მან. იღებდნენ“.

1912 წ. თ-დი ნ. ა. თუმანიშვილი სახაზინო უწყებისაგან იჯარით თხოულობდა ჩუბეხევის ტყის ექსპლუატაციის ნებართვას, რის შესახებაც 1916 წ. მიწათმოქმედების სამმართველოს უფროსი მინისტრთან შუამდგომლობდა.

მდ. ბ ზ ი ფ ი ს ხეობის სახაზინო ტყე, მდ. ბზიფის მიდამოების სახაზინო ტყეებს განსაკუთრებული ადგილი ეკავა როგორც ძვირფასი ბზის ტყეებით, ასევე მაღალხარისხოვანი წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. აფხაზეთის ბზა უძველესი დროიდან შეადგენდა ვაჭრობის საგანს. მდინარის ქვედა წელზე, 30—40 ვერსის სიგრძეზე ბრტყელძირიანი ნავებითაც დადიოდნენ, რომლითაც მდ. გეგის ხეობიდან ზღვის ნაპირზე დიდი რაოდენობის ბზას ეზიდებოდნენ.

1847—1853 წწ. აქ წიწვოვანი ჯიშების მასალა მზადდებოდა და მდ. ბზიფის საშუალებით დიდძალი ხე-ტყე გამოჰქონდათ. ტყის ექსპლუატაცია ყირიმის ომის გამო შეწყდა[108].

1847—1862 წწ. მდინარის ქვედა წელის მიდამოებიდან საზღვარგარეთ რამდენიმე მილ. ფუთი ბზა გაიგზავნა. ამავე დროს მდ. ბზიფის კალაპოტი ჭორომებისაგან გაუწმენდიათ[109].

1885 წ. ფრანგმა დე კოსტექსმა ფოთლოვანი ტყის გადასამუშავებლად სოფ. კალდახვარასთან სახერხი ქარხანა ააგო.

XIX ს. 80-იანი წლებიდან კერძო ტყეების გაძლიერებული ექსპლუატაციის დროს, გაუმჯნაობის გამო ხშირად სახაზინო ტყეც იჩეხებოდა, განსაკუთრებით ბზისა, რადგან საზღვარგარეთის ბაზრებზე მასზე დიდი მოთხოვნილების შედეგად „ბზა მტაცებლური განადგურების საგნად იქცა“[110]. ამის გამო საკითხი დადგა მდ. ბზიფის ხეობის ტყეების მთლიანად სახაზინო უწყებაში გადასვლის შესახებ, რაც 80-იანი წლების ბოლოს განხორციელდა[111].

1891—1893 წწ. ბზიფის ტყეების აღწერის მიხედვით საერთო ფართობი 108798 დეს. იყო, საიდანაც საკუთრივ ტყეს 72558 დეს. ეკავა. იგი გუდაუთის სატყეოში შედიოდა. სამხრეთით მას კალდახვარის სათემო მიწები და კერძო პირთა ნადელები ესაზღვრებოდა. აქედან ერთი თავად შერვაშიძეს ეკუთვნოდა, მეორე კი პრინც ოლდენბურგსა და სხვა პირებს. ეს ნაკვეთი ოლდენბურგს 1891 წ. გამოუყვეს. მთელი დანარჩენი ფართობი ხაზინის ერთპიროვნულ მფლობელობაში შედიოდა[112].

---

108 სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 125, ფურც. 103.

109 Кавказский кал. на 1893 год, с. 100.

110 სცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 83, ფურც. 9.

111 ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, с. 52. ამ პერიოდში აქედან მხოლოდ საკასრე ტკეჩების უმნიშვნელო რაოდენობა იყიდებოდა.

112 სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 851, ფურც. 198. 1894. წ. მთლიანი ფართობი ორად გაყვეს. ერთს ბზის ტყე-6 802 დეს. შეადგენდა, რომელიც მდინარის სანაპიროებს

1890 წლისათვის სახ. ქონებათა სამინისტროში აღნიშნული ტყეების საექსპლუატაციოდ მსხვილი სამრეწველო საწარმოს შექმნის საკითხი მომწიფდა. პირველ რიგში სამდინარო და სახმელეთო გზები უნდა მოწყობილიყო. 1891 წ. დაგეგმეს მდინარის გაწმენდა 65—70 ვერსის სიგრძეზე[113]. 1900 წ. ბზიფი გამოცხადდა მდინარედ, რომელზედაც ახათის ხეობიდან ზღვამდე ხე-ტყის დაცურება შეიძლებოდა[114]. ამის შედეგად სანაპირო ზოლი ტყის მრეწველებისთვის თავისუფალ სარგებლობაში ცხადდებოდა. რაც შეეხებოდა სახმელეთო გზით სარგებლობას, აქ მდინარის ქვემო წელთან დაბრკოლებას შერვაშიძეები ქმნიდნენ. ისინი სახაზინო ტყიდან მომავალ მასალას თავის მამულზე არ უშვებდნენ. ამის შესახებ 1898 წ. ჩიოდნენ მრეწველები, რომლებსაც სახაზინო ტყიდან საკასრე ტკეჩები გამოჰქონდათ, 1900 წ. კი ჩალვადრები, რომლებიც ამჯერად ბზას ეზიდებოდნენ. დიდმა მთავარმა „სტრაჟნიკების“ თანხლებით თავის მამულზე მათ ტვირთის გადატანა აუკრძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხენზე—25 კაპ. გადასახადი მოითხოვა[115]. სახაზინო უწყება კაკლისა და ბზის ტყეებს მოსაჭრელად წვრილ მრეწველ-მოიჯარადრეებს აძლევდა.

1896 წ. დადგენილების საფუძველზე გამოცხადდა მდ. ბზიფის ხეობის სახაზინო ტყეების (გარდა ბზისა და კაკლისა) გაყიდვა.

1901 წ. „სტატსკი სოვეტნიკმა“ ე. მ. დემენტიევმა და საზღვაო არტილერიის პოდპოლკოვნიკმა ვ. ა. ალექსეევმა მოითხოვეს ბზიფის სახაზინო ტყეების ექსპლუატაციის ნებართვა, რასაც ისინი მსხვილ კაპიტალისტებთან თანამშრომლობით აპირებდნენ. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ სატყეო დეპარტამენტთან ერთად აქაური ტყეების საექსპლუატაციოდ საგანგებო პროექტი შეიმუშავა[116]. ხაზინა კონტრაგენტზე ყიდდა სატყეოს მთელ ფართობზე ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ ყველა ჯიშის ხის მერქანს. გამონაკლისს შეადგენდა ბზა, კაკალი, ურთხმელი და ხეხილი. ისინი სხვა, განსაკუთრებული პირობებით უნდა

ვიწრო ზოლად მიუყვებოდა. ბზის ხეების უმრავლესობის ასაკი 200—250 წლით განისაზღვრებოდა. მეორე უბანს—65756 დეს. ეკავა და ბზის გარდა ყველა ჯიში შედიოდა. მათგან საექსპლუატაციო დანიშნულებისა იყო სოჭი, ნაძვი და წიფელა. ჩატარებული ტაქსაციის მიხედვით მერქნის მარაგი 852 მლნ. კუბ. ფუტს უდრიდა.

113 სსცია, ფ. 243, ან 4, საქ. 125, გვ. 24.

114 სსცია, ფ. 12, ან. 7, საქ. 728, ფურც. 1.

115 ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, л. л. 126—128.

116 სსცია, ფ. 12. ან. 6, საქ. 851, ფურც. 191—200.

გაყიდულიყო. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 50 წლით განისაზღვრებოდა. ე. ი. აქ უნდა გაშლილიყო ძალიან მძლავრი სამრეწველო წარმოება. კონტრაგენტს 1903 წლიდან პირველი სამი წლის განმავლობაში თავისი ხარჯით ზღვის ნაპირიდან მდ. ბზიფის შუა დინებამდე უნდა აეგო ჩვეულებრივი ან დაკიდული რკინიგზა მთელი თავისი საჭირო მოწყობილობებით: სადგურის შენობებით, შესაკეთებელი სახელოსნოებით, ასახვევი გზებით, მასალის დასატვირთი ბაქნებით, ტელეგრაფით, ტელეფონით და ა. შ. 1908 წლისათვის უნდა მოეწყო და აემუშავებინა სახერხი, სადურგლო, ხის გადამმუშავებელი, ქიმიური და სხვა ქარხნები. თუ მრეწველი დროში ვერ ჩაეტეოდა ხელშეკრულება დაირღვეოდა, ამის შემდეგ ყველაფერი რაც კი გაკეთებული დარჩებოდა, ხაზინის საკუთრებაში გადადიოდა[117].

25 წლის შემდეგ ხაზინას სურვილისამებრ შეეძლო მთელი საწარმოს გამოსყიდვა. ხელშეკრულების ვადის (50 წ.) გასვლის შემდეგ ყველაფერი სახაზინო უწყების მფლობელობაში უნდა გადასულიყო. კონტრაგენტს ერთ კუბ ფუტში 5,4 კაპ. უნდა გადაეხადა, რაც ორჯერ აღემატებოდა მაქსიმოვის მიერ გადახდილ ფასს. ამასთან ერთად უნდა შეეძინა ყველა სახისა და ჯიშის მასალა, როგორც წიწვოვანი, ასევე ფოთლოვანი ნაყარი და გადაბერებული ხეები.

ეს წამოწყება არ განხორციელდა. 1902 წ. სატყეო დეპარტამენტი იტყობინებოდა, რომ შავი ზღვის ნაპირზე რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით შავი ზღვის სანაპირო სატყეოებიდან გრძელვადიანი ხელშეკრულებით ხე-ტყის გაყიდვა ნაადრევი იყო. რკინიგზის მშენებლობის დამთავრებამდე შეღავათიანი პირობებით სახაზინო ტყის მასივების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა მომავლისათვის გადაიდო. ამასობაში უნდა გამოერკვიათ ტყეების მდგომარეობა და სატყეოები მოეწყოთ.

1903 წ. უფროსმა მეტყევემ, კასაშკინმა, წარმოადგინა ბზიფის სახაზინო ტყის ესპლუატაციის ვრცელი პროექტი[118], რის მიხედვითაც აქ დიდი სამრეწველო საწარმო კომპლექსის შესაქმნელად 3 მილ. მან. დაბანდება იყო საჭირო. სამუშაო ადგილზე უამრავი მუშახელი მოიყრიდა თავს. საქმეში ჩაებმებოდა ინტელიგენცია, შეიქმნებოდა სხვადასხვა საწარმოები და ეს კუთხე მთლიანად შეიცვლებოდა, მაგრამ ეს პროექტი არ განხორციელდა.

---

117 სსცია, ფ. 12, ან. 6. საქ. 851, ფურც. 205.

118 ЦГИА СССР, ф. 367, оп. 28, д. 1794. Касашкин, К вопросу об эксплоатации Бзыбского леса, ч. 1,2, 1903 год.

1911—1913 წწ. აღნიშნული სატყეოს აღწერა-აგეგმვა სახაზინო ეწყებამ მეორედ ჩაატარა[119].

საერთოდ, რევოლუციამდე აფხაზეთის ტყეების ექსპლუატაციას ძირითადად წვრილი მრეწველები ეწეოდნენ: მზადდებოდა საზღვარგარეთ გასაგზავნი ბზა, ევროპასა და ამერიკაში გასაგზავნად ჭრიდნენ კაკალსა და მუხას, ზღვისპირზე მზადდებოდა მუხის საკასრე ტკეჩები და პარკეტი, ოდესაში და რუსეთის სხვა ქალაქებში გასაგზავნად ამზადებდნენ შეშასა და რკინიგზის განძელებს. გარდა ამისა, ეს ტყეები ადგილობრივ ბაზარს სამშენებლო და საშეშე მასალით აკმაყოფილებდა[120].

ბათუმის ოლქში, სადაც სახაზინო ტყეები სრულიად შეუსწავლელი და მოუწყობელი იყო, მხოლოდ წვრილ-კუსტარულ სამრეწველო სამეშაოებს ჰქონდა ადგილი. მაგ. ჩერნალის ხეობაში წიფელისაგან მზადდებოდა შეშა, ყავარი და საკასრე ტკეჩები[121]. შავშეთ-იმერხევის ტყეებიდან ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობა ხე-ტყეს ყარსის ოლქში ასაღებდა[122].

1893 წ. გაზეთებში ყარა-შალვარ-ლიმანის ტყის გაყიდვის გამოცხადების შემდეგ მსხვილი საწარმოს შექმნის რამდენიმე მსურველი გამოჩნდა. 1894 წ. ქ. ლუბლინის ავეჯის ფაბრიკის მეპატრონემ ა. ლესელმა ითხოვა აღნიშნული ტყიდან გრეხილი ავეჯის დასამზადებლად წიფელის ხის ექსპლუატაციის ნებართვა 12 წლის ვადით. ამავე დროს აქვე კონცესიის დაარსების უფლებას თხოულობდა ბათუმის მეორე გილდიის ვაჭარი ანტონიო სალერნი, მაგრამ ხაზინა და კერძო პირები ვერ შეთანხმდნენ[123].

900-იანი წლებიდან ხე-ტყის რამდენიმე სამრეწველო სააქციო საზოგადოება დაარსდა: 1902 წ. „კავკასია—შავი ზღვის ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება“ შეიქმნა (1750 ათასი მან ძირითადი კაპიტალი), 1906 წ. ჩამოყალიბდა ინგლისური სააქციო გაერთიანება „ქუთაისის სამთო და სატყეო-სამრეწველო საზოგადოება“ (ძირითადი კაპიტალი — 150 ათასი გირვანქა სტერლინგი)[124],

---

[119] Н. С. Заклинский, Леса Абхазии, с. 25.

[120] Н. С. Заклинский, Леса Абхазии, с. 85.

[121] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 177, გვ. 65.

[122] Обзор Батумской области, Б. 1904, с. 17.

[123] ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 1984, ფურც. 15, 57.

[124] „ივერია“, 1904, № 181; ЦГИА СССР, 23, оп. 12, д. 119, л. 88, 106. საზოგადოებამ საექსპლუატაციოდ 30 წ. ვადით იჯარით აიღო შორაპნის მაზრაში, დაბა საჩხერეში, აზნაურების—აბაშიძეების, წერეთლებისა და სხვათა კუთვნილი წ. „ჭალის ტყეები“ (28836 დესს.).

„ტყეების ექსპლუატაციის ფრანკფურტის საზოგადოება“[125], 1911 წლიდან ამოქმედდა „გაგრის სატყეო-სამრეწველო-საექსპორტო სააქციო საზოგადოება“ და ამავე წლიდან დიდი სამუშაოები დაიწყო იტალიელების ლუიჯი და ატილიო სბროიავაკების „იტალიაში კავკასიის ხე-ტყის შემტანმა საზოგადოებამ“, რომელსაც ზემოთ უკვე შეეხეთ.

1916 წ. დასამტკიცებლად წარადგინეს ხე-ტყის სამრეწველოების ექსპლუატაციას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი და ამხარომელსაც კავკასიაში უნდა ემოქმედა[126].

წარმოებაში დაბანდებული კაპიტალის სიდიდითა და ჩატარებული სამუშაოების ფართო მასშტაბით ყურადღებას იპყრობს „გაგრის ტყის სამრეწველო-საექსპორტო საზოგადოების“ საქმიანობა, რომელმაც წინასწარ მოსამზადებელი, იმ დროისათვის გრანდიოზული სამუშაოები ჩაატარა. ზღვის ახლოს ააგეს კარგად მოწყობილი დიდი ქარხანა; ტყეში მდებარე მორების ძირითადი შემკრები სადგურიდან ქარხნამდე—5 ვერსზე—გაიყვანეს საბაგირო გზა: ქარხნის, კანტორისა და მოსამსახურეებისათვის ააგეს სხვადასხვა ნაგებობანი, ტყეებში გაიყვანეს მორების საზიდი გზა-ბილიკები: რამდენიმე ათეული ვერსის მანძილზე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს; მოამზადეს განძელების დიდი მარაგი; უფრო მაღალმთიან ტყეებში იტალიელმა ოსტატებმა გააკეთეს შვიდი ვერსის სიგრძის მორების დასაშვები ღარები, რომლის საშუალებით მასალა მთავარ შემკრებ სადგურში ჩადიოდა; ტყის ზედა უბანში ააგეს კანტორა და მოსამსახურეთა ბინები; ყველა სამუშაო უბანი ტელეფონით დააკავშირეს; 1911—1913 წწ. 100 ათასზე მეტი მორი დაამზადეს. წიწვოვანის გარდა, ფოთლოვანი ხის ჯიშებიც მზადდებოდა. გამონაკლისს შეადგენდა ბზა, წაბლი და ურთხმელი, რომელთა მოჭრა იკრძალებოდა.

1911 წ. საწარმოს კუთვნილი უძრავ-მოძრავი და დამზადებული პროდუქციის საერთო ღირებულება 7 მილ. მან.-ზე მეტი იყო[127].

მნიშვნელოვანი სიდიდის ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, ომის დაწყებისთანავე საწარმომ მუშაობა შეწყვიტა.

---

125 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1982, გვ. 70.

126 სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 649.

127 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 6, თბ., 1970, გვ. 70.

1917 წ. ხელშეკრულება გაუქმდა და საზოგადოების მთელი ქონება გაგრის კლიმატური სადგურის მფლობელობაში გადავიდა[128].

გაგრის ტყეების ექსპლუატაციას შედარებით მცირე სიდიდის კაპიტალის მფლობელი მრეწველები ეწეოდნენ, მაგ., როგორიც იყო სპინაკი. 1907 წ. მისმა ქარხანამ დაამზადა 471277 მან. ღირებულების მასალა[129].

XX საუკუნის დასაწყისში ჩვენს მიერ დასახელებულ სამრეწველო საწარმოთა გარდა ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეში ტყის ექსპლუატაციას ეწეოდა როგორც კერძო პირთა, ასევე ამხანაგობების კუთვნილი კაპიტალისტური საწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია ანანოვების მიერ ბაღდადის რაიონში აჯამეთის მუხის ტყეების ექსპლუატაცია, რომლითაც ისინი სარკინიგზო უწყებას ამარაგებდნენ[130]. თავიანთი კუთვნილი მამულიდან ანანოვების შემოსავლის მთავარი წყარო მევენახეობა-მეღვინეობის შემდეგ ხეტყის მრეწველობა იყო. სატყეო ადმინისტრაციის შემადგენლობაში 21 კაცი შედიოდა, ხე-ტყის დამზადებაზე კი ყოველდღიურად 200 კაცი მუშაობდა[131]. ომის წინა წლებში აქ ყოველწლიურად 15 000 ფუთი მხოლოდ მუხის განძელები მზადდებოდა. ომის წლებში მათი წარმოება ძალიან შემცირდა და 7000-მდე დაეცა. 1917 წ. კი მხოლოდ 3000 ფუთი დაამზადეს[132].

ქუთაისის გუბერნიაში, წაბლარის ხევის მიდამოებში, ალექსანდროვსკის მამულში საკასრე ტკეჩების დასამზადებლად წიფელს ჭრიდნენ[133]. ლანჩხუთისა და ჭალადიდის ახლოს ძირითადად საშეშე და ნაწილობრივ სამშენებლო მასალას ამუშავებდნენ ამხანაგობები: „დიდია და ქავთარაძე“, „დიდია და გობელია“, საზოგადოება „Золотое руно“ და სხვა[134]. რაჭის სახაზინო ტყის ექსპლუატაციას ეწეოდა რ. ყ. დათეშიძე. რაჭის კერძო ტყეების ექსპლუატა-

---

128 კ. მარქს-ს სახ. საჯარო ბიბ, ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/36; Закгрегер. Эксплоатация лесных богатств Закавказья, 1917, с. 99.

129 ЦГИА СССР, ф. 387, оп. 12, д. 53807, л. 202.

130 ა. ბენდიანიშვილი, კაპიტალისტური მეურნეობები საქართველოს სოფელში, „მაცნე“. 1968, № 1 გვ. 87.

131 იქვე, გვ. 89.

132 А. А. Долгушин. Леса Закавказья... с. 105.

133 რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/35, ფურც. 83.

134 А. А. Долгушин, Леса Закавк..., с. 60.

ციას კი წლების განმავლობაში წარმატებით მისდევდა პ. მოსეშვილი[135].

1915—1918 წწ. შორაპნის რაიონის ფარცხნალის წიფლის ტყის ექსპლუატაციას აწარმოებდა ქუთაისის მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამმართველო, რომელიც სამხედრო უწყებას (ძირითადად სარაყამიშის რკინიგზისათვის) ამარაგებდა სხვადასხვა მასალით: ფიცრებით, მორებით, განძელებით და სხვა. ქარხნიდან დამუშავებული მასალა სადგურ მარელისში მიდიოდა 13 ვერსის წყლის ღარით, რომელსაც ყოველდღიურად ორ ვაგონზე მეტი მასალის გატარება შეეძლო. საწარმო წარმატებით მუშაობდა.

1913—1914 წწ. ამავე რაიონში წერეთლების კუთვნილი ტყეების ექსპლუატაციას სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი და ამხანაგობა „ამიერკავკასიის ტყე" (მეეროვი) აწარმოებდა. მათ 7,5 ვერსზე გაიყვანეს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, ორ ვერსზე მორების საზიდი ღარი, ააგეს სახერხი ქარხანა და სხვა. მაგრამ ომის დაწყებამ მუშაობა შეაჩერა და მასალის მეტი წილი ტყეში გდებისაგან დალპა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა მეეროვისა და ხოროშის სამრეწველო საქმიანობა სადადიანო სვანეთში — ლაშხეთში. აქ დაბანდებული კაპიტალი ფაქტიურად დაიკარგა, დამზადებული მასალა გამოუყენებელი დარჩა[136]. სვანეთში მუშაობდნენ ხე-ტყის მრეწველები კოჩეტკოვი და კოგანი[137].

სენაკის მაზრის კერძო ტყეების ექსპლუატაციას 1900 წლიდან ეწეოდა ნავთის მრეწველი არამიანცი, ჯალალოვი, პოლეშჩუკი და სხვანი.

დასავლეთ საქართველოს ტყეებს იჯარით იძენდა ზღვისპირა ქალაქებში მოქმედი სავაჭრო ფირმები, როგორიც იყო ბათუმში ძმები ჩილინგარიანების სავაჭრო სახლი, ხე-ტყის სამრეწველო ამხანაგობის „სკოტ-ელიოტისა და კომპანიის" სავაჭრო სახლი. ამ უკანასკნელმ 1905 წელს ოზურგეთის მაზრაში, სურების ტყეში

---

[135] ქუთ. სცია, ფ. 183, საქ. 55, ფურც. 2—13 მოსეშვილმა 1912 წ. ივნის-სექტემბერში მდ. რიონზე, 130 ვერსის მანძილიდან, 5000 მორი დააცურა. 1912 წ. ქუთაისის გუბერნიის მრეწველებმა დააცურეს მარტო სამშენებლო მასალა დაახლ. 245 253 მორის რაოდენობით. მათ შორის ყველაზე მეტი — 100 000 მორი მდ. ცხენისწყალით სბროიევკამ დააცურა.

[136] А. Долгушин. Леса Закавказья..., с. 71.

[137] რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/49, ფურც. 10.

საწარმოს მოსაწყობად ოთხი სატყეო უბანი და მდ. სუფსის ნაპირზე ქარხნის გასამართად საჭირო 25 დესეტინა მიწა შეიძინა[138].

ხე-ტყის მრეწველობის განვითარებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა. სახაზინო ტყეებში გზების გაყვანა და მდინარეთა კალაპოტის გაწმენდა, რაც ძალზე დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვდა, ძირითადად მრეწველთა ხარჯზე ხდებოდა, ზოგჯერ ეს სამუშაო იჯარით გაიცემოდა[139].

დამზადებულ ხე-ტყის მასალას განსაკუთრებით გზის ხარჯები აძვირებდა. დამზადების ხარჯებთან მისი სარეალიზაციო ფასის შეფარდება 1:3—1:5 ან უფრო მეტი იყო, რაც დამზადების ადგილის სიშორის მიხედვით მერყეობდა. მთიანი ადგილიდან ხე-ტყის გამოტანის სიძნელის გამო, დამზადებიდან მის საბოლოო დამუშავებამდე დიდი დრო გადიოდა. მდინარის დახერგვის გამო მასალის მიღება ზოგჯერ მთელი წლით გვიანდებოდა, რაც მის ხარისხს მნიშვნელოვნად აქვეითებდა. გადაზიდვის ხარჯები მასალას იმდენად აძვირებდა, რომ ზოგჯერ ტყეში, ადგილზე ხელით დახერხვა, განსაკუთრებით რკინიგზისათვის საჭირო ძელებისა და განძელებისა, უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე მათი ქარხანაში მიტანა და დახერხვა. მრეწველის დანახარჯის მნიშვნელოვანი წილი მასალის დამზადებაზე და მის საწყობამდე გადაზიდვაზე მოდიოდა. აქედან ჩანს, რომ ტყის საზიდი გზები სავსებით მოუწესრიგებელი იყო. მთებში არსებული გზები მეტწილად გლეხური მოსახლეობის მიერ იყო გაყვანილი. გზების დიდ ნაწილს გლეხობა პატრონობდა[140].

90-იანი წლების დასაწყისში ზღვისპირა მხარის მთიან ადგილებში საქონლის საკვების სიმცირის გამო ხარ-კამეჩით მორების გადაზიდვა დღიურად გაცილებით ძვირად — 3 მან. ფასობდა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში, სადაც იგივე სამუშაო 1 მან. 50 კაპ. ღირდა[141]. უნდა აღინიშნოს, რომ მუშახელით მდიდარი დასავლეთ საქართველო გამწევი მუშა-საქონლით აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით ღარიბი იყო. სწორედ მოჭრილი მასალის ტყიდან ჩამოზიდვის სიძვირის გამო, ხშირად გასაყიდად გამზადებული ხე-ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუყენებლად ტყეში,

---

138 Указатель действующих в империи акционерных предприятий и торговых домов, СПб, 1905, т. 2, с. 359; სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. 1013, ფურც. 1—2.

139 «Лесной журнал», 1890, вып. 4, с. 635.

140 სსცია, ფ. 12, ან. 2 საქ. 818, ფურც. 25.

141 რესპ. ბიბლ., ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/48, გვ. 6. № 47/13.

ადგილზე რჩებოდა. მაგ., 1911 წ. სახაზინო ტყეებიდან დამზადებული მასალის ნახევარზე მეტი არ გაყიდულა. ასეთი მდგომარეობის გამო, ისე მცირე შემოსავალი შემოდიოდა, რომ ხშირად ეს თანხა ტყის მოვლა-პატრონობისათვის გაღებულ დანახარჯს ვერ ფარავდა. ამ მხრივ თბილისის გუბერნიაში უკეთესი მდგომარეობა ყოფილა[142].

XIX ს. 90-ანი წლებიდან დღის წესრიგში დადგა საცდელი სატყეო დაწესებულებების შექმნის საკითხი. ცენტრალური საცდელი სადგური აბასთუმანში უნდა გახსნილიყო. აქ უნდა გამოეკვლიათ და შეესწავლათ მზარდი ტყე, მისი ექსპლუატაციის ხერხები, მერქნის ტექნიკური თვისებები და სხვა. ეს პრობლემა ვერ გადაიჭრა. ტყის რაციონალური ექსპლუატაციის გეგმები ვერ შემუშავდა. სამუშაოები სტიქიურად მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა საქმის წარუმატებლობა.

1900 წ. მეტყევეთა საგუბერნიო ყრილობებზე იხილებოდა ტყეების ტაქსაციის საკითხი, რაც დროულად მოწესრიგებას საჭიროებდა. კავკასიის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და ქალაქებში: ბაქოში, ბათუმში, თბილისში, ფოთში და სხვაგან სამშენებლო მასალაზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდის პირობებში, 1886—1896 წწ. დადგენილი ფასები გადახალისებას მოითხოვდა. ფასების ცვალებადობაზე არა მარტო სამრეწველო ცენტრების ზრდა, არამედ თვით ტყეების მდგომარეობაც მოქმედებდა. ერთი მხრივ, გაიკაფა და მოისპო ქალაქებთან ახლოს მდებარე ტყეები, ამავე დროს თანდათან გაფართოვდა სამიმოსვლო გზები, მთის ბილიკები, სოფლის გზები. გაუმჯობესდა რკინიგზის ტვირთზიდვა, რამაც მოშორებული ბაზრები რკინიგზის ახლოს მდებარე ტყის მასივებს დაუახლოვა. ყველაფერი ეს ხე-ტყის ფასებს ცვლიდა. ონის, ბალდადის, ხულოს და სხვა სასოფლო ბაზრები ფასების მაჩვენებლად უკვე აღარ გამოდგებოდა.

ყრილობის წევრთა უმრავლესობის თვალსაზრისით ქუთაისის გუბერნიის სახაზინო ტყეების ღირებულების საზომად უნდა მიეჩნიათ ამიერკავკასიის რკინიგზის სხვადასხვა პუნქტებში (რომლებიც კასპიისა და შავიზღვის სანავსადგურო ქალაქებსა და ძირითად სამრეწველო ცენტრებს აერთებდნენ) არსებული ფასები[143].

1910—1913 წწ. ცხოვრების საერთო სიძვირის პირობებში, ტყის სატაქსაციო საკითხი კვლავ მოსაწესრიგებელი იყო. ამიერ-

---

142 А. А. Долгушин. Леса Закавказья... с. 123.

143 სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 292, ფურც. 50.

კავკასიის მთის ტყეების დამუშავების სიძნელის გამო მოხელეთა უმრავლესობა ფასების აწევის გადაჭრით მოთხოვნას უარყოფდა. მათგან ზოგიერთები იმასაც ფიქრობდნენ, რომ ხის ძირზე დაწესებული მაღალი ტარიფი ექსპლუატაციის ერთ-ერთი დამამუხრუჭებელი მიზეზი იყო. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ხაზინა მრეწველის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, მცირე გადასახადს ჯერდებოდა, როგორც ამას მაქსიმოვი იხდიდა. საერთოდ ამ საკითხის სწორად გადაჭრა ტყეების მოუწყობლობის, შეუსწავლელობის, უგზოობის პირობებში დიდ სირთულეებს აწყდებოდა და მისი მოგვარება იმ დროში, შეუძლებელი იყო.

ხე-ტყის ექსპლუატაციის გასაშლელად მხოლოდ ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინება არ კმაროდა. ტყის უდანაკარგო ათვისება არ ხდებოდა. იჭრებოდა მხოლოდ წიწვოვანი ჯიშები, ფოთლოვანი და კერძოდ წიფელის გადამწიფებული ტყეები აუთვისებელი რჩებოდა. ფოთლოვანი ხის ჯიშები მხოლოდ საკასრე ტკეჩებად და განძელებად გამოიყენებოდა. ბზა და კაკალი ნედლეულის სახით საღდებოდა. ტყეების ექსპლუატაცია ცალმხრივად ძიმდინარეობდა.

ტყის მრავალფეროვნებისა და მათი ტექნიკური თვისებების ნაკლებად ცოდნის გამო დიდი სირთულეები იქმნებოდა და სამრეწველო საწარმოები მეტწილად პრიმიტიულად ეწყობოდა, მოწინავე ტექნიკა ნაკლებად ინერგებოდა. სამრეწველო საწარმოს რაციონალურად მოწყობა და მექანიზაცია მსხვილ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვდა, რაც მაშინდელ პირობებში სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული.

ხე-ტყის ექსპორტს მნიშვნელოვნად ზღუდავდა ფრახტის სიდიდე, ნავსადგურების მოუწყობლობა, გემები ღია ზღვაში იტვირთებოდა. უამინდობის დროს გემების ხანგრძლივი შეჩერება დამატებით ხარჯებს მოითხოვდა, რაც ხის მასალის ექსპორტიორ მრეწველებს მძიმე ტვირთად აწვებოდა[144].

მიუხედავად იმისა, რომ სადაო ტყეების ფართობი საგრძნობლად შემცირდა, სახაზინო ტყის საზღვრები გაირკვა, ბაზრის მო-

---

[144] გაზ. «Кавказ», 1888, № 153, с. 2. 90-იანი წლებისათვის მაღალი ფრახტი მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა. მარკგრაფისა და დუნაევსკის დაანგარიშებით, როცა დას. საქართველოდან ხე-ტყის ექსპორტი წელიწადში 10 მლნ. კუბური ფუტით განისაზღვრებოდა, ფრახტის სიდიდე 1 650 000 მან. აღწევდა. სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 125, გვ. 135.

თხოვნილება და მასალის ასორტიმენტი დადგინდა, ზემოთ აღნიშნული დაბრკოლებების გამო მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა მუშაობა მაინც შეფერხებით მიდიოდა. მაქსიმოვისა და ბალაშოვის (ბაგრის) მსხვილი საწარმოებიც სერიოზულ სიძნელეებს წააწყდა. გაცილებით წარმატებით საქმიანობდნენ ადგილობრივი მრეწველები, რომლებიც არც თუ დიდი რაოდენობის კაპიტალს ფლობდნენ. მათი საშუალო და მცირე სიდიდის საწარმოები ძირითადად აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნებს. მათ მიერ დამზადებული მასალის გარკვეული ნაწილი საექსპორტოდ გადიოდა. ისინი უფრო ადვილად მისადგომი ტყის ექსპლუატაციას ეწეოდნენ, რასაც ძალიან დიდი კაპიტალდაბანდება არ სჭირდებოდა. როცა ერთ საექსპლუატაციო უბანში ტყის მარაგი შემცირდებოდა, სხვა ადგილზე ინაცვლებდნენ. წარმატების შემთხვევაში კაპიტალდაბანდებას ზრდიდნენ და მათი საქმიანობა უფრო ფართოდ იშლებოდა. მაგალითად. 1915—1916 წწ. ხე-ტყის მრეწველი რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძე, რომელიც ქუთაისში სახერხი ქარხნის, ხის მასალის საწყობებისა და უძრავ-მოძრავი ქონების მეპატრონე იყო, რაჭის სახაზინო ტყეების ექსპლუატაციას ეწეოდა და მამის, ყარამან დათეშიძის, დაწყებულ საქმეს მომგებიანად აგრძელებდა. ამ უკანასკნელის შესახებ საარქივო წყარო შემდეგ ცნობას გვაწვდის: „Отец которого основал лесное дело в г. Кутаиси в широких размерах и явился первым пионером по эксплоатации казенных лесов Рачинского и Багдадского лесничеств“... როგორც ვხედავთ, დათეშიძეები მემკვიდრეობით ხე-ტყის სამრეწველო წარმოებას საკმაოდ კარგად უძღვებოდნენ.

ზოგიერთები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხშირად რამდენიმე საწარმოს აარსებდნენ, საიდანაც ჩანს, რომ ისინი მსხვილი კაპიტალის ერთ ადგილზე დაბანდებას ერიდებოდნენ. ადგილობრივი მრეწველები კარგად იცნობდნენ მთის ტყეების ექსპლუატაციის სირთულეს. ხედავდნენ, რომ მათ განკარგულებაში არსებული ტექნიკის გამოყენებით დიდტანიანი მორების გამოტანა მთიდან და ხევებიდან შეუძლებელი იყო. ამ სიძნელეს შეძლებისდაგვარად გვერდს უვლიდნენ. მართლაც, ჩვენს მიერ განხილული უცხოური ფირმების დიდი მასშტაბის საწარმოებიდან ვერც ერთმა ვერ შესძლო დამზადებული მასალის ქარხნამდე მთლიანად გადაზიდვა. მოკრილი მორების დიდი ნაწილი ტყეში რჩებოდა. სწორედ ასეთი მდგომარეობის გამო ზოგიერთი ტყის მრეწველი ამიერკავკასიაში

წვრილ საწარმოს მოქმედებას უფრო რაციონალურად თვლიდა და უპირატესობას მას აძლევდა; თუმცა სატყეო საქმის მცოდნეთა დიდი ნაწილი მსხვილი მასშტაბის ტყის მრეწველობის მომხრე იყო და როგორც დავინახეთ საამისოდ სათანადო პროექტებსაც იმუშავებდა.

როგორც წარმოდგენილი მასალა გვიჩვენებს, რეფორმისშემდგომ ხანაში დასავლეთ საქართველოს ტყეების სამრეწველო ექსპლუატაციას მრავალი მეწარმე დაეწაფა, მაგრამ ხე-ტყის მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა (განსაკუთრებით უცხოური ფირმების) უმრავლესობა მალევე გაქრა.

მთის ზოლის ტყეებში საწარმოთა დაარსება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (მთიდან დიდტანიანი მორების გადაზიდვის სიძნელეები, უგზოობა, მდინარეთა დაუმორჩილებლობა, ტექნიკური ჩამორჩენილობა). ხე-ტყის მრეწველობის განვითარებას აფერხებდა ცარიზმის კოლონიური ეკონომიკური პოლიტიკა, ტყეების დაქუცმაცება მემამულეთა შორის და მასზე მათი უფლებების განუსაზღვრელობა, ტყეების გაუმიჯნაობა და მასთან დაკავშირებული დავა, სერვიტუტის არსებობა და სხვა.

საბოლოო ჯამში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და ქვეყანაში გამეფებულმა არეულობამ მრავალი საწარმოს დახურვა, მოსპობა კიდევ უფრო დააჩქარა.

ამიერკავკასიის ადგილობრივი საუწყებო დაწესებულებები, თუ სამრეწველო საწარმოები XIX ს. 80—90-იან წლებში ხე-ტყის მასალას დიდი რაოდენობით საზღვარგარეთიდან და რუსეთიდან, ხოლო XX ს. დასაწყისში, ომის წინა წლებში რუსეთიდან იღებდნენ.

დასავლეთ საქართველოს ტყეების მტაცებლურმა, უსისტემო და არარაციონალურმა ექსპლუატაციამ განსაკუთრებით მემამულეთა ტყეები მოსპო და გააუფასურა. სრულ გაჩეხვას ის ტყეები გადაურჩა, რომლებიც მიუდგომელი იყო, ან ვალებში ჩავარდნილ მემამულეთა მიერ ბანკში დაგირავებული და ხაზინის მეურნეობაში აღმოჩნდა. ხშირად მემამულენი, რომლებსაც გზასთან ან მდინარესთან მისასვლელი გზები ეპყრათ და ამით მათ მამულს გასაღების პუნქტების მიმართ მოხერხებული მდებარეობა ეჭირათ, მეზობლად მდებარე ტყის მეპატრონეებს ხე-ტყის გამოსატანად გზას არ აძლევდნენ. ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში ასე გადარჩა გაჩეხვას მდ. წაბლარისხევის მახლობელი ტყე — ერისთავების მამული და სახაზინო „საირმის“ ტყე, რომელთა პატრონებს მდინა-

რის შუაწელში მდებარე მამულის მფლობელი ალექსანდროვსკი გზას არ აძლევდა[145].

მემამულეთა ტყეებთან შედარებით, სახაზინო ტყეების საერთო მდგომარეობა უფრო უკეთესი იყო. ეს უკანასკნელი ზედამხედველობდა თავის უწყებაში შემავალ ტყეებს და ამ მხრივ გარკვეულ სამუშაოებს ატარებდა. ეს სამუშაოები, ცხადია, ძალიან უმნიშვნელო იყო. საკვლევი ხანის საქართველოს მაგალითზე მთელი სიცხადით დასტურდება კ. მარქსის ცნობილი დებულება, რომ „კულტურისა და საერთოდ მრეწველობის განვითარებამ იმთავითვე ტყეების ისეთი ენერგიული განადგურებით გამოიჩინა თავი, რომ ამასთან შედარებით ის, რაც მან ტყის შესანარჩუნებლად და გასაშენებლად გააკეთა. უსასრულოდ მცირე სიდიდეს წარმოადგენს"[146].

ტყის დაცვის საქმე საქართველოში განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო. რეფორმისშემდგომი ხანის პრესა თავის ფურცლებზე ხშირად აშუქებდა ტყეების განადგურებით შექმნილ მძიმე მდგომარეობას და მის შესაჩერებლად იბრძოდა. 1888 წ. 4 აპრილის კანონი ტყის დაცვის შესახებ კავკასიას არ შეხებია. თუმცა, ამის შემდგომ, როცა ტყეები მეტი სისწრაფით ნადგურდებოდა, რუსეთში ამ კანონს ირონიულად „Лесоистребительный"-ს უწოდებდნენ. საქართველოში მოქმედებდა ტყის დაცვის კომიტეტი, რომელსაც ნიადაგისა და კლიმატის დაცვისათვის საჭირო ტყეებზე უნდა ეზრუნა. ეს კომიტეტი უფრო სჯა-ბაასით იფარგლებოდა და პრაქტიკულ საქმიანობას ნაკლებად ეწეოდა.

ადგილზე მეთვალყურეობის სისუსტის გამო, ტყის დაცვის ელემენტარული წესები ფაქტიურად არ ტარდებოდა და ფორმალური ხასიათისა იყო. მაგალითად: სბროიავაკის საწარმოს მიერ ტყის გამანადგურებელი ჭრის შედეგად, ლენტეხის მთის ფერდობები გაშიშვლდა, რამაც ეროზიული მოვლენები, ნათესების და გზების ნგრევა-მოსპობა გამოიწვია. ამით შეწუხებული ადგილობრივი მოსახლეობა განუწყვეტლივ, ჯერ კიდევ ი. ოქრომჭედლიშვილის დროს, 90-იანი წლებიდან ჩიოდა. 1914 წ. შემოწმების დროს, სატყეო რევიზორმა ფიქენკომ მდინარის ნაპირებზე და ტყეში 100 000-მდე უპატრონოდ დაყრილი მორი აღრიცხა. სატყეო კომიტეტმა მრეწველებს ლენტეხის ტყის მოჭრა აუკრძალა, მაგრამ ამ საკითხზე დავა დიდხანს არ შეწყვეტილა (1910—1915 წ. წ.). ან რა წესე-

---

145 ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/1.

146 კ. მარქსი, კაპიტალი, 2, თბ., 1957, გვ. 304.

ბის დაცვაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როცა დადიანსა და სბროიავაკს შორის დადებული ხელშეკრულების II და XII მუხლებით, მრეწველს ყველა ვარგისი ხის მოჭრის ნება ეძლეოდა. მათი რაოდენობა არ ისაზღვრებოდა, რადგან მასალის დიდი რაოდენობით დამზადება ორივე მხარის ინტერესებში შედიოდა. აღნიშნული მუხლებით კონტრაგენტს თავისი შეხედულებისამებრ, სადაც უნდოდა და რა რაოდენობითაც სურდა, იმდენი ხე-ტყე შეეძლო დაემზადებინა[147]. ცხადია, სატყეო მეურნეობის წესებსა და კანონებს არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. იგივე მეორდებოდა სხვა შემთხვევებშიც. ტყის უთავბოლო გაკაფვის გარდა, ადგილზე რჩებოდა მოჭრილი, გამხმარი, ჭიანაჭამი ნაყარი ხეები, რაც ტყეს აზიანებდა, ხეების ნორჩ ცვლას სპობდა და ხშირად ხანძარს იწვევდა.

1914 წ. 23 მარტს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა კანონი, რითაც მთელს ამიერკავკასიაში ტყის დაცვის კანონი სრულად უნდა გატარებულიყო. დას. საქართველოში მისი განხორციელება ქუთაისის ტყის დაცვის კომიტეტს დაევალა.

სატყეო მეურნეობისა და ტყის ექსპლუატაციის სწორად წარმართვა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. საქართველოს უმნიშვნელოვანესი ტყის მასივები ნიადაგის დაცვის, საკურორტო ან ნაკრძალ ზონად გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლებამ ტყეების კვლავ მოსაშენებლად გრანდიოზული სამუშაოები ჩაატარა, რომლის შედეგი დღეს ჩვენს თვალწინაა გადაშლილი — საქართველოს მთა-ველებზე ნორჩი ტყეები შრიალებენ.

---

[147] ЦГИА СССР., ф. 387, оп. 28, д. 2109, л. л. 1, 30.

თავი II

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა

XIX საუკუნის ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო და დააჩქარა საქართველოს შემდგომი სამრეწველო განვითარება. მეფის ხელისუფლებამ საგლეხო რეფორმის გატარებისას მაქსიმალურად დაიცვა პრივილეგირებული ფენების ინტერესები. ამ გარემოებამ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, განაპირობა რეფორმის შემდგომ ხანაში ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთების შენარჩუნება.

საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ ფეოდალური კლასი კვლავ მსხვილ მიწათმფლობელად დარჩა, მაგრამ ამავე დროს საქართველოში რეფორმის შედეგად ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდა 75 565 კომლი გლეხი, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა[1]. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმამ მშრომელი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა, დასავლეთ საქართველოს გლეხებმა დაკარგეს კუთვნილი მიწების 1/3 ნაწილი, ბატონყმობისაგან გათავისუფლებული გლეხების საერთო რაოდენობიდან სრულიად უმიწოდ დატოვეს 4 000 კომლი, მას მაინც დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა[2].

მიწის მცირე ფართობითა და უმიწოდ დარჩენილი გლეხობა იძულებული გახდა იჯარით აეღო მიწის ნაკვეთი ან შემოსავლის სხვა წყარო გამოენახა, ან კიდევ დაეტოვებინა სოფელი და საკუთარი თავისა და ოჯახის გამოსაკვებად სამუშაოს საძებნელად სხვაგან წასულიყო.

---

[1] И. Г. Антелава. Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария. К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, с. 36.

[2] ა. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში, 1890—1917, თბ., 1965, გვ. 7.

არასრულყოფილი და არათანამიმდევრული ხასიათის მიუხედავად, საგლეხო რეფორმამ გზა გაუხსნა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას და ქვეყნის შემდგომ სოციალ-ეკონომიკურ დაწინაურებას. სასაქონლო-ფულადი და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება დიდ ცვლილებებს იწვევდა გლეხურ მოსახლეობაში, აჩქარებდა მათი დაშლის პროცესს, რის შედეგადაც თანდათან უფრო მეტი რაოდენობით იესებოდა კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

საგლეხო რეფორმის გარდა მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს სარკინიგზო მშენებლობა წარმოადგენდა. მან მთელი რიგი დარგების აღმოცენება გამოიწვია და განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაზე. გარდა იმისა, რომ რკინიგზამ მიმოსვლა, ტვირთზიდვა გააადვილა და ქვეყნის შორეული კუთხეები ერთმანეთს დაუკავშირა, თვით სარკინიგზო უწყება დიდი რაოდენობით ხე-ტყის მასალის უშუალო მომხმარებელი გახდა.

საგლეხო რეფორმის გატარებამ, რკინიგზების გაყვანამ სასაქონლო წარმოების შემდგომი გაფართოება გამოიწვია, რასაც თან მოყვა ქალაქებისა და ვაჭრობა-მრეწველობის ზრდა-განვითარება.

რეფორმამდელ საქართველოს სამრეწველო განვითარებას მრეწველობის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა ახასიათებდა[3]. ამ ნიშნით განსაკუთრებით ხის დამმუშავებელი მრეწველობა გამოირჩეოდა. აქ მანქანურმა წარმოებამ მხოლოდ სახერხი ქარხნები მოიცვა. წვრილი კაპიტალისტური წარმოების მსხვილ წარმოებაში გადაზრდა საწარმოთა შემდგომი გაფართოების გზით, შრომის დანაწილების შემოღებით და მანქანური ტექნიკის დანერგვით, საქართველოსათვის არ იყო დამახასიათებელი. მსხვილი კაპიტალისტური წარმოება უპირატესად სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელთა მიერ შედარებით მსხვილ საწარმოთა დაარსების გზით ვითარდებოდა. ამ საქმეს ხშირად ხელს ჰკიდებდნენ მსხვილი მოხელეები და თავადაზნაურობის წარმომადგენლები, რომელთაც ხშირად ხაზინა ეხმარებოდა[4]. ეს კარგად ჩანს დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნების მაგალითზეც.

---

[3] ე. ხოშტარია, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში. I, თბ., 1966, გვ. 105.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, თბ., 1970, გვ. 382.

დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობაში მანქანური ტიპის საწარმოთა გვერდით არსებობას განაგრძობდა მრეწველობის მარტივი ფორმები — ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, რომლებშიც გლეხური მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა იყო დასაქმებული.

§ I — მრეწველობის მარტივი ფორმები

საქართველოს მრავალფეროვანი ტყეებით მდიდარ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც უხსოვარი დროიდან ფლობდა ხის დამუშავების ხალხურ წესებს, მის მაღალ ოსტატურ ხელოვნებას, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ხისაგან კვლავ მრავალგვარ ნაწარმს ამზადებდა. აქ შედიოდა როგორც საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სხვადასხვა ინვენტარი და ჭურჭელი, ასევე მრავალგვარი სხვა საყოფაცხოვრებო საგნები. მაგარი ჯიშის ხისაგან (შინდი, ბზა) მზადდებოდა: კოვზი, სათუთუნე, ჩიბუხი, შალაშინის ბუდე, მანა, მარგილი, ბორბლის ღერძი, ურმის ცალკეული ნაწილები და ა. შ.[5].

სოფლად გავრცელებული ოჯახური მრეწველობა და ხელოსნობა, რომელსაც გლეხობა სამიწათმოქმედო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს ნისდევდა, ფაბრიკულ-ქარხნული ნაწარმის გავრცელების კვალდაკვალ თავის ადრინდელ მნიშვნელობას კარგავდა და მათი მოქმედების ფარგლები თანდათან ვიწროვდებოდა. ეს სარეწები უმთავრესად ისეთ საგანთა დამზადებას ეწეოდნენ, რომლის მსგავსს ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება არ უშვებდა და რომელიც მხოლოდ რომელიმე კუთხისათვის იყო დამახასიათებელი, ან დასახლებული ადგილის მივარდნილობის და უგზოობის გამო ქალაქიდან შემოტანილი მზა პროდუქცია იქ ძნელად აღწევდა. მაგალითად, ხის დამუშავების დარგში შემცირდა ძველებური მოჩუქურთმებული ავეჯის, ზოგიერთი სამეურნეო იარაღის, ხის ჭურჭლისა და სხვათა დამზადება; დარჩა და შედარებით გაფართოვდა საზიდავების, ურმების, ბორბლების დამზადება, საწნახლების კეთება, კალათების წვნა; შეიქმნა და გადიდდა ეტლების, კასრების წარმოება დს სხვა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან ფაბრიკულმა მზა პროდუქციამ ჯერ შეავიწროვა და შემდეგ კი საქართველოს მრავალი კუთხიდან

---

[5] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ა/კ ეკონომიკური განვითარება XIX—XX ს. ს., თბ., 1963, გვ. 393.

სრულიად განდევნა ადგილობრივი ხის ჭურჭლის წარმოება. მას კონკურენციას უწევდა და ბაზრიდან აძევებდა იაფი, ლამაზი, მსუბუქი და მოხერხებული ფაბრიკული ჭურჭელი, რომელიც უფრო მეტად რუსეთის შიდა გუბერნიებიდან შემოდიოდა. 1888 წ. ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხულია ხის ჭურჭლის მკეთებელი 300 ხელოსანი[6]. მათი უმრავლესობის წლიური შემოსავალი 25—30 მან. შეადგენდა[7]. 1887 წლის ცნობით რაჭის მაზრის სოფ. სადმელისა და ოზურგეთის მაზრის სოფ. ბასილეთის ხარატები თავის ნახელავში ძალზე მცირე საფასურს იღებდნენ. მაგალითად, მათ მიერ დამზადებული სანაყი ბაზარზე 15—20 კაპიკად იყიდებოდა, ფიალა — 5—10 კაპ. კოვზი — 3—5 კაპიკად[8].. მათი წარმოება დროთა მსვლელობაში თანდათან იკვეცებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოს ყველა კუთხეში. მაგალითად, ბათუმის ოლქში ისე შემცირდა ხისაგან ჭურჭლის დამზადება, რომ ბოლოს აქ მხოლოდ ხის უბრალო ჯამები კეთდებოდა. ადრე კი აქაური ნაწარმი არა მარტო ადგილზე, არამედ საქართველოს უფრო შორეულ ადგილებშიც იყიდებოდა[9].

ხის ჭურჭლის დამზადება, მასზე მოთხოვნილების შემცირების შედეგად, როგორც გლეხის დამხამარე საქმიანობა, თანდათან კარგავდა მნიშვნელობას და XIX ს. ბოლოდან ხელოსნობისა და შინამრეწველობის მიმოხილვისას, მის წარმოებას უბრალოდ, ყოველგვარი განმარტებისა და დამატებითი ცნობების გარეშე ეხებოდნენ. ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვებში მის შესახებ მოკლედაა აღნიშნული: „Местами выделываются деревянная и глиняная посуды и проч., но все предметы кустарного промисла производятся в ограниченном количестве ...и сбываются лишь в ближайших торговых рынках.„[10]

---

[6] ამასთანავე დას. საქართველოში წნული ჭურჭლის წარმოება ფართოდ იყო გავრცელებული და დიდხანს შემორჩა, რაც სავაჭრო მეხილეობის ზრდით იყო გამოწვეული. 1888 წ. ამ საქმეს 2 633 კაცი მისდევდა, 1926 წ. კი — 6 000 შინამრეწველი. პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX ს. ს., V, თბ., 1962, გვ. 394; კ. მარქსის სახ. რესპ. სახ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. 55/54.

[7] სსცია, ფ. 12, ან I, საქ. 733, ფურც. 5.

[8] საისტორიო მოამბე, თბ, 1956, 9, გვ. 100; ამავე მიზეზით დაეცა სოფ. თედულეთში ზანდუკის წარმოება, რომელიც ოდესღაც დაწინაურებული ყოფილა.

[9] ი ქ ვ ე.

[10] საცია, ფ-12, ან. 1, საქ. 136, 1883წ., ფურც. 6; ფ. 13 ან. 1, საქ. 112, 1912 წ., ფურც. 20.

ფაბრიკულმა ნაწარმმა ასევე განდევნა ხის სავარცხლების დამზადება, რომელსაც განსაკუთრებით გურიაში მისდევდნენ. XIX საუკუნის შუა ხანებში აქ დაახლ. 10000-მდე სავარცხელი მზადდებოდა. შემდგომ კი მისი რაოდენობა უფრო შემცირდა[11].

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ცალკეული კუთხისათვის დამახასიათებელ საგნებს შინამრეწველი გლეხი არა მარტო თავის მოსახმარად, არამედ გასაყიდადაც ამზადებდა, ცხადია, შედარებით მცირე რაოდენობით. ასეთი იყო მაგალითად, ურემი, საწნახელი თუ სხვადასხვა სამეურნეო ჭურჭელი და იარაღი, რამაც საქართველოს პროვინციებში დიდხანს შეინარჩუნა არსებობა.

XIX ს. 90-იან წლებში რაჭის სოფლებში ამბარში, ლიხეთსა და ურავში ურმებს ხელოსნები ამზადებდნენ. მასალად ხმარობდნენ: წიფელს, ცაცხვს, ნაძვსა და ფიჭვს. ბორბლები უმეტესად ცაცხვისა და ნეკერჩხლისაგან მზადდებოდა. თითო ბორბალი 60—70 კაპიკად იყიდებოდა. ბორბლის სიიაფე ადგილზე ხის მასალის სიუხვით აიხსნებოდა. ამავე დროს მაგ., ხონის რაიონის სოფელ კუხში მარტო თვლები 7-დან 12 მანეთამდე ღირებულა, ზედსადგარი კი 10-დან 15 მანეთამდე. ტყეების მოსპობისა და მასალის გაძვირების გამო ბოლო ათი წლის განმავლობაში ფასები ორმაგად გაიზარდა. ამავე ცნობით სოფ. კუხში ყოფილა 20 ხურო, 20 თვლების მკეთებელი, 6 მჭედელი; სოფ. ივანდიდში—16 ხურო, 5 თვლების მკეთებელი, 6 მჭედელი, გუბში—15 ხურო, 20 თვლების მკეთებელი და მჭედელი. ირკვევა, რომ ისინი ამ ხელობას მეტწილად მინდვრის სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს ეწეოდნენ, გარდა თვლების მკეთებლებისა, რომლებიც წლის განმავლობაში ამზადებდნენ თვლებს შეკვეთის გარეშე[12]. რადგან ისინი მთელი წლის მანძილზე შეკვეთის გარეშე მუშაობდნენ და ბაზარზე გასატანად ამზადებდნენ საქონელს, ჩანს, რომ ამ ხელოსნებს სამეურნეო სამუშაოებისათვის თავი დაუნებებიათ და მათი ძირითადი საქმიანობა მებორბლეობა გამხდარა. როგორც ეთნოგრაფიული მასალების მიხედვითაც ირკვევა, „გასული საუკუნის 90-იან წლებში ურმის ხელოსნობა ჯერ კიდევ არ ყოფილა ყველგან საკუთრივ გამოცალკეებული, არამედ იგი შეთავსებული იყო ძირითად სამეურნეო საქმიანობასთან“[13].

---

11 სსცია, ფ. 16, საქ. 8093, ფურც. 15.

12 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956, გვ. 115.

13 იქვე.

აჭარელი შინამრეწველი გლეხები გასაყიდად ამზადებდნენ ხის ნავებს. ეს სამუშაო ძალზე შრომატევადი იყო. მაგ., XIX ს. 90-იან წლებში ამ საქმიანობას მისდევდა ბათუმთან ახლოს მდებარე სოფელ კაფანდიდში მცხოვრები გლეხობა. ისინი, მდინარე ჭოროხზე სანაოსნოდ, საკმაოდ მოხერხებულ ნავებს ამზადებდნენ. ერთი ნავის დასამზადებლად ერთი ხელოსანი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა, თუ მას საჭირო მასალა წინასწარ მომზადებული ჰქონდა. ხის მასალის ღირებულების ჩათვლით ნავის დამზადება ხელოსანს 40 მან. უჯდებოდა, მისი საბაზრო ფასი კი 80—100 მან. შეადგენდა[14]. ალბათ, ხელოსანთა უმეტესობა ამ სამუშაოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს ასრულებდა და იგი მათი დამატებითი შემოსავლის წყარო იყო.

საქართველოში დიდხანს შემორჩა გლეხური შინასარეწები. ისინი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშიდაც განაგრძობდნენ არსებობას, რის შესახებაც აღნიშნულია: „ხის დამუშაებასაც ფართო ალაგი უჭირავს და დიდმნიშვნელოვანია: სასოფლო-სამეურნეო იარაღი — გუთანი, აჩაჩა, ფარცხი, ნიჩაფი, ფიწალი, კევრი, არნადი, ფოცხი, ნამგლის, დანის და სხვათა ტარი; საოჯახო გლეხკაცის ავეჯი-სავარძლები, ტახტი, სკამი, წალდები, კიდობანი, სკივრი, ვარცლი, თაბახი, ჯამი და ბევრი სხვა შინამრეწველობის წყალობით მზადდება და დღესაც აკმაყოფილებს გლეხკაცის საოჯახო და მის მეურნეობის მოთხოვნილებას“. დასავლეთ საქართველოში ამ საქმიანობით დაკავებული ყოფილა 2 585 კომლი ანუ 6 000-მდე მომუშავე[15].

XIX ს. II ნახევრიდან ხელოსნური წარმოების წვრილ საქონლურ წარმოებად გადაქცევის პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობდა. ხელოსანი შეკვეთით მუშაობიდან ბაზრისათვის საქონლის

---

[14] Батум и его окрестности, Батум, 1906, с. 362. მასალად თხმელა და წაბლი გამოიყენებოდა, რომელსაც ყარაშალვარისა და ბეღლევანის სახაზინო ტყეებიდან აიღულობდნენ. ნავის ძირი თხმელისაგან მზადდებოლა, დანარჩენი ნაწილები კი წაბლისა იყო. ნავის სიგრძე — 5—7 საჟენი, იყო, სიგანე — 2,5 არშინი, სიღრმე — 2 არშინამდე ნავი მდინარის მიმართულებით 150—300 ფუთამდე ტვირთს ეზიდებოდა, დინების საპირისპიროდ — 100 ფუთამდე. თითო ნავს ოთხი კაცი მართავდა. იგი 3—7 წელი ძლებდა, რის შემდეგაც მნიშვნელოვან შეკეთებას საჭიროებდა. ამგვარი ნაევების საშუალებით ტვირთის გადაზიდვით და მგზავრების გადაყვანით დაკავებული იყო ართვინის ოკრუგის 9 სოფლის და ბათუმის ოლქის 14 სოფლის მცხოვრები გლეხობა.

[15] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 55/54, „შინამრეწველობის მდგომარეობა საქართველოში და მისი მნიშვნელობა“, 1926, გვ. 4—9.

თავისუფალ წარმოებაზე გადავიდა. შექმნილი მდგომარეობა დაქირავებული მუშების მეტი რაოდენობით გამოყენებას მოითხოვდა, რაც კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდის მომასწავებელი იყო. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ამ პერიოდში „წვრილი სასაქონლო წარმოების ტენდენცია იხრება დაქირავებული შრომის სულ უფრო მეტად გამოყენებისაკენ, კაპიტალისტური სახელოსნოების შექმნისაკენ“[16].

სახელოსნოთა გამსხვილება ისეთ მზარდ დარგებში შეიმჩნეოდა, რომელთა ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო. გაჩნდა ხელოსნობის ახალი დარგებიც, მაშინ როცა ზოგიერთი ძველი დარგი სრულიად მოისპო ან შემცირდა[17]. გარდა ამისა, თვით ერთი და იგივე სახის საგანთა დამამზადებელ სახელოსნოებს შორის მიმდინარეობდა კონკურენცია. ეს იწვევდა რიგ სახელოსნოთა მოსპობას ან შემცირებას და ზოგიერთების გადიდებას. ამის შესაბამისად, ხელოსნობის დაშლის პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. ხელოსანთა დიდი ნაწილი პროლეტარიატის რიგებს ავსებდა, მცირე ნაწილი კი ახერხებდა კუთვნილი საწარმოს გადიდებას და დაქირავებული მუშახელის უფრო ფართოდ გამოყენებას[18]. ხის დამუშავების დარგში შედარებით მზარდ სახელოსნოებს წარმოადგენდა: კასრების, სადურგლო, ეტლების, საზიდავების, ბორბლებისა და სხვათა დამამზადებელი სახელოსნო-საწარმოები.

1894 წელს ქუთაისის გუბერნიის ხელოსნურ წარმოებაში აღირიცხება: ოსტატი — 6 292, ქარგალი — 3 456, შეგირდი — 3.396. მათ შორის ხის დამმუშავებელი ხელოსნებიდან იყო: ოსტატი — 2.406, ქარგალი — 1.196, შეგირდი — 727. აქ შედიან ხეროები, დურგლები, მეეტლენი, მეკასრენი, მებორბლენი და მხერხავნი, რომელთა შორის ყველაზე რიცხვმრავალი ხეროებია (1.492)[19].

სამშენებლო სამუშაოების გაშლა-გაფართოებასთან დაკავშირებით ხეროების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. XIX ს. ბოლოსა და XX საუკუნის წყაროებში ყველგან ხაზგასმულია, რომ „Из ремесленного рода более развито столярно-плотничное ремесло.“[20]

---

[16] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოც. IV, ტ. 31, გვ. 404.

[17] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 331.

[18] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX—XX ს. ს., II, 1959, გვ. 49; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, 1972, გვ. 46.

[19] Обзор Кутайсской губернии за 1894 год, 1895, с. 23.

[20] სსცია, ფ. 12, ან. 1, საქ. 512, გვ. 21.

არასრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები ხელოსანთა რაოდენობისა და საქმიანობის შესახებ ნათელი სურათის შექმნას ართულებს. გუბერნიის მიმოხილვებსა და ანგარიშებში დართულ ცხრილებში მოცემულია ხელოსანთა საერთო რაოდენობა, სადაც სახელოსნოებში გაერთიანებული მომუშავეების გარდა, შედიან საშოვარზე გასული, მაგ., მშენებელი ხელოსნები: ხუროები, დურგლები, მხერხავები, რომლებიც დაქირავებული მუშა-ხელოსნების სრულიად განსხვავებულ ჯგუფს ქმნიან. ზემოთ მოტანილ ციფრობრივ მონაცემებში სწორად ამის გამოა ასე შემცირებული შეგირდების რიცხვი, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ეს აღრევა ყოვლად მიუღებელია, რადგან მშენებელი მუშების მასა ეკუთვნის არა დამოუკიდებელ მრეწველთა კატეგორიას, რომლებიც მომხმარებელთა დაკვეთით მუშაობენ, არამედ დაქირავებულ მუშებს, რომლებსაც მოიჯარადრეები ამუშავებენ“[21].

დასავლეთ საქართველოს ქალაქებიდან ხელოსნური წარმოება ყველაზე მეტად ქ. ქუთაისში იყო განვითარებული. 1886 წელს აქ 900-ზე მეტი ხელოსანი ითვლებოდა და ქალაქის 25 მცხოვრებზე ერთი ხელოსანი მოდიოდა[22]. ქუთაისში 2—4 მუშიანი სახელოსნოები სახელოსნოთა მთლიანი რაოდენობის 58% შეადგენდა[23].

1886 წ. სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა გენერალური აღწერის მონაცემებით დასავლეთ საქართველოში ხის დამმუშავებელი 108 სახელოსნოა აღრიცხული[24]. სასოფლო ცენტრებსა და დაბებში გაფანტულ სახელოსნოებში მეტწილად 1—2 დაქირავებული მუშა იყო. ქალაქებში — ქუთაისში, ბათუმში და ფოთში უფრო მეტად 3—5 მუშიანი სახელოსნოები ჭარბობდა, რომელთა შორის სიმრავლით სადურგლოები გამოირჩეოდნენ. მაგალითად, ქუთაისში ხის დამმუშავებელი 27 სახელოსნოდან 21 სადურგლო სახელოსნო იყო, მათ შორის 4 ეტლებისა და ორი კასრების დამამზადებელი. უფრო მსხვილი საკასრე სახელოსნოები ბათუმში იყო, რომლებიც 1886 წლიდან მანუფაქტურულ საწარმოებად გადაიზარდა. მთლიანად ქალაქში 14 სახელოსნოა აღწერილი, საიდანაც ორი კასრების შემკეთებელ სახელოსნოს შეადგენდა. მათგან ერთში 10 მუშა, ხრლო მეორეში 4 დაქირავებული მუშა იყო.

---

[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 384.
[22] საისტორიო მოამბე, 1956, 9, გვ. 106.
[23] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება... გვ. 86.
[24] სსცია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1508.

ქ. ფოთში 8 ხის დამმუშავებელი სახელოსნოა აღრიცხული.

სახელოსნოთა მთლიანი რაოდენობიდან 49 ქალაქებში იყო, 69 სახელოსნო კი დაბებსა და სოფლებში[25]. ისინი მომსახურეობას უწევდნენ არა მარტო ერთ სოფელს, არამედ მთელს მაზრასაც[26].

სახელოსნოთა მეტი წილი სამრეწველო ცენტრებიდან დაშორებულ დაბა-სოფლებში იყო გაფანტული, სადაც ისინი უფრო მეტ მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ. ქალაქში მოქმედი წვრილი სახელოსნოები მსხვილ საწარმოთა მიერ გაწეული კონკურენციის შედეგად მეტ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ და მათი უპირავლეობა ამ ბრძოლაში სწრაფად ისპობოდა. წვრილი სახელოსნოების საერთო რაოდენობის შემცირების დროს, ზოგიერთმა მათგანმა, რომელმაც გაუძლო საკონკურენციო ბრძოლას, არა მარტო შეინარჩუნა არსებობა, არამედ უფრო გაადიდა და გაფართოვა თავისი მოქმედების არე და შედარებით მსხვილ სახელოსნოდ გადაიქცა.

1900 წლის საწარმოთა აღრიცხვაში მოხვედრილია უფრო მსხვილი სახელოსნოები. მისი მიხედვით ქ. ქუთაისში მოქმედებდა ავეჯის 1 სახელოსნო 10 მუშითა და 5.000 მანეთის წლიური პროდუქციით. 1900 წ. ქ. ქუთაისში აღრიცხულია ეტლების დამამზადებელი 5 საწარმო 80 მუშით და 40.000 მან. პროდუქციით. ზუსტად ამდენივე ეტლების საწარმოებია ქ. ბათუმშიც[27]. თითოეულ საწარმოზე მოდის 16 მუშა და 8.000 მან. წლიური პროდუქცია, როგორც ქუთაისის, ასევე ბათუმის ეტლების მკეთებელი საწარმო შრომის დანაწილებას ეყრდნობოდა და მანუფაქტურებად წარმოგვიდგება.

ხელოსნურ წარმოებას ფაბრიკული ნაწარმი სულ უფრო ავიწროებდა. მაგ., 1903 წ. ქ. ბათუმში მოქმედებდა 6 სავაჭრო დაწესებულება, რომელიც შემოტანილი ავეჯით ვაჭრობდა და თითოეულის წლიური ბრუნვა 4—15 ათასი მანეთის ფარგლებში მერყეობდა, მაშინ როდესაც ადგილობრივად დამზადებული ავეჯით მხოლოდ ორი სავაჭრო მოქმედებდა 3—5 ათასი მანეთის წლიური ბრუნვით[28].

თუ ერთი მხრივ, მზარდი სახელოსნოები დაქირავებულ მუშათა მეტ რაოდენობას იყენებდნენ, მეორე მხრივ, წვრილ სახე-

---

25 სსცია, . 254, ან. 3 საქ. 1508, ფ. 3, 112—182, 792—963, 886—1195.

26 საქ. ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 378.

27 საისტორიო მოამბე, თბ., 1945, 1, გვ. 266—267.

28 Батум и его окрестности.., с. 409, 6414.

ლოსნოთა უმრავლესობის მოსპობა-დახურვის შედეგად, აქ მომუშავე ხელოსანთა დიდი ნაწილი იშლებოდა და მათი უმეტესობა ფაბრიკა-ქარხნების ან სხვა კაპიტალისტური სარეწავების დაქირავებულ მუშებად იქცეოდნენ.

განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება მშენებელ მუშა-ხელოსნებზე: ხუროებზე, დურგლებზე და მხერხავებზე; ქალაქებში მშენებლობათა ზრდასთან ერთად მათი ნაწილი სოფლებიდან ქალაქად სამუშაოდ მიედინებოდა. „ადგილობრივი ხელოსანი იქცევა საშოვარზე წასულ მუშად, რომელსაც ქირაობს მეწარმე-მოიჯარადრე: ეს უკანასკნელი თანდათან ძვრება მომხმარებელსა და მწარმოებელს შორის და ნამდვილ კაპიტალისტად იქცევა“[29]. ამგვარ მუშა-ხელოსანთა რიცხვი განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ ხანაში გაიზარდა. 1868 წ. საშოვარზე წასულ ხელოსანთა დიდი რაოდენობა ამარაგებდა არა მარტო ქუთაისის, არამედ თბილისის გუბერნიასაც[30]. ხელოსანთა უმრავლესობა გარე სამუშაოზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისაგან თავისუფალ დროს მიდიოდა. მათ შორის რაჭიდან წამოსული მუშახელი ჭარბობდა. ისინი მცირემიწიანობის გამო დამატებით სამუშაოს ეძებდნენ ან სრულიად ტოვებდნენ თავის კუთხეს და ქალაქის მუშა-ხელოსანთა რიგებს ავსებდნენ.

XIX ს. 80-იან წლებში რაჭის სოფლების სახელმწიფო გლეხების საქმიანობის გამოკვლევის მიხედვით, ყველა სხვა ხელოსანთა შორის ხუროები და მხერხავები ჭარბობდნენ. ხუროთა რაოდენობა იყო — 562 კაცი, მხერხავები — 748, მჭედლები — 84, დურგლები — 20 და ა. შ. ხუროთა უმეტესობა სოფელ ნიკორწმინდიდან ყოფილა (250 კაცი). ამავე საბუთის მიხედვით ნიკორწმინდის სოფლის საზოგადოების გლეხობის მიმართ აღნიშნულია, რომ „მხერხავებისა და ხუროების ნაჩვენები რაოდენობა მხოლოდ საქმის ნამდვილ ოსტატებს ეხება, რომლებიც სამუშაოს ყოველწლიურად თავისი ხელობით შოულობენ. თუ ყველას ჩავთვლით... არის სოფლები, რომლებიც მთლიანად მხერხავებისა და ხუროებისაგან შედგება;“[31]. ამ მძიმე სამუშაოს ანაზღაურება, სხვა ხელობებთან შედარებით, უკეთესი ყოფილა. ისინი წელიწადში 100 მანეთამდე და ზოგჯერ მეტსაც გამოიმუშავებდნენ. ხუროს დღიური ხელფასი

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 628.
[30] სსცია, ფ. 17, საქ. 8977, გვ. 143.
[31] საისტორიო მოამბე, 9, 1956, გვ. 100.

120—180 კაპ. ეძლეოდა. მხერხავის გამომუშავება უფრო დაბალი იყო, იგი ერთი საათის სამუშაოში, დასახერხი ხის სიმაგრის მიხედვით, 4—6 კაპ. იღებდა[32].

სამუშაოდ წასული ხელოსნები ხშირად არტელებად ერთიანდებოდნენ. ისინი თავის შრომას ღღიურად ან გარკვეული ვადით აქირავებდნენ. ზოგჯერ, არტელებად გაერთიანებულნი, თვითონვე ყიდულობდნენ ხე-ტყეს, ჭრიდნენ, მორებად ხერხავდნენ და სახლის, საბძლის, სასიმინდესა და სხვა სამეურნეო თუ საცხოვრებელი ნაგებობის მასალას გასაყიდად ამზადებდნენ. თითოეულის გამომუშავება, რაც დამოკიდებული იყო მუშაობის ადგილზე და დროზე, 50-დან 150 მანეთამდე მერყეობდა[33].

90-იან წლებში სამუშაოდ გასული ხუროები და დურგლები როგორც ცალ-ცალკე, ისე არტელებად შეკრულნი მთელს ამიერკავკასიაში დადიოდნენ, ხშირად რუსეთის გუბერნიის ზღვისპირა ქალაქებსა და კასპიისპირა მხარეშიც მუშაობდნენ[34]. სწორედ ამგვარი არტელების წევრთა რიგებიდან ხშირად გამოდიოდნენ მოიჯარადრეები. ვ. ი. ლენინი მათ შესახებ აღნიშნავდა: „ოსტატებისა და მეფაბრიკეების ანალოგიურ ელემენტს, წარმოადგენენ მოიჯარადრენი, რომელნიც ჩვეულებრივ გამოდიან დურგლების არტელის ყველაზე მოხერხებულ წევრთაგან“[35].

1888 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიიდან სამუშაოდ გასული ხუროებისა და დურგლების რაოდენობა 4 200 კაცს შეადგენდა. მხერხავები — 2 100 კაცს, შორაპნის მაზრიდან წამოსული სახურავის მკეთებელნი—1 600 კაცს. დურგლების დიდი რაოდენობა — 1 240 კაცი რაჭიდან იყო წამოსული[36].

1904 წლისათვის ხუროების და დურგლების თვიური ხელფასი 10 მან-დან 20 მანეთამდე მერყეობდა. ისინი შემოდგომიდან გაზაფხულამდე 6—7 თვის განმავლობაში მუშაობდნენ, თითოეული მათგანი გამოიმუშავებდა 100 მანეთამდე ან ცოტა მეტს და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებისათვის შინ ბრუნდებოდა[37].

---

[32] საისტორიო მოამბე, 9, 1956, თბ., გვ. 100.
[33] МЭБГКЗК, т. 2, вып. I—II, Тифл. 1886, с. 77.
[34] Кавказское сельское хозяйство, 1896, № 127, с. 2181.
[35] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, .თხზ., ტ 3, გვ. 629.
[36] სსცია, ფ. 12, ან. 1, საქ. 733, ფურც. 5.
[37] სსცია, ფ. 12, ან. 1, საქ. 122, ფურც. 31.

შხერხავები, ხუროები, მესახურავენი და სხვა მშენებელი ხელოსანი მუშები უფრო მეტად იყვნენ გამსვლელი ხელობის მუშაკები, ვიდრე დურგლები. ამ უკანასკნელთ ნებისმიერ სამრეწველო საწარმოში ან სახელოსნოში ხშირად ერთ ადგილზე ხანგრძლივად მუშაობა უხდებოდათ. დურგლობა გლეხის მთელ ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ჩვენშიც, ისე როგორც საზოგადოდ ხდებოდა „გლეხი დურგალი ნელნელა ანებებს თავს მიწათმოქმედებას და ბოლოს სრულებით ტოვებს მას. დედაქალაქებში ცხოვრებამ დურგალს კულტურულობის დაღი დააჩნია. ის მკვეთრად განსხვავდება... გონებრივი განვითარების შედარებით მაღალი დონით"[38]. დურგლის შრომა სადურგლო სახელოსნოთა გარდა მეტწილ სამრეწველო საწარმოებში გამოიყენებოდა. მაგალითად, ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნებში დურგლები მუშათა საერთო მასის დიდ ნაწილს შეადგენდნენ.

900-იანი წლებიდან დურგალ-ხელოსანთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

წელი	ოსტატი	ქარგალი	შეგირდი
1894	327	229	162
1903	752	290	349
1912	696	281	220

1912 წელს ქუთაისის გუბერნიაში სულ აღრიცხულია 16988 ხელოსანი (10639 ოსტატი, 3240 ქარგალი, 3109 შეგირდი), ყველა დარგის სხვა დანარჩენ ხელოსანთა შორის ყველაზე რიცხვმრავალი ხუროებია. მათგან: ოსატატი იყო — 3 837, ქარგალი — 896, შეგირდი — 545. მეკასრე ხელოსანთა რაოდენობა 63-მდეა შემცირებული, რაც ბათუმის კასრების სახელოსნოთა შემცირებითაა გამოწვეული. ხუროებთან ერთად მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ სხვა მშენებელი ხელოსნები: ქვისმთლელები, კალატოზები, შებათქაშენი და ა. შ.[39].

სოფლის პროლეტარები, რომლებიც სამრეწველო ცენტრებში სამუშაოდ სისტემატურად დადიოდნენ, პრაქტიკულად ახორცი-

[38] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 629.

[39] Обзор Кутайсской губ. за 1894 год, ведомость № 9 за 1809 г. за 1912 г.

ულებდნენ კავშირს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, რაც ხელს უწყობდა ეპოქის განმათავისუფლებელ ბრძოლებში მათ აქტიურ მონაწილეობას.

კაპიტალიზმის განვითარებამ თავისი დაღი დაასვა გლეხურ მოსახლეობას, რომელიც ხე-ტყის მრავალრიცხოვანი სარეწების ძირითად მუშახელად აქცია.

საქართველოს სატყეო მრეწველობისათვის ნიშანდობლივი იყო ის გარემოება, რომ მთისა და ციცაბო ხეობების ტყეებიდან დიდი ზომის მორების გამოზიდვის სირთულის გამო, მრავალ საგანთა დამზადება თვით ტყის სიღრმეში მიმდინარეობდა, რაც ხელით შრომას განაპირობებდა. ასეთი იყო მაგალითად ყავრის, საკასრე ტკეჩების და განძელების დამზადება[40].

ამ სარეწების ორგანიზაცია კაპიტალისტური იყო. მას მისდევდნენ როგორც მრეწველი კაპიტალისტები, ასევე უფრო წვრილი მეწარმენი, მოიჯარადრენი, ვაჭარ-შემსყიდველები, რომლებიც მუშების მნიშვნელოვან რაოდენობას ქირაობდნენ. დამოუკიდებლად მომუშავე გლეხთა არტელები დროთა ვითარებაში თანადათან ზემოაღნიშნულ პირთა კაბალაში ვარდებოდნენ, ან თავისივე წრიდან გამოსული მოიჯარადრის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

კავკასიის რკინიგზის მშენებლობა დიდი რაოდენობის განძელებს საჭიროებდა, რისთვისაც საქართველოს მუხის ტყეების მნიშვნელოვანი ნაწილი გაიკაფა. რაკი მუხა საკმარისი არ იყო, ამიტომ გამოიყენებოდა ფიჭვისაგან დამზადებული მასალა, რომელსაც სარკინიგზო უწყება რუსეთიდან იღებდა. ამიერკავკასიის ტყეებიდან გარდა მუხისა, განძელებად იხმარებოდა ნაძვი და უფრო მოგვიანებით წიფელა[41].

---

[40] А. А. Долгушин. Леса Закавк. и их экспл. с. 145. «Во многих случаях ручная распиловка, особенно при приготовлении шпал и брусьев для железных дорог, является здесь выгоднее, чем ручная распиловка их на заводах. Как это не парадоксально, но это наблюдается в действительности и объяснить это можно лишь удаленностью большинства заводов от мест разработок и большими расходами, связанными с перевозкой круглого материала из леса на завод, оттуда к станциям и связанными с нею перегрузками».

[41] კ. მარქსის სახ. რუსთ. ბიბლიოთეკა, ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/48. 1895 წ. ახალსენაკის მაზრაში წიფლის ერთი განძელი 70 კაპ. ღირდა, მუხისა 1 მანეთიდან 1 მან. 30 კაპიკამდე.

90-იან წლებში ხის მასალაზე სარკინიგზო უწყების წლიური მოთხოვნის გასათვალისწინებლად ადგილობრივ ადმინისტრაციისა 1894 წლის ცნობა, რომლის მიხედვით სარკი-

1909—1913 წ. წ. დაიგო მუხის 61 000, ფიჭვის—472 000 და წიფლის 17 000 განძელი. ფიჭვი, რომელიც გაცილებით ჭარბობდა დანარჩენი ჯიშის მასალას, რუსეთიდან იყო შემოზიდული. 1914 წლისათვის ვოლგით შემოტანილი განძელების რაოდენობა თითქმის სანახევროდ შემცირდა, შემდგომ კი საფსებით შეწყდა. ამიტომ ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივ გაედიდებინა მისი წარმოება.

მნიშვნელოვანი რაოდენობის მუშახელი იყო დასაქმებული აგრეთვე საკასრე ტკეჩების დამზადებაზე. საქართველოში რეფორმის შემდგომ ხანაში კასრებზე მოთხოვნილების გადიდება განაპირობა ერთი მხრივ, სასაქონლო მეღვინეობის სწრაფმა ზრდამ და მეორე მხრივ, მასზე ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების დიდმა მოთხოვნილებამ[42]. სასაქონლო მეღვინეობის გარდა მუხის კასრებს მზარდი რაოდენობით მოიხმარდა საქართველოს სპირტისა და სპირტიანი სასმელების კაპიტალისტური საწარმოები რომელთა შორის თავისი სიდიდით გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიაში კონიაკის წარმოების პირველი დამფუძნებლის, დავით სარაჯიშვილის ქარხნები. მას მუხის კასრების დასამზადებლად შერჩეული ჰქონდა აფხაზეთის (გუდაუთის) მაღალმთიანი რაიონის მუხა[43]. აფხაზეთში მუხის საკასრე ტკეჩები დიდი რაოდენობით მზადდებოდა და ის ძირითადად ექსპორტის საგანს შეადგენდა.

1894 წ. სოხუმის რაიონიდან 1,5 მილიონი ცალი ტკეჩი გაიგზავნა მეტწილად საფრანგეთში, ნაწილობრივ საბერძნეთში და მცირე რაოდენობით ყირიმში. 1896 წელს ზღვისპირა ტყეების გაჩეხვის გამო მისი დამზადება ერთ მილიონამდე შემცირდა[44].

ნიგზო სამმართველო აცხადებდა, რომ 1895 წლისათვის ესაჭიროებოდა მუხის 100 000 ცალი განძელი, ნაძვისა და ფიჭვისა—200 000 ცალი, აგრეთვე სხვადასხვა ზომის მორები. აქვე აღნიშნული იყო, რომ რუსეთიდან დაიშვებოდა მხოლოდ ფიჭვის მასალა, ამიერკავკასიიდან კი მხოლოდ ნაძვისა. ამასთან დამაძზადებელს უნდა აეღო ვალდებულება, რომ დაამზადებდა არა ნაკლებ 3 000 განძელისა და დახერხილ მასალას არა ნაკლებ 2 000 კუბ. ფუტისა. Кавказское сельское хозяйство, № 40, 1894, с.693.

[42] П. В. Гугушвили. Развитие промышленнсти в Грузии и Зак. в XIX—XX вв., I, 1957, Тб., с. 296.

[43] КСХ, 1896, № 97.

[44] Б. П. Мрозовский, Краткий очерк лесной промышленности и торговли лесом в России и важнейших иностранных государствах, 1900, СПБ, с. 148.

XIX ს. მანძილზე მუხის საკასრე ტკეჩები დიდი რაოდენობით მზადდებოდა დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში[45]. ეს მასალა ბათუმიდან, გუდაუთიდან და ოჩამჩირედან საზღვარგარეთ იგზავნებოდა.

1898 წ.	ბათუმიდან	გაიგზავნა 5250	ფუთი ტკეჩი
1899 წ.	„	„ 7860	„
1900 წ. 1 ოქტომბრამდე		3000	„
19000 წ.	გუდაუთიდან	45000	„

1900 წ. შავიზღვისპირა ნავსადგურებიდან გაიგზავნა 351 718 ფუთი მუხის ტკეჩები. აქედან ძირითადი ნაწილი საფრანგეთში გაიტანეს, დანარჩენი გერმანიაში, თურქეთში, ეგვიპტეში და საბერძნეთში. მოცემულ ოდენობაში სპარსეთიდან მიღებული მასალაც შედიოდა[46].

მუხის ხის გაძლიერებული ექსპორტის შედეგად, კავკასიაში ამ ტყეების მარაგი ძალზე შემცირდა. 90-იან წლებში ბათუმიდან საზღვარგარეთ და რუსეთში ნავთობისა და მისი პროდუქტების გატანის გაფართოებასთან დაკავშირებით, კასრებზე დიდი მოთხოვნილების გამო, მუხის ხის გაძვირების შემდეგ თანდათან გამოყენება მიეცა წიფლის ხისაგან დამზადებულ კასრებს.

1894 წ. წიფლის საკასრე ტკეჩები ბათუმში რკინიგზის გასწვრივ ახლოს მდებარე კერძო მფლობელობის ტყეებიდან შემოჰქონდათ და 1000 ცალი უხეშად თლილი ტკეჩი 40—45 მან. ფასობდა, სრულიად მზა კი 10—15 მან. მეტად[47]. ამავე წელს ბათუმის წლიურ მოთხოვნილებას 100000 კასრისათვის საჭირო ტკეჩი შეადგენდა. აქედან 40000 კასრი ადგილობრივი მასალით მზადდებოდა, რისთვისაც საჭირო ნედლეული ქობულეთიდან, ნატანებიდან და სუფსიდან ჩამოჰქონდათ[48].

900-იანი წლებიდან საქართველოს ტყეებში საკასრე ტკეჩების დამზადება კიდევ უფრო გაიზარდა, განსაკუთრებით მსოფლიო

---

[45] გაზ. „ივერია", 1894, № 15.

[46] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, Д. 1258, л. л. 126—127.

[47] სსცია, ფონდი 243, ან. 4, საქ. 177, ფურც. 5.

„ბათუმიდან ნავთობი და ზეთი საზღვარგარეთ კასრებით იგზავნებოდა დასაწყისში ამისთვის მუხის კასრები იხმარებოდა. ნაწილობრივ საზღვარგარეთიდან შემოდიოდა ის კასრები, რითაც უკვე ამერიკიდან ევროპაში შემოსული იყო ნავთობი, მაგრამ ბოლო ხანებში მას წიფლისაგანაც ამზადებენ." ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/48.

[48] ქუთაისის სცია, ფონდი 18, საქ. 1894, ფურც. 68.

ომის წინა პერიოდში. მას დიდი რაოდენობით მოიხმარდა რუსეთის კვების მრეწველობაც. დას. საქართველოში ამ წარმოების მთავარი ცენტრები იყო სურამის ქედის ორივე ფერდი, ახალციხე-იმერეთის ქედის ფერდობები (ბაღდადის უბანი), ოზურგეთის მაზრა, შავი ზღვის სანაპირო (ფოთი, ანაკლია და სხვ.). ამ რაიონებში საკასრე მასალად ძირითადად წიფელა გამოიყენებოდა. წიფლის კასრები საგანგებოდ მინერალური და მცენარეული ცხიმის გადასაზიდად იხმარებოდა, რისთვისაც მას ძირითადად სამხრეთ რუსეთის საკასრე ქარხნებში აგზავნიდნენ და ნაწილობრივ ადგილზეც გამოიყენებოდა[49]. საჭირო მასალის მისაღებად არჩევდნენ და ჭრიდნენ ყველაზე მაღალ და სწორ ხეს. იგი გარკვეული სიგრძის თანაბარ ნაწილებად იხერხებოდა და იჩეხებოდა ტკეჩებად. ხის დანაკარგი ამ დროს 25—30% აღწევდა. ხსენებულ სამუშაოზე მრავალრიცხოვანი მუშახელი იყო დაკავებული და მათი ზუსტი რაოდენობის დადგენისათვის არავითარი მონაცემები არ არსებობს.

როგორც პროფ. პ. გუგუშვილი შენიშნავს, ამ შემთხვევაში ჩვენ „საქმე გვაქვს ორგანიზაციული ფორმის საინტერესო მოვლენასთან, სადაც შინამრეწველობა გადაქცეულია დამატებად მანუფაქტურისა ან ქარხნისა, რომელიც დიდი მანძილითაა პირველისაგან დაშორებული"[50].

1900-იანი წლებიდან საკასრე ტკეჩების დამზადება კიდევ უფრო გაიზარდა, რაზედაც მიუთითებს სარკინიგზო უწყების სტატისტიკური მონაცემები. მის მიხედვით ნატანებიდან, რიონიდან, მარელისიდან, მოლითიდან, წიფადან, სურამიდან, გომიდან, და სხვა სადგურებიდან გაგზავნილი საკასრე ტკეჩების წლიური რაოდენობა 1909 წ. 200 ათას ფუთს შეადგენდა, 1912—1913 წწ. კი 450 ათას ფუთამდე გაიზარდა. ამ მასალის მეტი წილი ბათუმიდან სამხრეთ რუსეთში იგზავნებოდა. გარდა ამისა ფოთის მიდამოებში და შავი ზღვის სანაპიროზე ყოველწლიურად 150000 ფუთამდე, ძირითადად იფნის, საკასრე ტკეჩები მზადდებოდა, რომელიც ფოთის ნავსადგურიდან გადიოდა[51].

ომის წინა პერიოდში გაიზარდა მოთხოვნილება წიფლის ხის ტკეჩებზე ციმბირის კარაქის დამამზადებელ საწარმოთა მხრივ. ამ ქარხნებს წლიურად ორ მილიონამდე კასრი ესაჭიროებოდათ. ხე-

---

[49] А. Долгушин. Леса Закавказья..., с. 95.
[50] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ა/კ ეკონომიური განვითარება.
[51] А. Долгушин. Леса Закавк.... с. 97.

ლისუფლება შეეცადა კავკასიიდან მანქანური წესით დამზადებული ტკეჩები მიეღო, მაგრამ მისი დამამზადებელი ქარხანა მხოლოდ ერთი, სადგურ რიონთან ალექსანდროვსკის მამულში იყო.

როგორც ომის პერიოდში, ისე შემდგომში მთელს ამიერკავკასიაში საკასრე ტკეჩები ხელით მზადდებოდა—იგი განუსაზღვრელი რაოდენობით საღებოდა რუსეთში და საზღვარგარეთ[52].

1902 წლისათვის საკასრე ტკეჩების და სხვა ძვირფასი ხის მასალის—ბზისა და კაკლის დამზადებას მისდევდა 30-ოდე ქართველი მრეწველი, მაგრამ ისინი მნიშვნელოვნად იზღუდებოდნენ ბათუმში არსებული ხის მასალის შემსყიდველი სამი ფირმისაგან და ბათუმის ქარხნების მეპატრონეთაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებით საკასრე ტკეჩების ფასებს თავიანთი სურვილისამებრ არეგულირებდნენ და ადგილობრივ მრეწველებს მცირე მოგება რჩებოდათ. ამის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „ბათუმის ნავთის შექარხნენიც პირშეკრული არიან და ისე ყიდულობენ წიფლის საბოჩკეს. იანვარ-თებერვლის თვეებში რომ ათასი წიფლის საბოჩკე ფასობდა 50—52 მანეთად, ღღეს, რადგან მათ ერთმანეთში პირი შეკრეს, ფასობს 43 მანეთად“. ამ ცნობის მიხედვით ქართველ მრეწველებს ბათუმში გასაყიდად მიტანილი 1000 საკასრე ტკეჩი 46—47 მანეთი უჯდებოდათ და რადგან 43 მან. მეტად ვეღარ გაყიდეს, მოგების ნაცვლად ზარალს განიცდიდნენ[53].

დასავლეთ საქართველოს ტყიან რაიონში მცხოვრები გლეხების დიდი ნაწილი ზაფხულის პერიოდში ყავრის დამზადებას ანუ —გამოხდას“ მისდევდა. იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოიყენებოდა საცხოვრებელი სახლებისა და სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობათა დასახურად. მასალად მუხის, თელის, წიფლის, ნაძვის და ფიჭვის მორები იხმარეობოდა. საამისოდ ყველაზე საღ და სწორ ხეებს არჩევდნენ. ყავრის დამზადების მარტივი მეთოდი, რომელიც საქართველოში საუკუნეების განმავლობაში იყო დამკვიდრებული, კვლავაც გამოიყენებოდა. ცვლილება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ტყეების შემცირების გამო XX საუკუნეში უფრო მოკლე, ვიწრო და თხელი მასალა მზადდებოდა.

ქუთაისის გუბერნიაში ყავარს მთის ფერდის შუა ზოლში ამზადებდნენ, სადაც შერეული ტყეები ხარობდა. ყავრის დამზადების დროს ფოთლოვანი ხის სამწახნაგა ნაჭრებს ხშირად ორთქლში ატა-

---

[52] А. Долгушин, Леса Закавказья. с. 100.

[53] გაზ. „ივერია“, 1902, № 76.

რებდნენ, წიწვოვან ჯიშებს ამგვარი დამუშავება არ სჭირდებოდა. ყავარი ძირითადად ადგილობრივი დანიშნულებისა იყო და მისი რაოდენობის აღრიცხვისათვის არავითარი მონაცემები არ არსებობდა[54].

დასავლეთ საქართველოს სოფლებში ვანში, სურებში და სხვაგან ყავრის წვრილი სასაქონლო წარმოება მასობრივ ხასიათს ატარებდა. გლეხი-მრეწველი მას ამზადებდა როგორც დაკვეთით, ასევე ბაზარზე გასაყიდად. იგი დიდი რაოდენობით გამოჰქონდათ ბაზრობებზე ჩოხატაურში, ოზურგეთში და სხვაგან[55].

XX ს. დასაწყისიდან ყავრის წარმოება განსაკუთრებით გაიზარდა მეთამბაქოეობის განვითარებასთან დაკავშირებით. მაგ., აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციებისათვის საჭირო ფარდულებს მხოლოდ სოჭის ყავრით ხურავდნენ, რისთვისაც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონი ცალი ყავარი მზადდებოდა[56].

ყავრის დამზადებაზე მომუშავეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური მასალა არ არსებობს მაგრამ ჩანს, რომ ამ სამუშაოთი გლეხობის დიდი ნაწილი იყო დასაქმებული.

ქვეყნის სამრეწველო განვითარებამ ტყის რეწვის ზოგი სრულიად ახალი დარგი შექმნა. ასეთი იყო განძელებისა და საკასრე ტკეჩების წარმოება. ზოგი დარგი კი, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა, ადრე ოჯახურ მრეწველობასა და ხელოსნობას განეკუთვნებოდა, ამჟამად ახალ მოთხოვნებს დაექვემდებარა, ტყის ფართო სარეწავად იქცა და ამ საქმეში მრავალრიცხოვანი დაქირავებული მუშახელი ჩაება. ეს პირველ რიგში ყავრის წარმოებას შეეხება. აღნიშნული სამივე სარეწავი დაქვემდებარებული ხასიათისა იყო და მეტწილად მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოთა „დანამატს“ წარმოადგენდა. განძელების წარმოება რკინიგზას ემსახურებოდა, საკასრე ტკეჩებისა—ბათუმის ნავთობის ქარხნებს და კასრების დამამზადებელ მანუფაქტურებს, ყავრისა კი, მნიშვნელოვანწილად, თამბაქოს ფაბრიკებს.

---

[54] Б. Долгушин. Леса Закавказья... с. 106. სტატისტიკურ-ეკონომიური მოამბე № 14—16, გვ. 26. „იღებდნენ ე. წ. სასინჯს, აარჩევდნენ უზარმაზარ ხეს საყავრედ... რაც გამოადგებოდათ საამისოდ აიღებდნენ. დანარჩენი 3/4, უზარმაზარი ნაწილი მორისა გამოუყენებელი რჩებოდა და ტოვებდნენ შუაგულ ტყეში და ლპებოდა“.

[55] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышл. в Грузии в XIX в. Тб., 1958, с. 221.

[56] Н. С. Закгинский, Леса Абхазии, 1913, с. 52.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „მრეწველობის ფორმების, ისე როგორც საზოგადოდ ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება ხდება მხოლოდ დიდი თანდათანობით, მრავალი ერთმანეთში გადახლართული გარდამავალი ფორმებისა და წარსულისაკენ მოჩვენებითი უკანდაბრუნების პირობებში. „წვრილი სარეწების ზრდა შეიძლება გამოხატავდეს მანუფაქტურის პროგრესს. ხანდახან ფაბრიკასაც შეუძლია წვრილი სარეწები განავითაროს“. შემსყიდველისათვის მუშაობაც შეიძლება მანუფაქტურის ან ფაბრიკის დანამატს წარმოადგენდეს. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ ამგვარ მოვლენათა მნიშვნელობის სწორად შესაფასებლად „საჭიროა დაუკავშირო ისინი მრეწველობის მთელ წყობას, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე და ამ განვითარების ძირითად ტენდენციებს“[57].

§ 2. მანუფაქტურული და მანქანური წარმოება

1

რეფორმის შემდგომ ხანაში რუსეთის იმპერიის ხე-ტყის სახერხი წარმოება მნიშვნელოვნად დაწინაურდა. აღნიშნავდა რა ამ ფაქტს, ვ. ი. ლენინი წერდა: „ამ წარმოების დიდი განვითარება (1866 წ. 4 მილ. მან. 1890 წ. 19 მილ. მან:), რასაც თან სდევდა მუშათა რიცხვის საგრძნობი ზრდა (4 და 15 ათასი) და ორთქლით მომუშავე საწარმოთა რიცხვის მატება (26 და 430), განსაკუთრებით საინტერესოა, იმიტომ რომ ის ნათლად ადასტურებს ხე-ტყის მრეწველობის ზრდას. ხე-ტყის სახერხი წარმოება შეადგენს მხოლოდ ერთ-ერთ ოპერაციას ხე-ტყის მრეწველობისას, რომელიც მსხვილი მანქანური ინდუსტრიის პირველი ნაბიჯების აუცილებელი თანამგზავრია[58].

იმავე ხანაში საქართველოშიც როგორც რუსეთის იმპერიის შიდა კოლონიაში, თუმცა გაცილებით მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ხე-ტყის სახერხი წარმოების განვითარება. XIX ს. 80-იანი წლებიდან საქართველოს სახერხ ქარხნებში ორთქლის მანქანას, რომელიც მანამდე ცალკეულ საწარმოში ინერგებოდა, უკვე ფართო გამოყენება ჰქონდა[59]. ორთქლის მანქანების გამოყენებამ ძირეულად შეცვალა მანამდე არსე-

---

[57] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 635.
[58] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 561.
[59] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება... გვ. 184.

ბული მდგომარეობა, როცა სახერხ წარმოებაში ხელით შრომა ან წყლის ძალა გამოიყენებოდა და ამიერიდან იგი სწრაფი განვითარების გზას დაადგა. წარმოებაში მანქანების სისტემის გამოყენება „სრულ ტექნიკურ გადატრიალებას მოასწავებდა, რომელიც აქარწყლებს ხელით მუშაობის ოსტატობას, რაც ხელოსანს საუკუნეთა განმავლობაში მოუპოვებია. „ტექნიკურ გადატრიალებას მოჰყვა წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი მსხვრევა, საბოლოო განხეთქილება წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება, გაფართოება და ამასთან შრომის მასობრივი განსაზოგადებაც კაპიტალიზმის მიერ[60].

ეყრდნობოდა რა კ. მარქსის თეორიას, რომელიც მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას უწოდებს კაპიტალიზმის მხოლოდ განსაზღვრულ, უმაღლეს საფეხურს მრეწველობაში, ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშანი წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში მდგომარეობს, კერძოდ რუსეთის სამრეწველო საწარმოთა მაგალითზე ლენინი „ფაბრიკის“ ცნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშნად ორთქლის ძრავის არსებობას მიიჩნევდა[61].

საქართველოში საერთო სამრეწველო აღმავლობის პირობებში ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობაც განვითარდა. ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნების დაარსება კაპიტალიზმის პირობებში სამშენებლო მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილებების გარდა, უშუალოდ განაპირობა ქ. ფოთის ნავსადგურის მშენებლობამ და ქ. ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების მიერ ხე-ტყის დახერხილ მასალაზე მოთხოვნილების საგრძნობმა ზრდამ.

1866 წ. ფოთში უკვე მოქმედებდა ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნები, რომლებიც ნავსადგურის მშენებლობას ხის მასალით ამარაგებდნენ. აქედან, ერთი ვცირე სიდიდის სახერხი, რომელიც ქალაქის ძველ ნაწილში (მდ. უკაპარჭეს ნაპირზე) მდებარეობდა, გრაფ როზმორდიუკს ეკუთვნოდა. იგი წლიურად 6000 მან. ღირებულების მასალას ამზადებდა, რომლის ნაწილი ბაზარზე იყიდებოდა, ნაწილი რკინიგზისა და ნავსადგურის მშენებლობისთვის იყო განკუთვნილი[62]. მეორე საწარმოს შესახებ საარქივო წყარო

---

[60] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 535.

[61] იქვე, გვ. 567.

[62] სსცია, ფ. 5, ან. 1, საქ. 264, ფურც. '34. ЦГИА СССР, ф. 1268, д. I, л. 417.

შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ფოთში ყურადღებას იპყრობს ინჟინერ პოდპოლკოვნიკ შავროვის მიერ ახალ პორტთან აგებული მშენიერი სახერხი ქარხანა. „Пильный завод порта в особенности замечателен постановкой цилиндра и махового колеса на грамадном бетоновом монолите.“[63] აქ ორი ლოკომობილი მუშაობდა, რომელთაგან ერთი სახერხ სამუშაოებს ასრულებდა, მეორე კი ქარხნის სახელოსნოსთვის ყოფილა განკუთვნილი. საწარმოს მუშაობასა წლიური პროდუქციის რაოდენობის შესახებ არავითარი მონაცემები არა გვაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „კავკაზი“ მას დიდ ქარხნად იხსენიებს და მის შესახებ წერს, რომ „დიდი მექანიკური სახერხი ქარხანა სრული დატვირთვით მუშაობს, რამაც პორტის მშენებლობა ძალზე დააჩქარა“[64].

ამიერკავკასიისა და ფოთის ნავსადგურის მშენებლობა ახალ პერსპექტივებს შლიდა. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად ფართო ასპარეზი იქმნებოდა.

XIX ს. 70-იანი წლებიდან ფოთში თანდათან გამრავლდა მცირე სიდიდის მექანიკური ქარხნები, რომლებშიც მეტწილად 10—12 მუშა იყო დასაქმებული და დაახლოებით 8 000 მან.-მდე ღირებულების წლიური პროდუქცია მზადდებოდა. 1881 წ. ფოთში ამგვარი 6 ქარხანა მუშაობდა 62 მუშით და 45 000 მან. წლიური პროდუქციით[65]. მათგან ყველაზე ადრე „პრაპორშჩიკის“ გუგუშვილის საწარმო დაარსდა, რომელიც 1871 წ. 14 მუშას აერთიანებდა და 18 000 მან. პროდუქციას უშვებდა[66].1886 წ. ფოთში 8 სახერხია აღრიცხული[67]. 1887 წ. საარქივო წყაროში თუმცა ხაზგასმულია ის, ფაქტი, რომ ქ. ფოთში მოქმედებს სახერხების მნიშვნელოვანი რაოდენობა[68], მაგრამ ფაქტიურად ისინი ძალზე მცირე სიდიდის საწარმოებს შეადგენდნენ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 80-იანი წლების შუა ხანებში ფოთში მოქმედი სახერხი ქარხნები რიცხობრივი ზრდის ტენდენციას არ ამჟღავნებენ, რომლის ძირითადი მიზეზი ახლოს მდებარე ტყეების გაკაფვის და შემცირების

---

63 სსცია, ფ. 5 ან. 1, საქ. 264, ფურცლ. 45.

64 გაზ. «Кавказ», 1866, № 15.

65 «Кавказский календарь», 1882, с. 218.

66 სსცია, ფ. 17, საქ. 8994, ფურც. 104.

67 სსცია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1508, ფურც. 297—319.

68 კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ, 47/13, ფურც. 32.

შედეგად ხის მასალის გაძვირება იყო[69]. შორი მანძილიდან სახერხ ქარხანაში მიტანილ მასალას ხე-ტყის დამზადების, მდინარემდე გადაზიდვის, დაცურების და ქარხნამდე მისატანი გზის ხარჯები აძვირებდა, რაც საბოლოო პროდუქციის თვითღირებულებაზე დიდად მოქმედებდა. თუ აქამდე ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნები ფოთში იყო თავმოყრილი, შემდგომში ისინი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, საექსპლუატაციო ტყის მასივებთან ახლოს და ამავე დროს მზა ნაწარმის სარეალიზაციოდ მოხერხებულად მდებარე ადგილებში დაარსდა.

XIX ს. 80-იან წლებში სახერხი ქარხნების უმეტესობა სოხუმის ოკრუგში გაიხსნა. მათ შორის შედარებით მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენდა უცხოური ფირმების კაპიტალდაბანდების საფუძველზე მოქმედი სახერხი ქარხნები. ამავე დროს მოქმედებდა ზოგიერთი ისეთი წვრილი სახერხი, რომლებიც ორთქლის ძრავის გამოყენების მიუხედავად, წლიური პროდუქციისა და მუშახელის რაოდენობის მეტისმეტი სიმცირის გამო, არც კი შეიძლება ქარხნებს მიეკუთვნოს. მაგ., ასეთი იყო გენერალ ერისთავის კუთვნილი სახერხი, რომელიც 1881 წლიდან გულრიფშში მოქმედებდა. 1885 წ. უწყისის მიხედვით აქ საშუალოდ 6 მუშა იყო დასაქმებული და წლიურად დაახლოებით 81000 ფიცარი და სამშენებლო კოჭები მზადდებოდა, რაც სოხუმსა და მის მიდამოებში იყიდებოდა. იგი ხის შენობაში იყო მოთავსებული და სექტემბრიდან ივლისამდე მუშაობდა. საწარმოს ჰქონდა ერთი ორთქლის მანქანა, ორთქლის ქვაბი,კუბი და ღუმელი. ასეთივე სიდიდის საწარმო იყო 1884 წ. სენაკის მაზრაში, სოფ. ჭალადიდში დ. გამსახურდიას სახერხი, 6 მუშითა და 3 300 მან. წლიური პროდუქციით, რომელიც ადგილობრივ ბაზარზე საღდებოდა[70].

---

[69] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/13, ფ. 32. ქალაქი ხე-ტყეს ორი გზით იღებდა: რიონით და ნადარეთის არხით, მდ. პიჩერით, პალიასტომის ტბითა და მდ. უკაპარჭეს საშუალებით. მახლობელი ტყეების შემცირების გამო ფოთი სამშენებლო მასალით სამეგრელოსა და გურიის ტყეებით მარაგდებოდა. სოფლის მოსახლეობა სიგანით ორი და სიგრძით 4 საჟენი სიდიდის ორმაგ ტიეებს აცურებდა, თითო მწკრივში 9—10 მორი იკვრებოდა. ამ სამუშაოთი დასაქმებული მუშა დღიურად 80კაპ.-დან ერთ მანეთამდე იღებდა. წყვილი ხარ-კამეჩით შებმული ურემი, რომელიც ას ფუთამდე მასალას იტევდა დღეში გადაზიდვაზე სამ მანეთად მუშაობდა.

[70] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капит. пром... с. 215.

XIX ს. 80-იანი წლებიდან აფხაზეთის ზღვის სანაპიროზე, სოხუმიდან ოჩამჩირემდე, ევროპის ქვეყნების: საფრანგეთისა და ბელგიის საააქციო საზოგადოებებმა რამდენიმე კაპიტალისტური საწარმო მოაწყეს. მათ ყველა სახერხ ქარხნამდე რკინიგზა გაიყვანეს. მაგ., ბელგიური ფირმის საწარმოში ხე-ტყის ორთქლის ძრავით მოქმედი, სანიმუშოდ მოწყობილი სახერხი ქარხანა ამუშავებდა, სადაც მასალა 3—4 ვერსის სიგრძის რკინიგზით გადაჰქონდათ. აქ ძირითადად რკინიგზის ვაგონებისათვის საჭირო მუხის მასალა მზადდებოდა, რომელიც უცხოეთში იგზავნებოდა. ნარჩენები ოდესაში შეშად გაჰქონდათ. 1884 წ. ქარხანაში დიდი რაოდენობით იყო როგორც მზა მასალა, ასევე გადასამუშავებელი ხე-ტყის მარაგი. მუშების რაოდენობა, რომლებიც სამურზაყანოდან და სამეგრელოდან მოდიოდნენ, 100 კაცამდე აღწევდა. ნავების დატვირთვაზე ლაზები მუშაობდნენ. ქარხნის ახლოს მუშათა საცხოვრებელი სახლები და საწარმოსათვის საჭირო სხვადასხვა ნაგებობები იყო აშენებული. ტყეში მომუშავეებისათვის სამი დიდი ხის სახლი იყო აგებული[71].

1885 წ. ბარონ დე-კოსტექსის ქარხანაში, სოფელ კალდახვარაში, 18 კაცი მუშაობდა. ხე-ტყის მოჭრაზე ყოველდღიურად 100-მდე კაცი იყო დასაქმებული. საწარმოში 8 ცხენისძალიანი ერთი ორთქლის ქვაბი იდგა და მისი წლიური პროდუქცია 40 000 მან.. შეადგენდა. აქ ამუშავებდნენ ფოთლოვანი ხის ჯიშებს: იფნის ხეს, მუხას, რცხილას, თელას და წიფელს. 1885 წ. დამზადებული მასალის რაოდენობა 100000 ფუთს შეადგენდა. ეზა ნაწარმს რუსეთსა და საფრანგეთში ასაღებდნენ[72]. აღნიშნულ საწარმოთა შესახებ გაბმული ხასიათის სრული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენს ხელთარსებული საარქივო წყაროები წარმოების მასშტაბზე საერთო წარმოდგენას მაინც იძლევა.

ბარონ დე-კოსტექსის ქარხნის მსგავსად, სხვა ქარხნებიც ფოთლოვანი ხისგან ამზადებდნენ მუხის პარკეტს, სხვადასხვა ზომის ფიცრებს, საკასრე ტკეჩებს და სხვა მასალას. მათ შორის საფრანგეთის სინდიკატის „ბერნარი, გოტიე და პერიკეს“ მექანიკური სახერხი ქარხანა, რომელიც ძირითადად მუხის პარკეტს ამზადებდა

---

[71] ქუთაისის სცია, ფ. 18, საქ. 1053, ფურც. 7.
ქარხნის დირექტორი, ინჟინერი, მექანიკოსი, მეტყევე და სხვა, სულ 7 კაცი, წელიწადში ხელფასს 3 ათასიდან 12 ათას მანეთამდე იღებდა.

[72] ЦГИА СССР, ф. 20. оп. 12, д. 100, л. 2.

მარსელში გასაგზავნად, მდებარეობდა მდ. კოდორის უბანში ე. წ. ადგილ სათამაშოში. ქარხანაში ორი ლოკომობილი (თითო 25 ცხენის ძალის) მუშაობდა და 11 დაზგა იდგა[73]. საწარმო ხე-ტყეს შეოვაშიძის კუთვნილი ტყეებიდან იღებდა, რომლის ექსპლუატაცია 1886 წ. დაიწყო. 1887 წ. ქარხნის ნაგებობა თავისი მანქანა-დანადგარებით 33 000 მან. შეფასდა[74].

1888 წლამდე საწარმოს მოსაწყობად და ასამუშავებლად 1500000 ფრანკი დაიხარჯა. ამის შემდეგ, იმავე წლის აგვისტოში ფირმამ უსახსრობის გამო საქმიანობის გაგრძელება შეუძლებლად ცნო. იგი ტყით სარგებლობის უფლებისა და ქარხნის გასხვისებას შეეცადა, მაგრამ მსურველი არავინ გამოჩნდა. ქარხანა 1890 წლამდე არ მუშაობდა. შემდეგ მუშაობა განახლებულა, მაგრამ ჩანს შეზღუდული მასშტაბით. 1891 წ. სოხუმის ოკრუგში მოქმედი ხეტყის დამმუშავებელი ფაბრიკა-ქარხნების საერთო ღირებულების შემფასებელი კომისიის მიერ ეს საწარმო 23 000 მან შეფასდა. ფასის დაკლება რამდენიმე სამუშაო ხერხის მოხსნითა და საპარკეტე განყოფილების დახურვით იყო გამოწვეული[75]. სხვა წყაროში აღნიშნულია, რომ 1890 წ. ქარხანა მრგვალხერხიანი 5 დაზგითა და ერთი სამმხრივი მრანდავი დაზგით მუშაობდა[76]. დაზგების რაოდენობა აქაც შემცირებული ჩანს.

1893 წ. ბოლოს აღნიშნული საწარმო საბოლოოდ გაკოტრდა და ქარხანამ მოქმედება შეწყვიტა. ტყეში გაყვანილი რკინიგზა აყარეს და ქარხნის მთელი ქონება საფრანგეთში წაიღეს. მსგავსი ბედი ეწვია უცხოური კაპიტალით მოქმედ დანარჩენ საწარმოებსაც, რომელთაგან ყოველი მათგანი სულ მცირე 7—8 წელი მაინც მოქმედებდა. ამ პერიოდში გაიჩეხა საუკეთესო ტყეები, როგორც ხეტყის დამზადებასა და გადაზიდვაში, ასევე სახერხ ქარხნებში რიცხვმრავალი დაქირავებული მუშახელი იყო დასაქმებული.

---

[73] Г. К. Бакрадзе. Возникновение и развитие кап. пром.... с. 215.

[74] ЦГИА СССР, ф. 573, оп. I, д. 995, л. л. 6—11.
1887 წ. 15 ივნისის დადგენილებით ფაბრიკა-ქარხნების შენობები თავისი მანქანა-იარაღების, დანადგარების ღირებულების მიხედვით 2%-იანი საერობო გადასახადით დაიბეგრა. ეს შეფასება ყოველ 3 წ. ხდებოდა. 1891 წ. 18 მარტის დადგენილებით გადასახადისაგან თავის უფლდებოდა ის საწარმო, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გაჩერებული იყო და არ მუშაობდა.
სსცია, ფ. 12, ან. 8, საქ. 2078.

[75] ЦГИА СССР, ф. 573, оп. I, д. 995, л. 21.

[76] Кавказский календарь на 1893 год., с. 112.

1886 წ. სოხუმის ოკრუგის ოთხი სახერხი ქარხნის პროდუქციის ოდენობა (247 000 მან.) ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა მთლიანი პროდუქციის ოდენობას (250 000 მან.) თითქმის უტოლდებოდა[77]. ამავე წელს ქ. თბილისში უფრო მცირე სიდიდის 10 სახერხი ქარხანა მუშაობდა (208 ცხენისძალიანი 14 ორთქლის ქვაბით) 161 მუშით და 247 000 მან. წლიური პროდუქციის ოდენობით[78].

1887 წელს სოხუმის ოკრუგის სახერხი ქარხნები ორამდე შემცირდა, რომელთა წლიური წარმადობა, 65.400 მანეთს, ხოლო მუშათა რიცხვი 510-ს შეადგენდა. ამავე წელს ქ. ფოთის სახერხი ქარხნები 1881 წელთან შედარებით მხოლოდ ორი საწარმოთია გაზრდილი. ფოთში მოქმედებდა 8 ქარხანა 69 მუშით და71 250 მან. წლიური პროდუქციით. 1887 წ. სოხუმის მიდამოებისა და ქ. ფოთის სახერხების გარდა დასავლეთ საქართველოში იყო კიდევ ოთხი მცირე სიდიდის საწარმო, რომელთაგან სამი შორაპნისა და ერთი სენაკის მაზრაში მოქმედებდა[79].

ზემოთ მოტანილ მასალას უფრო აზუსტებს და სანდო ცნობებს გვაწვდის სახერხი ქარხნების რაოდენობისა და სიდიდის შესახებ „სავაჭრო-სამრეწველო სტატისტიკის მასალები", რომელთა მიხედვით 1888 წ. ქუთაისის გუბერნიაში მუშაობდა 12 სახერხი ქარხნებში მთლიანად 140 ცხენისძალიანი 13 ორთქლის მანქანა მოქმედებდა. ისინი წლიურად 300 მუშით 138 000 მან. პროდუქციას აწარმოებდნენ. ამავე საბუთის მიხედვით მთელი გუბერნიის სამრეწველო საწარმოებში 21 ორთქლის ქვაბი იდგა[80].

XIX ს. 90-იანი წლების დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის განვითარებაზე და კერძოდ, უფრო ფართო მასშტაბის სახერხი ქარხნების წარმოქმნაზე დიდი გავლენა იქონია ქ. ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო აღმავლობამ.

1878 წლიდან, ანუ ბათუმის შემოერთებიდან, ქალაქმა ზრდა-გაფართოება დაიწყო. მას თავდაპირველად ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებამ შეუწყო ხელი, რომელიც 1886 წ. გაუქმდა.

---

[77] სსცია, ფ. 12, ან. 1, საქ. 512, ფურც. 20.

[78] С. Гулишамбаров. Обзор фабрики и заводов Тифлис. губ. 1888, с. 226.

[79] საისტორიო მოამბე, № 9, 1856, თბ., გვ. 104.

[80] Свод данных о фабрично-заводской промышленности в России за 1888 г. СПб, 1891 (мат-лы для торгово-промышленной статистики), с. 131. კავკასიაში სულ 23 სახერხი ქარხანაა აღრიცხული, აქედან 12 ქუთაისის გუბერნიაში, 10 თბილისის გუბ. და ერთი ყუბანის ოლქში.

1885 წ. ბათუმის ოლქი, რომელიც ბათუმისა და ართვინის ოკრუგებად იყოფოდა, ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიას დაუქვემდებარეს[81]. 1883 წ. ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა ამიერკავკასიის მთავარ სამრეწველო ცენტრებს თბილისსა და ბაქოს, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მის, როგორც მომავალი საგავჭრო და სამრეწველო ქალაქის, ზრდა-განვითარებაში. ბათუმის ნავსადგურის საშუალებით ბაქოს ნავთობს საექსპორტო გზა გაეხსნა, ამან დაუყოვნებლივ გამოიწვია ქალაქში მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა გახსნა-ამოქმედება.

1883 წელს ნავთობის საექსპორტო ჭურჭლის-ტარის დამამზადებელი პირველი ქარხანა ინჟინრებმა ბუნგემ და პალაშკოვსკიმ ააგეს. ქარხანა ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის ნავთის დამმუშავებელ და სავაჭრო საზოგადოებას“, რომელიც 1886 წლიდან როტშილდის ხელში გადავიდა[82]. ამ საწარმოში, სადაც 1885 წ. 484 კაცი მუშაობდა, თუნუქის ბიდონების ჩასადგმელად 888.747 ცალი ხის ყუთი და 172.762 კასრი დაამზადეს. ქარხანა მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოს წარმოადგენდა, რომელიც ორთქლის მანქანებით, ქვაბებით, სხვადასხვა დანადგარებითა და მანქანა-იარაღებით იყო აღჭურვილი[83]. ამავე წელს ელერსისა და ბურგარდტის საწარმომ, რომელიც წელიწადში 200.000 ცალ საკასრე ტკეჩს მოიხმარდა, 4.600 კასრი და 24.000 ცალი ხის ყუთი დაამზადა, ხოლო რიხნერის ქარხანამ — 500.000 ცალი ხის ყუთი[84]. აღნიშნულ საწარმოთა გარდა ქალაქში იმავე დანიშნულების რამდენიმე სხვა საწარმო მუშაობდა. თავდაპირველად ზოგიერთი მათგანი მანუფაქტურული ხასიათისა იყო, მაგრამ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და მექანიზაციის დანერგვის შედეგად მალე მსხვილ ქარხნებად გადაიქცნენ. ისინი დიდი რაოდენობის დახერხილ ხის მასალასა და საკასრე ტყეჩებს მოიხმარდნენ. 1886 წლამდე ექსპორტიორთა უმრავლესობა ხის ყუთებს წვრილ ხელოსან მწარმოებელთაგან იძენდა[85]. ქარხნების გაფართოების შემდეგ, თვითონ დაიწყეს მათი კეთება. თუნუქის ყუთების დამამზადებელ და მთელ რიგ სხვა საამქროთა გარდა ხის სამუშაოებთან დაკავშირებით ქარხნებში იყო

---

81 Батум и его окрестности, Б., 1906, с. 460.

82 Батум и его окрестности,.. с. 431.

83 Г. К. Бакрадзе. Возникновение и развитие... с. 200.

84 ЦГИА СССР, ф. 20, оп. 12, д. 100, л. л. 28, 44.

85 К. К. на 1893 год, с. 114.

სამხერხაო, ხის ყუთებისა და კასრების დამამზადებელი განყოფილებები.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში ბათუმის ნავთობის საექსპორტო ქარხნების მიერ კასრებზე მოთხოვნილების ზრდის შედეგად ქალაქში რამდენიმე საკასრე მანუფაქტურა გაიხსნა. მაგ. ერთ-ერთი ასეთი საწარმო, რომელიც კრასინს ეკუთვნოდა, წლიურად 60 000 მან. ღირებულების კასრს ამზადებდა. 1896 წ. ბათუმის ექვსმა მანუფაქტურულმა საწარმომ (146 მუშით) 202 000 მან. წლიური პროდუქცია დაამზადა[88].

კასრებით გადიოდა ნავთობის ნარჩენი პროდუქტები, ზეთი და იშვიათად ნავთი. თითო კასრი 1 ფუთსა და 30 ფუნტს იწონიდა. საკასრე ტკეჩები სოხუმიდან, ოჩამჩირედან, ტყიბულიდან, სურამიდან და სხვა ადგილებიდან იგზავნებოდა. კასრებისათვის საჭირო წებოს, რკინას, საღებავს ბითუმად მოვაჭრეთაგან იძენდნენ, რომლებიც მას სამხრეთ რუსეთიდან ილებდნენ. კასრების მანუფაქტურული წარმოება წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციას არ ამჟღავნებდა. დროთა მსვლელობაში კასრები საექსპორტოდ უფრო ნაკლები რაოდენობით გამოიყენებოდა, რადგან მას ცვლიდა თუნუქის ბიდონები, ნავთობის სატვირთო გემ-ცისტერნები. კასრებზე მოთხოვნილება კიდევ უფრო შემცირდა, როცა მოეწყო ნავთის ჩამომსხმელი სადგურები ოდესაში, ხერსონესსა და ნიკოლაევში.

XX ს. დასაწყისიდან კასრების წარმოების მასშტაბი მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო იმ მოთხოვნილებაზე, რომელიც ნავთობის ზეთზე არსებობდა, რადგან ზეთი მეტწილად კასრებით იგზავნებოდა.

---

[88] К. К. на 1897 год, с.81. წიფლის კასრის დამზადება 3 მან. 20 კაპ. ჯდებოდა, მუხისა კი 4—ჯერ ძვირი (1902 წ.), ამავე დროს წიფლის კასრი უხარისხო იყო და მისგან დანაკარგი 5-დან 10%-ამდე აღწევდა.

ბათუმის ნავთობის გადამუშავების ბაზაზე დაარსდა ზოგი ისეთი წვრილი საწარმო, როგორიც იყო ნავთობის ნარჩენებისაგან ბორბლების საცხების დამამზადებელი საწარმო, რომელიც წლიურად 30 000 მან. ნაწარმს უშვებდა. აქვე კეთდებოდა საცხისათვის საჭირო ხისა და თუნუქის ყუთები (15000 მან. ღირებულებისა). მას თხმელის ფიცრის ნარჩენებისაგან ამზადებდნენ, რომელსაც სუფსის სახერხიგზავნიდა. Батум и его окрестности... с. 436.

წლების განმავლობაში კასრების მანუფაქტურულ საწარმოთა რაოდენობა და მათი წარმადობა ასეთი იყო:[87]

წელი	საწარმოთა რაოდენობა	მუშების რიცხვი	წლიური პროდუქცია (მან-ობით)
1899	5	190	260000
1902	5	170	566000
1910	4	130	200000
1912	5	163	207000

90-იანი წლებიდან ქ. ბათუმის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა შემდგომი ზრდა და ამასთან ერთად თვით ქალაქის შშენებლობა-გაფართოება დიდი რაოდენობით ხის მასალას მოითხოვდა. რადგან მახლობელი ტყეები უკვე გაკაფული იყო, სამშენებლო მასალა სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებიდან შემოჰქონდათ. ბათუმელ ტყით მოვაჭრეებს ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეში თავიანთი სახერხები ჰქონდათ[88]. ხის მასალაზე გაზრდილი მოთხოვნილება ადგილობრივი ხე-ტყის მრეწველობის გადიდების საჭიროებას ქმნიდა. მართალია, შეიქმნა ხე-ტყის სამრეწველო კაპიტალისტური საწარმოები, მაგრამ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მათ გამრავლებასა და ზრდა-გაფართოებას მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა.

ბათუმის საექსპორტო ჭურჭლის წარმოება, ბაქოდან ნავთობის დიდი რაოდენობით მოწოდებასთან დაკავშირებით, ისე სწრაფად გაიზარდა, რომ მის მოთხოვნებს დახერხილ მასალაზე არა თუ საქართველოს, არამედ რუსეთის ქარხნებიც კი ვერ აკმაყოფილებდნენ. ამიტომ საჭირო მასალის დიდი რაოდენობა საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. მიუხედავად ამისა, ბათუმის ნავთობის საექსპორტო საწარმოთა სწრაფმა ზრდამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის განვითარებაზე.

---

[87] К. К. на 1903 год, с. 77.
«-----» 1905 год, с. 79.
«——»1912 с. 303.
«——» 1914 с. 179.
[88] К. К. на 1893 год о. 114.

ბათუმიდან ნავთობი და მისი პროდუქტები სამნაირი საშუალებით იგზავნებოდა: ცისტერნებით, ერთ ხის ყუთში ჩადგმული ორი თუნუქის ბიდონით და სხვადასხვა მოცულობის ხის კასრებით. გემ-ცისტერნებით გატანილი ნავთობით ძირითადად ევროპის ქვეყნები მარაგდებოდა, თუნუქის ბიდონების საშუალებით კი მახლობელი და შორეული აღმოსავლეთი, რაც კლიმატური პირობების გარდა, გამოწვეული იყო ცენტრალური განმანაწილებელი რეზერვუარების უქონლობითა და სამიმოსვლო გზების მოუწესრიგებლობით. ამის გამო ამ ქვეყნების სიღრმეში თუნუქის ბიდონებითა და ხის კასრებით ნავთობის შეტანა უფრო მოხერხებული იყო და ამავე დროს საცალო ვაჭრობისთვისაც ერთგვარ სიმარტივეს ქმნიდა.

XIX ს. 80-იან წლებში ჭარბობდა თუნუქის ბიდონებითა და ხის კასრებით ნავთობის გატანა. მათი დამზადება უამრავ დახერხილ მასალას და საკასრე ტკეჩებს საჭიროებდა. სიმსუბუქის გამო ყუთებისათვის წიწვოვანი, ძირითადად ნაძვის მასალა გამოიყენებოდა. სახერხ ქარხნებს ბათუმის სამრეწველო საწარმოებისათვის უნდა მიეწოდებინათ მშრალი, კარგი ხარისხის, გარკვეული რაოდენობის ყუთებისათვის საჭირო განსაზღვრული ზომის ფიცრები, რასაც ბათუმის ქარხნები დიდი რაოდენობით, მეტწილად ავსტრია-უნგრეთიდან იღებდნენ. მათ მასალის უცხოეთიდან გამოწერა უფრო სარგებლიანად მიაჩნდათ მისი შედარებითი სიიაფის, კარგი ხარისხისა და დროული მოწოდების გამო.

ბათუმის ქარხნები ხის ყუთების დამზადების პარალელურად მასზე ორჯერ მეტი თუნუქის ბიდონებს უშვებდნენ. აქვე ისხმებოდა მასში ნავთობი, გერმეტულად იხუფებოდა და ორი ბიდონი ერთი ხის ყუთში იდგმებოდა.

ქარხნებისათვის საჭირო ყუთების რაოდენობის სწრაფი ზრდა ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1887 წ. ბათუმიდან გავიდა 515 160 მან. 2 862 000 ხის ყუთი, 1889 წელს კი 1 440 000 მან. ღირებულების 8 მილიონი ყუთი. მთელი იმპორტული მასალის 9/10 ავსტრიიდან შემოდიოდა, 1/10 — ხერსონიდან. მასალა ზოგჯერ ამერიკიდანაც შემოჰქონდათ[89].

1895 წ. ბათუმიდან გაიგზავნა 15 მილ. ხის ყუთი, რისთვისაც ბათუმის ქარხნებმა 3 მილ. მან.-ზე მეტი ღირებულების მასალა გამოიყენეს.

---

[89] ქუთაისის სცია, ფ. 18, საქ. 1445, გვ. 58.

1886—1900 წ.წ. თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების დამამზადებელ საწარმოთა ზრდის მაჩვენებლები ასეთია:[90]

წელი	საწარმოთა რაოდენობა	მუშათა რიცხვი	წარმოებული პროდუქცია (ათას მანეთობით)
1886	3	850	2312
1887	7	645	4482
1891	18	2928	6391
1892	14	3893	16923
1893	7	3468	26600
1896	8	2769	6035
1899	6	1930	7439
1900	8	2195	8936

900-იანი წლებიდან სამრეწველო კრიზისის გავლენით კიდევ უფრო შემცირდა ნავთობის გასატანი ტარის წარმოება. მაგ., 1902 წ. ამ საწარმოთა წლიური პროდუქციის ოდენობა 1 200 ათას მან. არ აღემატებოდა.

XX ს. დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის შავი ზღვისპირა ნავსადგურებში ნავთობის რეზერვუარების შექმნის შედეგად ბათუმიდან გემ-ცისტერნებით გადაზიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამან განაპირობა კასრებისა და ყუთების საშუალებით ნავთობის ექსპორტის შეზღუდვა, რამაც ტარის დამზადება ძალიან შეამცირა. გარდა ამისა, ბათუმის სამრეწველო საწარმოთა შემცირებაზე დიდად იმოქმედა მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებამ. რევოლუციის თავიდან აცილების მიზნით ამ საწარმოთა მასშტაბებს კვეცავდნენ და მუშებს სამუშაოდან ითხოვდნენ.

თუ 1897 წ. ექსპორტირებული ნავთობისა და მისი პროდუქტების საერთო რაოდენობის 62,3% გემ-ცისტერნებით გაიგზავნა, ხოლო 35,7% ხის ყუთებში ჩადგმული თუნუქის ბიდონებით, 2% — კასრებით, 1902 წ. გემ-ცისტერნებით გავიდა 73,7%, ბიდონებით—25% და კასრებით — 1,3%[91]. გარდა ამისა ზოგიერთმა ექს-

---

[90] Г. К. Бакрадзе. Возникновение и развитие капит. пром. с. 206.

[91] იქვე.

პორტიორმა მხოლოდ თუნუქის ბიდონებით დაიწყო ნავთობის გატანა, რის გამოც შეიკვეცა ხის ყუთების წარმოება.

ბათუმის სამრეწველო წარმოება, როგორც დავინახეთ, დიდი რაოდენობით დახერხილ მასალას საჭიროებდა. საზღვარგარეთის მასალა თავისი სიიაფითა და მაღალი ხარისხით ძლიერ კონკურენციას უწევდა რუსეთისა და საქართველოს ხე-ტყის მასალას, რის გამოც ბათუმის მრეწველები უპირატესობას მას აძლევდნენ. მაგ., 1890 წ. ავსტრიული მასალით დამზადებული ხის ყუთი 19—20 კაპ. ღირდა, მაშინ როცა ბორჯომის ხეობიდან შემოზიდული მასალისაგან დამზადებული ყუთის ღირებულება 20—23 კაპ. აღწევდა[92].

1890 წ. მონაცემებით შავი და ხმელთაშუა ზღვისპირა სახელმწიფოები დაახლოებით 115 მილ. მან. ხე-ტყის მასალას ყიდულობდნენ. აქედან 25 მილ. მან. მასალას ავსტრია ყიდდა, დანარჩენ 90 მილ. მანეთისას კი რუსეთი, შვედეთი, ფინეთი, კანადა და სხვ. რუსეთის მიერ შავი ზღვის ნავსადგურებიდან გატანილი მასალის წილი უმნიშვნელო იყო[93].

ბათუმის წლიურ მოთხოვნილებას ხე-ტყის მასალაზე, რომლის ღირებულება 3 მილ. მან. შეადგენდა, ძირითადად ავსტრია-უნგრეთი აკმაყოფილებდა, საიდანაც შემოვიდა 2 000 063 ფუთი მასალა, ხერსონესიდან — 610 352 ფუთი, ამიერკავკასიის კერძო მფლობელობის ტყეებიდან — 368 775 ფუთი[94].

90-იანი წლების დასაწყისში რუსეთიდან ექსპორტირებული მასალა გაგზავნის ადგილების მიხედვით პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდებოდა[95]: ბალტიისპირეთიდან — 48,0 %
რუსეთ-პრუსიის საზღვრით — 41,0%
თეთრი ზღვით — 7%
შავი ზღვით — 1, 9%
რუსეთ-ავსტრიის საზღვრიდან — 1,3%

რუსეთის იმპერიის ხე-ტყის მასალა ევროპის ქვეყნებიდან შემოსული მასალის მხრივ მწვავე კონკურენციას განიცდიდა არა თუ

---

[92] К. К. на 1893 г., с. 115.

[93] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ: № 47/5, ფ. 6.

[94] ЦГИА, ф. 243, оп. 4, ед. 125, журн. 184.

[95] Лесной журнал, 1895, вып. 1—3, с. 141.

ხე-ტყის სარეალიზაციო ფასს ბათუმში ავსტრიიდან შემოსული მასალა განსაზღვრავდა, რაც 1 კუბ. მეტრზე 18 მან-დან 22 მან-მდე მერყეობდა.

შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის სახელმწიფოთა ბაზრებზე, არამედ თავისივე ქვეყნის შიგნით, ამჯერად ბათუმის ბაზარზე.

XIX ს. 90-იანი წლებიდან რუსეთიდან ბათუმში შემოზიდული ხე-ტყის მასალა ავიწროებდა და დევნიდა უცხოეთიდან იმპორტირებულ მასალას. ამავე დროს ხე-ტყის ადგილობრივი წარმოება აფართოებდა თავისი მოქმედების არეს. რუსი ხე-ტყის მრეწველები ბათუმის ბაზარს იპყრობდნენ. რუსეთი ამ სფეროშიც პროტექციონისტულ პოლიტიკას ახორციელებდა. ამას გამოხატავდა 1891 წ. კანონი, რომლითაც რუსეთის იმპერიაში შემოტანილი ხე-ტყის მასალის (ფიცრების სახით) ყოველი ფუთი 6 კაპიკით (ოქროთი) იბეგრებოდა[96]. ამ კანონით შეშფოთებულმა ბათუმის ნავთის მრეწველებმა, იმ მოტივით, რომ ბაქის დადების გამო მათ მიერ ნავთობის გატანა მსოფლიოს ბაზარზე შეფერხდებოდა, მიაღწიეს აღნიშნული კანონის ერთი წლით გადადებას[97]. სინამდვილეში, კანონის გატარების შემდეგ, ხე-ტყის მასალაზე ფასები იგივე დარჩა და ბათუმიდან ნავთობის ექსპორტზე თითქმის არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

ნავთის მრეწველთა საპირისპიროდ კავკასიის ხე-ტყის მრეწველებმა ფინანსთა სამინისტროსგან მოითხოვეს უცხოეთიდან შემოტანილ მასალაზე ბაქის დადება. თავის განცხადებას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ „კავკასიაში ამჟამად საკმარისი რაოდენობითაა არა თუ ადგილობრივად მოხმარებისათვის, არამედ საექსპორტო დანიშნულების ხე-ტყის მასალაც"[98].

1893 წ. ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მიერ მიღებული ხის საყუთე მასალის რაოდენობის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები[99]: 1893 წ. 1 მარტიდან 1 სექტემბრამდე ბათუმმა საზღვარგარეთიდან მიიღო: — 3600000 ცალი ხის ყუთის მასალა რუსეთიდან: ხერსონესი — 11300000 „——"
კიევი — 730000 „——"
დნესტრი — 70000 „——"

---

[96] ЦГИА СССР. ф 20,оп.4,д.3918,л. 2.

[97] ЦГИА СССР. ф. 20, оп. 4, д. 3918, л. 2.

ბათუმის მრეწველები მასალის მისაღებად ხანგრძლივი ვადით დებდნენ ხელშეკრულებას უცხოელ ხე-ტყის მრეწველებთან, რითაც ადგილობრივ და რუსეთის ხის მასალას უგულვებელყოფდნენ.

[98] газ. «Кавказ», 1893, № 207.

[99] ТИКОСХ, 1893, № 10, Тифл., с. 568.

ა/კ რკინიგზის სადგურებიდან — 30000 „——“
ს უ ლ 16000000 ცალი ხის ყუთის მასალა.

ამიერკავკასიიდან მიღებულ მასალაში ბორჯომის ქარხნის ნაწარმი ჭარბობდა. ამავე დროს ბათუმს ამარაგებდა სახერხი ქარხნები, რომლებიც ამუშავდა სამტრედიაში, მარელისში და სხვა სარკინიგზო სადგურებში. სატყეო საქმის სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ წიწვოვანი ტყეების ექსპლუატაციაზე, რის შესახებაც აღნიშნავდნენ: „შეიმჩნევა შავი ზღვის სანაპიროზე წიწვოვანი ტყის ექსპლუატაციის ცდები. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ უახლოეს დროში ბათუმის ბაზარი გვერდს აუვლის საზღვარგარეთის ხე-ტყეს“[100].

1895 წლისათვის ნაძვისა და სოჭის დახერხილი მასალის შემოტანა საქართველოს სარკინიგზო სადგურებიდან, სადაც კუბური ფუტი ადგილზე 42—45 კაპ. იყიდებოდა, გაიზარდა. ამ დროს ხერსონესიდან შემოტანილი მასალის ერთი კუბ. ფუტი 53—55 კაპ. ღირდა.

1895 წ. 1 იანვრიდან — 1 ივლისამდე ბათუმში გაიყიდა ავსტრიიდან შემოტანილი ხე-ტყის მასალით დამზადებული — 4500000 ცალი ყუთი, ხერსონესიდან — 2 მილიონი, ადგილობრივი მასალით—ერთი მილიონი[101].

როგორც ვხედავთ, წინა წლებთან შედარებით, ადგილობრივი ქარხნების მასალით დამზადებული ყუთების ოდენობა გაიზარდა. ამ დროისათვის ბათუმის ბაზარზე შესამჩნევად იმატა საქართველოს სახერხი ქარხნების პროდუქციამ.

1900 წლის მდგომარეობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ერთი კორესპონდენცია: — „ყუთების საქმე ბათუმში და მისთვის ფიცრების მიმწოდებელნი“[102], რომელიც ხის ყუთებზე მუდმივად არსებული მოთხოვნის გასათვალისწინებლად იძლევა 5 მთავარი ფირმის მიერ ტარით ნავთობის გატანის საშუალო სიდიდეს. 1. — როტშილდის ქარხანა დღე-ღამეში უშვებდა 72 000 ჯუნუქის ბიდონსა და 36 000 ხის ყუთს, წლიურად გაჰქონდა დაახლოებით 5 მილ. ყუთი ნავთობი ძირითადად ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, კუნძულ ცეილონზე, სუმატრაზე, ნაწილობრივ კი ავსტრიაში.

---

[100] Лесной журнал, 1895, 4, с. 555.
[101] იქვე.
[102] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, л. 134.

2. მანთაშევის ფირმას წლიურად გაჰქონდა 4 მილ. ყუთი აღმოსავლეთის ბაზრებზე: ალექსანდრიაში, სმირნაში, კონსტანტინეპოლში და უფრო ნაკლებად ინდოეთში.

3. ძმები ცოვიანოვების ფირმას — 1,5 მილ. ყუთი მცირე აზიაში და საბერძნეთის არქიპელაგზე.

4. კატიგრასის ფირმას, რომლის ქარხანას ბათუმში ძმები სიდერისები განაგებდნენ, წლიურად გაჰქონდა 500-დან 800 ათას ყუთამდე ანატოლიაში, კონსტანტინეპოლში, საბერძნეთის არქიპელაგზე და ძირითადად სხვა საქონელში გაცვლას აწარმოებდა.

5. ძმები ნობელების ფირმის ექსპორტი 1200 ათას ყუთს შეადგენდა.

ბათუმიდან საზღვარგარეთ სულ გადიოდა 10—12,5 მილ. ყუთამდე ნავთობი. 1893 წლამდე საყუთე მასალა უმთავრესად ავსტრიიდან (გალიცია და ბუკოვინა) მოდიოდა ოდესის გზით ან რუმინეთიდან უშუალოდ ბათუმში.

1893 წლიდან რუსეთის სახერხმა ქარხნებმა სერიოზული სამუშაოები ჩაატარეს ნაძვის მასალის დამუშავების გასაუმჯობესებლად, მისგან სტანდარტული ზომის, უკეთესი ხარისხის ფიცრების დასამზადებლად. 1898 წ. ავსტრიის მასალასთან კონკურენციაში რუსეთის შემდეგი ფირმები აქტიურობდნენ:

რაბინოვიჩი — ხერსონესიდან
მაქსიმოვი — ცარიცინი და მდ. კოდორი
შპოლიანსკი — რენი
ოქრომჭედლიშვილი — სამტრედია.

1898 წ. ბათუმის ქარხნებმა სულ 11 მილ. ყუთი დაამზადეს, აქედან ავსტრიული მასალით — 3 600 000 ყუთი[103].

ამ მონაცემების მიხედვით 1898 წ. რუსეთის, მათ შორის საქართველოს ხე-ტყით დამზადდა ყუთების საერთო რაოდენობის 67%, ავსტრიულით — 33%. 1893 წლამდე კი ავსტრიულის წილად 80% მოდიოდა.

ბათუმის სამრეწველო საწარმოთა უშუალო მოთხოვნილების შედეგად წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოში მოქმედი ორი მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო — მაქსიმოვისა და ი. ოქრომჭედლიშვილის სახერხი ქარხნები. გარდა ამ ორი ქარხნი-

---

[103] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, л. 135. 1900 წ. ხერსონესში თითო ყუთი 15—16 კაპ. ჯდებოდა, ბათუმში — 21—22 კაპ.

სა, ბათუმი მასალას იღებდა დიდი მთაერის მიხეილ რომანოვის ბორჯომის მამულის სახერხი ქარხნებიდან და რკინიგზის სადგურებთან ახლოს მდებარე სხვა საშუალო და მცირე წარმადობის სახერხებიდან.

1890 წ. ქუთაისის გუბერნიაში მოქმედებდა 28 სახერხი 28 ორთქლის ქვაბით, 300 მუშით და 149000 მან. წლიური პროდუქციით. მათი უმეტესობა წვრილ წარმოებას მიეკუთვნებოდა. მათ მუშაობას ერთ-ერთი საარქივო ცნობა შემდეგნაირად ახასიათებს: „Распиловка леса ведется крайне нерационально, по одному шаблону, бревна распиливаются без всякого рассчета, соображаяась не с количеством возможного наиболшего получения дельного леса, а с заказом.“[104]

აღნიშნულ საწარმოთაგან 6 ქარხანა სოხუმის ოლქში მდებარეობდა. მათგან ყველაზე უკეთესი ქარხანა „ბერნარსა და პერიკეს“ ეკუთვნოდა. იგი მხოლოდ ფოთლოვან ხე-ტყეს ამუშავებდა. ქ. ფოთში 9 ქარხანა იყო, ზუგდიდის მაზრაში — 8, ოზურგეთის მაზრაში — 4, სენაკისა — ერთი. ეს უკანასკნელი ეკუთვნოდა ილია ოქრომჭედლიშვილს. მისი ქარხნის შესახებ, ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვისას, მითითებულია: „Постановка дела весьма удовлетворительна.“[105]

ი. ოქრომჭედლიშვილმა ხე-ტყის მრეწველობას ხელი მოჰკიდა ძირითადად ბათუმის სამრეწველო საწარმოთა ხის მასალით მომარაგების მიზნით, რისთვისაც 1890 წ. გახსნა სახერხი ქარხანა. იგი სადგ. სამტრედიასთან ახლოს, სოფ. საჭილაოში ააგო, იქ, სადაც მდ. ცხენისწყალი რკინიგზით იკვეთებოდა. აქედან მანძილი სამტრედიამდე 3 ვერსს, ფოთამდე — 60 ვერსს და ბათუმამდე — 97 ვერსს შეადგენდა. ქარხანა მდ. ცხენისწყლის საშუალებით ხე-ტყეს სვანეთის მდიდარი ტყის მასივებიდან იღებდა[106].

ქარხანაში 3 სახერხი დაზგა იდგა, მათგან ორი ჩარჩოიანი, რომელიც საყურე მასალას ამზადებდა და ერთი მრგვალხერხიანი. ისინი მოძრაობაში მოჰყავდა 30 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბით მოქმედ „ჰორიზონტალურ“ მანქანას. ქარხანას წელიწადში ერთ მილიონამდე კუბური ფუტი მერქნის გადამუშავება შეეძლო[107].

---

[104] სსცია, ფ. 12, ან. 6, საქ. ფურც. 486.

[105] К. К. на 1893 г. с. 113.

[106] გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზ. ი. ოქრომჭედელ. არქივი, დოკ. № 1978, გვ. 1.

[107] Кавказское сельское хоз-во, 1894, № 5, с. 82.

ბატონყმური გადმონაშთების არსებობა დიდად აფერხებდა კაპიტალისტურ საწარმოთა მუშაობას. სვანეთში ახალი სამრეწველო საწარმოს დაარსებას დიდი წინააღმდეგობა გაუწია დადიანის მოურავმა და ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაციამ. ადრე სადადიანო ტყეების ბატონ-პატრონები ფაქტიურად ისინი იყვნენ. სვანეთიდან ყოველწლიურად ცაგერში გასაყიდად გაჰქონდათ დიდი რაოდენობით ყავარი, სამშენებლო მასალა, ბზისა და იფნის ხეები. სვანეთის ტყეების ფართო ექსპლუატაციის გაშლა მათი მოქმედების ასპარეზს ზღუდავდა და ამიტომ ახალი საწარმოს გახსნას ისინი ყოველნაირად ხელს უშლიდნენ. ქარხნის მეპატრონის მიმართ მათი დამოკიდებულება განსაკუთრებით მას შემდეგ გაუარესდა, რაც 1893 წ. 28 თებერვალს გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში" გამოქვეყნდა წერილი საწარმოს მიმართ ადგილობრივი ადმინისტრაციის უყურადღებო დამოკიდებულების შესახებ. ცალკეულ პირებთან კონფლიქტის შესახებ ი. ოქრომჭედლიშვილი წერდა: „ეს ბრძოლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე კლდეთა და ქვათა რღვევა და მტვრევაო".

1894 წ. 20 აგვისტოს ქარხანაში ხანძარი გაჩნდა, რის შედეგადაც მისი დიდი ნაწილი დაზიანდა. გაზ. „ივერიის" ცნობით თვით ქარხანა დამწვარა, მაგრამ გადარჩენილა „მრავალი ფიცრების საწყობი შენობა და მოსამსახურეთა სადგომი". ამ ამბავს საჭილაოს მცხოვრებნი დიდად შეუწუხებია, რადგან „სამუშაო ჰქონდათ და ტყის მასალის ყიდვაც ადვილად შეეძლოთ". ქარხნის აღსადგენი სამუშაოების დროს ადგილობრივი გლეხობა თავისი ხარ-კამეჩით სამუშაოდ გამოვიდა. მალე საწარმო განახლდა და კვლავ სრული დატვირთვით ამუშავდა[108].

1894 წელს ქარხანაში 30 კაცი მუშაობდა, წლიური პროდუქციის ღირებულება — 25000 მან. შეადგენდა[109].

1895 წ. ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შედეგად პროდუქციის რაოდენობა გაზრდილა[110].

1897 წ. საწარმოს მუშების რიცხვი 60-მდე გაიზარდა, პროდუქციის რაოდენობისა კი 100 000 მან.-მდე[111]. მუშის დღიური ხელფასი 30 კაპ.-დან 80 კაპ.-მდე მერყეობდა[112].

---

108 გაზ. „ივერია", 1894, № 181.

109 Обзор Кут. губ., 1895, в. № 2.

110 Лесной журнал, 1895, вып. 4, с. 555.

111 Обзор Кут. губ., 1898, ведом. № 2.

112 К. С. Х., 1894, № 22, с. 384. ერთი უღელი ხარ-კამეჩით მომუშავე დღეში 1 მან. 60 კაპ. იღებდა.

საწარმოში სამუშაოდ ადგილობრივი გლეხობის დიდი რაოდენობა ჩაება. მათ სახლ-კარისაგან მოუწყვეტლივ, დამატებითი სამუშაო იშოვნეს, მაგრამ კაპიტალისტური საწარმოს დაარსებით მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ქარხნის მუშები მძიმე შრომის ფასად ოჯახის სარჩენ ლუკმასაც ვერ შოულობდნენ.

ქარხნის გახსნამ შეაწუხა მის მახლობლად მცხოვრები გლეხობა. ქარხანასთან მორების ცალობით დაცურების გამო ადიდებული მდინარე ნაპირებიდან გადმოდიოდა და გლეხების კარ-მიდამოს და სახნავ-სათეს მინდვრებს წალეკავდა ხოლმე. ამ მდგომარეობით შეწუხებულ მოსახლეობას მშველელი არავინ ჰყავდა. გარდა ამისა გლეხთა უკმაყოფილებას შემდეგი გარემოება იწვევდა. დადიანთან დადებული ხელშეკრულების თანახმად სახერხი ქარხნის სხვადასხვა სამეურნეო საჭიროებისათვის საწარმოს განკარგულებაში გადავიდა მდ. ცხენისწყალისა და მისი შენაკადების სანაპიროები. აგრეთვე ის მინდვრები, რომლებიც უშუალოდ ამ სანაპირო ზოლებს ეკვროდა (დაახლ. 30 ვერსის სიგრძეზე) დაწყებული ცაგერის ხიდიდან ლენტეხის სატყეოს ბოლო საზღვრამდე.

ლენტეხის გლეხობას, მცირე მიწიანობის გამო, მდინარის სანაპირო ზოლები დიდი ხნიდან დაკავებული ჰქონდა. თუ აქამდე ისინი დადიანს გადასახადს ფულად უხდიდნენ, ამიერიდან ეს გადასახადი საწარმოს მეპატრონისათვის ნატურით უნდა გადაეხადათ. ასეთი მდგომარეობა გამოწვეული იყო ადგილზე პროდუქტების სიმცირით, მისი შემოტანის სიძნელით და დროებით მოვლენას წარმოადგენდა[113]. ეს გადასახადი გლეხებს მძიმე ტვირთად დააწვათ, რადგან როგორც საკვები პროდუქტები, ისე საქონლის გამოსაკვები თივა და ჩალა იქ ძვირად ფასობდა.

მთელი რიგი დაბრკოლებების მიუხედავად სახერხი ქარხანა თავისი მოქმედების არეს თანდათან აფართოებდა. 1898 წ. მან ბათუმის ქარხანას 500—600 ათასი ცალი საყუთე მასალა მიაწოდა[114].

1900 წლისათვის ქარხნის მიერ წარმოებული პროდუქციის ოდენობის შესახებ ორი განსხვავებული ციფრობრივი მონაცემი არსებობს. ერთის მიხედვით ქარხანაში, სადაც 3 ორთქლის ქვაბი

---

[113] К С Х, 1894, № 10, с. 183.

აღნიშნული გადასახადი შეადგენდა მთელი მოწეული მოსავლის — მარცვლეულის 1/5, ჩალის და თივის 1/2, კარტოფილისა და ლობიოს 1/3.

[114] Ц Г И А СССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, с. 134.

და 100 ცხენის ძალის სიმძლავრის მანქანა მუშაობდა, 50 მუშით წლიურად 290 000 მან. ღირებულების პროდუქცია დამზადდა[115].

ხარკოვის საფაბრიკო ოკრუგის ინსპექტორის ა. გნედიჩის მიხედვით კი ქარხანამ 80 მუშით 150000 მან პროდუქცია დაამზადა[116].

ა. გნედიჩის მონაცემები უფრო სანდოდ გამოიყურება, რადგან იგი კარგად ეხამება ქარხნის მიერ წინა და მომდევნო წლებში გამომუშავებული პროდუქციის სიდიდეს და ისეთ მკვეთრ განსხვავებას არ ქმნის, როგორც პირველად დასახელებული წყაროს მონაცემები. გნედიჩის მიხედვით ქარხნის მუშების რაოდენობა მომატებულია, რაც დამხმარე სამუშაოებზე დასაქმებული მუშების ხარჯზეა გაზრდილი.

მეორე მსხვილი კაპიტალისტური საწარმო, რომელიც ქ. ბათუმის ქარხნებს ხე-ტყის მასალით ამარაგებდა, მდ. კოდორის სახაზინო ტყის ექსპლუატაციის საფუძველზე დაარსდა. აქ ჯერ კიდევ 1896 წ. ე. ჟოლკვერის ინიციატივით შექმნილი „ამიერკავკასიის ხე-ტყის სამრეწველო საზოგადოება“ აპირებდა მუშაობის დაწყებას, მაგრამ მას წარმატება არ მოჰყოლია. ამის შემდეგ სახაზინო უწყების დიდი ხელშეწყობითა და მფარველობით კოდორის ხეობაში დაწყებული სამრეწველო საქმიანობა მეორე გილდიის, როსტოველი ვაჭრის მაქსიმოვის ხელში გადავიდა.

მაქსიმოვის ქარხანა 1898 წ. ამუშავდა. იგი სოხუმიდან 20 კმ-ის მანძილზე, სოფ. ადზიუბჟაში მდებარეობდა[117].

ქარხანა, როგორც ნედლეულის მიღების, ისე მზა ნაწარმის გატანის თვალსაზრისით, საკმაოდ მოხერხებულ ადგილზე ააგეს. იგი მდ. კოდორის საშუალებით, რომელიც მთელი ტყის მასივის სიგრძეზე ძირითად სამდინარო სატრანსპორტო მაგისტრალს წარმოადგენდა, ხე-ტყის მასალით მარაგდებოდა. ზღვისპირა გზატკეცილთან სიახლოვე ნავსადგურებთან სწრაფად დაკავშირებისა და ადგილობრივ ბაზარზე ხე-ტყის მზა მასალის დაუბრკოლებლად გატანას აადვილებდა. ქარხანა დასახლებულ ადგილებთან სიახლოვის გამო მუშახელით უზრუნველყოფილი იყო.

ქარხნიდან ცხურგილის ყურემდე, მზა მასალის ზღვის ნაპირ-

---

[115] Список фабрик и зав. Европ. России, СПб., 1903. Э. В. Хоштариа. Очерки соц.-эконом. истории Грузии, Тб., 1974, с. 118.

[116] Б. Гнедич. Обзор пром.-ти фабрично-заводской, кустарной и горной в губерниях и обл. Кавк. края, Т, 1900 г.

[117] газ. «Кавказ», 1897, № 194, с. 2.

ზე გადასაზიდად, 7,5 ვერსის სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს. მისი ღირებულება მთელი თავისი მოწყობილობით 45000 მან. შეადგენდა. რკინიგზაზე ტვირთს ეზიდებოდა ერთი ორთქლმავალი 15 ვაგონით, თითო ვაგონი 75 ფუთ ხე-ტყის მასალას იტევდა[118].

1898 წ. სახერხ ქარხანაში 200-ზე მეტი კაცი ითვლებოდა. აქ მოქმედებდა 90 ცხ. ძალის სიმძლავრის სამი ორთქლის ქვაბი. ხე-ტყის დამზადებაზე და საერთოდ ქარხნის გარეთა სამუშაოებზე რამდენიმე ათასი მუშა იყო დასაქმებული. თავდაპირველად ქარხანაში მუშაობას მკვიდრი მცხოვრებნი — აფხაზები თავს არიდებდნენ. მუშახელის უმრავლესობას მეტწილად სამეგრელოდან და გურიიდან მოსული მუშები, აგრეთვე რუსეთიდან ჩამოსული მუშახელი შეადგენდა. წარმოების გაფართოების კვალდაკვალ, აქ აფხაზი მუშებიც ჩაებნენ[119].

ქარხნის გარეთა სამუშაოები ჯარით იყო გაცემული. ცალკეულ უბნებზე 10 კაციანი ჯგუფები მუშაობდა. დაქირავებული მუშა დღიურად 70 კაპ.-დან 1 მანეთამდე იღებდა, უღელი ხარ-კამეჩით ხე-ტყის გადაზიდვაზე მომუშავე — 2—3 მან.[120] მუშებისათვის ქარხანასთან და სატყეო უბნებში საცხოვრებელი სახლები და სასურსათო ფარდულები იყო აგებული[121]. სოფ. ჩხალთაში. მუშაობის სამეთვალყურეოდ, კანტორა დაარსდა, სადაც 50-მდე მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა[122].

---

[118] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28. д. 1794, л. 36.

[119] გაზ. „კვალი", 1898, №42, გვ. 694.
მოსული მუშახელი სამუშაო ადგილის ახლოს ბინავდებოდა და მთელ რიგ დასახლებებს ქმნიდნენ. მაგ., მდინარე კოდორის შენაკად სეკენის ნაპირზე მდებარე სოფლებში — აჟარასა და გემჩიში, რუსეთიდან ჩამოსული მუშები დასახლებულან. ამის შესახებ გაზ. „იბერია" წერდა: „ეხლა ამ ორ სოფელში დასახლებული არიან 30—კომლამდე რუსის გლეხები. აქედან 70 ვერსის მანძილზე გზა-გზა, სამხრეთით ზღვის პირამდე სახელმწიფო და კერძო მამულებში სოფლებად არიან დასახლებული სხვადასხვა მუშა ხალხნი: რუსები, მეგრელები, აფხაზები, სომხები, ბერძნები და სხვანი".
რუსი მცხოვრებნი ისე მომრავლებულან, რომ მათთვის საგანგებოდ ეკლესიაც კი აუგიათ. რის შესახებაც გაზეთი გვამცნობს: „სოფ. აჟარაში მაქსიმოვის წყალობით და უხვის შეწირვითა, არის მშვენიერი კოხტა ეკლესია, წირვა-ლოცვა რუსულ ენაზეა". გაზ. „იბერია", 1904, № 242.

[120] გაზ. „კვალი" 1898, № 13, გვ. 206.
გაზ. „კვალი", 1899, № 20; გვ. 327.

[121] ХФ ЦГИА УССР, ф. 834, д. 20, л. 2.

[122] „იბერია", 1904, № 242, გვ. 2.

ქარხანას მზა მასალის რამდენიმე საწყობი ჰქონდა ცხურგილის ყურესთან, ქ. ბათუმში და ქ. სოხუმში[123].

ქარხნის მეპატრონემ ს. ჩხალთაში გახსნა პატარა საავადმყოფო თავისი მისაღებით და მასთან ერთად აფთიაქი, რომელსაც ფერშალი იაშვილი განაგებდა[124].

მაქსიმოვი ახლო მომავალში მუშებისათვის აბანოს გახსნას აპირებდა, რაც საქართველოს სამრეწველო საწარმოებისათვის რამდენამდე უჩვეულო იყო. ეს ფაქტი ქართულმა პრესამ საგანგებოდ აღნიშნა და მიესალმა ამ სასარგებლო საქმის წამოწყებას, მაგრამ მექარხნემ დაპირება არ შეასრულა და მუშებისათვის აბანო არ გახსნა. ამის შესახებ გაზ. — „კვალი" წერდა: „ეს იქნება პირველი მაგალითი კავკასიის ქარხნებისათვის, განსაკუთრებით ბათუმის ნავთის სამრეწველოებისათვის. მაგ., როტშილდის ქარხანაში უმეტესი ნაწილი მუშებისა იხოცება ქარხნის ანტიჰიგიენური მოწყობილობით. იქ მუშის ტანისამოსი გაჟღენთილია ნავთით და მჟავათი, მაშასადამე მუშის ტანი ამ ჭუჭყისაგან არ გაიწმინდება ზღვაში დაბანვით. საჭიროა ორთქლის აბანო..."[125] ცარიზმის პირობებში მუშებისათვის ელემენტარული ჰიგიენური პირობების შექმნაც კი განუხორციელებელი ოცნება იყო.

ქარხნის ამუშავებამ სოფლის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები შეიტანა. სოფლის გლეხობა თანდათან ებმებოდა კაპიტალისტური საწარმოს მრავალფეროვან სამუშაოებში. ისინი სულ უფრო მეტი რაოდენობით იქცეოდნენ დაქირავებულ მუშებად. ვისაც გამწევი ძალა —ხარ-კამეჩი გააჩნდა, მორების გადაზიდვაზე მუშაობდა.

მდინარეზე ზღუდეების ასაგებად საწარმო სოფლის გლეხობისაგან ყოველწლიურად 2500 მანეთის წკნელს იძენდა[126]. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს გლეხები კვების პროდუქტებით ამარაგებდნენ. თუ ერთი მხრივ, კაპიტალისტურმა საწარმომ სამუშაოდ მიიზიდა და დაასაქმა როგორც ადგილობრივი, ისე დიდი რაოდენობით მოსული მუშა-ხელი, რამაც ეს მხარე, გამოაცოცხლა, მეორე მხრივ, მალე საგრძნობი გახდა თუ როგორი სისწრაფით შთანთქავდა ახ-

---

[123] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, л. 36.

[124] გაზ. „კვალი", 1898, № 13, გვ. 205.

[125] გაზ. „კვალი", 1898, № 13, გვ. 205.

[126] იქვე, 1899, № 20, გვ. 327.

ლად გახსნილი საწარმო სოფლის გლეხობისათვის საჭირო ტყეებსა და სავარგულ მიწებს. ქარხანამ ვრცელი ტყეების გარდა თავის განკარგულებაში მოაქცია „სოფლის კუთვნილი 300 ქცევაზე მეტი მშვენიერი სათესი მიწა და 800 ქცევაზე მეტი საბალახოები“[127].

მორების დაცურების პროცესში მდინარე ხშირად იტბორებოდა. ამ დროს ადიდებული წყალი ნაპირებიდან გადმოდიოდა და გლეხების მეურნეობას დიდ ზარალს აყენებდა. ამის შესახებ სოფლის მცხოვრებნი გამუდმებით ჩიოდნენ, მაგრამ ეშედეგოდ. მაგ., ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მდინარეს სოფლის წისქვილიც წაულეკავს, რის გამოც გლეხებს საფქვავის წაღება შორს უხდებოდათ. სოფლის გლეხობის ასეთ მდგომარეობას გაზ. „კვალი“ ხშირად აშუქებდა თავის ფერცლებზე[128].

დროთა მსვლელობაში ქარხნის სამუშაოები კიდევ უფრო გაიშალა და მომუშავეთა რიცხვი შესაბამისად გაიზარდა. 1899 წ. ქარხანაში 200 კაცი მუშაობდა და მისი წლიური პროდუქციის ღირებულება 280000 მან. შეადგენდა[129].

1900 წ. ქარხანაში მუშების რაოდენობა 110-მდე შემცირდა, სამაგიეროდ პროდუქციის ღირებულება 315 700 მანეთამდე გაიზარდა, რაც ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

1900 წ. ბათუმის საწარმოებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალის მიწოდების გარდა, მაქსიმოვის ქარხანამ გენუაში გააგზავნა 700 კუბ. ფუტი მზა მასალა. საარქივო წყაროს ცნობით „ფირმამ გენუაში ხე-ტყის ექსპორტი ცდის სახით ჩაატარა, რომლის გაგრძელებას აღარ ფიქრობს, თუმცა საზღვარგარეთიდან კავკასიის ხე-ტყეზე რამდენიმე მოთხოვნა არსებობდა“[130]. მომდევნო წლებში ქარხანას საექსპორტო მასალა აღარ დაუმზადებია.

მაქსიმოვისა და ოქრომჭედლიშვილის სახერხი ქარხნები, რომლებიც ძირითადად ბათუმის ნავთობის გადამმუშავებელ და საექპორტო სამრეწველო საწარმოებს ხე-ტყის მასალით ამარაგებდნენ, დასავლეთ საქართველოს სახერხებს შორის ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებს წარმოადგენენ.

---

127 გაზ. „კვალი“, 1899, № 15, გვ. 247.

128 იქვე.

129 Г. К. Бакрадзе. Возникн. и рав. капит. пром., с. 216.

130 ЦГИАЛ СССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, л. 120.

XIX ს. 90-იანი წლებიდან ქარხნების რიცხვი სწრაფად არ იზრდებოდა, სამაგიეროდ შეიმჩნეოდა მათი გამსხვილება. 1894 წ. 1890 წელთან შედარებით სახერხების რაოდენობა 28-დან 19-მდე შემცირდა, სამაგიეროდ მათი წლიური პროდუქციის ოდენობა 305000 მან.-მდე გაიზარდა[131]. ფოთლოვანი ტყის გადამმუშავებელი ქარხნები ზღვის სანაპირო ადგილებში, მდინარეთა შესართავებთან იყო განლაგებული, წიწვოვანისა კი მთის სიღმეში, ტყის მასივებთან ახლოს მდებარეობდა.

დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნების წლიური პროდუქციის ზრდას ქვემოთ მოტანილი ცხრილი გვიჩვენებს[132].

წელი	სახერხი ქარხნების რაოდენობა	მუშების რიცხვი	წლიური წარმოების თანხა
1894	19	190	305000
1896	20	191	162000
1897	23	316	449000
1898	23	392	459000
1900	26	560	695000

1894 წ. სახერხი ქარხნების წლიური წარმოების საერთო თანხიდან 80700 მან. ი. ოქრომჭედლიშვილის ქარხანაზე მოდიოდა. 1898 წლიდან კი მისი მნიშვნელოვანი წილი მაქსიმოვის ქარხანას ეკუთვნოდა.

1897 წ. დასაწყისში ოჩამჩირეში ამუშავდა მაჭუტაძისა და ჩაჩავას სახერხი ქარხანა, რომელიც წაბლის ხეებს ამუშავებდა და მზა პროდუქციას თბილისსა და ბათუმში ასაღებდა. სატყეო ჟურნალის ცნობით აქ 200 კაცი მუშაობდა[133]. ცხადია, მათ რიცხვში ქარხნის მუშების გარდა ხე-ტყის მოჭრაზე დასაქმებული მომუშავეებიც არიან შეყვანილი.

1899 წ. ცნობით აღნიშნულ ქარხანაში 16 მუშით 19000 მან. პროდუქცია დამზადდა. დაახლოებით ასეთივე სიდიდის ქარხნები

---

131 Обзор Кутайсской губ. за 1894, г., К., 1895.

132 ცხრილი შედგენილია ა. გნედიჩისა და ქუთაისის გუბ. ანგარიშების მონაცემების შედარების საფუძველზე.

133 Лесный журнал, 1897, в. 2, с. 229.

იყო დანარჩენებიც: სოხუმთან ახლოს ბ. თელიას ქარხანა — 12 მუშით და 21000 მან. პროდუქციით, მ. ანთაძის ქარხანა ანაკლიაში—17 მუშით და 17000 მან. პროდუქციით, შ. ვოლფენზონის სახერხი ფოთში — 22 მუშით, ი. ღოღობერიძის ქარხანა — 12 მუშით და 11000 მან. წლიური პროდუქციით, ძმები საბახტარაშვილების ქარხანა—11 მუშით და 98000 მან. პროდუქციით[131]. ჩამოთვლილ ქარხნებს შორის ძალიან გაზრდილი ჩანს საბახტარაშვილების ქარხნის გამომუშავებული პროდუქციის სიდიდე.

1894 წლიდან ქ. ბათუმში ამუშავდა ფირფიცრის ქარხანა. იგი თბილისის ორი ქარხნის შემდეგ მთელს კავკასიის მხარეში მესამე ქარხანა იყო და წარმოებული პროდუქციის ოდენობით თბილისის ორივე საწარმოს უსწრებდა. 1897 წ. ბათუმის ფირფიცრის ქარხნის წლიური პროდუქცია 60000 მან. შეადგენდა, თბილისის ორივე ქარხნისა ერთად —39000 მან.

საქართველოში ფირფიცარი ძირითადად კაკლის ხისაგან მზადდებოდა. მცირე რაოდენობით იყენებდნენ აგერთვე მუხას, იფნის ხეს, ნეკერჩხალს, თელას და ურთხმელს. წარმოებული ფირფიცრის მეტი წილი საზღვარგარეთ იგზავნებოდა და ნაწილობრივ შიდა ბაზრებზე იყიდებოდა.

1898—1900 წ.წ. საზღვარგარეთ შემდეგი რაოდენობის ფირფიცარი გავიდა:[135]

წელი	საფრანგეთი	გერმანია	სულ
1898	2267 ფუთი	5001 ფუთი	7268 ფუთი
1899	650	1920 „	2570
1900	2186 „	7807	9993

XX ს. დასაწყისისთვის ამ ქარხნების მომავალ მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და საქართველოს ხის ძვირფასი ჯიშების მრავალფეროვნების გამო წარმოების ზრდას ითვალისწინებდნენ.

---

[134] ХФ ЦГИА УССП, ф. 834, д. 41, с. 48. Г. К. Бакрадзе. Возникн. и разв., капиталист. пром. с. 219.

[135] ЦГИА, СССР, ф. 22, оп. 2, д. 1958, с. 126. ფირფიცარი შეკვეთის მიხედვით სხვადასხვა ზომისა მზადდებოდა. მარსელში 1 ცალი—20 სანტიმიდან 2 ფრანკამდე ღირდა.

1900 წ. კავკასიის სახერხების საერთო რიცხვის 80% საქართველოში მოქმედებდა. მის წილად მოდიოდა მუშების რაოდენობის 90% და წარმოებული პროდუქციის საერთო ღირებულების 92%.

საქართველოს სახერხი ქარხნების საერთო რიცხვის 65%, მუშების რაოდენობის 77% და წარმოებული პროდუქციის ღირებულების 72% ქუთაისის გუბერნიის სახერხების წილად მოდიოდა[138].

ამგვარად, ქუთაისის გუბერნია სახერხი ქარხნების სიმრავლით, შუშების რაოდენობით და წარმოებული პროდუქციის ოდენობით მთელს კავკასიაში გამოირჩეოდა და თბილისის გუბერნიასაც წინ უსწრებდა.

დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში სახერხი წარმოება ფირფიცრის დამზადებასთან ერთად ერთადერთი დარგი იყო, სადაც მანქანური წარმოება დაინერგა და ფართო გამოყენება ჰპოვა.

მთლიანად საქართველოს ხის დამმუშავებელ მრეწველობას (ქარხნებთან ერთად შედის ხელოსნური და მანუფაქტურული წარმოება) კავკასიაში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 75%, მუშების რაოდენობის — 66%, წარმოებული პროდუქციის ღირებულების 59% განუკეთვნებოდა. საქართველოს ხის დამმაშუვაბელი მრეწველობის საერთო მაჩვენებლებიდან ქუთაისის გუბერნიის წილად მოდიოდა საწარმოთა რაოდენობის 66%, მუშების რაოდენობის — 77%, წარმოებული პროდუქციის ღირებულების —76%. როგორც ვხედავთ, აქ უფრო მსხვილ წარმოებასთან გვაქვს საქმე, ვიდრე კავკასიის დანარჩენ გუბერნიებში, მათ შორის თბილისის გუბერნიაში.

ა. გნედიჩის მონაცემებით საქართველოს მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის საწარმოთა რიცხვის მიხედვით ხის დამმუშავებელი მრეწველობის წილი 4% შეადგენდა, წარმოებული პროდუქციისა — 5,5%. ამ მონაცემებში ა. გნედიჩს ფაბრიკა-ქარხნებთან ერთად შეტანილი აქვს ხელოსნური და მანუფაქტურული საწარმოებიც. ამიტომ იგი მრეწველობის ყველა სახეობის მხოლოდ ზოგად სურათს იძლევა.

დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები ხის მასალაზე გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. მათი პროდუქციის

---

138 საისტორიო მოამბე, 1945, 1, გვ. 272. პროცენტული შეფარდება გამოყვანილია გნედიჩის მონაცემების მიხედვით.

ნაწილი საზღვარგარეთ იგზავნებოდა (ყასრებისა და ყუთების სახით), ძირითადი წილი ქვეყნის შიგნით მოიხმარებოდა. სახელმწიფო და მსხვილი სამრეწველო წარმოებები ხე-ტყის მასალის დიდ ნაწილს შეკვეთით რუსეთიდან და უცხოეთიდან იღებდნენ.

საქართველოში ფაბრიკა ქარხნებისა და მათში დასაქმებული მუშახელის რაოდენობის ზრდასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა საფაბრიკო ინსპექციისადმი მათი დაქვემდებარების საკითხი.

1897 წ. ივნისის კანონით რუსეთის იმპერიის სამრეწველო-საწარმოები საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას დაემორჩილა[137]. საქართველოზე ეს კანონი 1901 წლიდან გავრცელდა. ქუთაისის გუბერნიაში მისი მოქმედება ფაქტიურად 1902 წლიდან დაიწყო, როცა დასავლეთ საქართველოს ქარხნები ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობას დაუქვემდებარეს[138].

დასავლეთ საქართველოს ქარხნებიდან საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობაში შეივიდა: 1). ოქრომჭედლიშვილის—საჭილაოს ქარხანა, 2) დათეშიძისა და ანთაძის—ანაკლიის ქარხანა, 3) — მაჭუტაძისა და ჩაჩავას — ს. ტამუშის (ოჩამჩირესთან ახლოს) ქარხანა, 4). მაქსიმოვის ქარხანა — კოდორზე, 6). ფეტერის ქარხანა—გუდაველში[139].

დასახელებულ საწარმოთა შორის ყველაზე დიდი ქარხანა მაქსიმოვს ეკუთვნოდა. 900-იანი წლებიდან მანქანა-იარაღებით ქარხნის აღჭურვის შედეგად საწარმოს მუშაობის მასშტაბი გაფართოვდა. 1902 წ. ქარხანაში 125 ცხ. ძ. სიმძლავრის ორთქლის მანქანა, 12 მრგვალი ხერხი და 7 დაზგა იყო. ქარხნის მოწყობილობის საერთო ღირებულება 122 00 მან. შეადგენდა. აქ ყოველდღიურად 170 კაცი მუშაობდა, ხე-ტყის დამზადება-დაცურება-გადმოტვირთვაზე — 580 კაცი, საწყობებში—50, საწარმოში მთლიანად 1200 კაცი მუშაობდა. შტატიანი მოსამსახურე იყო—132[140].

სამრეწველო საწარმოს აღწერილობის მიხედვით 1904 წ. საბერხი სხვადასხვა გარანდულ მასალას და საყუთე ფიცრებს ამზადებდა. სულ დაამზადა 480 000 მან. ღირებულების პროდუქცია.

---

[137] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოცემა IV, ტ. 2, 1954, გვ. 362.

[138] ХФ ЦГИА УССР, ф. 834, д. 101, л. л. 9—10.

[139] სსცია, ფ. 275, საქ. 14, ფურც. 3. ფეტერის ქარხანაში 20 მუშა იყო, რომელთა რაოდენობა 1907 წ. 29-მდე გაიზარდა.

[140] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 1794, с. 36. ქარხანაში მიტანილი ნაშ. მორის ღირებულება 7 მან 73 კაპ. იყო.

ქარხანაში მოქმედებდა 3 ორთქლის ქვაბი, ორთქლის ძრავა, ორი ელექტროძრავი თითო 9 ცხ. ძალის სიმძლავრისა და ერთი წყლის ბორბალი-8 ცხ. ძ. ქარხანაში 179 მუშა ირიცხებოდა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 10 საათს უდრიდა[141].

ზემოთ მოტანილი ორი სხვადასხვა საბუთი გვაცნობს 1902—1904 წწ. ქარხნის მუშაობას და ისინი ერთმანეთთან მთლიანობაში საწარმოს მოწყობილობის — მანქანა-დანადგარების, მუშების რაოდენობის, წარმოებული პროდუქციის ოდენობის ნათელ სურათს ქმნიან.

საფაბრიკო ინსპექციის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ქარხნებს არჩევდნენ მათი სიდიდისა და მუშათა რაოდენობის მიხედვით. ბოლოს ინსპექციას დაუქვემდებარეს უფრო წვრილი საწარმონიც, სადაც კი ორთქლის ძრავი გამოიყენებოდა.

1902 წელს სახერხ ქარხნებში, მაქსიმოვისა და ოქრომჭედლიშვილის სახერხების შემდეგ, მუშათა რიცხვის სიდიდით გამოირჩეოდა ნაკაშიძის სახერხი ქარხანა, სადაც 40 მუშა ითვლებოდა. იგი არ არის მოხვედრილი იმ ქარხნების სიაში, რომლებიც თავდაპირველად დაექვემდებარნენ საფაბრიკო ინსპექციის მეთვალყურეობას.

1902 წელს ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხული იყო 123 ორთქლის ქვაბი. 78 სამრეწველო საწარმო, 3386 მუშა; მათი დიდი ნაწილი ბათუმის ნავთობის საექსპორტო სამრეწველო წარმოებაზე მოდიოდა[142]. ამავე წელს ქუთაისის გუბერნიაში „რუსეთის ფაბრიკა-ქარხნების, სახელოსნო მრეწველობის სამისამართო წიგნის „მიხედვით ხის დამმუშავებელი მრეწველობის დარგიდან აღრიცხულია 29 სახერხი ქარხანა 600 მუშით, კასრების დამამზადებელი 7 საწარმო. აქედან ორი სახელოსნოა, სადაც 23 მუშაა და 5 მანუფაქტურა 169 მუშით[143].

ქუთაისის გუბერნატორის 1902 წლის ანგარიშში დასახელებულია 32 სახერხი ქარხანა — 772.000 მანეთის წლიური პროდუქციით და 629 მუშით (კასრებისა — 5 მანუფაქტურა 566.000 მან. პროდუქციით და 170 მუშით)[144].

როგორც ვხედავთ, მოცემულ ორ საბუთს შორის განსხვავება უმნიშვნელოა და საერთო სურათს არსებითად არ ცვლის.

---

[141] ЦФ ЦГИА УССР, ф. 834, д. 20, с. 2.

[142] ХФ ЦГИА УССР. ф. 834, д. 63, с. 9.

[143] Адресная книга Фабрично-заводской и ремесленной промышленности всей России, под редакции А. В. Погожева, 1905, СПБ, с. 137.

[144] К. К. на 1905, г. с. 79.

სახერხი ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციის სიდიდე წლების განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა.

1900-იანი წლებიდან სახერხი ქარხნები სააქციო საზოგადოებებმაც დააარსეს. ასეთი იყო: „ამიერკავკასიის სატყეო-სამრეწველო საზოგადოება"[145], რომლის საქმიანობას შედეგად მოჰყვა მდ. კოდორზე მაქსიმოვის სახერხი ქარხნის გახსნა; „გაგრის სატყეო-სამრეწველო-საექსპორტო საზოგადოება", რომელმაც გაგრაში კარგად მოწყობილი სახერხი ქარხანა დააარსა. მისი უძრავ-მოძრავი ქონებისა და დამზადებული ნაწარმის საერთო ღირებულებამ 1913 წ. 7 მილ. მან. გადააჭარბა[146].

1911—1913 წ. წ. „იტალიაში კავკასიის ხე-ტყის შემტანმა საზოგადოებამ" ფოთში და საჩილაოში ორი დიდი სახერხი ქარხანა გახსნა[147].

1900-იანი წლების დასაწყისში „ძმები ჩილინგარიანების საკაპრო ფირმამ" ბათუმში, გახსნა სახერხი სუფსაში, სადაც 36 მუშა იყო და 45 000 მან წლიური პროდუქცია მზადდებოდა[148].

ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სხვა საქციო საზოგადოებებიც მოქმედებდა, მაგრამ მათ სამუშაოების გაშლა ვეღარ მოასწრეს და საქმიანობა შეწყვიტეს. ასეთები იყო მაგალითად: „კავკასია — შავი ზღვის ხე-ტყის მრეწველობის საზოგადოება „რომელიც სვანეთის ჩუბეხევის ტყის ექსპლუატაციას ეწეოდა[149] და ინგლისური საქციო გაერთიანება: „ქუთაისის სამთო და სატყეო-სამრეწველო საზოგადოება"[150], რომელთა შესახებ პირველ თავში ვიმსჯელეთ.

1911—1913 წწ. წარმოების მასშტაბის სიდიდით და მუშახელის სიმრავლით ყურადღებას იპყრობს იტალიის სამრეწველო ფირმის წარმომადგენლების ატილიო და ლუიჯი სბროიავაკების კუთვნილი სახერხი ქარხნები.

1910 წ. სბროიავაკებმა შეიძინეს საჩილაოს სახერხი ქარხანა, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ გ. გ. სერებრიაკოვი განა-

---

[145] ЦГИА СССР, ф. 20, оп. 4, д. 3918, л. 33.

[146] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, გვ. 70.

[147] კ. მარქსის სახ. რესპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/51, ХФ ЦГИА УССР, ф. 834, д. 289, л 24.

[148] Обзор Кутайсской губернии за 1912 год; с. 27.

[149] სსციია, ფ. 12, ან. 6, საქ. 946, ფურც. 6.

[150] გაზ. ივერია, 1904, № 181. ЦГИА СССР, ф. 243, оп. 12, д. 119, л. 88, 106.

ებდა ნავთისმრეწველ რიხნერთან ერთად[151]. იტალიელებმა სამრეწველო საწარმო სრულიად განაახლეს, გააფართოვეს და ახალი მანქანა-დანადგარებით და საჭირო მოწყობილობით შეაიარაღეს. ქარხანა 4 განყოფილებისაგან შედგებოდა: სამანქანო ნაწილში მუშაობდა 300 ცხ. ძ. სიმძლავრის ძრავა. სახერხ განყოფილებაში ჩარჩოიანი 13 დაზგა იყო. ცალკე იყო გამოყოფილი საყუთე და სახელოსნო განყოფილებები. ნორმალური დატვირთვის დროს ქარხანაში 320 კაცს უნდა ემუშავა, ხე-ტყის დამზადებაზე კი ათას კაცს. ქარხანას საკუთარი ელექტროსადგური გააჩნდა, რაც საშუალებას აძლევდა 24 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ემუშავა. ქარხანა წლიურად 75 000 კუბ. მეტრ მერქანს ანუ 6 არშინის სიგრძის 150—200 ათას ცალ მორს ამუშავებდა[152]. ქარხნის ახლოს დაცურებულ მორებს წყლიდან ელექტროელევატორი იღებდა. ძირითადი მაგისტრალიდან ქარხნამდე საგანგებოდ დაგებული ფართოლიანდაგიანი რკინიგზა გადიოდა. დაახლოებით ასეთივე სიდიდისა იყო სბროიავაკების მეორე სახერხი, რომელიც ფოთში 1911 წ. 18 ივნისს ამუშავდა[153].

1912 წ. საჭილაოს ქარხანაში 110 კაცი მუშაობდა. და მისი წლიური პროდუქციის ღირებულება 100 000 მან. შეადგენდა. ფოთის ქარხანაში კი 210 კაცი იყო და წლიური პროდუქციის ღირებულება 200000 მან. უდრიდა[154]. 1912-13 წწ. ორივე ქარხანამ საზღვარგარეთ გააგზავნა 1 200 000 ფუთი ფიცარი[155].

ქუთაისის გუბერნიის მუშების საერთო რიცხვი ზემოთ აღნიშნული ორი ქარხნის მუშების რაოდენობის ხარჯზე 30%-ით გაიზარდა[156].

1912 წ. ქუთაისის გუბერნიაში აღრიცხულია 37 სახერხი ქარხანა 1052 მუშით და 712800 მან. წლიური პროდუქციით[157]. მისი მნიშვნელოვანი წილი იტალიის ფირმის ორ ქარხანაზე მოდიოდა. ქარხნების საერთო რიცხვში ჩანს, მეტისმეტად წვრილი სახერხებიცაა შეტანილი.

---

151 ХФ ЦГИА УССР —. 834, д. 289, с. 24.

152 А. А. Долгушин. Леса Зак. и их экспл. с. 70.

153 რუსპ. ბიბლ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/51. აქ დაცული მოსაწვევი ბარათით ნ. ნიკოლაძეს ქარხნის გახსნას ატყობინებენ.

154 Обзор Кут. губ. за 1912 год. с. 27.

155 А. Долгушин. Леса Зак.... с. 70, 93.

156 Обзор Кутайсской губ. за 1912 год. с. 27.

157 იქვე.

რამდენიმე მსხვილი ქარხნის გარდა, რომლებიც საგანგებოდ ნავთობის საექსპორტო ჰურჭლის ტარისათვის მასალის დამზადების მიზნით გაიხსნა, დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა მეტწილად საშუალო (20—35 მუშით) და უფრო წვრილი მასშტაბის (10—12 მუშით) სახერხი ქარხნები. მათი პროდუქცია ქვეყნის შიგნით მოიხმარებოდა, მცირე ნაწილი რუსეთში გადიოდა. მისი რაოდენობის განსაზღვრისათვის არავითარი მონაცემები არ არსებობს. მაგ., ფოთის სახერხები რუსეთში გასაგზავნად მცირე რაოდენობით ამზადებდნენ ფიცრებს, ლარტყას, საყუთე მასალას, იფნის კოპიტულას (კუნძურა), ბორბლის ღერძისა (ხიდის) და ხელნისათვის, რომელსაც როსტოვში, ნოვოჩერკასკში და სხვაგან აგზავნიდნენ[158].

ფოთში მომუშავე დიდიას ქარხანა, სადაც 12 მუშა იყო გაერთიანებული, რუსეთში გასაგზავნად ამზადებდა ავეჯის მასალას, იფნის ხის მასალას უკრაინული ეტლებისათვის („ბრიჩკა"), სამშენებლო და სხვა სახის მასალა გაჰქონდა თბილისში, სადაც „მადათოვის" კუნძულზე თავისი საკუთარი ხის მასალის საწყობი გააჩნდა. ფოთის ქარხნებში საერთოდ ძირითადად იფნის ხესა და თხმელას ამუშავებდნენ.

დასავლეთ საქართველოს მცირე სიდიდის ქარხნები საკმაოდ ძიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. მათი რიცხობრივი ზრდა 1912—1913 წწ. შეიმჩნევა. ხშირად რამდენიმე მრეწველი ერთიანდება, რომლებიც თხოულობენ ორთქლისძრავის ან ელექტროძრავის დადგმის ნებართვას და მისი მიღების შემთხვევაში ხსნიან ჰატარა მოცულობის სახერხს. ამ პერიოდში საფაბრიკო ინსპექციის მიერ უამრავი მსგავსი ნებართვა არის გაცემული[159]. ამგვარ სახერხ ქარხნებს ძირითადად ადგილობრივი მრეწველები აარსებდნენ, თუმცა ზოგიერთები გარედანაც იყვნენ მოსული, მაგ., სპინაკი, ფეტერი, ვოლფენზონი და სხვები.

ადგილობრივი ხე-ტყის ექსპლუატაციის შედეგად მიღებული ნედლეულის ბაზაზე სახერხი ქარხნის დაარსება მაშინდელ პირობებში თუ ერთი მხრივ, ძალზე მომგებიან საქმედ გამოიყურებოდა, მეორე მხრივ, მრავალი დაბრკოლებების გამო დიდ სირთულეებს აწყდებოდა, რაც მის ზრდა-გაფართოებას ამუხრუჭებდა. საქართველოს მთის ტყეების ექსპლუატაციის სირთულით, რაც წინასწარ

---

158 А. Долгушин. Леса Зак. ... с. 61.

159 სსცია, ფ. 275, საქ. 328, ფურც. 1, 17, 20, 21, საქ. 336, 337, 338, 339, 343, ფ. 276, საქ. 112, 114.

მსხვილი კაპიტალის დაბანდებას საჭიროებდა, აიხსნება ის გარემოება, რომ ადგილობრივი მრეწველები უფრო ადვილად მისადგომი ტყეების ექსპლუატაციას აძჯობინებდნენ, რაც ნაკლებად იყო შემორჩენილი. ამიტომ ისინი უფრო მცირე სიდიდის ქარხნებს აგებდნენ, რადგან ასეთი საწარმო წინასწარ დიდი თანხის დაბანდებას არ საჭიროებდა და მასთან ერთად ტყეების შემცირების შემთხვევაში, სხვა ადგილზე გადასატანად უფრო მობილური იყო. ადგილობრივი მრეწველი კარგად იცნობდა გარემო პირობებს, ნედლეულის შეძენის შესაძლებლობებს, ბაზრის მოთხოვნილებებს; საქმეში პრაქტიკულად უფრო ჩახედული იყო და შესაბამისად მოქნილად მოქმედებდა. ამიტომ მისი საწარმო, მასშტაბების სიმცირის მიუხედავად, წლების განმავლობაში წარმატებით მუშაობდა. დასავლეთ საქართველოში ასეთი მრეწველები იყვნენ: დათეშიძე, საბახტარაშვილი, დიდია, ნაკაშიძე, მოსეშვილი და სხვანი. ხშირად ერთი ქარხნის მეპატრონე სხვა ადგილზე მეორე ქარხანასაც ფლობდა. ე. ი. მას გააჩნდა კაპიტალი, რომლითაც შესაძლებლობა ჰქონდა ერთი დიდი მოცულობის საწარმო დაეარსებინა, წარმოების კონცენტრაცია მოეხდინა. მაგრამ იგი რამდენიმე მცირე სიდიდის ქარხნის დაარსებას ამჯობინებდა, რაც ადგილობრივ პირობებში მათი მეტი გამძლეობითა და მობილურობით აიხსნებოდა, რაზედაც უკვე ზემოთ გვქონდა მსჯელობა. მაგ., მრეწველ დიდიას ერთსადაიმავე პერიოდში დაახლოებით ერთნაირი სიდიდის (10—მუშიანი და 12—მუშიანი) სახერხი ჰქონდა ფოთში და რაჭაში—სოფ. სადმელში. 1882 წ. მის მიერ გახსნილი ქარხნები 900-იან წლებშიდაც წარმატებით მუშაობდა. ასევე საბახტარაშვილს 10 მუშიანი ქარხნები ჰქონდა ფოთში და სამურზაყანოში[160].

ოზურგეთის მაზრის სოფ. ლანჩხუთში მცხოვრები აზნაურები კ. ნ. ეორდანია და კ. ბ. გოგიბერიძე 1870 წლიდან მისდევდნენ ხეტყის დამუშავებას. მათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ადგილზე და ზოგჯერ ერთდროულად ჰქონდათ ქარხნები. 1870—1881 წწ. მათ ქ. ფოთში ჰქონდათ სახერხი. 1881—1895 წწ. მათი კუთვნილი ორი ქარხნიდან ერთი მდ. სუფსაზე მდებარეობდა და მეორე — ოზურგეთის მაზრაში სოფ. გრიგოლეთში. აქედან 1895 წ. ერთი ქარხანა გადაიტანეს სოხუმთან ახლოს სოფ. გუდავაში, მეორე კი უფრო მოგვიანებით გორის მაზრაში, სოფ. ქარელში. 1898 წ. ორივე ქარ-

---

160 Адресная книга фабрично-заводской, ремесл. промышленности всей России, под редак. А. В. Погожева, СПБ., 1905. с. 137.

ხანას ერთდროულად შეუწყვეტია მუშაობა, რადგან „აღარ ჰქონდათ ტყის მასალა“. მათ 1898 წ. ახალი ქარხანა გახსნეს ოზურგეთის მაზრაში, სოფ აკეთში[161]. ეს 10 მუშიანი ქარხანა 1905 წლის რუსეთის იმპერიის სამრეწველო საწარმოთა სამისამართო წიგნშია შეტანილი. როგორც ვხედავთ, მცირე საწარმოს გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მთავარი ნედლეულის ბაზასთან სიახლოვე იყო.

ზემოთ მოტანილი ფაქტობრივი მასალა კარგად ასახავს ამგვარი სახერხების მუშაობის ხასიათს, მათ შედარებით გამძლეობასა და სტაბილურობას. 1906 წ. აღნიშნულ ქარხანას მუშაობა კიდევ უფრო გაუფართოვებია, აქ დღიურად 30—45 მუშა ირიცხებოდა. ამგვარი საწარმოს მოწყობილობა მარტივი იყო. აქ იდგა 12 ცხ. ძ. ორთქლის ძრავა, დაზგები და ჰქონდათ სხვადასხვა ზომის სამუშაო ხერხები. მათი უმრავლესობა წრიულ ხერხს ხმარობდა, რომელიც უფრო მსხვილი მასალის დასახერხად გამოიყენებოდა. მისი საშუალებით მასალის უფრო წვრილ ნაწილებად დახერხვის დროს დანაკარგი დიდი იყო, რაც ხშირად 50—60% აღწევდა[162].

მართალია, საწარმოს მანქანა-იარაღებით აღჭურვა აქაც ხდებოდა, მაგრამ ძირითადად მცირე სიდიდის ქარხნების მუშაობის ზრდა მოწინავე ტექნიკას კი არ ემყარებოდა, არამედ უშუალოდ იაფ ნედლეულზე და იაფ მუშახელზე იყო დამოკიდებული.

1913 წ. დას. საქართველოს ხე-ტყის ქარხნებში 1 400-მდე მუშა იყო გაერთიანებული და წლიურად 1 900 000 მან. პროდუქცია მზად-

---

161 სსცია, ფ. 13, ან. 15, საქ. 348, ფურც. 3—10.
აკეთის საწარმოს მაგალითზე გადავხედოთ როგორ გამოიყურებოდა მსგავსი ტიპის საწარმოები. ფიცრის ღობით გარშემოვლებულ ქარხნის ეზოში (5 დეს. ფართობისა) იყო: 1) 16 საე. სიგრძის და 4 საე. სიგანის კრამიტით დახურული ფარდული, სადაც მანქანა და დაზგები იდგა. გვერდით მიშენებული ჰქონდა სამკეცლო და სახელოსნო. 2) — 15 საე. სიგრძისა და 4 საე. სიგანის ყავრით დახურულ ფარდულში ინახებოდა უკვე დამუშავებული ნაძვისა და ფიჭვის მასალა და სხვადასხვა ზომის ფიცრები.

3) — ასეთივე ფარდულში ცალკე ეწყო წაბლის ხის მასალა.

4) — კრამიტის დახურული ოროთახიანი წაბლის ხის სახლი, სადაც მუშა—მოსამსახურეთა საცხოვრებელი იყო.

5) ქარხნის მეპატრონეთა საცხოვრებელი წაბლის ხის 5 ოთახიანი სახლი.

6) მსხვილფეხა რქოსანი საქონლისა და ცხენებისათვის—თავლა.

7) სიმინდის შესანახი ბეღელი, თივის საკრეკელი მანქანა. 8) ფარდულების გადატვირთვის გამო ეზოში გასაშრობად იდგა მზა ფიცრების რამდენიმე შტაბელი. ქარხანა თავისი მოწყობილობით 50 000 მან. იყო შეფასებული.

162 Кавказское хозяйство, 1818, № 11—12, с. 3.

დებოდა. ამავე წელს აღმოსავლეთ საქართველოს სახერხებში 450 მუშა ირიცხებოდა და 691000 მან. პროდუქცია მზადდებოდა[163].

კაპიტალისტურ საწარმოთა შორის უნდა დავასახელოთ სადგ. რიონიდან 35 ვერსზე ალექსანდროვსკის მამულში მდებარე სახერხი ქარხანა, რომელიც საკასრე ტკეჩებს მანქანური წესით ამზადებდა. მის შესახებ სტატისტიკურ მოამბეში ვკითხულობთ: „ღირშესანიშნავი იყო წაბლარის ხევის აგარაკში ბელგიელ ტყისმრეწველების 1903—1904 წწ. იმ დროის ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ეს ქარხანა მეორე ქარხნად ითვლებოდა საქართველოს ფარგლებში საჭილაოს ქარხნის შემდეგ... წაბლარისხევის სახერხმა ქარხანამ 20 წელი იმუშავა, იგი 1925 წ. დაიხურა"[164].

ქარხანა აღნიშნულ პერიოდში მხოლოდ დროდადრო მუშაობდა. დამატებით ცნობებს გვაწვდის ნ. ნიკოლაძის არქივი, საიდანაც ვიგებთ, რომ საწარმო მასალას ალექსანდროვსკის ტყიდან იღებდა, რომლის ფართობი 4 000 დეს. აღემატებოდა. საკასრე ტკეჩების დასამზადებლად ქარხანაში 28 ხერხი ყოფილა[165]. 1905 წ. რევოლუციით დამფრთხალ ბელგიელებს საქმისათვის თავი დაუნებებიათ და სამშობლოში დაბრუნებულან.

1913 წ. სატყეო დეპარტამენტმა, საკასრე ტკეჩებზე დიდ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, ქარხნის ამუშავება გადაწყვიტა. საკასრე ტკეჩებზე მოთხოვნილება გაიზარდა ციმბირის კარაქის დამამზადებელ საწარმოთა სასწრაფო დაკვეთების გამო. ძირითადი მომხმარებლები, დანია და ინგლისი, კარაქს მხოლოდ წიფლის კასრებით იღებდა. ომამდე ეს მასალა გერმანიიდან და ავსტრია-უნგრეთიდან შეჰქონდათ და გავრცელებული იყო აზრი, რომ თითქოს კავკასიის წიფელა საჭირო ტარის კასრების დასამზადებლად უვარგისი იყო. ეს საკითხი შეისწავლეს და გამოიკვლიეს სატყეო საქმის გამოცდილმა სპეციალისტებმა: ზაკტრეგერმა, ვუჩინომ, ფიჟენკომ, პახარმა, რომელთა წერილები მაშინდელ ჟურნალებში გამოქვეყნდა. ისინი კავკასიის წიფლის კასრებით კარაქის ტრანსპორიტრების ვარგისიანობას აღიარებდნენ[166].

1914 წ. საომარი მოქმედების დაწყებიდან ციმბირის კარაქის

---

163 საქართველოს ისტ. ნარკვევები, V, გვ. 70.

164 სტატისტიკური მოამბე, 1928, № 14—16.

165 რესპ. ბიბ. ნ. ნიკოლაძის არქივი, დოკ. № 47/1.

166 К. Х. 1910, № 15, 1911—№ 11, 195—№ 11—12, № 20—21, № 22—23.

საწარმოებს გერმანიიდან საკასრე ტკეჩების მიწოდება შეუწყდათ. ისინი წლიურად 1,5 მილ. კასრზე შეტს მოიხმარდნენ. შექმნილი მდგომარეობის გამო გადაწყვიტეს საზღვარგარეთის მასალა კავკასიის წიფელით შეეცვალათ. ამ საკითხის მოსაგვარებლად 1915 წ. აპრილში კავკასიაში, სატყეო კორპუსის ვიცე-ინსპექტორი გორნი მიავლინეს. საქართველოს წიფლის ტყეების სიუხვის მიუხედავად აღმოჩნდა, რომ მანქანური წესით საკასრე ტკეჩების დამზადება მხოლოდ ორ ქარხანას შეეძლო: ბორჯომისა და წაბლარისხეეის ქარხნებს. რადგან ეს უკანასკნელი უფრო კეთილმოწყობილი აღმოჩნდა, გადაწყდა მას დაემზადებინა საჭირო მასალა. ალექსანდროვსკის ქარხანას 200 000 კასრის მასალის დამზადება შეუკვეთეს[167].

ქარხანა ეკუთვნოდა კამერგერის ქვრივს ნ. გ. ალექსანდროვსკაიას, რომლის მამულსა და ქარხნის საქმეებს მეტყევე ლინევსკი განაგებდა. საწარმო დღეში 500 კასრს ამზადებდა. თითო კასრის სარეალიზაციო ფასი 65 კაპ. იყო. ქარხანაში 19 კაცი მუშაობდა, მის გარეთ 23 მუშა იყო დასაქმებული[168]. მუშათა რაოდენობაზე წარმოდგენას იძლევა სია, რომელიც ქარხნის განმგებელმა მუშების ჯარიდან გასათავისუფლებლად წარადგინა. სიაში შეტანილი არ უნდა იყოს ხე-ტყის მოჭრაზე მომუშავე ყველა მუშა, რადგან მეპატრონე მხოლოდ იმ მუშების გათავისუფლებას ითხოვდა, რომლებიც ქარხნის სამუშაოებისათვის აუცილებლად საჭირონი იყვნენ. საომარი მოქმედების გამო ქარხანამ დაკალებული სამუშაოების მხოლოდ ნაწილი შეასრულა.

1914 წ. მსოფლიო ომის დაწყებამდე სახერხი ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1913 წელს 1900 ათას მანეთს შეადგენდა. 1915 წელს როგორც პროდუქციის სიდიდე (1098667 მანეთი), ისე მუშების რიცხვი (60?) წინა წლებთან შედარებით შემცირდა. ომის პერიოდში ქარხნების დიდი ნაწილი დაიხურა და საერთოდ ამ წარმოების დონე საგრძნობლად დაეცა[169].

1915 წელს ქუთაისის გუბერნიასა და სოხუმის ოკრუგში მთლიანად 51 სახერხი ქარხანა აღირიცხა. გარდა ამისა, ბათუმში მცირე სიდიდის ფირფიცრის ქარხანა მოქმედებდა, რომელიც უწ-

---

[167] სსცია, ფ. 243, ან. 4, საქ. 656, ფურც. 21.
[168] იქვე, ფურც. 8, საქ. 525, ფურც. 10—16.
[169] К. К. на 1917 г., с. 313.

ჟისში მოხვედრილი არ არის. ამავე პერიოდში თბილისში იყო 3 ფირფიცრის საწარმო 28 მუშითა და 62029 მან. წლიური პროდუქციით[170]. ომის დაწყების გამო მისი ექსპორტი შეწყდა. ფირფიცრის დამზადება დაიწყეს წიფელისაგან, რომელიც უმთავრესად სკამებისათვის იხმარებოდა.

რამდენიმე ცდის მიუხედავად, ავეჯის ფაბრიკის გახსნა ვერ შოხერხდა. 1894 წ. ლუბლინის გუბერნიის გრეხილი ავეჯის ერთერთი ფაბრიკის პატრონი არტურ ლესელი ბათუმის ოლქში, ყარაშალვარის ტყის ექსპლუატაციის საფუძველზე, თხოულობდა ავეჯის ფაბრიკის გახსნის ნებართვას, მაგრამ მისი თხოვნა უშედეგოდ დამთავრდა[171]. 1896 წ. სახაზინო უწყებამ გრეხილი ავეჯის საწარმოს დაარსება დააპირა, სადაც პატიმრებს უნდა ემუშავათ, მაგრამ ეს ცდაც არ განხორციელდა[172]. უფრო მოგვიანებით, 1916 წელს, სააქციო საზოგადოება „საქფაბრიკამ" ქუთაისში აამუშავა გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, რომლის ნაციონალიზაცია 1921 წ. მოხდა[173].

1915 წ. დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები წარმოებული პროდუქციის ოდენობით და დასაქმებული მუშების რაოდენობით მნიშვნელოვნად უსწრებდა აღმოსავლეთ საქართველოს, სადაც ამავე წელს ირიცხებოდა 17 სახერხი 343 მუშითა და 639220 მან. წლიური პროდუქციით[174].

XX ს. საქართველოს სახერხ ქარხნებში ყველაზე მსხვილ კაპიტალისტურ ქარხნებს მიეკუთვნებოდა გრაფ სბროიავაკის ქარხნები საჭილაოში და ფოთში, გაგრის სახერხი და ალექსანდროვსკის საწარმო. აღმოსავლეთ საქართველოში ზეზემანის ორი ქარხანა გორში და ორი სახერხი ქარხანა ბორჯომში. დანარჩენი ქარხნები საშუალო და მეტწილად მცირე წარმადობით ხასიათდებოდა. მათი უმრავლესობა წიწვოვან ხე-ტყეს ამუშავებდა, რომლისგანაც სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალა მზადდებოდა: ძელები, ფიცრები, ლარტყა, საყუთე მასალა, საკასრე და სხვა.

ა. დოლგუშინის მონაცემების მიხედვით 1912—1913 წწ. ამიერკავკასიაში მზადდებოდა 3,2 მილ. ფუთი დახერხილი მასალა, რომლის ძირითად ნაწილს დასავლეთ საქართველოს ქარხნები უშვებდნენ. 1912—13 წწ. ფოთიდან გაიგზავნა 1200000 ფუთი და-

---

170 К. К. на 1917 г., с. 313.

171 ЦГИА СССР ф. 387, оп. 6, д. 350403, л. 3.

172 ქუთ. სცია, ფ. 18, საქ. 1984, გვ. 15.

173 საისტორიო მოამბე, 1956, IX, გვ. 279.

174 К. К. на 1917, г. с. 313.

ხერხილი მასალა. ბათუმიდან—744000 ფუთი ხის მასალა. გარდა ამისა, მისი დიდი ნაწილი რკინიგზით გადიოდა. ამიერკავკასიიდან წლიურად იგზავნებოდა 1,9 მილ. ფუთი დახერხილი მასალა, რაც მცირედ აღემატებოდა დამზადებული მასალის მთლიანი რაოდენობის ნახევარს. ამავე წლებში ამიერკავკასიაში წლიურად 7 მილ. ფუთი მასალა შემოდიოდა, რომლის დიდ ნაწილს ბაქო მოიხმარდა. ამგვარად ა/კ-ში შემოტანა 3,7-ჯერ ჭარბობდა გატანას[175].

მართალია, საქართველოს სახერხი ქარხნები ქვეყნის შინაგან მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეფორმის შემდგომ ხანაში მრეწველობის ამ დარგის წინსვლა უტყუარი ფაქტია.

1915 წ. 1890 წელთან შედარებით ქარხნებისა და მუშების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, წარმოებული პროდუქციის ოდენობა კი 7,3-ჯერ, 1900 წელთან შედარებით — 1,6-ჯერ. 1913 წ., როცა სახერხი წარმოება უფრო მძლავრი იყო, წარმოებული პროდუქციის რაოდენობა 1890 წელთან შედარებით 12,8-ჯერ გაიზარდა, 1900 წელთან შედარებით კი 3-ჯერ.

უნდა შევნიშნოთ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან ქარხნების რაოდენობრივი ზრდა იმდენად შესამჩნევი არ არის, რამდენადაც წარმოებული პროდუქციის გადიდება, რაც მანქანა-იარაღების ფართოდ გამოყენებით და წარმოების კონცენტრაციით უნდა აიხსნას.

დასავლეთ საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში მანქანების გამოყენება მხოლოდ სახერხ ქარხნებში დაინერგა და გავრცელდა. თუ 80-იან წლებში მსხვილ კაპიტალისტურ სამრეწველო წარმოებაში უმთავრესად საზღვარგარეთის ქვეყნების: საფრანგეთის, ბელგიის კაპიტალი იყო დაბანდებული, 90-იანი წლებიდან ხე-ტყის სახერხ წარმოებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთისა და ადგილობრივი კაპიტალის დაბანდება. ამ გზით დაარსდა და ამუშავდა დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები, როგორიც იყო ი. ოქრომჭედლიშვილის, მაქსიმოვის, ალექსანდროვსკის, გაგრის საექსპორტო საზოგადოების მსხვილი საწარმონი. გარდა ამისა, საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად განსაკუთრებით ნავთობისა, მანგანუმის მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობის ზრდის შედეგად, ქვეყნის შიგნით დატრიალებული კაპიტალი ხე-ტყის სახერხი ქარ-

---

[175] А. Долгушин. Леса Закавказья...с. 93.

ხნების დაარსების საშუალებას იძლეოდა. მაგალითად, სახერხები ჰქონდათ მარგანეცის მრეწველს პ. მოსეშვილს, ნავთის მრეწველებს: რიხნერს, არამიანცს, ჯალალოვს და სხვებს.

ხე-ტყის ცნობილი მრეწველები: დათეშიძე, დიდია, გობელია, საბახტარაშვილი, ნაკაშიძე და სხვანი ზოგჯერ რამდენიმე ქარხნის მფლობელები იყვნენ, რომლებიც დაწყებულ სამრეწველო საქმიანობას წარმატებით აგრძელებდნენ.

სახერხ ქარხნებში მანქანების გამოყენებამ ხე-ტყეზე მოთხოვნილება არნახული სისწრაფით გაზარდა. ამან გამოიწვია მასალის დამზადებაზე დიდი რაოდენობით დაქირავებული მუშახელის მიზიდვა. 10—12 მუშიანი საწარმო ხე-ტყის დამზადება-გადაზიდვაზე 200 კაცზე მეტს მოითხოვდა. უფრო მსხვილი კაპიტალისტური წარმოება კი ათასობით მუშა-ხელს საჭიროებდა. ტყის სიღრმეში მომუშავე სახერხი ქარხნები გარდა იმისა, რომ უამრავ მუშახელს იზიდავდა, ხე-ტყის მოჭრაზე დასაქმებულ დაქირავებულ მუშათა (რომელსაც მიწათმოქმედებისაგან თავისუფალ დროს სეზონურად მომუშავე გლეხი წარმოადგენდა) რიცხვის ზრდასაც იწვევდა. ეს გარემოება ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა სახერხი ქარხნების მუშებისა და ხე-ტყის მოჭრაზე დასაქმებული დიდძალი მუშახელის დაახლოებისათვის.

თავი III

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური ბრძოლა

საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად უმიწოდ და მიწის მცირე ნაკვეთით დარჩენილი გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა სახლ-კარი დაეტოვებინა და ლუკმა-პურის მოსაპოვებლად სამუშაოდ შორს წასულიყო. ისინი დაქირავებული მუშახელის რიგებს ავსებდნენ, სამუშაოდ გადიოდნენ სოფლად არსებულ კაპიტალისტურ მეურნეობებში თუ სარეწავებში, დიდი ნაწილი ქალაქებში, სამრეწველო ცენტრებში მიდიოდა და სამრეწველო პროლეტარიატის შემადგენლობას სწრაფად ზრდიდა.

კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად, რომელიც მრავალრიცხოვან დაქირავებულ მუშახელს იზიდავდა, გაიზარდა და გაფართოვდა საქართველოს ქალაქები. 1886 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 71,7%-ით გაიზარდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იმატა დასავლეთ საქართველოს ქალაქების: ბათუმის, ჭიათურის, ფოთის, ტყიბულის და შედარებით მოგვიანებით სოხუმის მოსახლეობამ. მათ შორის მოსახლეობის სიმრავლით ბათუმი გამოირჩეოდა.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი და საექსპორტო ქარხნები ყველაზე დიდი რაოდენობის მუშახელს იზიდავდა. დროთა მსვლელობაში, პერიოდულად მანქანა-იარაღების გაუმჯობესებისა და სამუშაოს სიდიდის ცვალებადობის გამო, რომელსაც მრავალი მიზეზი იწვევდა, ქარხანა მუშების დიდ ნაწილს სამუშაოდან ითხოვდა და უმუშევართა დიდი არმია ქუჩაში ულუკმაპუროდ რჩებოდა. ცნობილია, რომ შრომის იარაღი, მანქანის სახით, იმთავითვე მუშის კონკურენტი ხდება. „მუშათა კლასის ის ნაწილი, რომელსაც მანქანა ზედმეტ მოსახლეობად აქცევს, ე. ი. მოსახლეობად, რომელიც უშუალოდ საჭირო აღარ არის კაპიტალის თვითზრდისათვის, ერთი მხრივ, ილუპება ძველი ხელოსნური და მანუფაქტურული

წარმოების უთანასწორო ბრძოლაში მანქანური წარმოების წინააღმდეგ, და მეორე მხრივ, აწყდება მრეწველობის ადვილად მისაწვდომ დარგებს, ზედმეტად ავსებს შრომის ბაზარს და ამიტომ სწევს სამუშაო ძალის ფასს მის ღირებულებაზე დაბლა"[1].

განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ვარდებოდნენ ხელოსნები, რომლებსაც მანქანური წარმოების განვითარება სულ უფრო მეტად ავიწროვებდა და ბოლოს სამუშაოდან აძევებდა.

80-იანი წლების დასაწყისში სახერხი ქარხნების გამრავლებამ უმუშევრად დატოვა მრავალრიცხოვანი მუშა-მხერხავი. 1885 წელს გაზეთი „დროება"გვაცნობს დასავლეთ საქართველოდან თბილისში სამუშაოდ ჩამოსული მხერხავების უმწეო მდგომარეობას, რომელთაგან „პოლიციას დაეგროვებია ორმოცამდე მხერხავი რაჭველი და მიერეკებოდა პოლიციისაკენ" იმ მიზეზით, რომ ისინი „უბილეთოები" აღმოჩნდნენ[2]. მხერხავების, დურგლებისა და ხუროების მძიმე შრომის საზღაური თანდათან მცირდებოდა. ამის შესახებ 1882 წ. ქ. თბილისის მხერხავებისა და ხუროების ამქრის მამასახლისი მიხეილ მესხი წერდა: „კარგად მოგეხსენებათ ორი გროშის საშოვრად რა ჯაფას და ოფლის ღვრას იტანს ჩვენი ხურო და საზოგადოდ მუშა ხალხი. ამ თავის დაუზოგველის შრომით უწინ, როგორც იყო ღებულობდნენ ფულს, მაგრამ ახლა, როდესაც რაღაც ხერხის მაშინები მოიტანეს მდიდრებმა და დაუწყეს ხეებს მითი ხერხვა და ყიდვა, ჩვენი ხუროებისა და ნამეტურ ქარგლების საქმე უკუღმა დატრიალდა"[3].

ცხადია, ხელოსნური შრომა დროის გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა და მისი ფასი თანდათან ეცემოდა. ბოლოს ამგვარ ხელოსანთა უმრავლესობა თავის სამუშაოს ტოვებდა და ნებისმიერი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმოს დაქირაველებულ მუშად იქცეოდა. ფაბრიკა-ქარხნების კონკურენციით დევნილთა შორის ყოფილი სახელოსნოს ან სავაჭროს მეპატრონენიც ხშირად ხვდებოდნენ. ამ მდგომარეობას კარგად გადმოსცემს გაზ. „კვალი", რომელიც 1898 წ. წერდა: „დღევანდელ მუშა ხალხს რომ თვალყური ადევნოს კაცმა, ხშირად დაინახავს ზავოდის კარებზე ისეთ მუშებსაც, რომელშიც ყოფილან მედუქნენი, ვაჭრები,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, 1, 1930, გვ. 380.
[2] გაზეთი „დროება", 1885, № 130.
[3] გაზ. „დროება", 1882, № 148.

მოიჯარადრეები და წვრილი მწარმოებლები, რომლებიც გაკოტრებულან მსხვილი ვაჭრებისა და მწარმოებლების მეოხებით, რადგანაც ვერ გაუძლიათ იმათი კონკურენციისათვის და მეტოქეობისათვის"[4]. მათ რიცხვში მრავლად იყვნენ ხე-ტყის დამზადებაში მომუშავენი: მოიჯარადრენი, წვრილი მრეწველები, მეტივეები, ხე-ტყის მზიდავნი და ა. შ. ხე-ტყის დამზადება-გამოტანასთან დაკავშირებული სამუშაო თავისი სირთულის გამო ქარხნამდე მიტანილი მასალის თვითღირებულებას საკმაოდ ამაღლებდა. მისი წარმოება ბევრ ხარჯს ითხოვდა და ხშირად მწარმოებელი დახარჯული შრომის საფასურს ვერ ინაზღაურებდა.

1897 წ. გაზეთი „ცნობის ფურცელი" გვაცნობს მეტივეების მძიმე მდგომარეობას, რომლებსაც ფოთის ქარხნების მეპატრონენი იძულებულს ხდიდნენ ტივებით ჩამოტანილი ხე-ტყე ღირებულების ნახევარ ფასზე ნაკლებად მიეყიდათ მათთვის. გაზეთი ამის შესახებ წერდა: „ქალაქ ფოთში ყოველწლივ დიდძალი ხე-ტყე ჩამოაქვთ მთელის გურია, სამეგრელოდან. ხე-ტყით ვაჭრობა ბევრს არჩენს ჩვენში. ხეები ჩამოაქვთ პიჩორით პალიასტომში და იქიდან მერმე ფოთში კაპარჭინათი. მეტივეების ჩამოსვლის დრო რომ მოახლოვდება, შეიკრიბებიან აქაური მექარხნეები და თათბირობენ, რა საშუალება ვიხმაროთ, რომ ეს ჩამოტანილი ხე-ტყე კიტრის ფასად დავინარჩუნოთო. რა თქმა უნდა. შეკრავენ პირობას, რომ ხეში, რომელიც ღირს მანეთიდან ორ მანეთამდე, შეაძლიონ მეტივეთ 5—6 შაური და, რადგანაც მეტივეს მეტი საშუალება აღარ აქვს და უნდა ნება-უნებლიეთ დასთანხმდეს"[5]. შექმნილი მდგომარეობა ხე-ტყის წვრილ მრეწველებს სავსებით აღატაკებდა და ისინიც სხვა სამუშაოს ძებნაში მეტწილად ქალაქის სამრეწველო საწარმოებში სამუშაოდ მიეშურებოდნენ.

ქალაქებში სამუშაოდ ჩასული მუშახელის რაოდენობა განსაკუთრებით მოუსავლიანობის წლებში უფრო მრავლდებოდა. მაგალითად, 1898 წ. როცა სამეგრელოში მკაცრმა ზამთარმა საქონელი გაწყვიტა და ცხოვრების სახსარი მოსპო, ქ. სოხუმში სამუშაოს საძებნელად 500-ზე მეტი მშრომელი ჩავიდა. „ზოგმა კიდეც იშოვა იმდენი სამუშაო, რომ დღიურ ხარჯად ეყოფა, უმეტესობა კი ღვთის ანაბარა არიან ჯერჯერობით"[6], აღნიშნავდა გაზ. „ცნობის ფურცელი".

---

[4] ყაზ. „ქვალი", 1898, № 7.
[5] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1897, № 242.
[6] იქვე, 1898, № 456.

უმიწაწყლო გლეხობის დიდი ნაწილი, რომელიც შრომის ბაზარს იაფი, ჭარბი მუშახელით ავსებდა, დაბლა სწევდა დაქირავებული დღიური მუშის ხელფასს, რის გამოც მუშები იძულებული ხდებოდნენ კაპიტალისტისათვის ძალზე იაფად მიეყიდათ თავისი სამუშაო ძალა. „დაქირავებული შრომა, რომელიც წინათ გამონაკლისს და დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა, მთელი წარმოების წესად და ფორმად იქცა"[7].

დასავლეთ საქართველოს კაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოთა შორის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი და საექსპორტო ქარხნების შემდეგ 1890-იანი წლებიდან უურადღებას იპყრობდა სახერხი ქარხნები, რომლებიც „საკმაოდ მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნიდნენ".

სახერხ ქარხნებში ორთქლის მანქანის გამოყენების გავრცელებასთან ერთად იქ მომუშავე მუშების გარდა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა ქარხნის გარეთა სამუშაოებზე, კერძოდ ხეტყის მოჭრაზე დასაქმებული მუშების რაოდენობა. როგორც საერთოდ ტყის სარეწავებზე მომუშავეთა, ისე სახერხი ქარხნებისათვის საჭირო ხე-ტყის დამამზადებელ მუშათა რაოდენობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. ეს სამუშაო სეზონურ ხასიათს ატარებდა და ოფიციალურად არ აღირიცხებოდა, ამიტომ მათი რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.

გარდა იმისა, რომ თავისი სპეციფიკის გამო ტყის სამუშაოები სეზონური ხასიათისა იყო, დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნები სამუშაოს სიდიდის არამუდმივობისა და ხშირი ცვალებადობის გამო წყვეტდნენ, ამცირებდნენ, ან პირიქით, ადიდებდნენ სამუშაოს და ამის მიხედვით ცვალებადობდა ტყეში დასაქმებული დაქირავებული მუშების რაოდენობაც. მათი საერთო რაოდენობა სახერხი ქარხნების რაოდენობისა და წარმადობის ზრდასთან ერთად, წლების განმავლობაში იზრდებოდა. 1913 წელს საქართველოში სამასალე ხე-ტყის დამზადებაში დასაქმებული იყო 8—9 ათასი მუდმივი და კიდევ მეტი სეზონური მუშა[8].

მცირე სიდიდის 10—12 მუშიან სახერხ ქარხანას რომ ინტენსიურად ემუშავა, მისთვის ნედლეულის დროულად მისაწოდებლად ტყეში ხე-ტყის დამზადება-გადმოტვირთვაზე 200-მდე მუშა მაინც უნდა ყოფილიყო დასაქმებული, მსხვილი სახერხი ქარხნები

---

[7] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ, II, თბ., 1950, გვ. 158.

[8] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI, თბ., 1972, გვ. 69.

კი ათასობით მუშახელს საჭიროებდნენ. მაგ., 1898 წ. მაქსიმოვის ქარხანა ტყეში 1.000 კაცს ამუშავებდა, ხოლო 1904 წელს მათი რიცხვი 2.000-მდე აღწევდა[9].

ხე-ტყის სამუშაოების სიმძიმის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სატყეო სამუშაო იმ სამუშაოთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც ძალიან დაბალი ხელფასია. მისი ჰიგიენური პირობები საზიზღარია და აქ მუშათა ჯანმრთელობა საშინლად ნადგურდება; უღრან ტყეებში მიტოვებულ მუშათა მდგომარეობა მეტისმეტად უმწეოა. მრეწველობის ამ დარგში შეუზღუდველად სუფევს კაბალა"[10].

ტყეში მუშაობის საერთო სიმძიმის გარდა საქართველოს მთის ზოლის ტყეებში მუშაობა: ხე-ტყის მოჭრა, დამზადება, მდინარემდე მიზიდვა, დაცურება და ა. შ. ძალიან რთული იყო და მეშის სიცოცხლისათვის სახიფათო საქმიანობას წარმოადგენდა.

საქართველოს მთის მდინარეების უმრავლესობა ტივების დასაცურებლად მხოლოდ მის ქვედა დინებაში გამოიყენებოდა. მდინარის სიგრძის ძირითად ნაწილზე მორებს ცალობით აცურებდნენ. ცალობით დაცურების წესი კი ძალიან რიცხვმრავალ მუშახელს მოითხოვდა. ხე-ტყის დაცურებაზე მომუშავენი ხშირად არტელებად იყოფოდნენ. თითო არტელი მდინარის სიგრძის გარკვეულ ნაწილზე აცურებდა ხე-ტყეს, უფრო დაბლა შემდეგ სხვა არტელს გადასცემდა, ისინი ბოლოს მეტივეებს აბარებდნენ და ა. შ. ასეთი წესი გამოიყენებოდა როგორც მდ. ენგურზე ასევე საერთოდ საქართველოს დიდ მდინარეებზე ხე-ტყის დაცურების დროს. მდ. მტკვარი ხომ მეტივეების მიერ დაყოფილი იყო ცალკეულ მონაკვეთებად, სადაც მათ თავისი მონოპოლია ჰქონდათ. მეტივეთა ერთი არტელი თავისი გასავლელი მანძილის შემდეგ, გარკვეულ პუნქტში მეტივეთა სხვა არტელს გადაბარებდა ტივს და სხვის „უბანში" არავითარ შემთხვევაში არ შეიჭრებოდა.

ხე-ტყის როგორც ტივებით, ასევე ცალობით დაცურება მუშის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. 18—20 მორისაგან შეკრული ტივის დაცურება მეტივეს ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდა. გაზეთი „კავკაზი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ქუთაისში ხე-ტყეს აცურებენ მდინარე რიონის სწრაფ დინებაზე, სიკედილის საფრთხის მიუხედავად, გაბედული რაჭველები და ლეჩხუმლები"[11].

---

[9] გაზ. „ივერია", 1897, № 7; 1897, № 74; 1904, № 242. „ცნობის ფურცელი", 1898, № 550.

[10] ვ. ი. ل ي ن ي ن, თხზ., ტ. 3, გვ. 623.

[11] გაზ. «Кавказ», 1866, № 29.

1896 წ. გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ: „პალიასტომში დაიხრჩვა ოთხი მეტივე, ოთხივეს გურულებს ასახელებენ“[12] მსგავსი ცნობები იმდროინდელ პრესაში მრავალად მოიპოვება.

მაშინდელ საქართველოში ხე-ტყის დაცურების მთელ სიმძიმეს, რასაც ხშირად მრავალი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ეწირებოდა, ცოცხლად გვისურათებს ეგნატე ნინოშვილი თავის ნაწარმოებში „პალიასტომის ტბა“, ლეო ქიაჩელი ნოველაში „ალმასგირ კიბულან“ და სხვა.

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სახერხი ქარხნების დაარსებამ ეკონომიკურ სიღატაკეში მყოფ გლეხობას საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სამუშაო გაუჩინა. „ფულმა გამორეკა გლეხები კარჩაკეტილობიდან, გააცნო თავისი გემო და თუ ეს სამუშევარი არ ჰყოფნის დღეს ბევრს (ლაპარაკია საშილაოს სახერხი ქარხნის სამუშაო ადგილზე), ზოგნი სულ სტოვებენ სახლ-კარს და მიდიან აქა-იქ ქალაქებში სამუშაოდ და ზოგნი ვაჭრობასაც ჰკიდებენ ხელს. ამნაირად, ფულმა და წარმოებამ, ამ კარჩაკეტილობისა და პატრიარქალურის ცხოვრების მტერმა, ლეჩხუმშიაც შეჰყო თავი“[13]. და იქაური მკვიდრნი სახერხი ქარხნისათვის საჭირო ხე-ტყის სამუშაოებში ჩაება.

განსაკუთრებით რიცხვმრავალი მუშახელი მიიზიდა კოდორის ხეობაში მაქსიმოვის მიერ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოს, ხე-ტყის სახერხი ქარხნის გახსნამ და მასთან დაკავშირებულმა ტყის ექსპლუატაციის ფართო სამუშაოებმა.

ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა წერილები ამ საწარმოს მომუშავეთა მძიმე ხვედრის შესახებ. გაზეთ „კავალიდან“ ვეცნობით მათ სავალალო მდგომარეობას. სამუშაო ადგილზე იაფი მუშახელის დიდი რაოდენობით თავმოყრის შედეგად ხშირად მათი დიდი ნაწილი უმუშევრად რჩებოდა, რის გამოც იძულებული იყვნენ უკან გაბრუნებულიყვნენ, ან ახალი ადგილის გამოჩენას დალოდებოდნენ. აქ ნაჩვენებია მუშების მძიმე, აუტანელი სამუშაო პირობები, მოიჯარადრეთა მიერ მათი სასტიკი ექსპლუატაცია. გაზეთის ფურცლებზე ასახული სურათი ტიპიურია საქართველოს ხე-ტყის დამზადება-დაცურებაზე მომუშავეების საერთო მდგომარეობის გასათვალისწინებლად. მის თვალწათლივ საჩვენებლად მოგვაქვს ერთი ნაწყვეტი: მაქსიმოვს წლიურად ტყიდან უნდა გამოეტანა არა ნაკლებ 60 ათასი მორისა. „აი, ამოდენა ხის მოჭრა,

[12] გაზ. „ივერია“, 1896, № 88.

[13] გაზ. „ივერია“, 1900, № 48, გვ. 2.

წყალში ჩაყრა და წყლით წაღება ზავოდამდის თხოულობს აუარებელ მუშახელს; და თუმცა აქ ახლომახლო არავინ ცხოვრობს, მაგრამ კაპიტალს აქაც თავისი დაღი დაუმჩნევია. მას ხმამაღლა უთქვამს: მოდით, ვისაც შრომა შეგიძლიათ, მე აქ ვარო. ეს ხმა მოესმა მთელ იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, აფხაზეთს, სვანეთს და სხვებს. ყოველი მხრიდან დაძრულა შრომისმოყვარე მუშა და აუარებელი რიცხვი მუშისა ამ უდაბურ ტყეში მიუზიდავს, მაგრამ დახე უბედურებას, მუშათა ხელი ხშირად აღემატება მოთხოვნილებას. და ეს უშრომლად დარჩენილი მუშა იძულებული ხდება ან უკან დაბრუნდეს ან და დაუცადოს თავისივე ძმის უბედურ შემთხვევით ან რაიმე მიზეზით, მუშაობის თავის დანებებას, რომ მისი ალაგი დაიჭიროს. ხის მოჭრა და წყალში ჩაყრა იჯარით არის გაცემული. მოიჯარადრეები, რასაკვირველია ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მუშის ხელფასი შეამოკლონ და ამის მისაღწევად მას ხელს უწყობს უშრომლად დარჩენილი მუშების კონკურენცია და თვით ადგილის მდებარეობაც. გასულ წელს ზავოდამდის ხის ჩატანაც იჯარით იყო გაცემული. არ შემიძლია დასურათება იმისა, თუ რა უკიდურეს მდგომარეობაში იყო ამით მუშა. ხშირად შეხვდებოდი შემდეგ სურათს: საშინელ ქარ-ყინვის დროს მუშები წყალში წელამდის შეტოპილი მუშაობდნენ. როცა ველარ გაუძლებდნენ სიცივეს, ამოვარდებოდნენ ზეკვით, თვალს ვერ გაუმაგრებდით იმათ საცოდაობას: აკანკალებული, ტუჩებჩალურჯებული, იხვივით ფეხებდაწითლებული გაექანებოდა საწყალი და ცეცხლში ჩაყრიდა ხელ-ფეხს. ჯერ მუნჯივით გაჩუმდებოდა, მაგრამ როცა აჰქავდებოდა ხელ-ფეხი, დაიწყებდა ყვირილს, სულ ცრემლებს აყრევინებდა, იწყევლიდა გაჩენის დღეს... ვერც კი მოასწრებდნენ მოსულიერებას, რომ უფროსი მივარდებოდა და ისევ საწყლებს წყალში ჩაყრიდა"[14]. მუშაობის შემდეგ მუშების უმეტესი ნაწილი უბინაობის გამო ღამის გასათევად გარეთ რჩებოდა. ზემოთ აღწერილი სამუშაო პირობების შედეგად მომავალი წლისათვის მუშათა დიდი ნაწილი მწყობრიდან გამოდიოდა, რადგან მათ უმრავლესობას რევმატიზმი და სხვადასხვა დაავადება გაუჩნდა. ბევრი მათგანი კი სიცოცხლეს გამოესალმა. „აქ ყოველდღე, ყოველ საათს ელის მუშა უბედურებას, მაგრამ, რადგან მისი ოჯახის ეკონომიური მხარე ძალიან ვიწრო დონეზე დგას—იძულებული ხდება არ დაერიდოს არავითარ საშიშს და ხშირად თავსაც გადაატანს ხოლმე. აქ, როგორც ხის მოჭრის და წყალში ჩაყრის, აგრეთვე წაღების დროს ზავოდამდის, მუ-

[14] გაზ. „ქვალი", 1899, № 26, გვ. 413.

ნის დამარცხება და სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენაა"[15]. ტყეში მომუშავეებს უჭირდათ საკვები პროდუქტების შოვნა. თუ მის მოტანას ქარხნის ადმინისტრაცია აწესრიგებდა, უვარგის პროდუქტებში მუშას მის ღირებულებაზე მეტს ახდევინებდნენ და ისედაც მცირე ხელფასიდან აღარაფერი რჩებოდა. ხე-ტყის დამზადების ძირითად ადგილზე, ჩხალთაში, მუშების მეთვალყურეობისათვის საგანგებოდ დაწესებული საპოლიციო პუნქტი არსებობდა.

მძიმე სამუშაო პირობებთან ერთად, მუშებს ისედაც მცირე ხელფასს, რომელსაც ზოგჯერ მთლიანადაც არ აძლევდნენ, ხშირად უგვიანებდნენ[16]. ამის გამო ადგილი ჰქონდა მუშათა საპროტესტო გამოსვლებს. მაგალითად, საჭილაოს საწარმოში მუშებმა ერთ-ერთი მღელვარების დროს პროტესტის ნიშნად საწარმოს კუთვნილი მორები დაიტაცეს და დაფანტეს[17].

მოჯარადრეების თავგასულობის პასუხად 1898 წ. აჯანყდა მაქსიმოვის საწარმოს ტყეში მომუშავეთა ერთი ჯგუფი და მუშაობაზე უარი განაცხადა. მოიჯარადრემ მუშების თვალის ასახვევად რამდენიმე მუშისათვის პირობების გაუმჯობესებით (რამდენიმე მუშას თვეში დაუნიშნა ხელფასი — 34 მან. და დაპირდა საჭმელ-სასმელის უფასოდ მიცემას.) დაქსაქსა მუშები და მათში დეზორგანიზაცია შეიტანა. ბოლოს მუშები მიხვდნენ თუ როგორ მოტყუვდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა მდგომარეობა ყველგან ერთნაირად მძიმე და აუტანელი იყო. „ხე-ტყის მუშები წარმოადგენენ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს პროლეტარიატისას, რომელსაც სულ მცირეოდენი ნაკვეთი მიწა აქვს და რომელიც იძულებულია არახელსაყრელ პირობებში გაყიდოს თავისი სამუშაო ძალა. ეს მოსაქმეობა მეტისმეტად ცვალებადი და არამუდმივია. ამიტომ მეტყევე მუშები წარმოადგენენ სარეზერვო არმიის იმ ფორმას (ანუ კაპიტალისტური საზოგადოების შედარებითი ჭარბი მოსახლეობა), რომელსაც თეორიამ ფარული უწოდა"[18].

სახერხი ქარხნების მუშების რაოდენობა 1912 წელს 1890 წელთან (300 მუშა) შედარებით 3,5-ჯერ გაიზარდა, 1900 წელთან (560) შედარებით კი თითქმის ორჯერ.

---

[15] სსცია, ფ. 13, ან. 15, საქ. 235, ფურც. 17.

[16] იქვე, ფ. 12, ან. 1, საქ. 1688, ფურც. 9.

[17] ლიტერატურული მუზეუმი, ი. ოქრომჭედლიშვილის არქივი, დოკ № 1978, გვ. 18.

[18] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 625.

1913 წ. სახერხ ქარხნებში 1400-მდე მუშა ითვლებოდა[19].

სახერხი ქარხნების მუშათა შრომის პირობები მეტისმეტად ‹ცუდი იყო. ქარხნის შენობათა უმეტესობა ხის ფარდულს წარმოადგენდა. მუშებს მოუწყობელ, ანტიჰიგიენურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. რაც მთავარია, მანქანა-დანადგარების მუშაობის დროს ტექნიკური უსაფრთხოების არავითარი დაცვა არ არსებობდა. უბედური შემთხვევები მუშებს ძრავასთან მუშაობის დროს ·უხდებოდათ[20]. ამის გამო სახერხ ქარხნებში ძალიან ხშირი იყო მუშების ფიზიკური დასახიჩრება, რაც მათი ინვალიდობით ან ზოგჯერ სიკვდილით მთავრდებოდა. ავადმყოფობის შემთხვევაში მუშას სამუშაოდან ათავისუფლებდნენ და იგი თავისი ოჯახით ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე რჩებოდა[21]. მუშებისათვის არც საავადმყოფო და არც პირველადი სასწრაფო დახმარება ·არსებობდა. გამონაკლისს წარმოადგენდა მაქისიმოვის ქარხანა, სადაც პატარა აფთიაქი და ავადმყოფთა მისაღები პუნქტი იყო გახსნილი. იგი ფორმალური ხასიათისა უფრო იყო, ვიდრე პრაქტიკული დანიშნულებისა.

ქარხნის მუშის ხელფასი იმდენად მცირე იყო, რომ ოჯახის გამოსაკვებადაც არ კმაროდა. გარდა ამისა, საწარმოს მეპატრონე მუ·შებს ხელფასის მიცემას ხშირად უგვიანებდა., ჯარიმების სახით ‹ქ·ვითავდა. ზოგჯერ კი ხელფასს სრულიადაც არ გასცემდა[22]. მუშებს ·სამუშაოდან მეპატრონე თვითნებურად ითხოვდა, ფიზიკურ შეუ·რაცხყოფას აყენებდა და საერთოდ არაადამიანურად ეპყრობოდა.

მუშას, პროტესტის განცხადების შემთხვევაში, ამის შესახებ ·სასამართლოში უნდა ეჩივლა, რაც ხშირად წლობით გრძელდებოდა[23]. მას კი საამისოდ არც დრო ჰქონდა და არც ფულადი სახსრები გააჩნდა.

კიდევ უფრო მძიმე სამუშაო პირობები ჰქონდათ სახელოსნოების მუშებს, რომლებიც „ჯოჯოხეთურ წამებაში“ იყვნენ. „წვრილ ·სახელოსნოთა მეპატრონენი ნამდვილი წურბელები არიან, რომ·ლებმაც მიზნად დაისახეს თავიანთი ტექნიკური ჩამორჩენილობა ·მუშების სისხლისა და შრომის ხარჯზე აინაზღაურონ და ამ გზით

---

[19] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, VI. გვ. 70.
[20] ХФ УЦГИА, ф. 824, д. 89, л. 14, 57, д. 348. с. 3.
[21] სსცია, ფ. 12, ან. 16, საქ. 168, ფურც. 108.
[22] ЦГИА СССР, ф. 387, оп. 28, д. 2109, л. 48.
[23] ХФ ЦГИАУ, ф. 834, д. 88, л. л. 5—6

არსებობისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ"[24]. ამიტომ სახელოსნოს მეპატრონე მუშას უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვდა, დღე და ღამე ამუშავებდა. მუშისათვის სახელოსნო საპატიმროს წარმოადგენდა, სადაც მზის სინათლე არასოდეს აღწევდა. „სახელოსნოში აუტანელი შრომა გონებრივად ამახინჯებს მუშას და ფიზიკურად უმოკლებს სიცოცხლეს, იმისათვის, რომ სახელოსნოს მეპატრონე გაამდიდროს"[25].

სახელოსნოების ჩაგრული მუშები რევოლუციურ ბრძოლებში ყოველთვის მხარში ედგნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშებს და მათ მიყვებოდნენ.

XIX ს. 70-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასმა ექსპლუატატორების წინააღმდეგ სტიქიური ბრძოლა დაიწყო, რაც მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში გამოიხატებოდა.

1898—1900 წწ. საქართველოს მუშათა მოძრაობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. დამთავრდა სტიქიური, შეუგნებელი მოძრაობის ხანა და დაიწყო მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა ორგანიზებული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. ამ ბრძოლებს უკვე მუშათა მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. ამგვარად, შეერთდა მუშათა მოძრაობა და მეცნიერული კომუნიზმი, რამაც მუშათა მოძრაობაში ძირეული ცვლილებები მოახდინა: ამ დროიდან მუშათა ორგანიზაციები თანდათან თავისუფლდებიან წვრილბურჟუაზიულ-ხალხოსნური იდეების გავლენისაგან და მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის დროშის ქვეშ დგებიან; საქართველოს მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას მჭიდროდ დაუკავშირდა და ამ მოძრაობის მოწინავე რიგების მწყობრში ჩადგა.

1901 წელი აღინიშნა ქ. თბილისში პირველი მაისობის პოლიტიკური დემონსტრაციით, რომელიც მთელი კავკასიის მუშათა მოძრაობაში ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყებას მოასწავებდა. თბილისში ჩატარებულ დემონსტრაციას ლენინური „ისკრა" დიდ შეფასებას აძლევდა და აცხადებდა, რომ „ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა"[26].

---

[24] გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", 1904, № 10—11, გვ. 7.

[25] П. В. Гугушвили. Развитие пром. в Грузии Зак., 1957, с. 298

[26] საქ. ისტორია, II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 231.

რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობით შეშინებული მეფის ხელისუფლება მცირეოდენი დათმობებით, რაც მის მიერ გამოცემულ სააფაბრიკო კანონებში გამოიხატებოდა, ცდილობდა მუშათა საერთო მოძრაობის შენელებას და მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებას. ვ. ი. ლენინი მკაცრად ამბელდა საფაბრიკო კანონების ნამდვილ არსს, რომელიც განგებ ისე იყო შედგენილი, რომ მეფაბრიკეს სრული უფლება ეძლეოდა იგი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

1897 წელს 2 ივნისს გამოცემული ახალი საფაბრიკო კანონის შესახებ (ფაბრიკებსა და ქარხნებში სამუშაო დღის შემცირებისა და უქმე დღეებში დასვენების დაწესების შესახებ) ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ როცა მეფის მთავრობის ვერავითარმა დევნამ და რეპრესიებმა ვერ შეაჩერა მუშათა მოძრაობა, „მთავრობა მაშინ მიხვდა, რომ აუცილებელი იყო დათმობა და მუშათა მოთხოვნების თუნდაც ნაწილის შესრულება“[27].

როგორც 1886 წ. 3 ივნისის (კანონები შინაგანი განრიგების წესების, ჯარიმების, შეფასებისა და სხვ. შესახებ), ასევე 1897 წწ. 2 ივნისის კანონები, ეს მთავარი საფაბრიკო კანონები რუსეთში, ორივე იძულებით დათმობას წარმოადგენდა, რომელიც პოლიციურ მთავრობას მუშებმა ხელიდან გამოგლიჯეს. აღნიშნული კანონების გამოსვლას ლენინი იმ მნიშვნელობას აძლევდა, რომ იგი უჩვენებდა რუსეთის მუშათა მოძრაობის წარმატებას, იმას, თუ რა უდიდეს ძალას შეიცავდა მუშათა მასების შეგნებული და მტკიცე მოთხოვნა. ამ კანონთა შესრულების მეთვალყურეობა საფაბრიკო ინსპექტორებს ჰქონდათ მინდობილი. 1886 წელს გამოცემული საფაბრიკო საწარმოთა მეთვალყურეობის კანონი ვრცელდებოდა რუსეთის მხოლოდ ზოგიერთ, სახელდობრ ყველაზე უფრო სამრეწველო გუბერნიაზე. 1897 წლიდან კი იგი მთელი რუსეთის ტერიტორიაზე გავრცელდა. თბილისის და ქუთაისის გუბერნიის (სოხუმის ოკრუგისა და ბათუმის ოლქის შემადგენლობით) სამრეწველო საწარმოები ხარკოვის საფაბრიკო ინსპექციას დაექვემდებარა (1899—1901 წწ.), რომელმაც ფაქტიურად მოქმედება 1902 წლიდან დაიწყო[28].

როგორც ვ. ი. ლენინი მოუთითებდა, „საფაბრიკო საწარმოთა მეთვალყურეობის სფეროს გაფართოება მუდამ კვალდაკვალ მის-

---

[27] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 329.
[28] საისტორიო მოამბე, 10, 1959, გვ. 77.

დევდა მუშათა მოძრაობისა და მუშათა გაფიცვების გაფართოებას"[29], საფაბრიკო ინსპექციის მიერ სამრეწველო საწარმოთა მეთვალყურეობის კანონის მთელი რუსეთის იმპერიაზე გავრცელებას და საფაბრიკო ინსპექციის დაწესებას ლენინი წინგადადგმულ ნაბიჯად თვლიდა. მუშები ამით ისარგებლებდნენ, რათა თავიანთი ამხანაგების მეტი რიცხვისათვის გაეცნოთ თავისი მდგომარეობა, კანონები მუშათა შესახებ, გაეცნოთ ის, თუ როგორ ექცეოდა მუშებს მთავრობა და მისი მოხელეები და სხვ. რუსეთის ყველა ფაბრიკა-ქარხნის მუშების ერთნაირი წესებისადმი დაქვემდებარება, მოწინავე (პეტერბურგის, მოსკოვის, ვლადიმირისა და სხვ. გუბ.) მუშებთან ერთად, ხელს შეუწყობდა მუშათა მოძრაობას, რომელიც სწრაფად მოედებოდა რუსეთის დანარჩენ მუშებს.

საფაბრიკო ინსპექციას ოფიციალურად ევალებოდა: ფაბრიკა-ქარხნების მუშებზე მეთვალყურეობა, საფაბრიკო კანონმდებლობის სწორად შესრულებისათვის თვალყურის დევნება, სამრეწველო საწარმოებში გაფიცვის მიზეზების გამორკვევა, მეფაბრიკეთა და მუშებს შორის უთანხმოების მშვიდობიანად მოგვარება, ფაბრიკა-ქარხნების მოქმედების შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება და ა. შ. მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა ზომების მიღება მეფაბრიკეთა და მუშებს შორის მოსალოდნელი დავისა და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წარმოშობილი უთანხმოების ადგილზე გამორკვევისა და ორივე მხარის მშვიდობიანად მორიგების გზით. არსებითად საფაბრიკო ინსპექტორი პოლიციის ფუნქციებს ასრულებდა და მას არ უნდა დაეშვა გაფიცვები, მოეხდინა მათი ლიკვიდაცია, სასამართლოში მიეცა სამუშაოდან თვითნებურად წასული მუშები და ა. შ. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „საფაბრიკო ინსპექტორები ემორჩილებიან ფინანსთა სამინისტროს, რომელიც მათ მეფაბრიკეების დამქაშებად ხდის, აიძულებს მათ პოლიციას აცნობონ ხოლმე გაფიცვებისა და მღელვარების შესახებ.. ერთი სიტყვით, საფაბრიკო ინსპექტორებს რაღაც პოლიციის მსახურებად, რაღაც საფაბრიკო ურიადნიკებად აქცევს"[30].

საქართველოს სამრეწველო საწარმოებში საგაფიცვო მოძრაობის გაძლიერების კვალდაკვალ საფაბრიკო ინსპექცია აქტიურად ჩაება მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1901 წლიდან რევოლუციური მოძრაობის ახალ ტალღას ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშებიც შეუერთდნენ.

---

[29] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 2, გვ. 361.

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., 2, გვ. 362.

საქართველოში მზარდი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ერთიან ხელმძღვანელობას მოითხოვდა. 1901 წ. ქ. თბილისში ჩატარებულმა სოციალ-დემოკრატიული წრეების არალეგარულმა კონფერენციამ აირჩია რსდმპ ლენინურ-ისკრული თბილისის კომიტეტი და დასახა შემდგომში მუშაობის ლონისძიებები.

1901 წელს შეიქმნა რსდმპ ბათუმის კომიტეტი. იგი სათავეში ჩაუდგა მუშათა მოძრაობას ბათუმში. რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

1902 წლის იანვარში მანთაშევის ქარხნის მუშათა დიდ გაფიცვას, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხელმძღვანელობდა[31]. ასეთი მასშტაბის გაფიცვები ყველა დანარჩენ სამრეწველო საწარმოთა მუშებზე უდიდეს გავლენას ახდენდა და ექსპლუატატორების წინააღმდეგ ბრძოლებში ერთ მთლიან ძალად აერთიანებდა.

1902 წლის თებერვალში როტშილდის ქარხნიდან 389 მუშა დაითხოვეს[32]. გემ-ცისტერნებით ნავთობის გატანის გადიდებასთან დაკავშირებით, საყუთე განყოფილები დროდადრო მცირდებოდა და მუშებს დიდი რაოდენობით სამუშაოდან ერეკებოდნენ. ამასთან ერთად, ქარხნების მეპატრონენი რევოლუციური მოძრაობის თავიდან ასაცილებლად მუშათა რაოდენობის შემცირებას ცდილობდნენ[33] და პირველ რიგში სამუშაოდან მოწინავე და შეგნებულ მუშებს ითხოვდნენ. მუშათა დათხოვნის გამო ქარხნის მუშებმა დიდი გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი სამუშაოდან გათავისუფლებული ამხანაგების უკან დაბრუნებას ითხოვდნენ. 27 თებერვალს ქარხნის სამხერხაო განყოფილების მუშებმა სამუშაო პირველებმა დატოვეს. მათ თან გაყვნენ დასახუფი, სათუნუქე და შემდეგ ებელი განყოფილებების მუშები[34]. მუშათა გაფიცვები გრანდიოზული დემონსტრაციებით დამთავრდა.

ბათუმის მუშათა რევოლუციურმა ბრძოლებმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელს ამიერკავკასიაში. მუშათა გამოსვლებმა ფართო ხასიათი მიიღეს.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად დღის წესრიგში დადგა ერთიანი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნის

---

31 საქ. ისტორია, 11, 1962, გვ. 233.

32 საქ. ისტორია, 11, 1962, გვ. 234.

33 Обзор Батумской области, 1904, с. 18; საისტორიო მოამბე № 9, 1956, გვ. 176.

34 საისტორიო მოამბე, № 10, 1959, გვ. 75.

აუცილებლობა. 1903 წლის მარტში ქ. თბილისში, ბაქოს, თბილისის და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების III ყრილობაზე შეიქმნა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. ყრილობამ მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის წესდება და პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო „ისკრის“ მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამის პროექტი.

1903 წლის ივლისის საყოველთაო გაფიცვებს საქართველოში რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ხელმძღვანელობდა[35]. ამ გაფიცვებში სხვა მუშებთან ერთად სახერხი ქარხნების მუშებიც მონაწილეობდნენ.

1903 წელს ივლის-აგვისტოში მუშათა გამოსვლები მოეწყო საჭილაოს სახერხ ქარხანაში, სადაც მუშათა საპროტესტო გამოსვლებს წინა წლებშიც ჰქონდა ადგილი. სამხერხაოს მუშების დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო და მუშაობას თავი დაანება. ისინი მოითხოვდნენ სამუშაოდან დათხოვილი მუშების ადგილზე დაბრუნებას და ხელფასის უკლებლივ მიღებას. მუშები ავრცელებდნენ მრეწველი კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციური შინაარსის პროკლამაციებს, სადაც გამოხატული იყო მუშების გულისწყრომა 14- საათიანი სამუშაო დღის სიმძიმისა და ხელფასის ანგარიშსწორების არასწორად წარმართვის გამო. ჩანს, მუშათა მასობრივი გამოსვლები შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა.

1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში მუშათა რევოლუციურმა გამოსვლებმა უმაღლეს დონეს მიაღწია. საქართველოში მიმდინარე ძლიერი რევოლუციური მოძრაობა დაკავშირებული იყო რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციასთან და რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

1905 წლის დასაწყისიდან საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლები ფართოდ გაიშალა. საგაფიცვო მოძრაობასა და დემონსტრაციებში სხვადასხვა სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა მუშები მონაწილეობდნენ: ფოთის მტვირთავები, სოხუმის ნოქრები, ბათუმის დეპოს და სადგურის, მანთაშევისა და როტშილდის ქარხნის მუშები, თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, ჭიათურის მაღაროების მუშები. მათთან ერთად რე-

---

[35] საქ. კომპარტიის ისტორ. ნარკვევები, 1 (1883—1911 წწ.), თბ., 1957, გვ. 18.

ვოლუციურ ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშებიც.

ვ. რ. მაქსიმოვის სახერხი ქარხნის მუშები სასტიკ ექსპლუატაციას განიცდიდნენ. სამუშაოს სიმძიმის მიუხედავად მათ მცირე ხელფასს — 70 კაპ-მდე აძლევდნენ, ავადმყოფობის შემთხვევაში სამუშაოდან აგდებდნენ, ქარხნიდან უმიზეზოდ ითხოვდნენ ძველ, გამოცდილ, შეგნებულ მუშებს.

მუშათა საცხოვრებელ სახლებს არც ბუხარი ჰქონდა და არც იატაკი. მუშებს უვარგისი ხარისხის პროდუქტებით კვებავდნენ, რაშიდაც ზედმეტ ფასს ახდევინებდნენ. ასეთი მდგომარეობა ქარხნის მუშების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და 1905 წ. 10 თებერვალს მათ გაფიცვა გამოაცხადეს. ამის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს საფაბრიკო ინსპექტორს სუშჩევსკის, რომელიც ბათუმში იმყოფებოდა, მაგრამ მან სოხუმის ოლქში გამგზავრება ვერ მოახერხა, რადგან თვით ბათუმში, როტშილდის ქარხანაში, სადაც 1500-მდე მუშა იყო, დიდი გაფიცვა მიმდინარეობდა[36]. ამის გამო საგანგებოდ გამოიძახეს მაქსიმოვის სახერხი ქარხნის მუშების გაფიცვის ადგილზე, აძიუბეაში, შავი ზღვის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექტორი ლევაშევი, რომელიც იქ 19 თებერვალს ჩავიდა. მას თან ახლდა სოხუმის ოკრუგის უფროსი, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ ქარხნის მუშათა გაფიცვას საყოველთაო რევოლუციურ გამოსვლებთან ჰქონდა კავშირი.

მაქსიმოვის ქარხნის მუშები მოითხოვდნენ: ხელფასის მომატებას, სამუშაოდან დათხოვილი მუშებისათვის სამგზავრო თანხის მიცემას, ავადმყოფობის დროს მუშისათვის უფასო მკურნალობას და სრული ხელფასის მიცემას, ქარხნის მუშაობის განახლების დროს სამუშაოზე ძველი მუშების მიღებას, საცხოვრებელ ბინებში იატაკის დაგებას და ბუხრის გაკეთებას.

ქარხნის ადმინისტრაციამ მუშათა მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა: ხელფასი 10 კაპ. მოუმატეს იმათ, ვისაც დღიურად 90 კაპ. და უფრო ნაკლები ეძლეოდა. მუშას, რომელიც გაუფრთხილებლად დაითხოვეს, ორი კვირის ხელფასი მიეცა. ავადმყოფობის დროს უფასო მკურნალობასთან ერთად მუშას ეძლეოდა კუთვნილი ხელფასის ნახევარი, მანამდე, სანამ შრომისუნარიანი

---

[36] საისტორიო მოამბე, № 11—12, 1960, გვ. 279.

არ გახდებოდა. ადმინისტრაცია მუშებს დაპირდა საცხოვრებელ ბინებში იატაკის დაგებას და ბუხრის გაკეთებას.

16 თებერვალს გაფიცულმა მუშებმა მუშაობა განაახლეს, მაგრამ 19 თებერვალს შუადღეზე კვლავ შეწყვიტეს ბატონყმობის გაუქმების დღის აღსანიშნავად. თათბირის შემდეგ მათ თავიანთ მოთხოვნებს 3 მუხლი დაუმატეს: I—წინასადღესასწაულო დღეებში მუშაობა დაემთავრებინათ 4 საათზე, ე. ი. 8 საათი ემუშავათ, 2—მოითხოვეს ბიბლიოთეკის გახსნა, 3—მუშებს ხელფასი მიეღოთ არა ორდერებით, არამედ ფულად[37].

მუშები უკვე კარგახნის წინათაც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ სამუშაო ადგილზე ფულის ნაცვლად მათ ორდერები ეძლეოდათ, რომლითაც შემდეგ სოხუმის კანტორაში იღებდნენ ხელფასს. გაფიცულებმა მოითხოვეს სასურსათო მაღაზიის გამყიდველის გაგდება, რომელსაც მუშებთან დამოკიდებულებაში უხეში მოქცევის გამო ადანაშაულებდნენ. მედუქნე სარგებლობდა მუშების უმწეო მდგომარეობით, რომლებსაც პროდუქტების შეძენის სხვა გზა არ ჰქონდათ, და ისედაც მცირე გროშებს მათ მთლიანად დუქანში ატოვებინებდა. ჯერ კიდევ წინა წლებში ამ მდგომარეობით შეწუხებული მუშები ჩიოდნენ: „მედუქნემ მთლად ხელში ჩაიგდო ჩვენი მუშების ბედიღბალი... ჩვენ ვმუშაობთ, ხოლო ფულის მიღების ორდერი ეძლევა მედუქნეს. ის იღებს ფულს კანტორაში ჩვენს მაგიერ, დანახარჯს დაიტოვებს და დანარჩენ ფულსაც აღარ გვაძლევს, რად გინდათ ფული, ისევ ჩემი დუქნიდან უნდა ხარჯოთ და აქვე დატოვეთო“. მუშები იძულებულნი იყვნენ უხარისხო სანოვაგეში. ჩაცომებულ პურში, რასაც მედუქნე დააწერდა, ის უნდა ეხადათ[38].

1905 წ. გაფიცვის დროს მოთმინება დაკარგულმა მუშებმა მოითხოვეს აღნიშნული მედუქნე-წურბელას მოშორება და მასთან ერთად ერთ-ერთი ნოქრის გაგდება, რომელიც მუშებს ჩუმად ყურის გდებასა და დაბეზღებაში ჰყავდათ შემჩნეული.

გაფიცული მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილეს და 23 თებერვალს ისინი მუშაობას შეუდგნენ[39].

ზემოთ მოტანილი საბუთებიდან კარგად ჩანს სახერხი ქარხნის მუშების მძიმე მდგომარეობა, რომლებმაც ხმა აიმაღლეს ექსპლუა-

---

[37] საისტორიო მოამბე, № 11—12, გვ. 289—290.

[38] გაზ. „ივერია“, 1904, № 173, გვ. 3.

[39] საისტორიო მოამბე, № 11—12, 1960, გვ. 290.

ტატორების წინააღმდეგ და მათ დასამხობად გაჩაღებულ საყოველთაო ბრძოლებში გაერთიანდნენ.

1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში მეფის ხელისუფლება დიდ საშიშროებას ხედავდა სხვადასხვა კუთხეში გაფანტული სახერხი ქარხნების არსებობაში, რადგანაც აქ იკვანძებოდა მუშებისა და გლეხების ახლო ურთიერთობა, სადაც მუშათა რევოლუციური იდეები გლეხობაზე უშუალო გავლენას ახდენდა. ერთ ბედქვეშ მყოფი მუშები და გლეხები ერთ ძალად იკვრებოდნენ. სახერხი ქარხნის მუშებს გაფიცვის დროს წამოყენებულ მოთხოვნებში გათვალისწინებულ ჰყავდათ ყველაზე ჩაგრული დღიური მუშებიც, რომელთა უმეტესობა სეზონურად მომუშავე გლეხები იყვნენ და იბრძოდნენ მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

რევოლუციის აზვირთების დროს მეფის თვითმპყრობელობის მიერ დაგზავნილი დამსჯელი ექსპედიციები არა მარტო რევოლუციაში მონაწილე მშრომელ გლეხობას უსწორდებოდა, არამედ გზადაგზა სპობდა ხე-ტყის სახერხ ქარხნებს, როგორც მუშების თავშეყრის ადგილს. ასე მოხდა მაგალითად, 1906 წ. I თებერვალს, როცა ოზურგეთის მაზრაში სოფ. აკეთში, ნაგომართან ახლოს მდებარე სახერხი ქარხანა პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელმა რაზმმა ცეცხლს მისცა[40]. ამ პერიოდში სახერხი ქარხნების უმეტესობამ დროებით შეწყვიტა მუშაობა, მრავალი კი საესებით დაიხურა. მცირე სიდიდის ქარხნები ტყის სიღრმეებიდან გადმოიტანეს ანაკლიასა, რედუტ-კალესა და ფოთში[41].

1905—1907 წწ. რევოლუციურ ბრძოლებს მუშათა კლასისა და გლეხობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლებში მათ შეიძინეს უდიდესი გამოცდილება, რაც შემდგომში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საწინდარი გახდა. ვ. ი. ლენინი 1905 წ. რევოლუციის შესახებ ამბობდა: „1905 წლის „გენერალური რეპეტიცია რომ არა, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა“[42].

1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების შემდეგ დაიწყო სტოლიპინის რეაქცია, რომლის დროსაც მეფის თვითმპყრობელობა მუშათა კლასს ართმევდა იმ მონაპოვარს, რაც მან განვლილ რევოლუციაში ბრძოლით მოიპოვა.

---

[40] სსია, ფ. 13. ან. 15, საქ. 348, ფურც. 10.
[41] ХФ ЦГИАУ, ф. 834. д. 190, л. 16.
[42] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. I.

რუსეთთან ერთად საქართველოს სამრეწველო საწარმოები კრიზისმა მოიცვა. ზედიზედ მცირდებოდა და იხურებოდა მთელი რიგი სამრეწველო დაწესებულებები. ფაბრიკა-ქარხნებიდან გამოძევებულმა მუშებმა უმუშევართა უზარმაზარი არმია შექმნეს.

1907 წ. ბათუმის სამრეწველო საწარმოთა შემცირების გამო მუშათა დიდი ნაწილი სამუშაოს გარეშე დარჩა. მუშების რევოლუციური გამოსვლებით შეშინებული საფაბრიკო ინსპექცია ხელისუფლებას იმით ამშვიდებდა, რომ გარეთ დარჩენილ მუშებს ახალ სამუშაოს გამოუძებნიდნენ. ამ შემთხვევაში, კერძოდ, გათვალისწინებული ჰქონდათ სახერხი ქარხანა, რომელიც სადგურ ნატანებთან შენდებოდა. ტყეში სამუშაოებისათვის საჭირო 600 მუშის რაოდენობა და სახერხი ქარხნისათვის საჭირო 40—50 კაცის ძდგილი მხოლოდ ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების ყოფილი მუშებით უნდა შევსებულიყო[43].

ცხადია, მეფის ხელისუფლებას სრულიადაც არ აინტერესებდა უმუშევრად დარჩენილი მუშების ბედი. მათი მიზანი იყო მუშების განცალკევების გზით დაექსაქსათ შეგნებული, გამოცდილი, მოწინავე მუშების ერთიანობა და ამით დაესუსტებინათ რევოლუციური ძალები. მათ მხედველობიდან გამორჩათ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ რევოლუციურად განწყობილი მოწინავე მუშების გაძევებით და მათი გაგზავნით სხვა სამუშაოზე—ამჯერად ხე-ტყის დამმუშავებელ ქარხანაში — რევოლუციის ნაპერწკალი ქვეყნის შიგნით უფრო ღრმად შეჰქონდათ. ისინი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდენ როგორც ქარხნის მუშებზე, ასევე ხე-ტყის სეზონურ სამუშაოებში გაერთიანებულ მრავალრიცხოვან გლეხობაზე. მოწინავე რევოლუციური იდეების გავლენით მუშათა და გლეხთა უფრო ფართო ნაწილი აქტიურად ებმებოდა საყოველთაო რევოლუციურ მოძრაობაში და მომავალი ბრძოლებისათვის ირაზმებოდა.

რეაქციის წლებში, როგორც ყველგან, ასევე ფოთის ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშათა მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. ქარხნის მეპატრონე მუშებს ხელიდან აცლიდა იმ მცირე უფლებებსაც კი, რაც მათ ჯერ კიდევ შერჩენოდათ. ისინი მუშებს უმიზეზოდ, წინასწარ გაუფრთხილებლად ითხოვდნენ სამუშაოდან. გაზ. „მომავალი“ ამის შესახებ წერდა: „მუშების დაქსაქსვამ და მათში გამეფებულმა დეზორგანიზაციამ ხაზეინებს ფრთა შეასხა და ამრიგად მუშების მიღება-დათხოვნის საქმე ხელიდან გამოსტაცეს მუ-

---

[43] ХФ ЦГИАУ, ф. 834, д. 166, л. 5.

შებს. შედეგი მეტად სამწუხაროა. სრულიად შეუგნებელი მუშა იჭერს ასე თუ ისე შეკავშირებული მუშის ადგილს". ქარხნიდან გაზეთის წაკითხვისთვისაც კი ითხოვდნენ მუშებს.

სახერხი ქარხნიდან, რომელიც „ბოლქვაძე და კომპ". ეკუთვნოდა, დაითხოვეს ორი მუშა უშანგი ორაგველიძე და ყარამან ქასრაძე „იმიტომ, რომ ისინი, ასე თუ ისე განირჩეოდნენ სამუშაო მანქანისაგან და სხვა მუშებივით მუნჯურად არ იტანდნენ ყოველგვარ შევიწროებას"[44], წერდა გაზეთი. ასევე იქცეოდნენ სხვა ქარხნების პატრონებიც. ისინი მუშებს უგვიანებდნენ და ზოგჯერ სრულიადაც არ აძლევდნენ მათ კუთვნილ ხელფასს. იყო შემთხვევა, როცა მექარხნე თავისი სურვილის მიხედვით მთელი კვირის ნამუშევრის საზღაურად მუშას 1 მან. 20 კაპ. აძლევდა[45].

მრეწველები და საფაბრიკო ინსპექცია ყოველ ღონეს მიმართავდნენ მუშებს შორის კავშირის მოსასპობად, მაგრამ მუშათა გაერთიანებას მომავალი საყოველთაო რევოლუციური ბრძოლებისათვის უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა.

პროფკავშირები, რომლებიც საქართველოში 1905 წლის დამლევს წარმოიშვნენ და რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ორგანიზებულად დარაზმვა, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ გახადგურებულ იქნენ. საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ასრულებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებას პროფესიული მოძრაობისადმი დახმარების შესახებ, ივნისის გაფიცვების შემდეგ კვლავ იწყებენ პროფესიული ორგანიზაციების შექმნას.

1906 წ. ივნისის დამლევს შეიქმნა „პროფესიულ კავშირთა ცენტრალური კომისია". პროფესიული კავშირები წარმოიშვა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, ფოთში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, ლანჩხუთში, ჩაქვში და სხვაგან[46]. იქმნებოდა ხის დამმუშავებელი დარგის პროფესიული კავშირებიც. კერძოდ თბილისის დურგლები, რომლებიც ხედავდნენ თავის დაბეჩავებულ ცხოვრებას, ეძებდნენ მისგან გამოსავალს. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ სხვა დურგლებიც. 1906 წ. გაზ. „ახალ დროებაში" გამოქვეყნებულ მიმართვაში ისინი წერდნენ: „არ არის ჩვენთვის განსაზღვრული სამუშაო დრო, არც შრომის დაფასება, არც ადამი-

---

[44] გაზ. „მომავალი", 1909, № 99.

[45] საისტორიო მოამბე, № 13—14, გვ. 112.

[46] საქ. კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, I, 1957, გვ. 196.

ანური მოპყრობა და არც რაიმე უბედურ შემთხვევაში დახმარება. ერთი სიტყვით, ვინ ჩამოთვლის რამდენნაირად დამცირებულია ჩვენი პიროვნება და შევიწროებულია ჩვენი ცხოვრება. მაშ, რითი უნდა გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრება. რასაკვირველია, შეერთებული და შეგნებული ბრძოლით"[47]. მათ სწამდათ, რომ ძალა ერთობაშია. ჭიათურის დურგლების არალეგალურ პროფესიულ კავშირს, რომელიც იბრძოდა მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (იცავდა 8 საათიან სამუშაო დღეს, მოითხოვდა ზედმეტი მუშაობის მოსპობას და ა. შ.) წესდებაში ცალკე მუხლად ჰქონდა გამოყოფილი, რომ „კავშირი უნდა იყოს კლასობრივი ბრძოლით გამაგრებული"[48],

პროფესიული კავშირები, რომლებიც ბოლშევიკების ხელშძღვანელობით შეიქმნა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მუშათა რევოლუციური მოძრაობის გაშლაში.

1910 წლიდან როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მრეწველობას გამოცოცხლება დაეტყო. ამას მოყვა მუშათა რიგების შეკვრა, შემჭიდროვება და მომდევნო წლებში საგაფიცვო მოძრაობის ზრდა.

მუშათა მძლავრმა გაფიცვებმა მრავალი მსხვილი სამრეწველო საწარმო მოიცვა, მათ შორის სახერხი ქარხნების მუშები.

1913 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიფიცნენ იტალიური ფირმის ფოთისა და საჭილაოს სახერხი ქარხნის მუშები. 19 სექტემბერს უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი პეტერბურგში მრეწველობის განყოფილებას დეპეშით ატყობინებდა: „გუშინ ფოთსა და საჭილაოში, სბროიავაკის სახერხ ქარხნებში გაიფიცა 558 მუშა, თხოულობენ ხელფასის 25%-ით გადიდებას და სხვა შეღავათებს. მუშები მოსალაპარაკებლად არ გამოცხადდნენ"[49].

ორივე ქარხნის მუშათა გაფიცვის დაწყებისთანავე საქმეში აქტიურად ჩაერია საფაბრიკო ინსპექცია, რომელიც დეპეშით უკავშირდებოდა პეტერბურგის მრეწველობის განყოფილებას და ცნობებს აწვდიდა მუშათა მოძრაობის მსვლელობისა და მდგომარეობის შესახებ.

1913 წ. 17 სექტემბერს გაფიცვამ იფეთქა ფოთის სბროიავაკის ქარხანაში. მეორე დღესვე გაიფიცნენ საჭილაოს ქარხნის მუ-

---

[47] გაზ. „ახალი დროება", 1906, № 1.
[48] სსცია. ფონდი 13, ან. 31, საქ. 148, 1907 წ. ფურც. 10.
[49] ХФ ЦГИАУ, ф. 834, д. 346, л. 123.

შები. ორივე ქარხნის მუშებმა დაახლოებით ერთგვაროვანი 25 პუნქტისაგან შედგენილი მოთხოვნები წარადგინეს. ისინი მოითხოვდნენ წინასწარ განსაზღვრული შესვენების საათების გათვალისწინებით 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესებას. გარდა ამისა, მეშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს შორის მთავარი ის იყო, რომ მათ მოითხოვეს მუშათა მამასახლისის ინსტიტუტის დაწესება. ქარხნის მეპატრონეს არ უნდა ჰქონოდა მუშის სამუშაოდან განთავისუფლების უფლება, თუ ამის შესახებ მუშათა მამასახლისს წინასწარ არ აცნობებდა და მისგან აღნიშნულ საკითხზე შესაბამის თანხმობას არ მიიღებდა. საყურადღებოა აგრეთვე საქილაოს ქარხნის მეშათა ერთ-ერთი მოთხოვნა: „მუშაობის დაწყება, შესვენება და დამთავრება წესრიგდება ქარხნის ადმინისტრაციის მიერ მუშათა კომისიასთან ერთად". ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე ვაგონებზე მომუშავე მოიჯარადრის გადაყენებას და სამუშაოს გადაცემას უშუალოდ მუშებისათვის, იმავე პირობებით, როგორც მოიჯარადრეებს ჰქონდათ[50]. მუშათა დანარჩენი მოთხოვნები ითვალისწინებდა ხელფასის მომატებას, უფასო მკურნალობას, ზრდილობიან მოპყრობას, მეშაობის ჰიგიენური პირობების დაცვას, მოზარდებისათვის, 16 წლამდე, მუშაობის აკრძალვას, დასვენებისა და წინასადღესასწაულო დღის 1/2 საათით შემცირებას, თვეში ორჯერ ხელფასის დარიგებას. საქილაოს ქარხნის მუშებმა მეტაბელე კურსკის განთავისუფლება მოითხოვეს.

ადგილობრივი ხელისუფალნი (ქუთაისის გუბერნატორი, საფაბრიკო ინსპექტორი) ცდილობდნენ, რომ გაფიცვებისათვის მხოლოდ უბრალო ეკონომიკური ხასიათის გამოსვლების მნიშვნელობა მიეცათ, მაგრამ მუშათა მოთხოვნებიდან და გაფიცვის მიმდინარეობიდან ჩანს, რომ მუშები შეეცადნენ ბრძოლით მოეპოვებინათ არა მარტო მცირედი ეკონომიკური დათმობა, არამედ გარკვეულად შეეზღუდათ ქარხნის ადმინისტრაციის მოქმედება და იგი მუშათა კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ. ამავე დროს მათ წამოაყენეს ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა, როგორიც იყო 8 საათიანი სამუშაო დღის დაწესების მოთხოვნა.

საფაბრიკო ინსპექციის ყოველგვარი ცდების მიუხედავად, სახერხ ქარხნებში გაფიცვები არ წყდებოდა. ქარხნის ადმინისტრაციამ დააპირა თავდაპირველად ფოთის ქარხნის მუშებს მოლაპარაკებოდა, რომლებიც წამოყენებული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას მოითხოვდნენ. გაფიცვა კვლავ გრძელდებოდა.

---

[50] სსცია, ფ. 13, ან. 30, საქ. 77, ფურც. 4.

30 სექტემბერს საჭილაოს ქარხნის მუშებმა პირველებმა შეწყვიტეს გაფიცვა. მათი მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.

საფაბრიკო ინსპექცია თითოეულ საწარმოზე, სადაც გაფიცვა ხდებოდა, ადგენდა საგანგებო სტატისტიკურ ბარათს. ამგვარი ბარათის მიხედვით საჭილაოს სახერხი ქარხნის მუშათა რაოდენობა 312 კაცს შეადგენდა. მთლიანად გაიფიცა 312 მუშა; გაფიცვა 9 1/2 დღე გაგრძელდა. 18 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. წარმოება დაახლოებით 20000 მან. შემცირდა. პოლიციამ სამი მუშა დააპატიმრა.

უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა ქ. ფოთის სახერხი ქარხნის მუშების გაფიცვა, რომელიც 17 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე გაგრძელდა. აღნიშნული სტატისტიკური ბარათის მიხედვით მუშათა რაოდენობა 246 კაცს შეადგენდა. გაფიცვაში ყველა მონაწილეობდა. გაფიცვის ხანგრძლივობა 29 1/2 სამუშაო დღეს შეადგენდა. წარმოების პროდუქცია 40 000 მან. შემცირდა. პოლიციამ 5 მუშა დააპატიმრა[51].

ფოთის ქარხნის მუშათა მოთხოვნებიც ქარხნის ადმინისტრაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა: მუშებმა მიაღწიეს ხელფასის მომატებას 10—15%-ით, ჯარიმების მოხსნას, მცირეწლოვანთა მუშაობის აღკვეთას, საავადმყოფო სალაროების ახალი არჩევნების მოწყობას და სხვა[52].

გაფიცვის დამთავრების შემდეგ რამდენიმე აქტიური მუშა დააპატიმრეს. ზოგიერთ მათგანზე კი მკაცრი მეთვალყურეობა დაწესეს. პატიმარ მუშებს პასპორტები ჩამოართვეს და ეტაპის წესით იმ ადგილებში გაგზავნეს, სადაც ისინი იყვნენ მიწერილი[53].

აღნიშნული ქარხნების მუშათა გაფიცვებს გამოეხმაურა გაზეთი „პრავდა", რომელიც გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ ცნობებს პერიოდულად აქვეყნებდა. გაზეთმა მთლიანად გამოაქვეყნა გაფიცული მუშების მიერ წამოყენებული მოთხოვნები.

სახერხი ქარხნების გაფიცულ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადეს ფოთის ნავსადგურის მარგანეცის მტვირთავმა მუშებმა, რომლებმაც გაფიცულთა დასახმარებლად ფულადი თანხა შეაგროვეს[54].

---

[51] ХФ ЦГИАУ, ф. 834, д. 346, л. 128.

[52] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 2, თბ., 1959, გვ. 316.

[53] სსცია, ფ. 13 ან. 30, საქ. 77, ფურც. 9.

[54] მაცნე, 1970, № 6, გვ. 15—27.

ამგვარად, ფოთისა და საკილაოს სახერხი ქარხნების მუშათა საგაფიცვო მოძრაობა ორგანიზებულ და მიზანსწრაფულ ხასიათს ატარებდა. მუშებმა წარმატებას მიაღწიეს და მოწინავე საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრეს.

ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის მუშები რევოლუციურ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდნენ. მათი საგაფიცვო მოძრაობა წლების განმავლობაში მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდა. 1905—1917 წლების რევოლუციის დროს ხე-ტყის მრეწველობის მუშები, საქართველოს მუშათა კლასის განუყოფელი ნაწილი, თავდადებით იბრძოდა.

საქართველოს მუშათა კლასი, როგორც მთელი რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი მებრძოლ რაზმი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რევოლუციის ქარცეცხლში, წინ, დიადი გამარჯვებისაკენ მიემართებოდა.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ I

საქართველოში ხე-ტყის დამუშავებას უძველესი ისტორია აქვს. ქართველი ხალხი ხით ხუროობას ძველი დროიდან მისდევდა და ხე-ტყეს მრავალმხრივი დანიშნულებისათვის ფართოდ იყენებდა. ამაზე თვალნათლივ მეტყველებენ ქამთა სიავისაგან გადარჩენილი ნიმუშები, რომლებიც ქართველმა არქეოლოგებმა, ეთნოგრაფებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს.

საქართველოს ტყეების მერქნის ძვირფასი ჯიშება უძველესი დროიდან ექსპორტის საგანსაც წარმოადგენდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების პირობები თანდათან გაუმჯობესდა, შექმნილი საშინაო ბაზარი საგარეო ბაზრებს დაუკავშირდა. სასაქონლო ფულადი ურთიერთობა გაფართოვდა. ქვეყნის ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად ხე-ტყის მასალაზე მოთხოვნილება გაიზარდა, რამაც მისი წარმოების განვითარება განაპირობა.

რეფორმის შემდგომ ხანაში (გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის შედეგად) თავისუფალი დაქირავებული მუშახელის კონტინგენტის თვალსაჩინო ზრდამ, კაპიტალისტური მრეწველობის და საქალაქო ცხოვრების შედარებით მძლავრმა წინსვლამ, რკინიგზების გაყვანამ, რუსეთთან ერთად კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში ჩართვამ დააჩქარა საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის პროგრესი, ორთქლის ძრავით მომუშავე სახერხი ქარხნების დაარსება და მათთვის ნედლეულის მიმწოდებელი ტყეების ექსპლუატაციის შესაბამისი გაფართოება.

სახერხ ქარხნებში მანქანური წარმოების მასობრივი დანერგვა XIX ს. 80-იანი წლებიდან დაიწყო. მცირე სიდიდის ქარხნების მნიშვნელოვანი რაოდენობა თავდაპირველად ქ. ფოთში გაიხსნა, რომლებიც ნავსადგურის მშენებლობას ემსახურებოდნენ. ამის შემდეგ მრეწველებმა ქვეყნის სიღრმეში, ნედლეულის წყაროსთან, საექსპლუატაციო ტყის მასივებთან ახლოს თანდათან გახსნეს სა-

ხერხი ქარხნები. შედარებით მსხვილი მასშტაბის ქარხნები აამუშავეს უცხოურმა სააქციო საზოგადოებებმა, რომლებიც ძირითადად საექსპორტო ნაწარმს ამზადებდნენ. ამ პერიოდში სამრეწველო საწარმოები მხოლოდ კერძო მფლობელობის ტყეებიდან მიღებული ნედლეულით მარაგდებოდა.

90-იანი წლებიდან, კაპიტალიზმის აღმავლობასთან ერთად, ქვეყნის შიგნით ხე-ტყის მასალაზე მოთხოვნილება თანდათან გაიზარდა. კერძო მფლობელობის ტყეების განადგურებამ, სახაზინო უწყების ხელში დასავლეთ საქართველოს ტყის მასივების მნიშვნელოვანი ფართობის თავმოყრამ დღის წესრიგში დააყენა სახაზინო ტყეების ექსპლუატაცია და მის ბაზაზე მსხვილი სახერხი ქარხნების დაარსება. ტყეების მოხერხებული მდებარეობა დამუშავებული მასალის შავი ზღვით ფართო ექსპორტის შესაძლებლობას ქმნიდა.

1893 წლიდან ტყეების არსებითი ეკონომიკური მნიშვნელობის ზრდის პირობებში, რუსეთის იმპერიაში გატარებული საერთო ღონისძიებები მიზნად ისახავდა ტყეების უკეთ დაცვასა და გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით შემუშავდა შავიზღვისპირა მდინარეების მზიმთის, ბზიფის, კოდორისა და ენგურის ხეობათა ტყეების გამოკვლევის სამუშაო გეგმები და მომავალში საექსპლუატაციოდ გათვალისწინებული ტყეების სამრეწველო ათვისების პროექტები.

90-იან წლებში ხე-ტყის დამუშავებულ მასალაზე სამრეწველო საწარმოთა დიდმა მოთხოვნილებამ განაპირობა დასავლეთ საქართველოს ორი დიდი ხე-ტყის სამრეწველო საწარმოს დაარსება, რომელთაგან ერთი მდინარე ცხენისწყლის ხეობაში, კერძო მფლობელობის ტყეებიდან მიღებულ ნედლეულს ამუშავებდა, მეორე კი კოდორის ხეობის სახაზინო ტყიდან მიღებული ხე-ტყის ბაზაზე შოქმედებდა.

შესამჩნევი გახდა ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში რუსეთის კაპიტალთან ერთად ადგილობრივ კაპიტალდაბანდებათა ზრდა. ქვეყნის სამრეწველო განვითარების შედეგად დატრიალებული კაპიტალი ხე-ტყის მრეწველობაშიც მიედინებოდა. გახშირდა სახერხი ქარხნების გახსნა მარგანეცის, ნავთობის და სხვა მრეწველთა მიერ. აღინიშნება ბათუმის ბაზარზე ადგილობრივი ქარხნების პროდუქციის ზრდა და უცხოეთის ხე-ტყის მასალის იმპორტის შემცირება.

1900-იან წლებში საქართველოში ხე-ტყის საექსპლუატაციოდ დაარსდა სხვადასხვა სააქციო საზოგადოებები, რომელთა უმრავლესობის საქმიანობამ მარცხი განიცადა. ქვეყნის შინაგანი ბაზრის ძირითად მოთხოვნილებას ადგილობრივ მრეწველთა წარმატებით მომუშავე საშუალო (20—25 მუშა) და მცირე სიდიდის (10—12 მუშა). სახერხი ქარხნები აკმაყოფილებდნენ. ისინი პროდუქციის მცირე ნაწილს ზოგჯერ სამხრეთ რუსეთშიც აგზავნიდნენ.

დასავლეთ საქართველოს სახერხი ქარხნების მიერ წარმოებული პროდუქციის ოდენობა 1913 წელს 1890 წელთან შედარებით 12,8-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1900 წელთან შედარებით 3-ჯერ. აღნიშნულის მიუხედავად, ეს ქარხნები ადგილობრივად გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ, რის გამოც მსხვილი სამრეწველო საწარმოები, რკინიგზა და სხვადასხვა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებანი დახერხილი მასალის დიდ რაოდენობას რუსეთიდან და უცხოეთიდან იღებდნენ.

რევოლუციამდელი საქართველოს ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში მანქანურმა წარმოებამ მხოლოდ სახერხი ქარხნები მოიცვა. მრავლად შემორჩა წვრილი კაპიტალისტური და მანუფაქტურული საწარმოები.

საქართველოს მთის ზოლის ტყეების ექსპლუატაციისა და ხე-ტყის გამოტანის სიძნელეების გამო სხვადასხვა საგანთა დამზადება თვით ტყის სიღრმეში, მოჭრის ადგილზე ხდებოდა, რაც ხელით შრომას განაპირობებდა. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად „ფაბრიკის დანამატის“ სახით არსებობდა ხე-ტყის სარეწები, სადაც დიდი რაოდენობით დაქირავებული მუშახელი იყო გამოყენებული. ასეთები იყო: სარკინიგზო უწყებისათვის — განძელების, ბათუმის ნავთობის ქარხნებისათვის — საკასრე ტკეჩების, თამბაქოს ფაბრიკებისათვის — ყავრის დამამზადებელი სარეწები.

სახერხი ქარხნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებამ ძლიერ გაზარდა ხე-ტყის დამზადება-გადაზიდვაზე დასაქმებული მუდმივი და სეზონური დაქირავებული მუშახელი, რომლის სახით მრავალრიცხოვანი ე. წ. „ფარული პროლეტარიატი“ იქმნებოდა.

ხე-ტყის მრეწველობაში მუშახელის მოზიდვასა და მათ რაოდენობრივ ზრდას თან ახლდა ახალი დასახლებების, სოფლების დაარსება, სადაც თავს იყრიდა როგორც ადგილობრივი, ისე შორეული ადგილებიდან ჩამოსული სხვადასხვა ეროვნების მუშახელი.

ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობასა და მის დამხმარე დარგებში გაერთიანებული მუდმივი და სეზონური მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები განსაკუთრებით მძიმე იყო, რაც სამუშაო დროის ხანგრძლივობის სიდიდეში, რეალური ხელფასის მეტისმეტ სიმცირეში და სრულ პოლიტიკურ უუფლებობაში ვლინდებოდა.

ტყის მასივებში მოქმედი სახერხი ქარხნების მუშები დიდ გავლენას ახდენდნენ ხე-ტყის დამზადებაზე დასაქმებული სეზონური მუშების მრავალრიცხოვან მასაზე, რაც რევოლუციური მოქრაობის დროს ხელს უწყობდა მათ ერთიან რევოლუციურ ბრძოლებს ცარიზმისა და არსებული წყობილების წინააღმდეგ.

ხე-ტყის მრეწველობაში გაერთიანებული მუშათა მასა, მისი ერთგვარი დაქსაქსულობის მიუხედავად, საქართველოს სამრეწველო პროლეტარიატის ერთ-ერთ რაზმს შეადგენდა და რევოლუციურ ბრძოლებში მასთან ერთად მონაწილეობდა.

ЛЕСООБРАБАТЫВАЮЩАЯ ПРОМЫШЛЕННОСТЬ И ПРОМЫШЛЕННЫЙ ПРОЛЕТАРИАТ В ДОРЕВОЛЮЦИОННОЙ ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ

(1880 — 1914 гг.)

Резюме

После присоединении Грузии к России, особенно с 30-х годов XIX века, улучшение условий для развития производительных сил, расширение товарно-денежных отношений и общий экономический подъем страны в результате ее включения в общероссийский рынок обусловили увеличение спроса на лесоматериалы и развитие данной отрасли промышленности.

Подъем промышленности и торговли, расширение железнодорожной сети, включение Грузии вместе с Россией в мировую систему капитализма в пореформенный период, значительный рост контингента наемных рабочих, поставили страну на путь капиталистического развития. Ускорился процесс расширения лесообрабатывающей промышленности. Создаются «паровые» лесопильные предприятия, соответственно расширяется и эксплуатация лесов.

С 80-х годов XIX в. на лесопильных заводах начинается внедрение машинного производства. Первые мелкие заводы были образованы в г. Поти. С этого времени вблизи от лесных массивов постепенно размножаются лесообрабатывающие предприятия. Среди них более крупные заводы, изготовлявшие преимущественно экспортную продукцию, принадлежали иностранным акционерным обществам. Сырьем их снабжали частные лесовладельцы.

С 90-х годов, в связи с дальнейшим подъемом капитализма постепенно возрастает потребность в лесоматериалах и внутри страны. Истребление частных лесов и увеличение площадей казенных лесных массивов поставили в порядок дня необходимость эксплуатации последних и основание лесопильных заводов крупного масштаба. В связи с этим, разрабатывались планы обследования лесов в ущельях причерноморских рек Мзымта, Бзыбь, Кодори и Ингури и создавались проекты для их промышленного освоения.

В 90-х годах в Западной Грузии создаются два крупных лесопромышленных предприятия, снабжавшие лесоматериалом батумские заводы. Одно из них (в ущелье р. Цхенис-цкали) обрабатывало сырье, доставляемое из частновладельческих лесов, а второе (в ущелье р. Кодори) действовало на базе казенных лесов. В лесообрабатывающей промышленности в данный период заметно возрастает доля российских и местных капиталовложений. Сокращается импорт лесоматериала.

В 90-ых годах в Грузии для эксплуатации лесов основываются различные акционерные общества, изготавлявшие продукцию на экспорт. Основную потребность внутреннего рынка удовлетворяли успешно работавшие средние и мелкие лесопильные заводы местных промышленников, малая часть продукции которых иногда вывозилась в южные районы России.

Количество продукции, производимой всеми лесопильными заводами Западной Грузии в 1910 г., превысило уровень 1890 г. в 12,8 раза, а в 1913 г. — в 3 раза. Несмотря на это оно полностью не удовлетворяло растущую потребность. Поэтому большое количество пиломатериала поступало из России.

В 90-х годах, вплоть до начала первой мировой войны, в лесообрабатывающей промышленности Западной Грузии машинное производство охватило лишь лесопильные заводы. В лесной и деревообрабатывающей промышленности сохранилось множество кустарных, ремесленных и мануфактурных предприятий.

В горных районах Грузии в виде «придатков фабрик»

существовали лесные промыслы изготавлявшие шпалы, бочарные клепки, драньи др., где было занято большое количество рабочих.

Расширение материально-технической базы лесопильных заводов вызвало значительное увеличение количества постоянной и сезонной наемной рабочей силы, занятой на заготовке и перевозке леса, образовался многочисленный «скрытый пролетариат». Рабочие разных национальностей создавали новые поселения.

Условия жизни и труда постоянных и сезонных рабочих, занятых в лесообрабатывающей промышленности, были особо тяжелыми, поэтому они с самого начала включились в революционную борьбу грузинского пролетариата. Революционное настроение рабочих крупных лесопильных заводов сельских местностей оказало огромное влияние на подъемных сезонников-крестьян, что особенно ярко проявилось в период революции 1905 — 1907 гг. в их общей борьбе против царизма и капиталистов.

Занятая в лесообрабатывающей промышленности рабочая масса, несмотря на некоторую разбросанность, являлась одним из боевых отрядов промышленного пролетариата Грузии, активно участвовавшим в его революционной борьбе.

შემოკლებანი

სსცია — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი
ЦГИА — Центральный государственный исторический архив
ХФ ЦГИАУ — Харьковский филиал Центрального государственного исторического архива Украины
МЭБКЗК — Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края
СМЭБГКЗ — Свод материалов по изучению экономич. быта государственных крестьян Закавказского края
КК — Кавказский календарь
КСХ — Кавказское сельское хозяйство
ТКОСХ — Труды Кавказского общества сельского хозяйства

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3
თავი I. დასავლეთ საქართველოს ტყეების ექსპლუატაცია 12
თავი II. ხე-ტყის დამშუშავებელი მრეწველობა . 59
§ 1 მრეწველობის მარტივი ფორმები . . 61
§ 2 მანუფაქტურული და მანქანური წარმოება 77
თავი III. ხე-ტყის დამშუშავებელი მრეწველობის მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური ბრძოლა . . 115
დასკვნა 138
Резюме 142
შემოკლებანი 144

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ლომსაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ა. მენდიანიშვილი

*

ІІБ 1796

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი ვ. ხმალაძე
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 1.9.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.5.1982;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 9,0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5;

უე 00828; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 2839;

ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19